PRIME Time

N42 (240), ორშაბათი 21 ოქტომბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

რა დავალებით ჩამოვიდა გიგა ბოკერიას მეგობარი ჟურნალისტი საქართველოში დარა კავშირი აქვს მას „ალ-ქაიდასთან“

EXCLUSIVE

ზაალ კასრელიშვილი:
„იგეგმება ჯანჯისის ხეობის „ალ-ქაიდასთან“ გაიგივება“

EXCLUSIVE

ჟვანიას საქმის სკანდალური დეტალები

რა ყალბი მტკიცებულებები დევს საქმეში, რატომ ურჩია უსუპოვს ჟვანიამ დაცვის აყვანა და აშანტაჟებს თუ არა გოგლა ჟვანიას ერთადერთი მოწმე?

რა პირობა არ შეუსრულეს ნათელა მოდებაძეს:

„არც იმ ჟვანიას აინტერესებს, სპეკულირებენ მხოლოდ, ყველამ რაღაც მიიღო, მე რა მივიღე ამის სამაგიეროდ?“

რატომ ბლოკავს ლევან პირველი ხუდონჰესის მშენებლობას და დგას თუ არა ის აბუნტებული სვანების უკან?

EXCLUSIVE

პრემიერი და მისი დეპუტატები

„ვფიქრობ, რომ პრემიერმა ეს უნდა იცოდეს...“

EXCLUSIVE

უპრეცედენტო წელი კახეთში - მევენახეები ყურძნის მოსავლის გაორმაგებას გეგმავენ

შალვა ფიფია:
„წელს ყურძნის უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა იქნა ჩაბარებული, დაახლოებით 92 ათასი ტონა მთელი ქვეყნის მასშტაბით“

სამხედრო ბაზაზე ნაპოვნი გვამის საქმე ჯერ ისევ გაუხსნელია

„გვამი არ გვაჩვენეს, გვითხრეს, ფარშიაო, თურმე გარაჟ-გარაჟ დაატარებდნენ“ EXCLUSIVE

EXCLUSIVE

შეღავათიანი აგროკრედიტის სახით 119 მილიონ 421 ათასი ლარია გაცემული

გიორგი ჩხეიძე:
„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში უკვე დაფინანსებულია 258 საწარმო, მათ შორის ახალია 53 საწარმო. აქედან 205 არსებული საწარმოა, რომლებმაც თავიანთი სიმძლავრე გაზარდეს“

EXCLUSIVE

შექმნის თუ არა ალასანია ოქრუაშვილის მსგავს პრობლემებს ხელისუფლებაში

ვახტანგ ხმალაძე:

„ბურჯანაძე პრეზიდენტი ვერ გახდება“

EXCLUSIVE



გიორგი მინდიაშვილი:
„ჩემი ოჯახის კლინიკის“ ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ საზღვარგარეთ მოღვაწე კვალიფიციური კადრების დაბრუნებაა“

ქართული მხარის მიერ ხელმოწერილი სკანდალური დოკუმენტი, სადაც აღიარებულია „აფხაზეთის რესპუბლიკა“

„ეს დოკუმენტი რატომღაც ამ დრომდე არ გასაჯაროებულა და კარგია, თუ ამის გამოქვეყნებას გეგმავთ“... EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჟვანიას საქმის სკა

მარიამ ნადირაძე

ყველაზე სკანდალური საქმეების შედეგებს, რატომღაც არჩევნებამდე ელოდებიან ხოლმე. რა თქმა უნდა, ამაში არის ლოგიკა, თუმცა შეგვიძლია ცალსახად გითხრათ, რომ მიუხედავად ბოლო დროს ამტყდარი აჟიოტაჟისა, ჟვანიას საქმე არჩევნებზე ვერანაირ შედეგს ვერ მოახდენს, რადგან ის ამ დროში არ გაიხსნება.

ამის თქმის საფუძველს იაშარ უსუპოვი გვაძლევს, რომელიც „პრაიმტაიმთან" ინტერვიუში ერთ-ერთ მორიგ შეკითხვას გულუბრყვილოდ პასუხობს - „თბილისში არჩევნებამდე აღარ ჩავალო". ამასთან, თუ საქმე ქულების დაწერაშია, ხელისუფლებამ ეს ქულები უკვე ისედაც მიიღო, რაკი გაჟღერდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პროკურატურა ყოფილი პრემიერის და რაულ უსუპოვის მკვლელობის ვერსიას ადგას და ეს ინფორმაცია პირველწყაროდან, ანუ დაზარალებული ოჯახებიდან გაჟღერდა.

ჩვენ ამ ინტერვიუსაც მოგვიანებით შემოგთავაზებთ და კიდევ საქმის სხვა სკანდალურ დეტალებსაც, რადგან ვაპირებთ, რომ ამ პუბლიკაციაში ჯერ მკითხველთან ერთად დავიწყოთ მსჯელობა:

ამოსავალი

არსებობს ორი ძირითადი ვერსია პრემიერის და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. პირველი - უბედური შემთხვევა, მეორე - მკვლელობა.

დავიწყოთ პირველით და არა იმ სახით, როგორც ამას სააკაშვილის ხელისუფლება გვთავაზობდა. რამდენიმე თვის წინ „პრაიმტაიმი" წერდა იმის შესახებ, თუ რა ისტორია ვრცელდებოდა კულუარებში: მიშა სააკაშვილს როცა მოახსენეს, რომ საბურთალოს ქუჩაზე ერთ-ერთ ბინაში პრემიერ-მინისტრი ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად უხერხულ მდგომარეობაში ნახეს გარდაცვლილი, პრეზიდენტს ელდა ეცა, მაგიდა ააყირავა, კედელს თავი ურტყა და ყვიროდა, როგორც გინდათ დამალეთ ეს ფაქტი, ის კაცი კი მოაშორეთ იქიდანო. უკითხავთ, სად წავიღოთო, პასუხი კი იყო - სადაც გინდათ, თუ გინდათ მტკვარში გადააგდეთო. ამ ბრძანების შესრულებისას გაირკვა, რომ ეს ადამიანი არა ვიღაც უცნობი ახალგაზრდა, არამედ ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე იყო. ამის გამო ცხედრის უკან დაბრუნება მოუხდათ. ამ ვერსიის ავტორები „პრაიმტაიმს" არწმუნებენ, რომ სწორედ ამ დროს ნახა ის ყველასთვის ცნობილმა მოწმემ, ნათელა მოდებაძემ და სწორედ ამ ალიაქოთში დაიკარგა მისი ცალი ფეხსაცმელი. ნათელა მოდებაძეზეც და ფეხსაცმლის თაობაზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ, მანამდე კი დაწყებულ ისტორიას გავაგრძელებთ: სასოწარკვეთილმა მიშამ მოგვიანებით ოჯახის წევრები დაიბარა და მათაც ყველაფერი გაანდო, რაც იცოდა. „პრაიმტაიმს" ამ ვერსიის მხარდამჭერები ეუბნებიან, რომ სააკაშვილს სწორედ ის საქმე უბრუნდება უკან, რომელშიც ყველაზე გულწრფელად მოიქცაო.

ამ ვერსიის გაჟღერების შემდეგ დიდი დრო გავიდა და მხოლოდ ახლა აკეთებს სააკაშვილი კომენტარს პრემიერის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ზემოთ შემოთავაზებული ისტორიის ლოგიკაში პირდაპირ ჯდება: „მე არ ვიცი, ვინ რას ლაპარაკობს. ზურაბ ჟვანია იყო ჩემი ახლო მეგობარი და ყველამ ძალიან კარგად იცის იქ რა მოხდა. იყო უბედური შემთხვევა. იყო ფედერალური ბიუროს დეტალური დასკვნა და ოჯახი ამ დასკვნას იცნობს. ჩვენ ეს დასკვნა არ გამოვაქვეყნეთ გასაგები მიზეზების გამო, იმიტომ, რომ საქმე ეხება ადამიანის ბევრ, ძალიან ღრმა და ისეთ დეტალს... და ნამდვილად, ჩემთვის ზურაბის სახელი იყო წმინდათა წმინდა. თუ ვინმესთვის ეს არ არის ხელშეუხებელი, მათ შორის ვინმე ოჯახის წევრისთვის, ეს მათ სინდისზე იყოს. მე ძალიან მიყვარდა ზურაბ ჟვანია და მისი რეპუტაცია, მისი სახელი და მისი ხსოვნა არის ჩემთვის წმინდათა წმინდა. საქართველო პატარა ქვეყანაა, ყველამ ყველაფერი იცის და ზღაპრები მოუყვნენ ერთმანეთს"...

აქვე გეტყვით, რომ როცა ოჯახის წევრს ახსენებდა სააკაშვილი, სავარაუდოდ გოგლა ჟვანიაზე ჰქონდა აქცენტი. ეს სწორედ ის ადამიანია, რომელმაც ინგა გრიგოლიასთან ეთერში მისი ბიძა თემურ ალასანია სკანდალურ კონტექსტში მოიხსენია. ამასთან, ჟვანიას სიცოცხლეშივე ცნობილი იყო ძმების არცთუ შეხმატკბილებული ურთიერთობის შესახებ. ამ თემას კვლავაც დავუბრუნდებით და ისევ განვაგრძობთ ვერსიის ლოგიკას, რომელსაც, როგორც ჩანს, მიხეილ მაჭავარიანიც იზიარებს და გიორგი ბარამიძეც. პირველი, თავის დროზე გაკვირვებას გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ ოჯახს ჰქონდა კითხვები, მეორე კი - თავის მხრივ, ერთგვარ მუქარასაც უგზავნიდა ხელისუფლებას - ვნახავ რას დადებს გამოძიება და მერე ვიტყვი ყველაფერსო.

ნათელა მოდებაძე

რა ყალბი მტკიცებულებები დევს საქმეში, რატომ ურჩია უსუპოვს ჟვანიამ დაცვის აყვანა და აშანტაჟებს თუ არა გოგლა ჟვანიას ერთადერთი მოწმე?

თავის მხრივ, გოგლა ჟვანია პრეზიდენტს სდებს ბრალს ზურაბ ჟვანიას ღირსების შელახვაში: „ის ბინძური ვერსია, რის წამოწევასაც შეეცადა სააკაშვილი, ესეც მათი (სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი - მ.ნ.) შეთითხნილია და ესეც არის მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული... კიდევ რაზე მოუწევთ ამ ადამიანებს პასუხისგება, ეს გახდება ცნობილი გამოძიების დასრულების შემდეგ".

ჩვენთან ინტერვიუში სააკაშვილის განცხადებას გამოეხმაურა იაშარ უსუპოვიც: „2005 წელს სააკაშვილი ჟვანიას ოჯახს დაპირდა, ჩამოვიყვან ახალ ექსპერტებს და ყველაფერს დავადგენო. ატყუებდა. ტყუილები სააკაშვილის მოგონილია. 2007-ში რომ ნახა, ოჯახი ამ საქმეს არ ეშვებოდა, ეს ვერსია შეიმუშავეს. დააშანტაჟეს, თუ არ გაჩერდებით, ამას ვიტყვითო, ანუ იგივეს, რასაც ამ რამდენიმე დღის წინ შეფარულად ამბობდა. მაშინ მისი ტყუილები ფასიანი იყო და ვერ მიხვდა, რომ უკვე აღარავის სჯერა მისი".

უცხოეთში პოლიტდევნილად წასული ჟურნალისტი, ვახო კომახიძე კი ჩვენთან საუბარში საკმაოდ საფუძვლიან ეჭვებს გამოთქვამს:

- თუ მართლა არსებობს „ეფბიაი"-ს ასეთი დასკვნა, გვაჩვენონ. მისი განცხადებიდან გამოდის, რომ ყველასთვის ცნობილი დასკვნის საწინააღმდეგო სხვა დასკვნა დადო ფედერალურმა ბიურომ? ასეთი რამ წარმოუდგენელია. როდესაც მის მთავარ დოკუმენტზე ფილმი გავაკეთე, მაშინ ამერიკის საელჩოში შევხვდი ფედერალური ბიუროს წარმომადგენელს და მისგან ვიცი, რომ ეს არის ერთადერთი დასკვნა და სხვა არ არსებობს. ვთქვათ, რომ მაინც არსებობს სხვა დასკვნა, რომელზეც სააკაშვილი მიგვანიშნებს, რისთვის სჭირდებოდათ ის, რომ სააკაშვილს საფლავში ჩაეტანა, როცა ის ამის გაკეთებას აშკარად არ აპირებს? როცა ფედერალური ბიურო საქართველოში ჩამოვიდა, მაშინ ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი უკვე დაკრძალულები იყვნენ. ამიტომ, რაც ასეთი კვლევისთვის არის საჭირო, ამისთვის მასალას ვერ აიღებდნენ.

- თუმცა მანამდე შეიძლებოდა ამ მასალის აღება ქართველი ექსპერტების მხრიდან და შემდეგ ამერიკელები გამოიკვლევდნენ. ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე...

- ზურაბ ჟვანიას სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას კვალიფიციური ექსპერტები ესწრებოდნენ. მათი დასკვნა თავად მაქვს ნანახი, რომლის მიხედვითაც დათვალიერებულია ყველა სასქესო ორგანო და წერია, რომ სუფთაა. ეს დაიწერა ფედერალური ბიუროს დასკვნაშიც. თუ სააკაშვილს სხვა ინფორმაცია აქვს და ექსპერტებმა ეს მისი და ჟვანიას მეგობრობის გამო გააკეთეს, მაშინ აუცილებლად უნდა დაიკითხნონ ისინი. მათი დაკითხვა თავად პრეზიდენტმა უნდა მოითხოვოს, რომ მისი ეს განცხადება ორღობის მოსაზრებას არ დაემსგავსოს. ამბობს, ჟვანიას რეპუტაციას ვუფრთხილდებიო. როგორ უფრთხილდება, როცა ამ ქეისმა შეაყანყალა მისი ხელისუფლება, რომელსაც ამდენ ხანს ასე ებღაუჭებოდა და ამის შესახებ აქამდე ჯერ არ განუცხადებია. ახლა, როცა პასუხისმგებლობის დრო მოახლოვდა, რატომ წამოიწყო ამ უზნეობაზე ლაპარაკი? სხვათა შორის, 2005 წლის მარტში შევხვდი სახელმწიფო დაცვის მაღალი თანამდებობის პირებს. ისინი საუბრობდნენ სექსუალურ აქტზე და კიდევ რაღაცებზე. მე ამ საქმეს ვიკვლევდი და ვთხოვდი, ეჩვენებინათ დოკუმენტი... რა თქმა უნდა, ვერავინ მაჩვენა. რადგან ეს იყო ტექნოლოგია, რომელსაც ხშირად იყენებს სპეცსამსახურები. ზეპირად ვიცი, ეს...

- ალბათ იმიტომ, რომ თქვენც მუშაობდით სააკაშვილის უშიშროებაში. რას გულისხმობთ ტექნოლოგიებში?

- ვერ ვიქნები კვალიფიციური. ძალიან მცირე ხანს მომიხდა იქ მუშაობა.

თუმცა ამ ტექნოლოგიების შესახებაც გვქონდა საუბარი რამდენიმე თვის წინ „პრაიმტაიმის" ერთ-ერთ ნომერში, რომელშიც ცნობად ადამიანებს ვაფრთხილებდით, რომ მათი ნებისმიერი სისუსტე, თუნდაც კონფლიქტური ურთიერთობა ოჯახში, შესაძლოა სპეცსამსახურების სურვილის შემთხვევაში მკვლელობის „ოფიციალური მოტივი" გამხდარიყო...

მკვლელობის „ოფიციალური მოტივი" - უბედური შემთხვევა?!

პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების საქმეში არაერთხელ გაიჟღერა მოსაზრებამ სპეცსამსახურების კავშირის შესახებ.

1. ხათუნა ხოფერია: „როდესაც ერთ-ერთი ბიზნესმენი მოხვდა კუდ-ში და აღიარებას არ იძლეოდა, ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა უთხრა, აი, ამ ხელებით მოვახრჩვე ჟვანია და წარმოიდგინე შენ რას გიზამო""...

2. თამაზ ბაკურიძე: „ავჭალის კოლონიაში გირგვლიანის მკვლელობისთვის დაჭერილი ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გაბრაზებული იმით, რომ ის კოლონიაში შემოაბრუნეს, ტელეფონში ვიღაცას უყვიროდა, შეახსენეთ მერაბიშვილს, ხომ არ დაავიწყდა ჟვანიას საქმეო?.."

3. გია ალავიძე, რომელმაც საზოგადოებას ციხეში გირგვლიანის მკვლელების ნებივრობის შესახებ საზოგადოებას ვიდეო-კადრები აჩვენა, ინგა გრიგოლიასთან ეთერში, არ გამორიცხავდა მათ კავშირს ჟვანიას მკვლელობასთან.

4. იაშარ უსუპოვი „პრაიმტაიმთან" საუბრისას: „მე უკვე ვთქვი იმის შესახებ, რაც რაულის მეგობრისგან შევიტყვე, რომ გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, მისი თანდასწრებით რაულმა სატელეფონო ზარს უპასუხა და ფერი ეცვალა. მეგობრის კითხვაზე, რა დაემართა, უპასუხა, რომ მას სპეცსამსახურები ემუქრებოდნენ. მაგრამ არ მითქვამს ის, რომ ეს მეგობარი ჩემი თხოვნით მაშინდელმა გამოძიებამ დაიბარა. რომ მეგონა, დაკითხავდნენ,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა პირობა არ შეუსრულეს ნათელა მოდებაძეს: „არც იმ ჟვანიას აინტერესებს, მხოლოდ სპეკულირებენ, ყველამ რაღაცები მიიღო, მე რა მივიღე ამის სამაგიეროდ?“

იაშარ უსუპოვი

EXCLUSIVE

სინამდვილეში, დაემუქრნენ, ენას კბილი დააჭირეო. ეს ბიჭი აეროპორტში მუშაობდა. სამსახურიდანაც გაუშვეს და მას უკრაინაში მოუწია წასვლა. ახლა ამბობს, არაფერი მახსოვსო...“

ზემოთ ჩამოთვლილი დეტალები საზოგადოებისთვის, ასე თუ ისე, ცნობილია, თუმცა ამბავი, რომელიც „პრაიმტაიმს“ კონფიდენციალურმა წყარომ აცნობა, ჯერ არ გაჟღერებულა. ამ ისტორიის მიხედვით, გარდაცვალების დღეს რაულ უსუპოვი კუდ-ში დაიბარეს. წყარო ვარაუდობს, რომ შეხვედრა კუდ-ის მაღალჩინოსანთან, ვაჟა ლილუაშვილთან შედგა.

როგორც შევიტყვეთ, ამ რამდენიმე დღის წინ პროკურატურამ იმ კეისების ექსპერტიზა დანიშნა, რომელიც გირგვლიანის მკვლელებს ეკუთვნოდათ ციხეში ყოფნის დროს. ეს ამბავი კი დროში საეჭვოდ ემთხვევა ჟვანიას საქმეზე გამოძიების გაცხადებულ გააქტიურებას.

დაბოლოს, იაშარ უსუპოვმა გაგვიმხილა კიდევ ერთი დეტალი: „როდესაც რაულმა ამ სპეცსამსახურების შესახებ უთხრა ჟვანიას, მან დაცვის აყვანა ურჩია. ეს მკვლელობამდე დაახლოებით 15-20 დღით ადრე მოხდა“.

იაშარ უსუპოვი დარწმუნებულია, რომ პრემიერი და მისი ვაჟი სხვადასხვა ადგილას მოკლეს და შემდეგ ცხედრები სპეცსამსახურებმა საბურთალოს ქუჩის სახლში მიიტანეს:

- რაული იქ თავისი მანქანით მოიყვანეს გათიშული და მერე შეიყვანეს. სხვა ამბავსაც გეტყვით: ამბობთ, რომ შესაძლოა შარვალი დაისვარა იმ ვერსიის მიხედვით, რომელსაც სააკაშვილი თან ამბობს და თან არ ამბობს. მაშინ ფეხსაცმელზე ვილაპარაკოთ. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში წერია, რომ ნაპოვნია რაულის ერთი ფეხსაცმელი, რომელიც გაიგზავნა ამერიკაში. იქიდან გამოგზავნილ ოქმში კი წერია ფეხსაცმელები. თან დანომრილია - დავუშვათ 10 და 11. ყველა ნივთს თავისი ნომერი აქვს. ერთი ფეხსაცმელი გაიგზავნა და ჩამოვიდა ორი. გაყალბებული არ არის?ერთი ფეხსაცმელი არის უფრო მოკლე. ორივეს 42 აწერია. ერთის ძირი მტვრიანია, თუ საღებავით არის დასვრილი, არ ვიცი. მეორე გაკრიალებულია, მარტო ერთ ადგილას არის ლაქა. გამოდის, რომ რაული დადიოდა ხტუნაობით. ძირებიც არაპროპორციულად არის გაცვეთილი...

- ამერიკელებმა გააყალბეს?

- მე არ გამიყალბებია... თქვენ გააყალბეთ? იმ „ფებეერმა გააყალბა, რომელიც სააკაშვილმა მოიშველია.

- რაკი შარვალი დასვრილია, გამოთქვამთ ეჭვს, რომ რაული ნაცემი იყო... ეს თქვენი ეჭვია, თუ გამოძიების?

- ჯერჯერობით ჩემია. გამოძიებამ ჯერ ყველაფრის ანალიზი უნდა გააკეთოს.

- ძალიან დარწმუნებული წამოხვედით პროკურატურიდან. რატომ? პროკურატურა უბედურ შემთხვევაზე აღარ მუშაობს?

- ყველა ვარიანტს იხილავს, მაგრამ იქ რაც ვნახე, ყველაფერი ამტკიცებს იმას, რომ პროკურატურა მკვლელობისკენ იხრება, რომელიც დაიგეგმა და შესრულდა კიდეც.

„ვინ მოკლა ტყვიის გარეშე?“

სავარაუდოდ ამ სათაურით უნდა გასულიყო ვახო კომახიძის ფილმის „ტყვიის გარეშე“-ს გაგრძელება. თავის დროზე კულუარებში გახდა ცნობილი, რომ აქ აქცენტები პრეზიდენტის ბიძაზე, თემურ ალასანიაზე უნდა გაკეთებულიყო. ამას „პრაიმტაიმს“ ირაკლი კაკაბაძეც უდასტურებს, რომელიც გვიამბობს, რომ ამის შესახებ მისი ჩვენებაც უნდა ჩადებულიყო ფილმში, რომელმაც დღის სინათლე ვერ იხილა. წლების შემდეგ პრეზიდენტის ბიძისა და ზურაბ ჟვანიას კონფლიქტის შესახებ ხმამაღლა საუბრობს გოგლა ჟვანია.

რა ვერ გაიყვეს მათ თავის დროზე, ჩვენს მკითხველს შევახსენებთ:

აეროპორტის ტენდერს, რომელიც 2005 წლის დასაწყისში გამოცხადდა, სკანდალური ისტორია აქვს: ტენდერამდე ერთი წლით ადრე, თბილისის აეროპორტით ცნობილი გერმანული კონსორციუმი „ტაკომ გლორია პივდენი“, ანუ „ტაკომი“ დაინტერესდა, რომელსაც, როგორც იმხანად ითქვა, აწ გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ლობირებდა. თურქულ კონსორციუმს, „ჩელებს“ - თემურ ალასანია.

ჟვანიას დაჟინებით სთხოვეს, თურქული კონსორციუმის წარმომადგენლებს შეხვედროდა, მაგრამ იმის გამო, რომ თურქულ კომპანიას აეროპორტის მშენებლობის არცთუ დიდი გამოცდილება ჰქონდა, ჟვანიასთან შეხვედრა არ უნდოდა, მაგრამ დაჟინებულმა თხოვნამ, როგორც ჩანს, გაჭრა და ბოლოს, ჟვანია თურქებს კანცელარიაში, საკუთარ კაბინეტში შეხვდა. ნახევარ საათში ზურაბ ჟვანიამ თურქები კაბინეტიდან ყვირილით გამოყარა... მას თურქული კომპანიისთვის აეროპორტის გადაცემა გამართლებულად არ მიაჩნდა, ვინაიდან საფრთხეს ხედავდა. ტენდერში „ჩელებმა“ გაიმარჯვა, მაგრამ მერე ის დაიშალა.

მთავრობა იძულებული გახდა, ამ კომპანიასთან ურთიერთობა გაეწყვიტა. ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ აეროპორტის მშენებლობის უფლება ტენდერში მონაწილე და თავის დროზე დაწუნებულ სხვა თურქულ კომპანიას, ანუ „ტავ-ურბანს“ გადააბარა. ამ კომპანიის უკანაც იგივე ხალხს მოიაზრებდნენ, ვინც მისი წინამორბედის უკან იდგა. „ტავთან“ კონტრაქტი 2005 წლის 6 სექტემბერს გაფორმდა. ამ დროს ჟვანია უკვე გარდაცვლილი იყო...

ირაკლი კაკაბაძე:

- ერიკ გუდისი დარწმუნებული იყო, რატომღაც, რომ ჟვანია ამ საქმეს გაუკეთებდა და უტენდეროდ მისცემდა აეროპორტს. უარი რომ მიიღო, გაცოფდა...

- ვინ იყო ერიკ გუდისი?

- ეს არის გრუ-ს თანამშრომელი, თემურ ალასანიას კოლეგა. მამამისი იყო საბჭოთა კავშირის ჯარებში იარაღით ვაჭრობის განყოფილების უფროსი 1991 წლამდე. ერიკ გუდისი არის ცნობილი იარაღით მოვაჭრე, რომელიც ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს. მისი ჯგუფი საქართველოში 2004 წელს შემოვიდა. ეს ძალიან გასაიდუმლოებული ბიზნესი ზურაბ ჟვანიას გაღიზიანებას იწვევდა. მე ამის შესახებ დაწვრილებით ვიცი და ყველაფერი ჩემს წიგნში მაქვს დეტალურად ასახული, რომელიც მალე გამოვა. იარაღით ვაჭრობის საქმეში თემურ ალასანია ოფიციალურად ვერ იქნებოდა ჩართული, ვინაიდან გაეროს განიარაღების პროექტებში მუშაობდა, მაგრამ თემურ ალასანიას არაოფიციალურად ჰქონდა წილი, მოგვიანებით კი მისი შვილი გააფორმა ოფიციალურად ამ ბიზნესში. თვითონ, რა თქმა უნდა, არ ფიგურირებდა. ჟვანიას მკვლელობამდე სამი კვირით ადრე გუდისმა პირადად მითხრა, ჟვანიას მოამორებენო, ეს მას შემდეგ, რაც აეროპორტზე ჟვანიასგან უარი მიიღო. ამაში მას მკვლელობა არ უგულისხმია, მაგრამ თქვა, ის ერთ თვეში თავის თანამდებობაზე აღარ იქნებაო. ეს სხვებსაც უთხრა. მე მასაც და ალასანიასაც კარგად ვიცნობდი, პირადად მაქვს მათი საუბრები მოსმენილი 31-ე ქარხანაში როცა ვმუშაობდი, რომელიც გუდისმა და ალასანიამ პანტიკო თორდიას აართვეს და ისევ იარაღის წარმოება დაიწყეს. ამ ქარხნის გამოყენებით ხდებოდა არალეგალური ოპერაციები, რომელსაც თემურ ალასანიას კლანი ხელმძღვანელობდა.

თუმცა, თავის დროზე განიხილებოდა ვერსია პატარკაციშვილის მხრიდან ანგარიშსწორების შესახებაც. ამ ვერსიის მიხედვით ანგარიშსწორების მოტივი ასეთი უნდა ყოფილიყო: პრემიერი ოლიგარქს სანაოსნოს 90 მილიონად დათმობას დაპირდა, თუმცა მოგვიანებით ბენდუქიძის დალობირებულ კომპანიას მისცა 130 მილიონად...

ვერსიის მხარდამჭერები მაფიოზური მკვლელობის მეთოდიკასაც მოიშველიებენ, როდესაც ისინი მსხვერპლის ოჯახების პატრონობას იწყებენ. პატარკაციშვილი თავის სიცოცხლეში ჟვანიას ოჯახს ფინანსურად უმაგრებდა ზურგს და მისი ერთ-ერთი შვილი რომ სკოლაში ნაიყვანა, ეს კადრები, ალბათ, საზოგადოების დიდ ნაწილს დიდხანს შემორჩება მეხსიერებაში.

თუმცა, ჟვანიას საქმესთან დაკავშირებულ კონტექსტში პატარკაციშვილის ფიგურამ მოგვიანებით კიდევ ერთხელ გაიჟღერა, თუმცა ამჯერად ირიბად:

სკანდალური მოწმე, ნათელა მოდებაძე, რომელიც ჟვანიას გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ ევროპიდან გამოჩნდა და საზოგადოებას უყვებოდა იმის თაობაზე თუ როგორ გახდა საბურთალოს ბინაში ცხედრების შეყვანის მოწმე, სწორედ პატარკაციშვილის შტაბში მუშაობდა. რა თქმა უნდა, მკითხველს აღარ გადავლლით მისი ნაამბობის კიდევ ერთხელ გამეორებით, თუმცა, როდესაც „პრაიმტაიმი“ მას მთავარი პროკურორის განცხადების შემდეგ დაუკავშირდა იმის თაობაზე, რომ ნათელა მოდებაძე გამოკითხულია და დაკითხულია მისი ოჯახის წევრებიც, ჩვენთან საუბრისას საკმაოდ საგულისხმო დეტალი გამოიკვეთა:

- მე არავის დავუკითხივარ. როდესაც პირველად დამირეკეს პროკურატურიდან, ჩვენება უნდა ჩამოგართვათო, კონსულტაცია გავიარე ჩემს ადვოკატთან, რომელმაც მითხრა, რომ პოლიტიკური თავშესაფრის მიღებისთვის კარგი იქნებოდა პროკურატურის მხრიდან გამოგზავნილი ნებისმიერი წერილი იმის თაობაზე, რომ მე დამკითხეს, ან თუნდაც უნდა დავეკითხეთ. ამის შესახებ მე მათ შევატყობინე. უნდა დამკავშირებოდნენ სკაიპით, მაგრამ აღარ დამკავშირებიან. ყველამ თავისი პიარი გაიკეთა და ჩემი პრობლემებით, რა თქმა უნდა, აღარავინ ინტერესდება, თუნდაც გოგლა ჟვანიამ.

- კიდევ ითხოვთ, რომ დაგკითხოთ პროკურატურამ?

- აღარ ვითხოვ. თქვენ არ იცით, რამდენი რამე გავაკეთე ამ 4 წლის განმავლობაში. არ დამრჩა არცერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომ არ მიმეწეროს, არ დარჩა არცერთი კონსული და ელჩი, რომ ამ თემაზე არ შევხვედრილიყავი. რა მივიღე ამის სამაგიეროდ? ავარია, რომელიც დღემდე გამოუძიებელია. თურმე ძალით ჩავუვარდი იმ მანქანას. მინდა იცოდეს ყველამ, რომ არავის აინტერესებს ადამიანები. არც იმ ჟვანიას აინტერესებს, მხოლოდ სპეკულირებენ. ყველამ რაღაცები მიიღო. მე მაგის ადგილზე არ წავიდოდი პარლამენტში. მე ასე მესმის საქართველოს სიყვარული. ამას ნინათ გოგლას ვთხოვე, ჩემი შვილი ავღანეთში არ წასულიყო, შემომეხმიანა საერთოდ? დამიკავშირდეს თვითონ ის კბილაშვილი და ვეტყვი ყველაფერს. მატყუარები, ესენი!

კბილაშვილის უწყება „პრაიმტაიმს“ ოფიციალურად განუმარტავს, რომ ქალბატონი ნათელას დაკითხვას გამოკითხვა იმიტომ დაერქვა, რომ ასეთია სამართლებრივი ტერმინი, როცა ეს ელექტრონული საშუალებით ხდება.

სხვათა შორის, ჟვანიას საქმეზე ერთადერთი მოწმის საუბარმა ბევრი კითხვის ნიშნები დატოვა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა თითქოს ის რეალური მოწმე არ არის და ეს საქმე სჭირდება პოლიტიკური თავშესაფრის მისაღებად. ეს მხოლოდ შთაბეჭდილებაა, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ გოგლა ჟვანიას მიმართ საყვედურები გამოთქვა: ყველამ რაღაცები მიიღო და მე რა მივიღეო?..

და რა უნდა მიეღო? რამეს იყვენენ შეპირებულები? და მაშინ ვინ დაპირდა? ის ცრუ ჩვენებას იძლეოდა იმისათვის, რომ დაერწმუნებინა ყველა მნიშვნელოვან საქმეში ვარ მთავარი მოწმე, მდევნიან და ამიტომ მჭირდება თავშესაფარიო? ამას გამოძიებაც მიხვდებოდა, შესაძლოა სწორედ ამიტომაც არ აღიარებენ მას ოფიციალურად ერთადერთ მოწმედ...

რეზიუმე

ძალიან მოკლედ:

- ბატონო იაშარ, ინგა გრიგოლიასთან ეთერში გოგლა ჟვანიამ ღიად დაასახელა თემურ ალასანია ჟვანიას მკვლელობის საქმის კონტექსტში. ეს მას წამოცდა, თუ ამ კონტექსტს გამოძიებაც განიხილავს?

- ეს საიდუმლოა. ამის თქმას ნუ დამავალებთ. ჩვენ პროკურატურაში ბევრი რამ ვნახეთ, მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ იტყვი? ეს ისეთი ინფორმაციაა, რომელიც გამოძიებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამაზე საუბარი არ გამოვა. ხელი შეეშლება გამოძიებას.

მკითხველი, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ აზრი აღარ აქვს პუბლიკაციის გაგრძელებას თემით, რა ვერსიას ამუშავებს გამოძიება...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ დგას ხატზე დაფიც

მარიამ ნადირაძე

უკვე 30 წელია „ხუდონჰესი“ პოლიტიკური დაპირისპირების თემა ხდება. საქართველოში უკვე სამმა ხელისუფლებამ დაიხია უკან საზოგადოებრივი პროტესტის წინაშე. ჯერ მეოთხეზეა...

რას გადაწყვეტს ივანიშვილი და დათმობს თუ არა პოზიციებს კახი კალაძე, ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა ფაქტია, რომ პროექტი, რომელიც თავის დროზე ეროვნული მოძრაობის დაწყების საფუძველიც გახდა, დღესაც განუხორციელებელია და დღესაც ვშიშობთ, რომ შეესაძლოა ქვეყნის ეკონომიკურმა და ენერგეტიკულმა სიკეთეებმა, ოთხი სვანური სოფელი წყალს გაატანოს.

ყველა ხელისუფლებისთვის ეს თემა ნიშნის მოგების საშუალებაც ხდებოდა. მეორე საპრეზიდენტო ვადის მიწურულს, პრეზიდენტმა შევარდნაძემ სწორედ ხუდონჰესი წამოაყენა ზურაბ ჟვანიას და მას დააბრალა საქართველოში არსებული ენერგოკრიზისი, ვინაიდან, თავისი კარიერის დასაწყისში, აწგარდაცვლილი პრემიერი, მწვანეთა მოძრაობის სახელით ამ პროექტს სასტიკად აპროტესტებდა.

თუ მშენებლობა ამჯერადაც არ დაიწყება, ამ თემით სპეკულირება, ალბათ, საუკუნესაც მიითვლის. თემა კვლავაც მწვავედ დგას. უფრო მეტიც, სვანურ ხატზე დაფიცებას ივანიშვილის ხელისუფლება არცთუ ნაკლები სიჯიუტით პასუხობს. პრემიერი თვლის, რომ ამ პროტესტის მიღმა სხვადასხვა ლობისტები დგანან...

ახლა კი, რაც შეეხება ლობიზმს: კულუარულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხატზე დაფიცებული ხაიშელების უკან შესაძლოა ლევან პირველი იდგეს. უფრო მეტიც, ამ ვერსიის ავტორები ამტკიცებენ, რომ სწორედ ის ლობირებს კომპანიას და უნდა, რომ მან ინდურ-ინგლისური „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“ ჩაანაცვლოს, რომელიც მდინარე ენგურზე 700 მეგავატიანი ჰესისა და 200 მეტრი სიმაღლის კაშხლის მშენებლობას გეგმავს, რომლის შედეგად დაიტბორება 500 ჰექტარზე მეტი ტერიტორია და, მათ შორის, რამდენიმე სოფელი, ასევე ხაიშის წმინდა გიორგის ეკლესია და სასაფლაოს ტერიტორია. ბუნებრივია, პროცესებში საპატრიარქოც ერთვება, მაგრამ ივანიშვილი მიიჩნევს, რომ პრობლემა მოგვარებადია. ბოლოს და ბოლოს თავის დროზე ტაჯმაჰალის გადატანაც იგეგმებოდაო.

ახლა კი, ისევ ჩვენს ძირითად ინფორმაციას დავუბრუნდეთ და, რა თქმა უნდა, ყველაფერი თავად პირველწყაროსთან, ლევან პირველთან გადავამოწმოთ:

- მე ძალიან კარგად მესმის ორივე მხარის პოზიცია, მაგრამ ვთვლი, რომ ეს სვანების გადასაწყვეტი საქმეა. კარგად ვარ ენერგეტიკაში გარკვეული, ამ პროექტის ეკონომიკური პერსპექტივებიც ვიცი, სვანეთში რა საფრთხეებია, ისიც ვიცი. ალბათ, ყველაფრის დალაგება შეიძლება, მაგრამ მაინც სვანებმა უნდა გადაწყვიტონ ეს ყველაფერი.

- ადგილობრივებმა ხატზე დაიფიცეს, რომ თავს შეაკლავენ ამ საქმეს და არ მისცემენ ინვესტორს იქ ჰესის აშენების უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გვამებზე მოუწევთ ამის გაკეთება...

- ისინი თუ ხედავენ რამე საფრთხეს ამ პროექტში, საკუთარ მინაზე არიან და სწორად იქცევიან. მათი გადასაწყვეტია, ხატზე დაიფიცებენ, თუ რას იზამენ. ამაშიც მართლები არიან. აქ მარტო ეკოლოგიური, ბუნების დაცვის საკითხი არ დგას. აქ კიდევ დემოგრაფიული პრობლემა ჩნდება, რაც მათ, ალბათ, ყველაზე მეტად აწუხებს.

- რას გულისხმობთ?

- როცა არენაზე ინდოელი ე.წ. ინვესტორი ჩნდება, რა თქმა უნდა, დემოგრაფიული საფრთხე უკვე თავისთავად არსებობს.

- იქნებ უფრო მეტად დააკონკრეტოთ...

- თუ ინვესტორი ინდოელი იქნება, პირველ რიგში ინდოელებს ჩამოყრის. ჯერ ერთი, ძალიან იაფი მუშახელია. წარმოიდგინეთ, სვანეთში სულ რაღაც 12-13 ათასი კაცი ცხოვრობს. მარტო ამ მშენებლობას კი 4-5 ათასი ინდოელი დასჭირდება და დანარჩენი თავად განსაზღვრეთ...

- ასეც რომ იყოს, ამ ადამიანებს განა რამდენ ხანს მოუწევთ საქართველოში დარჩენა, ასეთი სახის პრობლემა რომ შეიქმნას?

- მე ინდოეთში დაბრუნებული ინდოელი არ მინახავს, ისევე, როგორც ჩინეთში დაბრუნებული ჩინელი. ამ მშენებლობას კი სულ მცირე 5 წელინადი დასჭირდება.

- და ეს იმას ნიშნავს, რომ სვანეთს დემოგრაფიული საფრთხე შეექმნება?

- რა თქმა უნდა... წარმოიდგინეთ მათთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, საცხოვრებელი, საკვები, თავის პროსტიტუციითა და ნარკომანიით, რაც ამ ყველაფერს აუცილებლად მოჰყვება. ამას კიდევ რელიგიური საფრთხეებიც ემატება და ა.შ.

- საუბრის დასაწყისში გვითხარით, რომ საქართველოდან ერთადერთი მიზეზით წახვედით: ვინმეს არ ჩაეთვალა, რომ არჩევნებამდე ხელს უშლით... როგორც ჩანს, უკვე ჩათვალეს, ვინაიდან ხაიშელების პროტესტის უკან სწორედ თქვენ მოგიაზრებენ. პირადად თქვენც წაგიყენეს ასეთი პრეტენზია? მართლა თქვენი პროვოცირებულია ეს წინააღმდეგობა?

- სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე სვანეთში ასვლა.

- მაგრამ ეს ვერ იქნება არგუმენტი დასახელებული ეჭვის წინააღმდეგ. სვანეთში ასვლა სულაც არ არის საჭირო, იმისათვის, რომ რამე მოძრაობა დაგეგმო, ან წაახალისო...

- უბრალოდ ფაქტს გიფიქსირებთ, რომ არ ავსულვარ და ფიზიკურად ვერ ჩავატარებდი აგიტაცია-პროპაგანდას. თუ ჩემი პოზიცია გაინტერესებთ, თავად მე ამ პროექტის განხორციელება საქართველოს ეკონომიკისთვის აუცილებლად მიმაჩნია. მე ეს პროექტი ახლა კი არ მაქვს შესწავლილი, არამედ იმ დროიდან, როცა წლების წინ ხუდონის აშენებაზე დაიწყო საუბარი. მაშინ სვანეთში საგზაო სამმართველოს ინჟინერი ვიყავი. ზეპირად ვიცი ყველაფერი ამ მშენებლობის შესახებ.

- როდის მუშაობდით იქ, 80-იანებში?

- დიახ, სწორედ მაშინ. ეს პროექტი მოსმენით კი არ ვიცი, რომ დაიწყო, იმ მშენებლობის მონაწილე ვარ. ამ ყველაფერთან შეხება მაშინაც მქონდა, როცა სვანეთში არჩეული დეპუტატი ვიყავი. იმ დროსაც ვიცი რა ხდებოდა, როგორ ხდებოდა და ამ ყველაფერს რა პოტენციალი აქვს. ამიტომ, ხაზგასმით ვამბობ, რომ ეს პროექტი ნამდვილად გამოადგება საქართველოს ენერგეტიკას და ეკონომიკას. მაგრამ, ამასთან ერთად იმასაც უნდა გავუსვა ხაზი, რომ ეს დავა ხუდონჰესის მშენებლობაზე, მართლა სვანების გადასაწყვეტია და იმ საშიშროებებს, რასაც ისინი ანგარიშობენ, ნამდვილად უნდა გაეწიოს ანგარიში. ასე რომ, ეს კომპლექსური საკითხია.

- მგონი, მთავარ კითხვას გადავუხვიეთ: თქვენ აქეზებთ სვანებს?

- მე კი არა, საერთოდ ვერ იპოვით სვანს, რომელიც მისცემს საკუთარ თავს უფლებას, თქვას, რომ მის ჭკუაზე დადიან სვანები. იქ გვარებია, თემებია და ყველა საკითხი იქაური წესით ირჩევა, ისე, რომ არც ერთი გვარი და არც ერთი თემი არ აღმოჩნდეს დაზარალებული. ეს სულ სხვა პოლიტიკაა, რომელსაც ასე პირდაპირ ვერ მიადგები. თითოეულ ადამიანამდე იქ ძალიან დიდი მუშაობის შედეგად უნდა მიხვიდე. ამიტომაც, რეალურად უნდა იქნას შესწავლილი ის საფრთხეები, რომელზ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეჯუღი სვანეთის უკან?

რა წილს ფლობს გერმანულ კომპანიაში და რატომ აეჭვებს ინდური ოფშორული კომპანია?

ეც სვანები შფოთავენ. ეს საფრთხეები თუ არ იქნება მოხსნილი, სვანეთი მაინც უფრო მეტია საქართველოსთვის, ვიდრე ყველაზე გადასარევი ჰესი.

- ამის შესახებ თუ ესაუბრეთ ხაიშელებს?

- ზოგიერთი რამ არის გასათვალისწინებელი: რა უნდა ინდოელ ინვესტორს? რატომ არ ვეძებთ მის ნაცვლად ევროპელს?

- ანუ, პრობლემა ინვესტორის ეთნიკურ წარმომავლობაშია?

- ეს არის ოფშორული ფირმა. სასაცილოა, რადგან ოფშორული ფირმით ორ ლიტრ ბენზინზე აღარ ვაჭრობს არავინ... პირდაპირ რომ გითხრათ, ეს ნიშნავს, რომ არ იცი ვინ არის ეს ინვესტორი - არც მისი გამოცდილება იცი, არც რეალური მფლობელი, არც ის, თუ რა დაფინანსებით მოდის. ეს ინვესტორი სააკაშვილის ხელისუფლებამ შემოიყვანა. პირველ რიგში ეს საკითხია გასარკვევი. შემდეგ სვანური ოჯახების პრობლემა, რომელიც არ არის ადვილად მოსაგვარებელი. აქ თითოეულ ადამიანთან უნდა მიხვიდე და დაარწმუნო სარგებელში. არ მაქვს საუბარი მატერიალურ სარგებელზე. ამაში აბსოლუტურად ვეთანხმები მათ, როცა აცხადებენ, არ ვიყიდებითო. მათ თუ შესთავაზებ - მოდი, გიყიდით სახლებს, მიწებს და ა.შ., ეს მიდგომა არ იმუშავებს... ამ ყველაფერთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს პროექტი საჭიროა საქართველოსთვის.

- ანუ, თქვენი აზრით, პრობლემა დალაგდება და ყველაფერი კალაპოტში ჩადგება, თუ ამ პროექტს განახორციელებს გამოცდილების მქონე, რომელიმე ევროპული კომპანია და არა ოფშორში დარეგისტრირებული?

- რა თქმა უნდა, ასე ჯობს. სულ ევროპას რომ გავიძახით, აბა მოვიძიოთ, რა სფეროში გვყავს ევროპელი ინვესტორი? სულ თურქები, არაბები, ინდოელები და ა.შ. არიან. რატომ არ მუშაობენ ევროპელების შემოყვანაზე?

- თქვენ იცნობთ ისეთ კომპანიას, რომლის აშენებული ჰესი მისაღები იქნებოდა თქვენთვის?

- აქ მარტო ჰესის აშენებაზე არ არის საუბარი. მე ვიცი უამრავი ევროპული კომპანია - ფრანგული, გერმანული, ავსტრიული, რომელსაც გამოცდილება მარტო მშენებლობასა და მართვაში კი არა აქვთ, არამედ ეკოლოგიაშიც. ისინი რომ მუშაობენ, მათ ეკოლოგიის დაცვის სტანდარტები აქვთ. მე დაგისახელებთ 10 კომპანიას, რომელსაც ამ პროექტის დაფინანსებაც შეუძლიათ და მშენებლობაც. იმ დროს, როცა ეჭვი მეპარება, რომ ოფშორულმა ინდურმა კომპანიამ ეს შეძლოს. სააკაშვილი კი ინვესტორებად მარტო ინდოელებს, თურქებს და არაბებს ეძებდა.

- თუ ეს საფრთხეები დგას და პრობლემა ოფშორშია, მაშინ იქნებ გვითხრათ, ვისი ინტერესია ამ კომპანიის შემოყვანა საქართველოში?

- ლობირება არაფერ შუშია... ვინც ეთანხმება იმას, რომ ამ კომპანიამ ააშენოს ჰესი, ალბათ, ისინი არიან დაინტერესებულნი.

- ვერსიას იმის შესახებ, რომ თქვენ დგახართ სვანური პროტესტის უკან, აქვს გაგრძელებაც: ეს პროტესტი გაწყობთ იმიტომ, რომ შემოიყვანოთ თქვენთვის სასურველი კომპანია, ანუ თქვენ ლობირებთ სხვას...

- მე უფრო მეტად მაინტერესებს ამ თემის პოლიტიკური ჭრილი. საქართველოში კიდევ ბევრგან არის საშუალება, რომ ენერგეტიკაში ჩაიდოს ინვესტიცია. ანუ, ამისათვის მოედანი ძალიან დიდია. ამ ფონზე კი ჩემთვის მთავარი სვანების პოზიციაა. იქ გინდ ინდოელი იყოს და გინდ გერმანელი, ამ საკითხს მაინც ასე მივუდგები. ამასთან საქართველოს ეკონომიკის და ჩვენი გაევროპელებისთვის მარტო ყვირილი არ კმარა. რეალური ევროპელი ინვესტორის შემოყვანაა საჭირო და როცა ასეთები იქნებიან ჩვენს ქვეყანაში, მაშინ მართლა მზად ვიქნებით ევროპისთვის. მაგრამ როცა ჩვენ ვსაუბრობთ ოფშორულ ფირმებზე და მათ ვაძლევთ ასეთ გრანდიოზულ პროექტებს, მაშინ სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. ბოლოს და ბოლოს 21-ე საუკუნეში ვართ. ოფშორული კომპანიებით მუშაობა მეოცე საუკუნის შუა პერიოდში ხდებოდა, ისიც, მხოლოდ ვაჭრობაში. მსოფლიოში ვერსად ნახავთ, რომ რომელიმე სახელმწიფო ოფშორულ ფირმას სტრატეგიულ პროექტს აძლევდეს.

- თქვენ ისევ აარიდეთ კითხვას თავი. თუ შეგიძლიათ გვითხარით, რამდენად საფუძვლიანია ეჭვი იმის თაობაზე, რომ ლევან პირველი, რომელიც შეიძლება სვანური პროტესტის უკან იდგეს, ცდილობს ინდური კომპანიის გაძევებას და მის ჩანაცვლებას იმ კომპანიით, რომელსაც თავად ლობირებს?

- მაგის კი არა, ნებისმიერი ოფშორულ ფირმის მიმართ მექნება ეს პოზიცია, რომელსაც საქართველოში დავინახავ ნებისმიერ სფეროში. ასეთი ფირმებით ვაჭრობა ხდება საზღვრიდან საზღვრამდე. მისთვის სტრატეგიული ობიექტის გადაცემა დანაშაულად მიმაჩნია. სვანეთი არაფერ შუაშია. კახეთშიც რომ ხდებოდეს ასეთი რამ, მე მაშინაც ამ პოზიციაზე ვიქნები.

- თქვენ გყავთ თქვენი ფავორიტი კომპანია, რომელსაც ასეთ საქმეს ანდობდით და კითხვები აღარ გაგიჩნდებოდათ?

- არ მყავს მე ფავორიტი კომპანია. უბრალოდ კარგად ვიცი ევროპის ენერგეტიკა და ათი კომპანია მეგულება, რომელსაც ამ ამოცანის შესრულება შეუძლია.

- ფიქრობთ, რომ ნებისმიერი ამ კომპანიიდან ისე ააშენებდა ჰესს, რომ სვანეთის სოფლებს არ დატბორავდა?

- როცა ვსაუბრობთ ევროპულ კომპანიაზე, ეკოლოგიური საკითხი ავტომატურად გადაწყვეტილია. რადგან ის ვერ გარისკავს ეკოლოგიაში შეცდომების დაშვებას.

- რა გაძლევთ ამის გარანტიას?

- შეცდომის დაშვების შემთხვევაში, მათ თუ ევროპის სასამართლოში უჩივლებ, იქ ასეთი საკითხები ისე მწვავედ დგას, რომ უზარმაზარ სანქციებს დაუწესებენ. ასე რომ, ნებისმიერი შეცდომა მას რად დაუჯდება, ასეთმა კომპანიებმა ჩვენზე კარგად იციან. ამიტომ, თუ ის ამ პროექტს ხელს მოჰკიდებს, შეცდომას ჩვენს გამო კი არა, საკუთარი თავის გამო არ დაუშვებს, რადგან თავად მან არ მიიღოს ზარალი. თუ ეს ინდური კომპანია ეკოლოგიურ საშიშროებას შექმნის, სად უჩივლებ? ვირჯინიის კუნძულებზე? სამართლებრივი მოედანი არ არსებობს... თან არც იცი, ვინ დგას მის უკან. ერთ წუთში გააუქმებენ კომპანიას და ამით დამთავრდება ყველაფერი.

- ხატზე დაფიცებული სვანები არ უსვამენ ხაზს ინვესტორის წარმომავლობას. ისინი თვლიან, რომ 4 სოფელს საფრთხეს ჰესის მშენებლობა უქმნის. თქვენ როგორ ფიქრობთ, თუ ინვესტორი შეიცვლება, ისინი დაწყნარდებიან?

- სვანები თუ გადაწყვეტენ, იქაური წესებით ყველაფრის დარეგულირება შეიძლება. სვანური ადათი იძლევა ამის საშუალებას.

- ... რომ ფიცი უკან წაიღონ?

- ჯერ ერთი, ჩვენ ზუსტად არ ვიცით ვინ დაიფიცა მართლა და რაზე... ან, საერთოდ, ვის ჰქონდა დაფიცების უფლება... თუ თითოეული გვარი და თემი დავარწმუნეთ ამ პროექტის საჭიროებაში, მე გეუბნებით, რომ სვანური ადათი ყველა პრობლემას წყვეტს.

- თუ ხელისუფლება თქვენს პოზიციას გაითვალისწინებს, შეძლებთ სვანების გადარწმუნებას?

- არა. ამას ვერცერთი სვანი ვერ აიღებს საკუთარ თავზე. ამისათვის კომპლექსური მუშაობა გახდება საჭირო.

- გამოდის, რომ მაინც არაპროგნოზირებადი სიტუაციაა...

- რა თქმა უნდა. მე საუბრის დასაწყისშივე გითხარით, რომ ეს მათ თავად უნდა გადაწყვიტონ. სააკაშვილმა ამ ინვესტორს სვანური მიწები 1 ლარად გადასცა, როცა ის 142 მილიონ დოლარად არის შეფასებული. თქვენ წარმოგიდგენიათ?

- იმ დროს, როდესაც სააკაშვილის დაწყებული არაერთი პროექტი შეწყვიტა დღევანდელმა ხელისუფლებამ, როგორ ფიქრობთ, რატომ არ შეჩერდა ეს პროექტი? აქაც ხომ არ დევს ვინმეს ინტერესი?

- მე ვეთანხმები პრემიერ-მინისტრსაც და ენერგეტიკის მინისტრსაც, რომ ეს საქართველოსთვის საჭირო პროექტია. მეორე საკითხია, როგორ გამოსწორდეს ის შეცდომები, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ დაუშვა.

- ბატონო ლევან, თქვენი საუბრიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ არც მწვადის დაწვა გინდათ და არც შამფურის. პროექტსაც უჭერთ მხარს და სვანებსაც, რომლებიც ამ პროექტს აპროტესტებენ...

- მაშინ რეზიუმე გავაკეთოთ და მიხვდებით, რომ ამ თემას კი არ გავურბივარ, ეს მართლა არ არის მარტივი საკითხი: პროექტის განხორციელება მართლა მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ უნდა გააკეთოს ოფშორულმა კომპანიამ, რომლის წარმომავლობაც დამატებით საფრთხეებს ქმნის, იმ დროს, როცა ამის განხორციელება უსაფრთხოების მაქსიმალური გარანტიით შეუძლიათ ევროპულ ენერგოგიგანტებს. და რაც მთავარია, ვინც არ უნდა განახორციელოს ეს პროექტი, მაინც სვანებმა უნდა გადაწყვიტონ, ამას დაუშვებენ თუ არა.

- მოდით, მაშინ, პირდაპირ გკითხავთ: დგახართ იმ სვანების უკან, რომლებიც პროექტს აპროტესტებენ?

- მათთან შეხვედრა არ მქონია. თუ მათ დაველაპარაკებოდი, ეს აუცილებლად ამ პროექტის სასარგებლოდ იქნებოდა, თუ, რა თქმა უნდა, ეს პროექტი ჩემთვის იქნებოდა მისაღები.

- კიდევ ერთი პირდაპირი შეკითხვა და გთხოვთ თქვენც საკითხის გაუშლელად მიპასუხეთ: თქვენ გაქვთ რამე ენერგეტიკული კომპანია, ან ფლობთ ასეთ კომპანიაში რამე წილს?

- მე მაქვს წილი გერმანულ ენერგეტიკულ კომპანიაში, მაგრამ ის არ არის დაკავებული ელექტროსადგურებით. ის არის გაზიფიკაციის კომპანია.

- მაგრამ პარტნიორობს კომპანიებთან, რომელიც ჰესების მშენებლობით არის დაკავებული?

- ყველასთან ვპარტნიორობთ და თუ ამ ხელისუფლებას დასჭირდება, მასაც ვუპოვით კარგ პარტნიორს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვფიქრობ, რომ პრემიერმა ეს უნდა იცოდეს...

EXCLUSIVE

ერთადერთი ვინც დაგვთანხმდა საჯარო სივრცეში გაემყარებინა პრემიერის პოზიცია, როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი გიგლა აგულაშვილი აღმოჩნდა...

პრემიერი რომ არა, მათგან 80 პროცენტს საოცნებოდ ექნებოდა დეპუტატის სკამზე დაჯდომა...

my View
ინგა გრიგოლია

ორი კვირის წინ პრემიერთან ტელეწამყვანების შეხვედრაზე ღიად გამოვთქვი ჩემი მოსაზრება, რომ ივანიშვილის მთავარი პრობლემა მისი საპარლამენტო გუნდია, რომელიც თავსაც არ იწუხებს, რომ ისაუბროს პრემიერის მიერ გაკეთებულ საქმეებზე... შემთხვევით არც მაშინ მითქვამს მსგავსი რამ და არც ახლა ვწერ... „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებით, „ქართულ ოცნებაში“ ხშირად კაცს ვერ იპოვი, ვინც თავს შეიწუხებს და პირდაპირ ეთერში ისაუბრებს იმაზე, რას აკეთებს მთავრობა და მისი ლიდერი...

არადა ფაქტია, რომ პრემიერს აწუხებს, რატომ არ შუქდება მთავრობის მუშაობა პოზიტიური კუთხით... გვინდა ხოლმე, რომ გავაშუქოთ რა გაკეთდა ამ ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ ჩვენი სურვილი ერთია... შესაძლებლობები კი ხშირად ჩვენივე ძალებს აღემატება...

არ უნდა ამ ხალხს თავის შეწუხება და მოკალით... ვურეკავთ... ვთავაზობთ დებატში მიიღონ მონაწილეობა, აუხსნან ხალხს, რომ რაღაც კეთდება, მაგრამ ძირითადად უარია...

მაგალითად, პარასკევის დებატზე, რომელშიც უნდა განგვეხილა მეორე ტურის შემთხვევაში რატომ არ აპირებს მონაწილეობას გიორგი მარგველაშვილი და რატომაა იგივე პოზიციაზე პრემიერი, გადაცემამდე სამი საათით ადრე ძლივს ვიშოვეთ მოპასუხე... რა თქმა უნდა, ისიც „რესპუბლიკელებიდან“... ერთადერთი ვინც დაგვთანხმდა საჯარო სივრცეში გაემყარებინა პრემიერის პოზიცია, როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მე გულწრფელად მეცოდება პრემიერი, რომელმაც არ იცის, რამდენად არ ადარდებთ მისი კოალიციის წევრებს მისი რეპუტაცია...



„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი გიგლა აგულაშვილი აღმოჩნდა... დანარჩენებმა თქვეს, რომ არ სცალიათ... ვერ ასწრებენ ან ვირუსი აქვთ...

უნდა ვაღიარო, რომ „ოცნების“ დანარჩენი წევრებისგან განსხვავებით, ეს სენი ვისაც არ შეყრია და ვინც დებატებზე თამამად ჯდება, ჯერჯერობით მხოლოდ „რესპუბლიკელები“ და ზვიად ძიძიგური არიან...

მე გულწრფელად მეცოდება პრემიერი, რომელმაც არ იცის, რამდენად არ ადარდებთ მისი კოალიციის წევრებს მისი რეპუტაცია... ბევრჯერ მიფიქრია, რატომ ზის საათობით ხან ექსპერტებთან და ხან ჟურნალისტებთან ივანიშვილი პირდაპირ ეთერში და რატომ ცდილობს დაამტკიცოს, რომ მთავრობა მუშაობს... ჩემი დასკვნა ასეთია - როცა პოლიტიკური გუნდი, რომელიც თავის საკეთებელ საქმეს არ, ან ვერ აკეთებს, პრემიერი იძულებული ხდება თავად გაამტკიცოს საკუთარი პოზიციები.

ეს ქართული პოლიტიკის ახალი რეალობაა... ადამიანებს, ვინც პარლამენტში ვერასოდეს მოხვდებოდნენ, რომ არ ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილი, სულაც არ აწუხებთ რას ამბობს ხალხი ერთი წლის შემდეგ „ოცნების“ დაპირებულ და შესრულებულ ან ვერშესრულებულ საქმეებზე...

მართლა გულწრფელად მეცოდება პრემიერი... დღესაც ვფიქრობ, რომ ის ყოველდღიურად სულაც არ უნდა გამოდიოდეს პირდაპირ ეთერში და არ უნდა ცდილობდეს დაარწმუნოს საზოგადოება მთავრობის ქმედითუნარიანობასა თუ ქმედითუუნაროობაში...

ძალიან ზოგადი რომ არ გამომივიდეს, მოგიყვებით, როგორ ვეხვეწებოდით ორი დღის განმავლობაში პარლამენტის ვიცე-სპიკერ ზურაბ აბაშიძეს პირდაპირ ეთერში ესაუბრა „ოცნების“ მიღწევებსა და საარჩევნო შანსებზე... აბაშიძემ თქვა, რომ უბრალოდ აღარ უნდა დებატები... ძალიან გამიკვირდა ეს პასუხი - ზურა ყოველთვის კვალიფიციური და სერიოზული პოლიტიკოსი მეგონა და როცა არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ეს პასუხი მოვისმინე, ძალიან დავიბენი...

ვფიქრობ, რომ პრემიერმა ეს უნდა იცოდეს... უნდა იცოდეს, რომ საპარლამენტო უმრავლესობიდან ბევრს დაავიწყდა როგორ გახდნენ ისინი დეპუტატები... დაავიწყდათ, რომ ივანიშვილის გაკეთებულ საქმეებს დებატებში არგუმენტებით გამყარება სჭირდება, მით უფრო მაშინ, როცა ოპონენტები ამბობენ, რომ ახალმა მთავრობამ ვერაფერი გააკეთა... დაავიწყდათ, რომ ისინი პოლიტიკურ გუნდს წარმოადგენენ, რომელიც ვალდებულია, ხალხს გააგებინოს კეთდება თუ არა რამე...

სააკაშვილის გუნდი თავს იკლავდა, რომ პრეზიდენტის ყველაზე არაპოპულარული საქმეებიც კი გაეპიარებინათ... იბრძოდნენ, გვიმტკიცებდნენ... იცავდნენ ლიდერის პოლიტიკას... ახლა, რეალობა სრულიად განსხვავებულია... ახლანდელი მმართველი გუნდის უმრავლესობა, უბრალოდ, თავსაც კი აღარ იწუხებს, მხარდამჭერებს მაინც დაუმტკიცონ, რომ რაღაცას აკეთებენ.

სულ მგონია, რომ ივანიშვილის გუნდი, მისი მინისტრები უფრო არიან, ვიდრე საპარლამენტო უმრავლესობის ძირითადი ნაწილი. მინისტრები უფრო მოწდომებულები არიან მთავრობის პოლიტიკაზე სასაუბროდ, ვიდრე დეპუტატები... არადა, პრემიერი რომ არა, მათგან 80 პროცენტს საოცნებოდ ექნებოდა დეპუტატის სკამზე დაჯდომა...

მართლა უნდა იცოდეს ბიძინა ივანიშვილმა, როგორ არ ადარდებთ მის დეპუტატებს მისი პოზიციების გამყარება... ამიტომ დავწერე ეს ყველაფერი...

ეს ქართული პოლიტიკის ახალი რეალობაა... ადამიანებს, ვინც პარლამენტში ვერასოდეს მოხვდებოდნენ, რომ არ ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილი, სულაც არ აწუხებთ რას ამბობს ხალხი ერთი წლის შემდეგ „ოცნების“ დაპირებულ და შესრულებულ ან ვერშესრულებულ საქმეებზე...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ აწერს ხელს სეპარატ

„ეს იყო პატარა დათმობა, ამ დეტალისთვის არც მე და არც სხვას არ მიუქცევია ყურადღება“

my View
მირიან ბოქოლიშვილი

წლების წინ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც დღის სინათლეს პირველად ნახავს... „პრაიმტაიმი“ გიამბობთ, 1992 წლის 5 ნოემბერს გუდაუთაში გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ, სადაც ქართული მხარის მიერ, შეიძლება ითქვას, პირველად დაფიქსირდა ტერმინი - „აფხაზეთის რესპუბლიკა“. ზვიად გამსახურდიას მომხრეებიდან ვინ აწერდა ხელს სკანდალურ დოკუმენტს? ნიშნავდა თუ არა ეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და იყო თუ არა დოკუმენტში ჩადებული პუნქტები შეთანხმებული ზვიად გამსახურდიასთან?

„ჭყონდიდელის“ საზოგადოების სახელით აღნიშნულ დოკუმენტს ხელს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მოქმედი დეპუტატი, ჯემალ გამახარია აწერს. ის, ისევე როგორც სხვა რამდენიმე ხელმომწერი, ზვიად გამსახურდიას თანამოაზრედ ითვლებოდა, თუმცა, როგორც ამავე მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მამუკა გვაძაბია „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ყვება, ამ დოკუმენტის შინაარსი არ ყოფილა შეთანხმებული ზვიად გამსახურდიასთან. გვაძაბია ამბობს, რომ ეს დოკუმენტი მისთვისაც ცნობილი იყო, თუმცა კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნდა ტერმინ „აფხაზეთის რესპუბლიკის“ დაფიქსირება. მისი თქმით, ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ თვით ზვიად გამსახურდიას გარემოცვაში ბევრი ადამიანი რუსეთის სპეცსამსახურებზე მუშაობდა.

მამუკა გვაძაბია, „უპარტიოთა მოძრაობის“ თავმჯდომარე:

- თავის დროზე ეს დოკუმენტი მეც მაქვს ნანახი, თუმცა რატომღაც ამ დრომდე არ გასაჯაროებულა და კარგია, თუ ამის გამოქვეყნებას გეგმავთ. კარგია, რადგან ქართულმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვინ აწერდა ხელს ამ სკანდალურ ხელშეკრულებას. ეს შეხვედრა შედგა 1992 წლის 5 ნოემბერს გუდაუთაში, ანუ როდესაც აფხაზეთში გამალებული საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. ხელმომწერები არიან იჩქერიის და აფხაზეთის პარლამენტის წევრები, მოძრაობა „ჭყონდიდელის“ წარმომადგენლები და კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის წარმომადგენელი. ერთი შეხედვით დოკუმენტის შინაარსი დავას არ იწვევს, რადგან იქ საუბარია აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაზე, მაგრამ შემაშფოთებელია ის, რომ ამ დოკუმენტში, აფხაზეთი მოიხსენიება არა როგორც ავტონომიური რესპუბლიკა, არამედ, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი. ანუ დოკუმენტში ნახსენებია საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკები, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები და რა გინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამას ხელს აწერენ, როგორც სეპარატისტული და ჩრდილოკავკასიური მხარეები, ასევე ის ადამიანები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას მომხრეებად მიიჩნეოდნენ. კონფლიქტი აღიარებულია აფხაზეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტად. ანუ რის წინააღმდეგაც საქართველო იბრძოდა და იბრძვის დღესაც, იგივე ჟენევის ფორმატში, რომ ეს იყო კონფლიქტი არა აფხაზეთსა და საქართველოს, არამედ რუსეთ-საქართველოს შორის, იმთავითვე იყო უგულებელყოფილი ჩვენი ქვეყნის ე.წ. კეთილისმსურველების მიერ.

- ეს, გარკვეულწილად აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაა?

- ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სეპარატიული ზავი აფხაზეთან. ეს არის ამის კლასიკური ნიმუში.

- რა მანდატით სარგებლობდნენ ეს ადამიანები?

- ეს იყო მრავალმხრივი შეთანხმება და ხელმომწერები სარგებლობდნენ იმ ორგანიზაციებისა და უწყებების მანდატით, რომლებსაც თავად წარმოადგენდნენ, ეს იყო იჩქერიის პარლამენტი, სეპარატისტული მთავრობა, კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია და მოძრაობა „ჭყონდიდელი“. ხელმოწერის შემდეგ, დოკუმენტი წარუდგინეს ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც სხვათა შორის უარყო ეს დოკუმენტი. შევარდნაძეს არ სურდა თავისი მმართველობის დროს აფხაზეთის დაცემა, ზვიადი ჩამოიყვანეს გროზნოდან და აფხაზეთი სწორედ მაშინ დაეცა. ცხადია, მოვლენეთა განვითარების ასეთი სცენარი შევარდნაძეს უფრო აწყობდა. როდესაც გამსახურდია გროზნოდან ჩამოვიდა შეხვედრა იყო ილორში, სადაც სეპარატისტებმა მაშინ სწორედ ეს დოკუმენტი დაუდეს მაგიდაზე. სხვათა შორის, მე, ერთი წლის წინ, აბსოლუტურად შემთხვევით შევხვდი ილორის შეკრების ერთ-ერთ მონაწილეს, გვარად ტუშბას, მან თქვა ასეთი რამ: როდესაც ზვიადმა ნახა ეს დოკუმენტი და მასზე ხელმომწერთა სია, ჩვენსკენ (გულისხმობდა სეპარატისტებს და რუსებს) კი არ გამოუხედავს, საკუთარ გარემოცვას შეხედა გამწარებულმა. ანუ ეს დოკუმენტი არის ერთ-ერთი ნიმუში იმისა, რომ გამსახურდიას მომხრეებს შორისაც ძალიან ბევრი იყო რუსეთის სპეცსამსახურებთან შეკრული.

- კონკრეტულად ვის გამოყოფთ გამსახურდიას იმ მომხრეებიდან, რომლებიც ამ დოკუმენტს აწერენ ხელს?

- ფორმალურად გამსახურდიას მხარდამჭერები არიან მამფორია, გაბელია, ქობალია, კუპრავა, ჟღენტი და ჯემალ გამახარია. ეს უკანასკნელი გახლავთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ლეგიტიმურს ვუწოდებთ ჩვენ, თორემ რეალურად უმაღლეს საბჭოში ძალიან ბევრი დეპუტატი ირიცხება სრულიად უკანონოდ. ჯემალ გამახარია, ისევე როგორც მე, გახლდით მოძრაობა „ჭყონდიდელის“ დამფუძნებლები. 12 კაცის გარდა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები უკანონოდ იკავებენ დღეს თანამდებობებს.

- რას გულისხმობთ?

- ვგულისხმობ იმ დეპუტატებს, ვინც არის კოოპტაციის წესით შეყვანილი. ანუ ეს ხალხი დამატებულნი არიან არჩევით ორგანოში. ეს იგივეა, მე, თქვენ და კიდევ რამდენიმე ადამიანი რომ შეგვკრიბონ და ნიკარაგუის პარლამენტში დაგვსხან დეპუტატებად. ყოველწლიურად 7 მილიონია გამოყოფილი აფხაზეთის მთავრობისთვის ბიუჯეტიდან, გარდა ამისა, ათასობით ლარს იღებენ ხელფასს უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. რეალურად კი ეს ორგანოები არაფერს აკეთებენ. დღეს აფხაზეთის მთავრობა დაემსგავსა შრომითი მოწყობის ბიუროს, სადაც ადამიანებს ასაქმებენ სპეციალისტებად, უფროს სპეციალისტებად და ა.შ. არავინ იცის, რას აკეთებენ ეს სპეციალისტები. როდესაც მე ვსაუბრობ, რომ უმაღლეს საბჭოში მთელი რიგი დეპუტატები უკანონოდ იკავებენ პოსტებს, ვგულისხმობ ასევე ერთ გარემოებას: საქართველოს კონსტიტუციით, პირი, რომელსაც უკავია აღმასრულებელ ხელისუფლებაში რაიმე თანამდებობა, მას აღარ აქვს უფლება პარალელურად იკავებდეს პოსტს არჩევით ორგანოშიც. ვინც იყო მინისტრი აფხაზეთის მთავრობაში, პარალელურად ინარჩუნებდა და ამჟამადაც ინარჩუნებს ადგილს უმაღლეს საბჭოში, რაც სრული ნონსენსია. ერთი მხრივ, ესწრებოდნენ მთავრობის სხდომას, იღებდნენ კონკრეტულ პროექტებს, შემდეგ გადასცემდნენ უმაღლეს საბჭოს, სადაც ისევ თავად იყვნენ წარმოდგენილნი და თავადვე ამტკიცებდნენ ამ პროექტს. მოკლედ, სრული განუკითხაობაა. გარდა ამისა, როგორც გითხარით, კოოპტაციის, ანუ პირდაპირი დამატების წესით, ყოველგვარი არჩევნების გარეშე, არჩევით ორგანოში შეიყვანეს 10 დეპუტატი, ესენი არიან: ანზორ წოწონავა, მალხაზ ბარამიძე, გენო კალანდია, ადა მარშანია, ჯემალ საჯაია, გივი ლომინაძე და სხვ...

- გასაგებია, მაგრამ აფხაზეთის

„ხელმოწერის შემდეგ, დოკუმენტი წარუდგინეს ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც სხვათა შორის უარყო ეს დოკუმენტი. შევარდნაძეს არ სურდა თავისი მმართველობის დროს აფხაზეთის დაცემა“

ქართული მხარის მიერ ხელმოწერილი სკანდალური დოკუმენტი, სადაც აღიარებულია „აფხაზეთის რესპუბლიკა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ПУЛ ზავს აფხაზეთთან?

EXCLUSIVE

„ეს დოკუმენტი რატომღაც ამ დრომდე არ გასაჯაროებულა და კარგია, თუ ამის გამოქვეყნებას გეგმავთ“...

უმაღლესი საბჭოს ხელახალი არჩევნები როგორ ჩატარდება ოკუპაციის პირობებში?

- გამოსავალი ჩვენ შევთავაზეთ ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებას და სამწუხაროდ, მაშინაც უგულებელყოფილი იქნა ჩვენი კონცეფცია. თუ ჩვენ თვითონ დავარღვევთ საქართველოს კონსტიტუციას, მაშინ რუსეთის მარიონეტებს რა სინდისით უნდა მოვთხოვოთ ჩვენი კონსტიტუციის დაცვა. არადა ფაქტია, რომ კონსტიტუცია ირღვევა, რადგან არჩევით ორგანოში არჩევნების გარეშე ამატებ დეპუტატებს და ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პარალელურად იკავებენ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლის პოსტს, ეს მაშინ, როცა რეალურად უმაღლესი საბჭო უნდა იყოს მთავარი მაკონტროლებელი აფხაზეთის მთავრობისა. გამოსავალი ამ ჩიხური სიტუაციიდან არის ის, რომ გაიმართოს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყრილობა, სადაც დელეგატები იქნებიან მთელი საქართველოდან წარმოდგენილნი. ამ ყრილობაზე უნდა იქნას არჩეული ის გამოკლებული დეპუტატები, რომელთა ადგილს დღეს უკანონოდ იკავებენ სხვა პირები.

- აფხაზეთის ახალი მთავრობა ცოტა ხნის წინ დაკომპლექტდა... ამაზე რას იტყვით?

- ცალსახაა, რომ ვახტანგ ყოლბაიას ახალი კაბინეტი დაკომპლექტდა მხოლოდ იმ ადამიანებით, რომლებიც არიან ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური კურსის ერთგულები. თვითონ ყოლბაია ბურჯანაძის ოჯახთან დაახლოებული პიროვნება გახლავთ, მოგეხსენებათ, ის არის „დემოკრატიული მოძრაობის“ მმართველ რგოლში. ვერავინ დამაჯერებს, რომ ყოლბაიას დანიშვნა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე მოხდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის მოჩვენებითი კონფლიქტი, რომელიც ვითომდა არსებობს ბურჯანაძე-ივანიშვილის გუნდებს შორის, რეალურად არ არსებობს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ყოლბაია გახლავთ იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, რომელმაც თავის დროზე მოღალატეები ეძახა დევნილებს, შემდგომში კი პუტინთან ერთად იბარებდა სამხედრო აღლუმს. თავად ყოლბაიაც არის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და პარალელურად ასრულებს მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობას. ანუ ყოლბაიამ წარადგინა მინისტრთა კაბინეტი და თვითონვე დაამტკიცა უმაღლეს საბჭოში. არის თუ არა ეს კომედია. ამასთან, მე მაქვს ინფორმაცია, რომ მთავრობის რიგი წარმომადგენლები მაინცდამაინც ცუდ დამოკიდებულებაში არ არიან ნარკოტიკებთან. კარგი იქნება მინისტრებსა და მის მოადგილეებს ნარკოლოგიური შემოწმება თუ ჩაუტარდებათ. არ მინდა სახელი და გვარის დასახელება, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ნარკოტიკის მოხმარებისთვის დაკავებულიც კი იყო. მოკლედ, ეს ორგანოები დღეს მოქმედებს სრული განუკითხაობით და ნაცნობ-მეგობრობის ნიშნით. მაგალითად, უმაღლესი საბჭო, როდესაც მიხვდა, რომ ამ ორგანოს ირგვლივ იკვრება შავი ღრუბელი და სააშკარაოზე გამოდის მთელი რიგი უკანონობები, ბატონი გია გვაზავას ძმის შუამდგომლობით, რომელიც გახლავთ მაღალი რანგის სასულიერო პირი, მოხდა უმაღლესი საბჭოს დაჯილდოება ეკლესიის მიერ. ანუ პატრიარქის როლის გამოყენებაზეც არ დაიხიეს უკან და მინდა გითხრათ, რომ მსგავსი ნაბიჯები თვითონ საპატრიარქოზეც არ აისახება მაინცდამაინც დადებითად.

თავად უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გია გვაზავა პატრიარქის მიერ წმინდა ნინოს ორდენით დაჯილდოებასთან მისი ძმის კავშირს გამორიცხავს და მამუკა გვაძაბიას სიცრუეში ადანაშაულებს. გვაზავა ასევე აცხადებს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს მუშაობაში ანტიკონსტიტუციური არაფერია.

„რა თქმა უნდა, ის ყველაფერი, რაც ხდება, კონსტიტუციურია. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პარალელურად მუშაობდა მთავრობაში, თორემ პირიქით ნამდვილად არ ყოფილა. გვაძაბიას გადაეცით, რომ ექიმს გაესინჯოს. ჩემი ძმა 15 წელია ეპისკოპოსია. პატრიარქმა არამარტო უმაღლეს საბჭოს მოგვანიჭა წმინდა ნინოს ორდენი, არამედ ჟიული შარტავას მიანიჭა წმინდა გიორგი ორდენი 20 წლის შემდეგ. ეს



- 4 -

ны считают, что военный конфликт между Абхазией и Грузией может быть решен только политическим (мирным) путем. В целях мирного урегулирования этого конфликта Чеченская Республика и Национально-политическое движение „Апсуа Дзидзиа“ предлагают выполнить свою посредническую миссию.

Предложение было принято абхазской стороной и Конфедерацией народов Кавказа.

1. Яндарбиев Зелимхан,
2. Цихесашвили Мотэ,
3. Абумиренков С.-Х.,
4. Шамба С. М.,
5. Озган К. К.,
6. Дамения О. Н.,
7. Ахсидзиома С. Р.,
8. Лакербая Л. Ш.,
9. Квархия В. Е.,
10. Карчава Р. Ц.,
11. Табелия В. М.,
12. Маминова Г. С.,
13. Мецтревели Г. М.,
14. Кобалия В. Т.,
15. Курдатова Г. М.,
16. Дзгоева С. В.,
17. Гамкрелидзе Дж. О.,
18. Шаншев Ю. М.



Протокол

встречи представителей Чеченской Республики, Республики Абхазия, Национально-политического движения „Апсуа Дзидзиа“ и Конфедерации народов Кавказа.

25 ноября 1992 г.
г. Сухум

Присутствовали:

от Чеченской Республики – депутаты парламента ЧР Яндарбиев Зелимхан, Цихесашвили Мотэ и Абумиренков С.Х.

от Республики Абхазия – депутаты ВС РА Шамба С.М., Озган К.К., Дамения О.Н., Ахсидзиома С.Р., Лакербая Л.Ш., Квархия В.Е., Курдатова В.Т., Карчава Р.Ц.

от Национально-политического движения „Апсуа Дзидзиа“ – Табелия В.М., председатель, Маминова Г.С., член, депутат ВС РА (при президиуме), Мецтревели Г.М., член, Кобалия В.Т., председатель Совета старейшин (при президиуме), Курдатова Г.М., зам. председателя, Дзгоева С.В., зам. председателя, Гамкрелидзе Дж.О., член.

от Конфедерации народов Кавказа – Шаншев Ю.М., президент.

Повестка дня:

1. О мирном урегулировании военного конфликта между Абхазией и Грузией.

Выражая серьезную озабоченность судьбой народов, вовлеченных в кровопролитную войну в Абхазии, сторо-

- იყო თუ არა ეს ერთგვარად სეპარატიული ზავი, რითაც პრაქტიკულად აღიარეთ, რომ აფხაზეთი გახლავთ დამოუკიდებელი სუბიექტი?

- ეს გამორიცხულია. სად ნახეთ იქ ამის აღიარება?!

- დოკუმენტში საუბარია კონფლიქტზე საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკებს შორის... ნახსენებია ტერმინი „აფხაზეთის რესპუბლიკა“...

- შეიძლება, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ეს იყო პატარა დათმობა, ამ დეტალისთვის, არც მე და არც სხვას არ მიუქცევია ყურადღება და ცხადია, აზრადაც არ მოგვსვლია, რომ შეიძლება ეს რაიმე ფორმით აფხაზეთის აღიარებას ნიშნავდეს.

- თქვენ კი პატარა დათმობას უწოდებთ, მაგრამ, ალბათ, ზოგადად ქვეყნისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს კიდეც, რომ ტერმინი „აფხაზეთის რესპუბლიკა“ არ გვხვდებოდეს რაიმე სახის დოკუმენტში, მით უმეტეს, როდესაც ამ დოკუმენტს ხელს ქართული მხარე აწერს...

- გააჩნია დოკუმენტს, ეს არ გახლავთ რაიმე ოფიციალური დოკუმენტი, ან ხელშეკრულება. ეს ინიციატივაა, რომლის მთავარი მიზანი იყო ომის შეჩერება.

- იყო თუ არა ეს შეთანხმებული ზვიად გამსახურდიასთან? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ითქვა, სწორედ ეს დოკუმენტი დაუდეს წინ გამსახურდიას ილორის შეხვედრაზეო...

- დიახ, ეს იყო შეთანხმებული გამსახურდიასთანაც და შევარდნაძესთანაც. უბრალოდ, შიდა პოლიტიკური დაპირისპირების გამო შევარდნაძემ უარი თქვა ამ ინიციატივაზე. რაც შეეხება გამსახურდიას, მისთვის არანაირი დოკუმენტი არ დაუდიათ, მას უთხრეს, როდესაც გადავიდა აფხაზეთში, რომ ან ხელი მოაწერე ჩვენს აღიარებას, ან დატოვე აფხაზეთის ტერიტორიაო. ამ დოკუმენტის ხსენება იქ საერთოდ არ ყოფილა. გეთანხმებით, რომ ეს ტერმინი შეიძლება სასურველი არ იყო, მაგრამ მათთან სალაპარაკოდ შესაძლოა ღირდა, მით უმეტეს, ეს არ გახლავთ რაიმე იურიდიული სახის დოკუმენტი. იქ რაც წერია ბევრს არაფერს არ ნიშნავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირაკლი ალასანია

ნიკა ჩიტიძე:
„არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ალასანია გადავიდეს ოპოზიციაში, თუმცა გაცილებით კონსტრუქციული ოპოზიციონერი იქნება, ვიდრე ოქრუაშვილი“

ქეთი ხატიაშვილი

ირაკლი ალასანია რისკავს, ყველაზე პოპულარული მინისტრიდან ყველაზე სკანდალურ მინისტრად იქცეს.

ახალი ხელისუფლება კი რისკავს, ირაკლი ალასანიას სახით ირაკლი ოქრუაშვილის რემიქსი მიიღოს, თავისი რემიქსული პოლიტიკური შედეგებით...

ირაკლი ალასანიამ, შეიძლება ითქვას, მთელი თავისი კარიერა მამის ჩრდილში გაატარა. მამის ხსოვნის გამო მას იტანდა შევარდნაძე. მაშინ უშიშროების მინისტრის უჩინარი მოადგილე იყო. ამბობს, რომ პირნათლად ემსახურებოდა ქვეყანას, თუმცა, სულ რაღაც გროშებზე – მაშინ მინისტრებსა და მათ მოადგილეებს მიზერული ხელფასები ჰქონდათ და ხშირ შემთხვევაში ის 100 ან 150 ლარსაც არ აღემატებოდა – საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობდა.

შემდეგ იტანდა სააკაშვილი... ამბობს, რომ პირნათლად ემსახურებოდა საკუთარ ქვეყანას, თუმცა სწორედ მაშინ მიატოვა გაეროში პოსტი, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა ქვეყანას ის გაეროში – 2008 წლის რუსეთთან ომის შემდეგ...

როგორც ჩანს, ახლა ბიძინა ივანიშვილის ნერვების გამოცდის დროა. აიტანს?

პირველობა ყოველთვის სურდა, ამბიციებიც არასოდეს აკლდა და, ერთი შეხედვით, ეს სულაც არ არის ცუდი პოლიტიკოსისთვის. თუმცა, ახლა პირველად ირაკლი ალასანიამ სამინისტრო ჩაიბარა და თავად გახდა პირველი პირი. ახლა ის არც ვალერი ხაბურძანიას პასუხისმგებლობას არის ამოფარებული და არც საგარეო საქმეთა სამინისტროს, მას თავად მოუნევს, პასუხი აგოს ყველაფერზე თავდაცვის სამინისტროში. ახლა მან უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ამბიციები ადეკვატურია მისი შესაძლებლობების.

სხვათა შორის, სპორტში სხვა წესებთან ერთად, ერთი ოქროს წესიც არსებობს – შეჯიბრის დროს არასოდეს არ უნდა მიაქციო ყურადღება, სად იმყოფება შენი კონკურენტი, სხვის ყურებაში არ შეიძლება არც ერთი წამის დახარჯვა, მხოლოდ საკუთარ დროზე და საკუთარ გამარჯვებაზე უნდა იმუშაო...

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ირაკლი ალასანია ყოველთვის ირაკლი ღარიბაშვილს უყურებს... ის მიაჩნია, როგორც ჩანს, მთავარ კონკურენტად.

და სანამ იმას აკონტროლებდა, რას და როგორ აკეთებდა ღარიბაშვილის უწყება, თუნდაც იგივე ეგრეთწოდებული ჯიჰადის მუქარის საქმის გამოძიებაზე, თავდაცვის სამინისტრო თავად დადგა სერიოზული პრობლემების წინაშე.

ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები გახშირდა. ირაკლი ალასანია საბოტაჟზე ალაპარაკდა. თუმცა, ჯერ მისივე თქმით, გამოძიება არ დასრულებულა. მინისტრის განმარტებით:

– არსებობენ ადამიანები, რომლებიც მიზანმიმართულად გვივრცელებენ ცრუ ინფორმაციას. დღეს საქართველოს ჰყავს შეიარაღებული ძალები, რომელსაც შეუძლია, საკადრისი პასუხი გასცეს მოწინააღმდეგეს. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს აქვს უფრო მეტი ხელფასი, აცვია უკეთესი ფორმა და აქვს უკეთესი კვება და რაც მთავარია, არის აპოლიტიკური...

ალასანიამ პირველივე დაბრკოლებას საკუთარ სამინისტროში შეშინებულმა უპასუხა და მაშინვე შეთქმულებებისა და შავი ხელების თეორიების განვითარება დაიწყო. მაგალითად, თქვა, რომ უწყობენ ობსტრუქციას, რომ არიან ვიღაცები, ვისაც ის არ უყვარს და არ მოსწონს; და რაც მთავარია, მთელ ამ ფაღარათის სკანდალში მან საკუთარი პერსონა მთელ სისტემასთან გააიგივა, დაახლოებით ისე, ასლან აბაშიძე რომ აკეთებდა ხოლმე – ვინც მე მაკრიტიკებთ, აჭარის მოსახლეობას აყენებთ შეურაცხყოფასო. სწორედ ამ ჟანრშია ალასანიაც:

– ჩემ წინააღმდეგ მიზანმიმართული პოლიტიკური თავდასხმები ადრეც ყოფილა, ეს ნაკლებად მაღელვებს. მთავარია, რომ ქართული ჯარის დისკრედიტაციისკენ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს. დავიწყებ მაისის მოვლენებით, როდესაც ჩვენი ჯარის დისკრედიტაცია და ნატოში ჩვენი გაწევრიანების დისკრედიტაცია დაიწყეს. რაც შეეხება კონკრეტულად ამ მოვლენებს, გამოძიება მიმდინარეობს, მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, არის ეჭვი, რომ შეიძლება საბოტაჟთანაც გვქონდეს საქმე, მაგრამ მოვლენებს არ დავასწრებ, უახლოეს პერიოდში გამოძიება დასრულდება. ნაწილი გამოძიებული საქმის უკვე გავაგზავნეთ გენერალურ პროკურატურაში და ნაწილს ჩვენ თვითონ ვიძიებთ...

რამდენიმე ხნის წინ ალასანიამ ამბიციურად განაცხადა: შსს თავს ვერ ართმევს ჯიჰადის კლიპების გამოძიებას და მე შემიძლია, ჩემი დაზვერვით, ამ საქმეში ჩართვაო. მაშინ ექსპერტებმა და მათ შორის გიორგი თავდგირიძემაც ალასანიას საკუთარ სამინისტროში დაგროვებული საქმეები შეახსენა, – სამინისტროში ბევრი საქმე დაგიგროვდა გამოსაძიებელი და აჯობებს, იმას მიხედოო.

ვერ ან არ გამოიძია, ამიტომაც საქმე პროკურატურას უკვე გადაეცა, ჯარისკაცთა კვებითი ინტოქსიკაციისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების უხეში დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. პროკურატურის განმარტებით: „სრული, ყოველმხრივი და მიუკერძოებელი გამოძიების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული საქმეები ამოღებულია სამხედრო პოლიციის წარმოებიდან და გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს. მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესების დარღვევის ფაქტების პარალელურად, შეისწავლის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცალკეულ თანამდებობის პირთა მიერ კვების, მომსახურების, შესყიდვების კანონიერებასა და კონტრაქტორი კომპანიების მიერ დადგენილ სტანდარტებთან შეუსაბამო პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების იმ ფაქტებს, რამაც, სავარაუდოდ, შესაძლებელი გახადა ადამიანის სიცოცხლისთვის, ან ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია“.

რთული ხასიათი აქვს ალასანიას, მით უფრო, თუ საქმე მის პოლიტიკურ ამბიციებს ეხება. ეს ხასიათი მან ყველგან გამოავლინა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ალიანსის ლიდერი იყო და მერობისთვის იბრძოდა. მაშინ მას მოკავშირე პარტიები, ახლების სახით – ფინანსებით, რესპუბლიკელების სახით კი იდეოლოგიურად, უზრუნველყოფდნენ. თავად კი ისიც არ იკადრა, რომ საკუთარი გამოსვლები ალიანსის ბანერთან გაეკეთებინა. ბანერი, რომელიც მის უკან იდგა, მხოლოდ ირაკლი ალასანიას წარწერებით იყო აჭრელებული, ისე, თითქოს კუტიურიე იყოს და არა პოლიტიკოსი...

არ არის გამორიცხული, ირაკლი ალასანიასგან ამ ხელისუფლებამ ირაკლი ოქრუაშვილის რემიქსი მიიღოს. თავდაცვის მაშინდელ მინისტრსაც სოლიდური ამბიციები ჰქონდა და საკუთარ თავს გუნდზე მაღლა აყენებდა. საბოლოოდ, ის გადადგა ეკონომიკის მინისტრის პოსტიდან და სერიოზული პრობლემები შეუქმნა მაშინდელ ხელისუფლებას.

თავის დროზე ირაკლი ოქრუაშვილიც მსგავს სკანდალში გაეხვია, როცა თქვა: მაპატიეთ და, ფეკალური მასაც რომ გა-

გიორგი თავდგირიძე:
„ალასანია დისკომფორტსა და პრობლემას, რა თქმა უნდა, შეუქმნის „ოცნებას“, როგორც პოლიტიკურ ძალასა და ალიანსს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შექმნის თუ არა ალასანია ოქრუაშვილის მსგავს პრობლემებს ხელისუფლებაში

„ოქრუაშვილის ექსტრემიზმი უფრო მეტ პრობლემას ქმნიდა“

იტანოთ რუსეთში, იქ ისიც გაიყიდებაო. ეს ფრაზა რუსეთის ბაზარზე ღვინის გატანის კონტექსტში იყო ნათქვამი... ეს ისე, შეხსენებისთვის...

ალასანიას წასვლაზეც დიდი ხანია საუბრობენ. მის გადადგომას ზოგიერთები „ნაციონალურ მოძრაობას“ უკავშირებდნენ – ერთიანი პროდასავლური ფრონტი გაიხსნება და ლიდერი ირაკლი ალასანია იქნებაო. არსებობდა სხვა ვერსიაც – ალასანიასა და ბურჯანაძის კავშირებზე. თუმცა, იყო კიდევ ერთი თვალსაზრისი – ალასანია რეალურად საკმაოდ ფრთხილია. ასე რომ, ის ვერ გარისკავს, წამოიწყოს დამოუკიდებელი თამაშიო.

თუმცა, პოლიტიკურ თამაშებში რა პოზიციას დაიჭერს ალასანია და რამდენად სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ის მოქმედ ხელისუფლებას, ეს მომავლის საქმეა. უკვე დღეს თავდაცვის მინისტრის იმიჯსა და რეიტინგს, ისე ჩანს, თითქოს ფაღარათი იწირავს.

ამ სკანდალის გამო ირაკლი ალასანიას ბიძინა ივანიშვილთანაც ჰქონდა მძიმე საუბარი მთავრობის სხდომაზე. დავით უსუფაშვილმა მოგვიანებით ირაკლი ალასანიას მოუწოდა, სწორი შეკითხვები არსებობს და იმედია, პასუხებიც სწორი იქნებაო.

მოკლედ, ირაკლი ალასანია გუნდიდან აშკარად ამოვარდნილია. რამდენად შეიძლება პარალელის ირაკლი ოქრუაშვილთან გავლება? ამბიციების თვალსაზრისით, ალბათ, შეიძლება, რადიკალიზმის თვალსაზრისით, ალბათ – არა.

რას ფიქრობენ ამ საკითხზე ქართველი ექსპერტები, რამდენად რეალურია ირაკლი ოქრუაშვილსა და ირაკლი ალასანიას შორის პარალელების გავლება პრობლემების შექმნის კუთხით. თორემ ოქრუაშვილი რომ უფრო აგრესიული და რადიკალური იყო, ამაზე არავინ დაობს.

ნიკა ჩიტიძე, ექსპერტი:

– ჩემი აზრით, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ალასანია გადავიდეს ოპოზიციაში, თუმცა გაცილებით კონსტრუქციული ოპოზიციონერი იქნება, ვიდრე ოქრუაშვილი, როდესაც ის გადავიდა ოპოზიციაში 2007 წელს. ალასანიაც იყო წინა ხელისუფლების ოპოზიციაში და ბატონი ალასანია გახლდათ გაცილებთ კონსტრუქციული ოპოზიციონერი, ვიდრე ბატონი ოქრუაშვილი, რომელიც რადიკალურ განცხადებებს აკეთებდა და შექმნა რადიკალურად განსხვავებული „ქართული პარტია“და პარიზიდან ცდილობდა, ემართა მოვლენები, როდესაც „ქართული პარტიის“ წარმომადგენლები შეუერთდნენ ბურჯანაძის პარტიას. საბოლოოდ, ეს ყველაფერი 26 მაისის მოვლენებით დასრულდა. აგრეთვე, 2007 წლის 7 ნოემბერი უკავშირდება ოქრუაშვილის რადიკალურ განცხადებას, თითქოს ბატონი ზურაბ ჟვანიას ნეშტი გარდაცვალების ადგილზე მიიტანეს. ეს განცხადება მან გააკეთა მას შემდეგ, რაც თანამდებობა დაკარგა. რაც შეეხება ალასანიას, ის გაცილებით კონსტრუქციული ოპოზიციონერი იყო, როდესაც მან დატოვა საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის პოსტი გაეროში და კარგად მახსოვს, რომ 2010 წლის მერის არჩევნებზე მან საკუთარ ოპონენტ უგულავას გამარჯვება მიულოცა. ამიტომ დღეს თუ ალასანია გადავიდა ოპოზიციაში, მისი პიროვნული თვისებებიდან, ინტელექტიდან და მისი დიპლომატიური თვისებებიდან გამომდინარე, ის არ იქნება იმდენად რადიკალური დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. არა მგონია, ის იყოს ისე ექსტრემისტულად განწყობილი ხელისუფლების მიმართ,

როგორც იყო ბატონი ოქრუაშვილი. ოქრუაშვილის ექსტრემიზმი უფრო მეტ პრობლემას ქმნიდა, ვიდრე ალასანიას ზომიერება წინა ხელისუფლების დროს. ჩემი აზრით, თუ მოხდა ალასანიას ოპოზიციაში გადასვლა, ის იქნება კონსტრუქციული ოპოზიციონერი.

– თქვენი აზრით, რა შეიძლება გახდეს ალასანიას ოპოზიციაში გადასვლის მიზეზი?

– მიზეზი შეიძლება იყოს გარკვეული უთანხმოება პრემიერსა და ირაკლის შორის ან მომავალ პრეზიდენტსა და ირაკლის შორის... ჩვენ ვიცით, რომ რაღაც გარკვეულ უთანხმოებებს ჰქონდა ადგილი რამდენიმე თვის წინ, როდესაც პრემიერმა ალასანია ვიცეპრემიერის პოსტიდან გაათავისუფლა, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ალასანია დამოუკიდებლად განიხილავდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. ანუ ალასანია გაცილებით ძლიერი ფიგურაა და პრემიერს არ აწყობდა ბატონი ირაკლისნაირი გამოცდილი პოლიტიკოსი საპრეზიდენტო პოსტზე. დღეს გარკვეული პრობლემები უკავშირდება იმას, რომ ბატონ ალასანიას მავანი და მავანი ბრალს სდებს სამხედრო მოსამსახურეების მოწამვლის საქმეში. ამიტომ შესაძლოა, სხვადასხვა ფაქტორებმა გარკვეული უთანხმოება გამოიწვიოს. შეიძლება ბრალი დასდონ მას, რომ თავდაცვის სფეროში რეფორმები არ მიმდინარეობს საფუძვლიანად და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, მიზეზი და საბაბი ბევრი შეიძლება იყოს. მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ბატონი ირაკლი დამოუკიდებლად მოაზროვნე პოლიტიკოსია, ვიღაცას შეიძლება ეს არ აწყობდეს და საბაბი ბევრი შეიძლება გამოინახოს.

გიორგი თავდგირიძე, ექსპერტი:

– მიუხედავად იმისა, რომ ალასანიას ბევრ რამეზე აკრიტიკებენ, მე ვერ ვიტყვი, რომ ის ოდიოზური ფიგურაა ან რაიმე ტიპის ღონისძიებებს ატარებს ისეთს, რომელმაც შეიძლება სახელმწიფოს საფრთხე შეუქმნას. შესაბამისად, განსხვავებით ოქრუაშვილისგან, რომელიც ჯარს თავისის პოლიტიკური წონის დასამტკიცებლად იყენებდა, ალასანიასთვის ეს არც საზოგადოებას და არც მე არ შეგვიმჩნევია. რაც შეეხება როგორც პოლიტიკურ ფიგურას, მისი მხრიდან განსხვავებული პოლიტიკური კურსის არჩევა გარკვეულ დისკომფორტსა და პრობლემას, რა თქმა უნდა, შეუქმნის „ოცნებას“, როგორც პოლიტიკურ ძალასა და ალიანსს. თუმცა ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესებია და ამაში დიდი ხიფათი არ ჩანს.

მოაწყობს თუ არა დიდ სიურპრიზს ირაკლი ალასანია და გაიხურავს თუ არა კარს არჩევნების წინ, ეს ძნელი სათქმელია. ადრე ასეთმა წინასწარმეტყველებებმაც გაიჟღერა.

და მთავარი:

რამდენიმე დღის წინ ირაკლი ღარიბაშვილი ცესკოს თავმჯდომარეს, თამარ ჟვანიას შეხვდა. ოფიციალური ინფორმაციით: „შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ცესკო-ს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო არჩევნების მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარების მნიშვნელობას. მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა პოლიციის მზადყოფნა, აღმოფხვრას ყოველგვარი ექსცესი არჩევნების მიმდინარეობისას და ამ მიმართულებით გატარებულ პრევენციულ ღონისძიებებზე ისაუბრა“.

რას ფიქრობენ ამ თემაზე ექსპერტები, მით უფრო, რომ ნინო ბურჯანაძისგან ქუჩის აქციების აგორების მინიშნებები უკვე გაისმა. ვრცელდება ინფორმაციები იმასთან დაკავშირებითაც, როგორ ემზადება ბურჯანაძე არჩევნების მეორე დღისთვის. ვანო მერაბიშვილმაც განაცხადა მოსალოდნელი პროვოკაციის შესახებ. ამის პარალელურად ირაკლი ღარიბაშვილი თამარ ჟვანიას ხვდება. შსს ღიად იღებს პასუხისმგებლობას არჩევნებზე. ანუ, მის მშვიდ ვითარებაში ჩატარებაზე.

ნიკა ჩიტიძე:

– რაც შეეხება ექსცესებს, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს საარჩევნო უბნებზე აქტივისტების დაპირისპირებასთან. ეს გამორიცხული არ არის. მოგეხსენებათ, რომ არიან საქართველოში რადიკალურად განწყობილი ჯგუფები, მათ შორის ყოფილი პოლიტპატიმრები, რომელთაც შესაძლოა, რაღაც ექსცესი შექმნან. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, გარკვეულ რეგიონებში ვიღაცას ჰქონდეს მცდელობა არჩევნების გაყალბების. იგივე, მოიტაცონ საარჩევნო ყუთი და ასე შემდეგ. ასევე, შეიძლება სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებს შორის მოხდეს შელაპარაკება. თუმცა, ვფიქრობ, სერიოზულ ექსცესებს ადგილი არ ექნება.

გიორგი თავდგირიძე, ექსპერტი.

– აქ საუბარი არ არის მასშტაბურ არეულობაზე. აქ საუბარია ზუსტად იმაზე, რომ პოლიტიკურად სხვადასხვა შეხედულებების მქონე ადამიანებს შორის გარკვეული არეულობა იჩენს ხოლმე თავს საარჩევნო უბნებთან. მით უმეტეს, როდესაც „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებით, „ოცნებას“ მართვის სხვა სტილი აქვს. შესაბამისად, მას არ აქვს ძალისმიერი მეთოდები. შემაკავებელი ფაქტორები, ანუ არ არსებობს შიშის ფაქტორი. თუმცა ბევრი აქტივისტის შეგნება არ არის მაღალი. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ცალკეული შეხლა-შემოხლა მოხდეს უბნებში. აქედან გამომდინარე, ამას, რა თქმა უნდა, პოლიციას დიდი ძალისხმევა სჭირდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„გადამწყვეტი იქნება არჩევნები. თუ ის იქნება სამართლიანი, მაშინ მე მოვიქცევი ერთნაირად, თუ არჩევნები ჩატარდება არასამართლიანად, ჩემი საქციელიც, ბუნებრივია, იქნება განსხვავებული. დემოკრატიული არჩევნების შემთხვევაში, გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ“, – ნინო ბურჯანაძის ყველა წინადადება ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ერთი მხრივ, ის ამბობს, რომ სამართლიანი არჩევნების შედეგებს აღიარებს, თუმცა ამის პარალელურად აცხადებს, რომ არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებსა და დასკვნებს არ ენდობა. ამბობს, რომ ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლის წინ საკუთარ მოსახლეობას გაყალბებულ არჩევნებს არ დაუტოვებს, პარალელურად კი ადასტურებს, რომ „ოცნება“ და ნაციონალები უკვე მუშაობენ გაყალბების მექანიზმებზე. და რაც მთავარია, მისთვის სამართლიანი არჩევნები პირდაპირპროპორციულია საკუთარ გამარჯვებასთან. ბურჯანაძის სიტყვიერი ლაბირინთი მარტივად ასე ლაგდება: ნინო ბურჯანაძე არჩევნებს სამართლიანად ერთადერთ შემთხვევაში აღიარებს – თუ გამარჯვებული თავად იქნება. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ის ქუჩაში გამოვა... ქუჩის სცენარი, ბუნებრივია, უკვე არსებობს. უბრალოდ, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ამაზე ხმამაღლა არ საუბრობს. ერთხელ ბურჯანაძემ პირდაპირ განაცხადა, სცენარს წინასწარ ხომ არ მივაწვდი ძალოვან უწყებებსო. შესაბამისად, ის ჯერ მხოლოდ არჩევნების დღეზე აკეთებს აქცენტს და პირობას დებს, რომ არ მისცემს ხელისუფლებას თუნდაც ერთი ხმის გაყალბების საშუალებას. სამართლიანად ჩატარებული არჩევნების შემთხვევაში ბურჯანაძე მზად არის, შედეგები აღიაროს. თუმცა აქ პატარა დეტალია. ვერავინ გაიგო, ნინო ბურჯანაძე რა შემთხვევაში ჩათვლის ჩატარებულ არჩევნებს სამართლიანად.

„პოლიტიკური კრიზისი კი არ შეიქმნება, უარესი მოხდება“

თემურ შაშიაშვილი:

„ბიძინა ივანიშვილი დაამთავრებს უარესად, ვიდრე ვინმეს დაუმთავრებია“

EXCLUSIVE

ლევან ალაფიშვილი:

„ისინი იქნებიან საარჩევნო უბანზე, თუმცა არ ექნებათ უფლება, მონაწილეობა მიიღონ რაიმე გადაწყვეტილებაში“

ნინო ბურჯანაძე, პრეზიდენტობის კანდიდატი:

– ვინ უნდა აღიაროს არჩევნები, თავისუფლად და დემოკრატიულად რომ ჩაითვალოს, ამას თავისი სტანდარტები აქვს. უნდა ინახოს, რა საჩივრები იქნება შეტანილი არჩევნების შემდეგ, რამდენად საფუძვლიანი იქნება ეს საჩივრები, როგორი იქნება საერთაშორისო დამკვირვებლების მოსაზრებები, ან ადგილობრივი დამკვირვებლების მოსაზრებები. თუ ყველას იქნება ერთნაირი მოსაზრება და ყველა ერთხმად განაცხადებს, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, მაშინ მართლაც სამართლიანი იქნება შედეგები. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ექნება, ეს შედეგები ვინმეს აწყობს თუ არა. მაგრამ თუ იქნება ძალიან ბევრი საფუძველი იმისა, რომ ითქვას – მთელ რიგ უბნებზე მოხდა გარიგება ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის, მაშინ კითხვის ნიშნები გაჩნდება. სხვათა შორის, უკვე მითხრეს, რომ არსებობს გაყალბების სქემა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავის აქტივისტებსა და მხარდამჭერებს უთხრა, რომ არ მოვიდნენ არჩევნებზე დღის პირველ ნახევარში. თუ ისინი შეატყობენ, რომ პირველ ტურშივე იმარჯვებს მარგველაშვილი, მაშინ ნაციონალები ხმას მისცემენ ბაქრაძეს, მაგრამ, თუ ისინი დაინახავენ, რომ მეორე ტურის საშიშროებაა, სადაც ერთმანეთს შევხვდებით მე და მარგველაშვილი, მაშინ ნაციონალებიც მარგველაშვილს მისცემენ ხმას. ეს სქემა საიდუმლოც აღარ არის.

ბურჯანაძემ უკვე იცის, როგორ უნდა დაიცვას საკუთარი ხმები არჩევნების დღეს და, ქუჩის სცენარისგან განსხვავებით, ამას მედიასაც უზიარებს. როგორც ირკვევა, თითო უბანზე მას ორი წარმომადგენელი ეყოლება. ერთი, როგორც პარტიის და მეორე, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის. საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებზე სულ 3741 საარჩევნო უბანი გაიხსნება. აქედან 52 საზღვარგარეთ. გამოდის, ნინო ბურჯანაძეს საქართველოში არსებულ 3741 უბანზე 7482 ადამიანი დასჭირდება პროცესის გასაკონტროლებლად. ბუნებრივია, თითოეული მათგანი წინასწარ დატრენინგებული უნდა იყოს. 7 ათასი ადამიანის შეგროვება, დატრენინგება და მათთვის ანაზღაურების გადახდა სერიოზულ ფინანსურ რესურსთან არის დაკავშირებული. ნინო ამისთვის მზად არის. ბურჯანაძის პიარის, ბაკურ ბაკურაძის განცხადებით, წარმომადგენლები მთელი საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა უბანზე ეყოლებათ. პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, სწორედ ამ ადამიანებზე დაყრდნობით გადაწყვეტს, უნდა აღიაროს თუ არა არჩევნების შედეგები. ის არ ენდობა არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, არც ერთ სადამკვირვებლო უწყებას, სამაგიეროდ ანგარიშს გაუწევს საკუთარ აქტივისტებს და წარმომადგენლებს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია, რა უფლებებით იქნებიან აღჭურვილები კანდიდატის წარმომადგენლები. როგორც იურისტები აცხადებენ, ბურჯანაძის ნარმომადგენლებს ხმის მიცემის პროცესზე მხოლოდ შორიდან ყურების უფლება ექნებათ. მათ დაუშვებენ საარჩევნო უბანზე, შეუშვებენ იმ ოთახში, სადაც ხმის მიცემა განხორციელდება, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ ექნებათ უფლება, ჩაერიონ ხმის დათვლის პროცესში და მიიღონ ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება...

ლევან ალაფიშვილი, იურისტი:

– ამ მხრივ, ორი დეტალია გასათვალისწინებელი: პოლიტიკური და წმინდა სამართლებრივი. სამართლებრივად არჩევნების პროცედურებზე დასასწრებად საჭიროა რეგისტრაცია-აკრედიტაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება მედიასაშუალება თუ საერთაშორისო ორგანიზაცია. არარეგისტრირებულ წარმომადგენლებს ექნებათ უფლება საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნის. სხვა გზა საარჩევნო უბნის კონტროლის არააკრედიტებულ ორგანიზაციას ან სუბიექტს არ აქვს.

– არააკრედიტებულ სუბიექტს ხმ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო ბურჯანაძე: „უკვე მითხრეს, რომ არსებობს გაყალბების სქემა“

ების დათვლის პროცესზე დასწრების უფლება ექნება?

– არა, რა თქმა უნდა, არ ექნება. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ არჩევნებში მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს, წარმომადგენელი ჰყავდეს საარჩევნო უბანზე, თუმცა ეს არ იქნება წევრი, რომელიც რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს საარჩევნო უბანზე. მაგალითად, „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებზე კომისიებში ჰყავდა როგორც პარტიული წევრი, ასევე წარმომადგენელი.

– შესაძლებელია, ნინო ბურჯანაძე ამ უფლებას იყენებდეს?

– შესაძლებელია, ბურჯანაძეს უბანზე ჰყავდეს როგორც კანდიდატის წარმომადგენელი და ასევე, პარტიული წევრიც.

– მათ რა უფლება ექნებათ?

– ისინი იქნებიან საარჩევნო უბანზე, თუმცა არ ექნებათ უფლება, მონაწილეობა მიიღონ რაიმე გადაწყვეტილებაში. მაგალითად, თუ ბიულეტენი იქნება დაზიანებული და გაიმართება განხილვა, უნდა ჩაითვალოს თუ არა ის ხმად, ამ განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში ბურჯანაძის წარმომადგენელი ვერ ჩაერევა. არ ექნება ამის უფლება.

– ამ შემთხვევაში ბურჯანაძეს რა ბერკეტი ექნება, საკუთარი წარმომადგენლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას დაეყრდნოს და განაცხადოს, რომ, ვთქვათ, არჩევნები ჩატარდა არასამართლებრივად?

– ჩვენ უნდა გავმიჯნოთ ორი რამ: არჩევნების შედეგები და არჩევნების სამართლიანობა. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადებული დასკვნის აღიარება-არაღიარება არ არის პოლიტიკოსებზე დამოკიდებული. რაც შეეხება შედეგებს, ცესკოს მიერ ოფიციალურად დადებული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებული შედეგების არაღიარება, სამართლებრივად რომ გადავთარგმნოთ, ნონსენსი გამოვა. რა ფორმით არ უნდა აღიარო შედეგი, რომლის მიზეზიც არ არსებობს? ეს დაუმორჩილებლობა გამოდის.

– ბურჯანაძემ რომ განაცხადოს, ჩემი დამკვირვებლების ინფორმაციით, ბევრ უბანზე დაფიქსირდა დარღვევა და მე არ ვაღიარებ შედეგსო, რა მოხდება ამ შემთხვევაში?

– მათ ექნებათ კანონით გათვალისწინებული პერიოდი, როცა შეეძლებათ გასაჩივრება, თუნდაც საშუალება, დარღვევის ყველა ფაქტი მიანწოდონ საერთაშორისო ორგანიზაციებს. თუკი ეს შესაძლებლობები არ იქნება გამოყენებული, მაშინ შედეგების არაღიარება სამართლიანი არ იქნება. მაგალითად შემიძლია მოგიყვანოთ ბოლო არჩევნებიდან ზუგდიდის შემთხვევა. ფაქტია, რომ იქ მაჟორიტარი კანდიდატის მხრიდან დააკლდა აქტიურობა, შედეგები ვერ გასაჩივრეს, თუ არ გასაჩივრეს, ეს ცალკე თემაა. საუბარი იყო იმაზეც კი, რომ არ უნდა მომხდარიყო შედეგების აღიარება, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგან სამართლებრივი პროცედურები არ იყო გამოყენებული და ასეთ შემთხვევაში თვითონ კანდიდატი აღმოჩნდებოდა ძალიან ცუდ სიტუაციაში. შესაბამისად, მოხდა მისი აღიარება.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ ბურჯანაძე მესამე ადგილზე გადის; მიუხედავად იმისა, რომ თავად მთავრობის ლიდერი, პრემიერი აცხადებს, რომ ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური ძალის ლიდერი, დავით ბაქრაძე ბურჯანაძეს ცოტათი, მაგრამ მაინც უსწრებს, „დემოკრატიული მოძრაობის“ სრული შემადგენლობა ირწმუნება, რომ ისინი საკუთარი გამოკითხვებით ლიდერები არიან. თავად პრეზიდენტობის კანდიდატი კი შედეგად, ისიც ყველაზე უარეს შემთხვევაში, მეორე ტურს ელოდება. დანარჩენ მოსაზრებებსა და რეიტინგებს ისინი, უბრალოდ, არ აღიარებენ და მეტიც, ბურჯანაძის საწინააღმდეგო პოლიტიკად აფასებენ. „თეთრების“ ლიდერი, თემურ შაშიაშვილი ირწმუნება, რომ ბურჯანაძის წაგების შემთხვევაში მთავრობას ქვეყნიდან გაქცევა მოუწევს...

თემურ შაშიაშვილი, მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:

– ბიძინა ივანიშვილი დაამთავრებს უარესად, ვიდრე ვინმეს დაუმთავრებია. არ არის საუბარი მარტო მის მთავრობაზე. ყველა მინისტრი მისი ხათრით არის დანიშნული და როგორ ფიქრობთ, ივანიშვილის გარეშე ისინი იმუშავებენ?

– თქვენ ფიქრობთ, რომ პოლიტიკური კრიზისი შეიქმნება?

– სოროსელს, „თავისუფლების ინსტიტუტის“ დამაარსებელს ახვევს ხალხს თავზე. ამბობს, რომ უფრო მეტი გააკეთეს, ვიდრე ამას მოსახლეობა მისგან ელოდა; ამბობს, რომ სწორი გზით მიდის, უშეცდომოა... ასეთი თვითდაჯერება არც კი ვიცი, რომელ პიროვნებას რომელ ეტაპზე ჰქონდა, არა თუ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც. პოლიტიკური კრიზისი კი არ შეიქმნება, უარესი მოხდება. ეს არჩევნები დაადასტურებს, ბიძინა ივანიშვილი ძლიერია და დიდსულოვანი, თუ სუსტი და პატივმოყვარე...

– და თუ ძლიერია, რა უნდა ქნას, ბურჯანაძის გამარჯვება აღიაროს?

– უკვე ჩანს, რომ არ არის ძლიერი, რადგან არჩევნებს აყალბებს. ქუჩაში გადით, გააჩერეთ ნებისმიერი პიროვნება და გაიგებთ, რომ გიორგი მარგველაშვილს კი არა, თვითონ ბიძინა ივანიშვილსაც აღარ უჭერს მხარს 70%. სირცხვილი იმ საქართველოს, რომელიც პრეზიდენტად იმ იდეოლოგიის წარმომადგენელს აირჩევს, რომელსაც ამდენი წელი ებრძოდა. გიორგი მარგველაშვილის გამარჯვება თუ დემოკრატიად ითვლება, შემირცხვენია ისეთი საქართველო. გიორგი მარგველაშვილმა თავისუფალ საქართველოში არ და ვერ უნდა გაიმარჯვოს. თუ გაიმარჯვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნები გაყალბდა. ხელისუფლება თუ გააყალბებს არჩევნებს, სწორედ გაყალბების მექანიზმების გამოყენების გამო გასაქცევად შეექმნება საქმე. ამას პოლიტიკური პარტიების გამოსვლა კი არ დასჭირდება ქუჩაში, ხალხი აღარ მოითმენს არჩევნების გაყალბებას. ხალხი უკვე ამბობს, ნებისმიერ ავტობუსში მოისმენ გამონათქვამს: რა უბედურება მოგვივიდა, ბიძინა ივანიშვილი რომ ავირჩიეთო. მიხეილ სააკაშვილი ტყუილებში გვაცხოვრებდა, ბიძინა ივანიშვილი ილუზიებში გვაცხოვრებს.

– ყველა კვლევაში ჩანს, რომ ნინო ბურჯანაძე მესამე ადგილზეა...

– ეს დავალებაა, რომ ბურჯანაძე მესამე ადგილზე გავიდეს. ხელისუფლებას ყველა პარტიის მოსპობა უნდა და ამ დავალებას ასრულებს ივანიშვილი. ივანიშვილის გაგებით, ყველა პარტია, რომელიც მასთან არის, კარგია, ვინც არ არის მასთან, ის ცუდია და ის რუსეთიდან ფინანსდება თურმე. ივანიშვილი პოლიტიკიდან ძალიან შორსაა და ის ნამდვილად უნდა წავიდეს პოლიტიკიდან.

პრინციპში, ნინო ბურჯანაძისგან მუქარასა და ქუჩის გადატრიალების დაანონსებას შეჩვეულები ვართ ჩვენც, მოსახლეობაც და მით უფრო ხელისუფლება. ეს უკვე ტრადიციად იქცა. ხელისუფლებები იცვლებიან, ბურჯანაძე კი ტონსა და ადგილს არ იცვლის, არც ოცნებას, სხვათა შორის, და დარწმუნებულია, რომ ერთხელ ისიც დაგვიწყებს საუბარს ხელისუფლების სავარძლიდან. ოღონდ მისთვის გზა ხელისუფლების სავარძლამდე ქუჩაზე გადის და გამონაკლისი არც კარსმომდგარი არჩევნებია. ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი კი ნინოს მიანიშნებს, რომ დროა, დაღვინდეს და გამარჯვებაზე ოცნების პარალელურად, მარცხის აღიარებაც ისწავლოს.

სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი:

– სხვადასხვა მონაცემებია და გამიჭირდება ვთქვა, ვის რა რეიტინგი აქვს. არავის უჩუქებია „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მეორე ადგილი. ძნელად წარმოსადგენია, რომ ჩვენმა მოსახლეობამ მეორე ადგილი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ სახეს არგუნოს. მართალია, დავით ბაქრაძეს პირადი დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ სიამოვნებით ასრულებს როლს. ასე რომ, სამართლიანი იქნება თუ არა არჩევნები, ამაზე ერთიანი აზრი იარსებებს 27 ოქტომბრის შემდეგ. თუ საარჩევნო პროცესებში ისევ ნაციონალები იქნებიან ჩართულები, ისინი ისევე შეასრულებენ დავალებებს, როგორც გასულ წლებში ასრულებდნენ. ამიტომ მნიშვნელოვანია საერთაშორისო დამკვირვებლების დასწრება პროცესზე. ნაციონალების მეორე ადგილზე გასვლა უმძიმესი შედეგის მომტანი იქნება „ოცნებისთვის“.

– ნინო ბურჯანაძე მინიშნებას აკეთებს ქუჩის აქციებზე, როგორ ფიქრობთ, საპროტესტო აქციების შემთხვევაში როგორ მოიქცევა ხელისუფლება?

– არსებობს კანონი, რომლის დარღვევაც არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ხელეწიფება. დარწმუნებული ვარ, ნინო ბურჯანაძე, არა მხოლოდ როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, არამედ როგორც წარმატებული იურისტი, მოახერხებს, დარჩეს სამართლებრივ ველში და დამარცხების შემთხვევაშიც არ აიტკიეებს აუტკივარ თავს, რადგან ცხოვრება გრძელია და ყველაფერი წინ აქვს.

– ამ ლოგიკით, ქალბატონი ნინო 26 მაისის აქციებზეც წარმატებული იურისტი იყო, როგორც თქვენ ამბობთ, თუმცა აქცია მაშინ სამართლებრივი ჩარჩოებიდან მაინც გავიდა...

– გავითვალისწინოთ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი არ გახლავთ არც გენერალი როდიონოვი და არც გენერალი მერაბიშვილი, ამდენად, იგივე საქციელის მოლოდინი არ არის. გარდა ამისა, ხანგრძლივად შეიძლება ვიკამათოთ, ვინ გავიდა სამართლებრივი ჩარჩოებიდან 26 მაისს.

– ფიქრობთ, რომ ბურჯანაძე რეალურად ქუჩის აქციებისთვის ემზადება?

– ქუჩაში გასვლის სურვილი ყველა დამარცხებულ კანდიდატს ექნება, თუმცა არა მგონია, ეს ხალხმრავალი ან ხანგრძლივი პროცესი იყოს. დიდი ალბათობით შედეგი იქნება აღიარებული და საჭირო მტკიცებულებებიც – წარმოდგენილი საარჩევნო კომისიის მიერ.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ბურჯანაძე წაგებას აღიარებს?

– ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ბურჯანაძე ამას სიამოვნებით გააკეთებს, მაგრამ ვგრძნობ, რომ გამარჯვებაზე ორიენტირებული ყველა პიროვნება მარცხის აღიარების ძალასა და კულტურასაც უნდა ფლობდეს. ნუ დავივიწყებთ, რომ დაახლოებით ერთ წელიწადში ისევ საარჩევნო პროცესში ვიქნებით. ადგილობრივი არჩევნები არაფრით არ არის ნაკლები მნიშვნელობის, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნები.

სოსო ცისკარიშვილი: „ქუჩაში გასვლის სურვილი ყველა დამარცხებულ კანდიდატს ექნება, თუმცა არა მგონია, ეს იყოს ხალხმრავალი ან ხანგრძლივი პროცესი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არჩევნებამდე ერ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს **55** საერთაშორისო ორგანიზაცია, **57** ადგილობრივი და **92** მედიასაშუალება დააკვირდება.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დამკვირვებლების რაოდენობა მინიმუმ **300**-მდე იქნება. ყველა მათგანმა აკრედიტაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე გაიარა. ცესკო კონკრეტულ ინფორმაციას, თუ ვის უთხრა უარი დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებაზე, არ ავრცელებს. ცნობილია, რომ საარჩევნო კომისიას კანდიდატების განხილვისთვის ზუსტად ორი დღე აქვს. უარის შემთხვევაში ცესკო ვალდებულია კონკრეტული მიზეზით დაასაბუთოს საკუთარი უარი. იგივე წესები მოქმედებს ადგილობრივი ორგანიზაციების აკრედიტაციებზეც.

ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით ჩართვას მოინდომებს რეგისტრაციამდე მინიმუმ ერთი წლით ადრე უნდა იყოს დარეგისტრირებული და მას სწორედ ამ სფეროში უნდა ჰქონდეს გამოცდილება. სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა ცესკოს უნდა წარუდგინონ ფინანსური დოკუმენტაცია და არჩევნებზე დამკვირვებლად მუშაობის გამოცდილების ისტორია. მათი უფლებები საარჩევნო პროცესში საკმაოდ მასშტაბურია. პრინციპში შეზღუდვა მინიმუმამდეა დაყვანილი. ერთადერთი, რაც ეკრძალებათ, საარჩევნო კომისიის საქმიანობაში ჩარევაა და კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის პროპაგანდა. ბუნებრივია, ამ აკრძალვებს არავინ აპროტესტებს. სამაგიეროდ ვრცელია მათთვის ნებადართული ქმედებების სია.

ორივეს შემთხვევაში, უცხოურ და ქართულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ არჩევნების დღეს იმყოფებოდნენ კენჭისყრის შენობაში, გადაადგილდებოდნენ ერთი უბნიდან მეორეში, დააკვირდნენ არჩევნების პროცესს. ასევე შეუზღუდავი უფლება აქვთ დააკვირდნენ ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენების და კონვერტების გაცემას და უკვე არჩევნების დასრულების შემდეგ მონაწილეობა

„სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა“ გამოკითხვა ჩაატარა

გიორგი მარგველაშვილი	**34.60 %**
ნინო ბურჯანაძე	**30.90 %**
დავით ბაქრაძე	**16.40 %**

NDI-ის ბოლო კვლევებით

გიორგი მარგველაშვილი	**39 %**
დავით ბაქრაძე	**18 %**
ნინო ბურჯანაძე	**7 %**

მიიღონ საარჩევნო ყუთების შემოწმებაში, მათ დალუქვაში, ხმების დათვლის პროცესში და რაც მთავარია, დაესწრონ შემაჯამებელი დოკუმენტის შედგენას. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე დამკვირვებელი კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის, ან კანდიდატის რეკლამირებას დაიწყებს საარჩევნო ყუთთან ცესკოს წარმომადგენელს უფლება აქვს ის გააძევოს შენობიდან და საერთოდ ჩამოაშოროს საარჩევნო პროცესს.

უცხოური სადამკვირვებლო ორგანიზაციების სია ძალიან გრძელია. როგორც ირკვევა, ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებზე დასასწრებად რუსეთის დუმის დეპუტატები მოიწვია. ვასილ ლიხაჩოვს მოწვევა მიღებული აქვს და, დიდი ალბათობით, ის თბილისში სწორედ დამკვირვებლის სტატუსით ჩამოვა. რამდენად მოახერხებს ლიხაჩოვი არჩევნების გაკონტროლებას ეს სამართალდამცველების გასარკვევია. ლიხაჩოვი აფხაზეთში არაერთხელ იმყოფებოდა. საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, მას სწორედ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დარღვევისთვის დააკავებენ. გაფრთხილება ხელისუფლებისგან ლიხაჩოვმა უკვე მიიღო... თუმცა რეინტეგრაციის სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას ლიხაჩოვი აპირებს თუ არა ჩამოსვლას. მათი ინფორმაციით საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში და მით უფრო კანონის დარღვევის დაფიქსირებისთანავე სამართლადამცავები იმოქმედებენ კანონის შესაბამისად.

არჩევნების პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია ეგზიტპოლები. პრინციპში, არჩევნების დღეს ყველაზე დიდი ყურადღება და ინტერესი სწორედ ეგზიტპოლებზე მოდის და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ ატარებს მას. წელს ეგზიტპოლები „რუსთავი 2“-მა დაუკვეთა. ორგანიზაცია ცნობილიც არის და ნაცნობიც - ჯი-ეფ კა. GFK გერმანული ორგანიზაციაა და საქართველოსთან უკვე მესამედ თანამშრომლობს. პირველად 2010 წლის დედაქალაქის მერის არჩევნებზე და შემდეგ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იყო. 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებზე GFK-ს ეგზიტპოლის ჩატარება მაუწყებელმა შეუკვეთა. მაშინ გიორგი ჭანტურიამ გერმანული კომპანია ერთადერთი მიზეზით შეარჩია - GFK-ს საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა და, რაც მთავარია, საქართველოში ამ ორგანიზაციას დადებითად იცნობდნენ.

გიორგი ჭანტურია, საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი დირექტორი:

– GFK მსოფლიო ხუთეულში მუდმივად ტრიალებს და ევროპაზე ორიენტირებული კომპანიაა, რომელიც სწორედ მაუწყებლების ტიპის ორგანიზაციებთან თანამშრომლობს და ამიტომ მოხდა ჩვენი არჩევანის გაკეთება მასზე.

GFK 1934 წელს გერმანიაში ლუდვიგ ერჰარდტმა დააარსა. აღნიშნულ ორგანიზაციას ფილიალები მსოფლიოს მასშტაბით ასამდე ქვეყანაში აქვს. ის, ძირითადად, ევროპის საზოგადოებრივ მაუწყებლებთან თანამშრომლობს. მის მიერ ჩატარებული ეგზიტპოლები მინიმალური ცდომილებით არის ცნობილი. მაგალითად, 2010 წელს თბილისში მერობის არჩევნებზე GFK-ს მიერ ჩატარებულ ეგზიტპოლებში ცდომილება 2%-ს შეადგენდა. GFK-მ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებზე ცდომილება ასევე მინიმალური იყო. ორგანიზაციამ არჩევნების დღეს 220 ოლქზე იმუშავა და დაახლოებით 20-25 ათასი ამომრჩეველი გამოკითხა.

ეგზიტპოლები 27 ოქტომბერს დღის განმავლობაში სავარაუდოდ ოთხჯერ გამოქვეყნდება. ასე იყო ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზეც. მაშინ დღის 12 და საღამოს 5 საათზე ამომრჩევლების რაოდენობა გამოცხადდა, საარჩევნო ოლქების დახურვისთანავე კი პირველადი მონაცემები დაიდო. დღის ბოლოს, ათის ნახევარზე GFK საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა.

2012 წელს ჯი-ეფ-კას წარმომადგენელი საქართველოში ნიკ მუნი იყო. მისი მთავარი მოთხოვნა სანდო ორგანიზაციების მოძიება გახლდათ, რომლებთანაც საარჩევნო პროცესში ითანამშრომლებდა.

ნიკ მუნი, კვლევითი კომპანია GFK-ის წარმომადგენელი:

– 60 წელზე მეტია, რაც ეგზიტპოლების საქმიანობაში ვართ ჩართული. ჩვენი შვილობილი კომპანია გერმანიაში გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოღვაწეობს. რა თქმა უნდა, შეცდომები გვქონია, თუმცა დავხვეწეთ ტექნიკა და დარწმუნებული ვარ, რომ კარგად იმუშავებს. წინა გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში ეგზიტპოლების ძალიან დიდი ტრადიცია არსებობს, თუმცა ყოველ ჯერზე გვიწევს, ვითანამშრომლოთ და მოვიძიოთ ისეთი სანდო ორგანიზაციები, რომლებთანაც მოგვიწევს საქმიანი ურთიერთობა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი რესურსი. როდესაც ჩვენ ვმუშაობდით დიდი ბრიტანეთის ფარგლებს გარეთ, შევამჩნიე, რომ არჩევნებთან მიმართებაში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თი კვირით ადრე

რეიტინგები და ეგზიტპოლი

ვინ ჩაატარებს არჩევნების დღეს ეგზიტპოლებს და რატომ არ აკეთებენ ამ თემაზე კომენტარებს პოლიტიკოსები

ადამიანების ინტერესები, შეხედულებები ქვეყნების მიხედვით იცვლება. ორგანიზაციას, რომელიც შეირჩევა სათანამშრომლოდ, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ეგზიტპოლებში მუშაობის დიდი გამოცდილება. უნდა იყოს მაღალი დონის სანდო ორგანიზაცია, რომელსაც ენდობა და კარგად იცნობს საზოგადოება.

მიუხედავად იმისა, რომ GFK-ც და სხვა მსგავსი ორგანიზაციები ცნობადი და ნდობით აღჭურვილები არიან, პრობლემები მაინც იქმნება, მით უფრო საქართველოში. ამას ექსპერტები მარტივად ხსნიან: პოპულარობა და რეიტინგი არც ერთ კომპანიას არ აკლია, თუმცა მათ უკან მაინც ქართული კომპანიები და სოციოლოგები დგანან. ქართული სოციოლოგიურ-კვლევითი ორგანიზაციები კი მსგავს თემებზე საუბარს, მით უფრო დეტალებზე, როგორც წესი, ყოველთვის გაურბიან.

ერთადერთი რასაც ღიად ამბობენ ეს ცდომილების დასაშვები ზღვარია. ეგზიტპოლების ცდომილება მაქსიმუმ 3% უნდა იყოს, მინიმუმ 2%. ესეც ექსპერტების და სოციოლოგების მიერ შექმნილი დაუწერელი კანონია. შესაბამისად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს წინასაარჩევნო რეიტინგებს. ამ მხრივ საქართველოში დიდი მრავალფეროვნებაა. პოლიტიკოსები, როგორც წესი, არასოდეს აღიარებენ საკუთარ დაბალ რეიტინგებს. მათ ურჩევნიათ კონკრეტული კვლევითი ორგანიზცია დაადანაშაულონ მიკერძოებულობაში, ვიდრე განაცხადონ, რომ ვერ მიიღეს სასურველი შედეგი.

მაგალითად, ასე იქცევა ახლა ნინო ბურჯანაძე. რეალურად ყველამ იცის, რომ ის არჩევნებზე ბუნებრივად აიღებს მესამე ადგილს, მაგრამ მწარე რეალობა მას სულაც არ უშლის ხელს აბსოლუტურად რადიკალური განცხადებები გააკეთოს. მაგალითად, NDI-ის ბოლო კვლევებით ბურჯანაძეს 7% აქვს. პირველ ადგილზე გიორგი მარგველაშვილია - 39%-ით, ხოლო მეორე ადგილზე დავით ბაქრაძე - 18 %-ით. ამ შემთხვევაში რეიტინგები აღიარეს პირველ და მეორე ადგილზე გადანაწილებულმა კანდიდატებმა. ბურჯანაძე კი ისევ სხვა გამოსავალს პოულობს.

„სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა“ ჩაატარა გამოკითხვა და მათი მონაცემებით ნინო ბურჯანაძე მეორე ადგილზე გავიდა. თანაც ისეთი რეიტინგით, რომ არჩევნების მეორე ტურის ჩატარების ვალდებულება დაგვანახა. ეს კი სწორედ ბურჯანაძის მიზანია. ამ ორგანიზაციაზე ბევრი არაფერია ცნობილი. მან გამოკითხვა 17 სექტემბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით ჩაატარა და სულ 3 755 ადამიანი გამოკითხა. გამოკითხვა ჩატარდა, როგორც სატელეფონო, ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. შედეგები ასე გადანაწილდა: გიორგი მარგველაშვილი - 34.60 %, ნინო ბურჯანაძე - 30.90 %, დავით ბაქრაძე - 16.40 %. აღმოჩნდა, რომ ამ შედეგებს მხოლოდ ბურჯანაძე აღიარებს. გიორგი მარგველაშვილმა ის უარყო...

გიორგი მარგველაშვილი, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი:

- არ ვიცი რა ორგანიზაციაა, ჩვენ სხვა მონაცემები გვაქვს. დიდი ხანია მე 50%-ს ავცდი. ფაქტობრივად საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე. ყველა ინტერნეტ პროვაიდერი ატარებს გამოკითხვას და ყველაზე კომენტარს მე ვერ გავაკეთებ.

მარგველაშვილის მსგავსად დავით ბაქრაძეც უარყოფს „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგებს, თუმცა ბაქრაძე ბევრად განონასწორებულია შეფასებებში.

დავით ბაქრაძე, „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი:

- ყოველთვის არჩევნების წინ ჩნდება და ჩნდებოდა ერთჯერადი კვლევები და ერთჯერადი ორგანიზაციები, ეს საგანგაშო ნამდვილად არ არის. დღემდე ჩატარებულ ყველა კვალიფიციურ კვლევებში მკაფიოდ ჩანს ორი ტენდენცია. ერთი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე პოზიციაზეა და მეორე - დიდი ალბათობა იყო მეორე ტურის ჩატარების...

ორივე კანდიდატისგან განსხვავებით NDI-ის კვლევებს მიკერძოებულს უწოდებს ბურჯანაძე და აცხადებს, რომ ნავარუ ცდილობს ყოფილი ხელისუფლების და „ნაციონალური მოძრაობის“ გაცოცხლებას. ბურჯანაძის განცხადებით ამას ქართული ამომრჩეველი არ დაუშვებს. ასე რომ, ეგზიტპოლებიც და არსებული რეიტინგებიც სერიოზული საფრთხის ნინაშე დგას. არ არის გამორიცხული მათი სინამდვილე პოლიტიკურმა ძალებმა არ აღიარონ... მით უფრო „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში გამოკითხულთა 23% ფიქრობს, რომ არჩევნებზე დარღვევებს ადგილი ექნება. შესაბამისად ნინასწარ ეგზიტპოლებისადმი ნდობის გამოცხადებას ყველა მხარე გაურბის. ბურჯანაძის პარტიის წევრი, გიორგი კობახიძე აცხადებს, რომ ეგიტპოლების საკითხში სპეციალისტი არ არის და ვერაფერს იტყვის. GFK-ს შეაფასებისგან „ქართულმა ოცნების“ წევრებმაც და ნაციონალებმაც თავი შეიკავეს... როგორც ჩანს, ყველაფრის შეფასება 27 ოქტომბრის საღამოს 8 საათიდან დაიწყება, ისიც იმის მიხედვით ვინ როგორ შედეგებს მიიღებს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რუსეთი ჰანკისის

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

რა დავალებით ჩამოვიდა გიგა ბოკერიას მეგობარი ჟურნალისტი საქართველოში

სირიაში ქიმიური იარაღის საქართველოდან შეტანის ბრალდების მსგავსი ბრალდებები, როგორც ჩანს, კიდევ გაგრძელდება. საქართველოს წინააღმდეგ შავი პიარით, სავარაუდოდ, რუსეთია დაკავებული. ყოველ შემთხვევაში, ბოლო რამდენიმე ფაქტზე ექსპერტები ერთხმად აცხადებდნენ, რომ პოლიტიკური ჭორის უკან რუსეთის სპეცსამსახურები იდგნენ. სწორედ მათი შეთითხნილია სირიაში ქიმიური ნივთიერებით მოსახლეების მოწამვლის მითიც, რითიც სურდათ პასუხისმგებლობა ნაწილობრივ საქართველოსთვისაც აეკიდებინათ. ინფორმაცია თავდაპირველად პოლიტიკური გამოძიების სფეროში მოღვაწე ამერიკელმა სპეციალისტმა გაავრცელა „ვეტერანები დღეს“ მეშვეობით. გამოცემა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის და დაზვერვის ყოფილი თანამშრომლებისაა და სტატიაც მთავარმა რედაქტორმა, გორდონ დაფმა გამოაქვეყნა. სტატიაში დეტალურად იყო აღწერილი მარშრუტი, თუ როგორ შედიოდა სირიაში ქიმიური ნივთიერება საქართველოს გავლით. სტატიის ქვეტექსტის მიხედვით ქიმიური იარაღი საქართველოში არსებულ ლაბორატორიაში მზადდებოდა. ინფორმაციას, ბუნებრივია, საქართველოშიც ადეკვატური რეაქცია მოჰყვა. როგორც ჩანს, რუსული სერიალი საქართველოს წინააღმდეგ გრძელდება.

კლინიკა „ენმედიცი“ ჭარბი წონის წინააღმდეგ

ვაჟა ივერიელის სახელობის კლინიკა „ენმედიცში“ ჭარბი წონის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების პრეზენტაცია გაიმართა. კლინიკის ინიციატივით ჭარბ წონასთან ბრძოლის კვირეული სისტემატურ ხასიათს მიიღებს. კლინიკა ჭარბი წონის კვირეულის ფარგლებში მომხმარებელს უფასო კონსულტაციას და საჭირო მომსახურეობაზე 50% ფასდაკლებას სთავაზობს. პრეზენტაციაზე მსურველებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ სპეციალურ ბარათებს, სახელწოდებით „ენმედიცის საშემოდგომო რჩევები“. კლინიკისგან 50%-იანი ფასდაკლებებით სარგებლობას ასევე სასულიერო პირები, მათი ოჯახის წევრები, ექიმები და ჟურნალისტები შეძლებენ.

კობა ბურნაძე, კლინიკა „ენმედიცის“ გენერალური დირექტორი: - ჩვენი კლინიკა 1961 წელს ჩამოყალიბდა ვაჟა ივერიელის თაოსნობით. ბატონი ვაჟას აქტიური მუშაობით ხდებოდა ჭარბი წონისა და სიმსუქნის პრობლემების შესწავლა. ეს მეთოდები დღეს უკვე თანამედროვე ტექნოლოგიებს არის მორგებული. ჩვენ ვთხოვთ ყველა მსურველს მობრძანდეს ერთი კვირის მანძილზე და ისარგებლოს აქციით. ჩვენ ღია დიალოგი გვაქვს პაციენტებთან, წონა კატასტროფა არ არის და მასთან სწორი მიდგომით მისი განკურნება შესაძლებელია. ეს სოციალური სენია და თუ ადამიანი მოისურვებს ყველაფერს შეძლებს, ამიტომაც გირჩევთ, რომ მობრძანდეთ, ჩვენი მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით.

ნატალია ჩოჩიშვილი, ენდოკრინოლოგი: - ჩვენთან ჭარბწონასთან დაკავშირებით ხდება გლობალური მიდგომა. ეს არ არის მხოლოდ ენდოკრინოლოგია, აქ მთელი რიგი სპეციალისტები არიან ჩართული ჭარბი წონის წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვა კლინიკებისგან განსხვავებით ჩვენ პაციენტებს ვთავაზობთ ინტოლერანტობის ანუ აუტანლობის ტესტს, რომელიც კეთდება 221 სახის საკვებზე. ჩვენ სულ რაღაც სამ-ოთხ საათში ვადგენთ პროდუქტს, რომელიც იწვევს სიმსუქნეს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აფეთქებას გეგმავს

EXCLUSIVE

ზაალ კასრელიშვილი:

„იგეგმება პანკისის ხეობის ალქაიდასთან გაიგივება“

„გვაქვს ინფორმაცია, რომ გიგა ბოკერიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ამ ჟურნალისტთან“ „მის უკან სერიოზული ძალები დგას“



„კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ ხელმძღვანელის, ზაალ კასრელიშვილის განცხადებით Wall Street Journal-ის მოსკოვის ბიუროს ჟურნალისტი სიუჟეტის მოსამზადებლად, რამდენიმე დღის წინ, პანკისის ხეობაში იმყოფებოდა. ჟურნალისტის სიუჟეტის შინაარსის შესახებ დაახლოებითი წარმოდგენა, კასრელიშვილის მტკიცებით, უკვე არსებობს. კასრელიშვილის განცხადებით მასალა, სავარაუდოდ, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ გავრცელდება და იქნება მტკიცება თითქოს პანკისის ხეობა ალქაიდას მსგავსი საფრთხის შემცველი „ბუნაგია“.

ზაალ კასრელიშვილი, კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია:

- ჩვენი ორგანიზაციის წევრებმა პანკისის ხეობიდან და ასევე ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის ბიუროდან გვაცნობეს, რომ რამდენიმე კვირის წინ საქართველოში იმყოფებოდა Wall Street Journal-ის მოსკოვის ბიუროს ჟურნალისტი ალან კულისონი. ჟურნალისტი ჩავიდა პანკისის ხეობაში და იქ შეხვდა სირიაში მებრძოლების ახლობლებს, ჩაწერა ისინი და ასევე გვაქვს ინფორმაცია, რომ ჩაწერა ერთ-ერთი მებრძოლიც. თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, მაგრამ რა მოტივებით წავიდა ის პანკისში, ან რატომ აინტერესებს, რატომ იბრძვიან ქისტები სირიაში, რა მარშრუტებით გავიდნენ, რატომ იძიებს რა კავშირი შეიძლება იყოს, ან საერთოდ არის თუ არა კავშირი სირიაში ომსა და საქართველოში უკანონო იარაღით ვაჭრობას შორის...

- მსგავსი კითხვები ჰქონდა?

- დიახ, ასევე აინტერესებდა და იძიებდა შეიძლებოდა თუ არა საქართველოდან მოხვედრილიყო ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი სირიაში.

- ეს ცოტახნის წინ გავრცელებული ინფორმაციის გაგრძელებაა?

- დიახ, ასე ვფიქრობ. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ეს ჟურნალისტი აკეთებს სიუჟეტს პანკისის ხეობაზე და სურს, რომ დააკავშიროს და გაიგივოს ალქაიდას ბუნაგთან კავკასიაში. როდესაც პანკისის ხეობის ირგვლივ ასეთ შავ პიარს აგორებ, ბუნებრივია, ისიც იცი, რომ პანკისის ხეობა საქართველოს ტერიტორიაა. გამოდის, რომ საქართველოს წინააღმდეგ მუშაობს და ზრუნავს საქართველოს იმიჯის შელახვაზე. ეს ყველაფერი რუსეთს გაუხსნის გზას საქართველოზე გაძლიერეს ფიზიკური და მორალური ზეწოლა. მით უმეტეს, უკვე დიდი ხანია კეთდება განცხადებები, რომ საქართველო არის ტერიტორია, რომელიც საფრთხეს უქმნის რუსეთის სახელმწიფოებრიობას. მე გავავრცელე ეს ინფორმაცია და მინდა მივმართო ძალოვან უწყებებს და ასევე უშიშროების საბჭოს მდივანს, მართალია ჟურნალისტს თავისი სამუშაოს შესრულებაში ხელს ვერავინ შეუშლის, მაგრამ არსებობს საერთაშორისო პრაქტიკა სპეცაკრედიტაციისა. როდესაც ჟურნალისტი ჩამოდის ასეთ ცხელ წერტილებში, მას აქვს სცეპაკრედიტაცია. მით უფრო გვაქვს ინფორმაცია, რომ გიგა ბოკერიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ამ ჟურნალისტთან და გაარკვიოს რა ხდება. თუ ვინმეს დაბინდული აქვს გონება მრისხანებით და პოლიტიკური, თუ პარტიული კინკლაობა ჰქონია, ძალიან ცდება, რადგან ამით ისარგებლებს რუსეთი და ოპოზიციასაც და პოზიციასაც ერთდროულად შეუქმნის პრობლემებს.

- თქვენ უკვე მიმართეთ განცხადებით მთავრობას?

- ჩვენი ევროპული წარმომადგენლობა უახლოეს დღეებში გაავრცელებს ინფორმაციას, რომ მზადდება სიუჟეტი. გარდა ამისა, მე გავაკეთე განცხადება და მივანოდე ინფორმაცია, როგორც უშიშროების საბჭოს, ასევე მთავრობას. ჩვენ, ლაფანყურის ფაქტამდე ოთხი თვით ადრე ვამბობდით, რომ მზადდებოდა მსგავსი რამ. ახლაც ვფიქრობთ, რომ სიუჟეტი რამდენიმე თვეში გავა და ასევე რამდენიმე თვით ადრე ვაფრთხილებთ ხელისუფლებას. აუცილებლად უნდა მოახდინონ რეაგირება.

- როგორ ფიქრობთ, ეს სიუჟეტი არ-ჩევნებამდე გავა?

- არა მგონია, ეს რეპორტაჟი გათვლილია გრძელვადიან შედეგებზე და თუ ის რუსეთის სასარგებლოდ მუშაობს, ალბათ, უფრო სოჭის ოლიმპიადის შემდეგ გავა. ეს იქნება არაპირდაპირი ბრალდება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ეს ინფორმაცია უნდა გაქარწყლდეს.

- მტკიცებულებებად რას გამოიყენებს ეს ჟურნალისტი?

- სწორედ მტკიცებულებების მოსაპოვებლად იყო ჟურნალისტი ჩასული პანკისისი ხეობაში. კონკრეტულად რას გამოიყენებენ, ამის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. ვიცით, რომ ესაუბრა სირიაში მებრძოლი ადამიანების ახლობლებს, ასევე ესაუბრა პანკისის ხეობის ემირს და ქოთანს ყურს საიდანაც უნდა იქიდან მოაბამს. ბუნებრივია, ჩვენ გამოვთქვამთ საფუძვლიან ეჭვს, რომ ეს არ არის მხოლოდ ჟურნალისტური გამოძიება. მის უკან სერიოზული ძალები დგას. საქართველოს გარშემო შავი პიარის აგორება და პანკისის ხეობის ალქაიდასთან გაიგივება შედის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის ინტერესში. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კონკრეტულად რუსეთის ინტერესია. არასწორი იქნება ვთქვათ, რომ ჟურნალისტმა დამოუკიდებლად გადაწყვიტა თემის შესწავლა. ბუნებრივია, ეს შეთანხებული იქნებოდა ხელმძღვანელობასთან და დაფინანსებულიც. საინტერესო არის ისიც, რომ რუსულ მედიაში ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს საქართველოდან შედიოდა სირიაში ქიმიური იარაღი, გახდა ჟურნალისტის გააქტიურების მიზეზი. ეს ჟურნალისტი, ვისზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა, რომელიც მუშაობს და ცხოვრობს რუსეთში. ვეღარ გავიგეთ, ეს ორი ქვეყანა შეთანხმებულია ჩვენს წინააღმდეგ, თუ ერთმანეთს უქმნიან პრობლემებს საქართველოს ტერიტორიაზე? ორივე შემთხვევაში ჩვენ დავზარალდებით. სწორედ ამიტომ, ჩვენ ხელისუფლებისგან მოვითხოვთ გაარკვიონ რა მზადდება და ასევე ოპოზიციისგან ვითხოვთ, რომ თავისი კავშირები გამოიყენონ მაქსიმალური ინფორმაციის მოსაპოვებლად. ერთობლივი ძალისხმევით წინ უნდა აღუდგნენ ცუდ მოვლენას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის, რაც ხდებოდა 1990-იან წლებში ცხინვალისა და აფხაზეთის გარშემო, ახლაც ზუსტად იგივე ხდება პანკისის ხეობის ირგვლივ, ოღონდ უფრო დახვეწილი მექანიზმით. ამას აუცილებლად ექნება გაგრძელება და ეს ძალიან ცუდ შედეგს მოიტანს.

- ბუნებრივია, რუსეთის მხრიდან?

- რა თქმა უნდა, საფრთხის მომტანი იქნება მათთვის საქართველოს ტერიტორია და თუ მთელ ტერიტორიაზე არ გაუჩნდებათ პრეტენზია, პანკისის ხეობაში „წესრიგის დამყარების“ პრეტენზია აუცილებლად გაუჩნდებათ.

- ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებამ რა ბერკეტები უნდა გამოიყენოს შავი პიარის საწინააღმდეგოდ?

- საერთაშორისო საზოგადოება უნდა ჩააყენონ საქმის კურსში და უნდა მოხდეს საერთაშორისო ზეწოლა მსგავს ქმედებებზე. არსებობს ეუთო, არსებობს სხვადასხვა მისიები, არსებობს უშიშროების საბჭო და აუცილებლად უნდა მიიტანოს ხელისუფლებამ ეს ინფორმაცია. სანამ სიუჟეტი გამოვა, მანამდე უნდა გახდეს ეს განხილვის საგანი.

- არ ფიქრობთ, რომ ჩვენი მხრიდან ასეთ გააქტიურებას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჟურნალისტის საქმიანობაზე ზეწოლად ჩათვლიან?

- იცით, მე არ ვიცი საერთაშორისო სამართლით ამ შემთხვევაში რისი უფლება აქვს ხელისუფლებას. მე შემიძლია გითხრათ, რომ ხელისუფლების ადგილას ჩვენ აუცილებლად მოვიწვევდით მაგალითად, დასავლეთის ბევრად უფრო ავტორიტეტულ მედიასაშუალებებს და გამოვაძიებინებდით ამ საქმეს. რუსეთის ბიუროს დავუპირისპირებდით BBS-ის და CNN-ის მედიას. საჯარო განხილვის თემად ვაქცევდით ამ საკითხს, რომ გაქარწყლებულიყო ცრუ ინფორმაციები.

- რატომ ფიქრობთ, რომ არჩევნებამდე არ გავა ეს სიუჟეტი?

- ჩვენ გავაკეთეთ საკითხის პოლიტიკური ანალიზი და მივედით იმ დასკვნამდე, რომ სოჭის ილიმპიადამდე სიუჟეტი არ გავა. ოლიმპიადა პუტინისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მანამდე სიუჟეტს მოამზადებენ. მსგავსი სიუჟეტების გაშვებით რუსეთი ოლიმპიადაზე ჩამომსვლელებს არ დააფრთხობს. ოლიმპიადის შემდეგ კი დაიწყება ანტიქართული კამპანია, უფრო სწორად, ანტიტერორისტული კამპანია. ტერორიზმის და რადიკალური საფრთხეების სიაში მოიაზრებენ საქართველოსაც. ეს კი პოლიტიკურად გამართულ მოტივაციას მისცემს რუსეთის ხელმძღვანელობას, გაძლიეროს ზეწოლა და გავლენები საქართველოზე. რა ტიპის გავლენები იქნება ეს, ამაზე საუბარი უკვე ძალიან რთულია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აკაკი ჩხაიძემ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით პროკურატურას მიმართა

my View
მირიან ბოქოლიშვილი

„მე მაქვს ყველანაირი დოკუმენტები, რომელიც შემიძლია წარმოვადგინო და რომელიც ამტკიცებს, რომ აკაკი ჩხაიძე არის აფერისტი და გადამგდები. პროკურატურაში წარდგენილია ყველაფერი და ძალიან კარგად იციან. მე მოგვიანებით მოგაწვდით ყველანაირ ფაქტს. ეს არის უტყუარი ფაქტები და ამხელს აკაკი ჩხაიძეს, როგორც აფერისტ კაცს“

აკაკი ჩხაიძე ერთ-ერთი პირველი იყო შევარდნაძის გარემოცვიდან, ვინც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. კორუფციულ გარიგებებში მხილებულ რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, მაშინ თავისუფლება დიდი ფული დაუჯდა. როგორც ამბობდნენ კაკო ჩხაიძემ რკინიგზაში მილიონები იშოვა, თუმცა ეს მის ქონებრივ დეკლარაციაში ოფიციალურად არასდროს ასახულა, მის გარშემო ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებზეც რკინიგზის ექსშეფი საკუთარ ძვირადღირებულ ქონებას აფორმებდა. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი მისი ახლო მეგობარი და ბიზნეს პარტნიორი ლერი ჯაყელი გახლდათ. სწორედ მის სახელზე გადააფორმა აკაკი ჩხაიძემ 2002 წელს ვაკეში, მარუხის გმირების ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება, 3 000 კვ.მ, მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა. მოგვიანებით, ჩხაიძესა და ჯაყელს შორის შავმა კატამ გაირბინა. ითქვა, რომ მათ შორის კონფლიქტი ბიზნეს საქმიანობას უკავშირდებოდა, კერძოდ, ჩხაიძემ სერიოზულ თანხაში „გადააგდო“ საკუთარი ბიზნეს პარტნიორიო. ამის გამო ჯაყელმა ვაკეში მის სახელზე გაფორმებული აკაკი ჩხაიძის კუთვნილი სახლი გაყიდა. მან ეს ქონება 2007 წელს 800 ათას დოლარად მიასხვისა ბიზნესმენ შმაგი ქემერტელაძეს. ქემერტელაძემ სახლის დარეგისტრირება ვერ მოასწრო, რადგან აკაკი ჩხაიძემ სასამართლოში სარჩელის შეტანა და უძრავ-მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება მოახერხა. ხანგრძლივი სასამართლო დავების შემდეგ ბიზნესმენმა შმაგი ქემერტელაძემ ამ ქონების დარეგისტრირება შეძლო... სადაო ქონების ირგვლივ ვნებათაღელვა, როგორც ჩანს, ჯერაც არ ჩამცხრალა, ვინადან აკაკი ჩხაიძემ კბილაშვილის უწყებაში „წართმეული ქონების“ დაბრუნების მოთხოვნით საჩივარი შეიტანა. ჩხაიძე, მისი ქონების ხელყოფაში, კონკრეტულ პირებს ადანაშაულებს, თუმცა ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ ამ პირების უკან რეალურად საკაშვილის ხელისუფლების ჩინოსნები იდგნენ.

- არის ჯგუფი, რომელიც იმართებოდა წინა მთავრობის მიერ. ჩემს ახლობელზე მქონდა გაფორმებული და წამართვეს. პრაქტიკულად იძულებით წამართვეს.

- ანუ სააკაშვილის ხელისუფლებას ადანაშაულებთ ამ სახლის წართმევაში?

- აბა, ვინ დავადანაშაულო, მაგათ წამართვეს და მაგათმა სასამართლომ გამოიტანა უკანონო გადაწყვეტილება.

- ლერი ჯაყელზე გქონდათ გაფორმებული ხომ?

- კი, მასზე იყო გაფორმებული, თუმცა ძალიან დიდი ჯგუფია, რომელიც ხალხს საკუთრებას ართმევდა. მათი მსხვერპლი აღმოვჩნდი მეც.

- კონკრეტულად რა ჯგუფზე საუბრობთ?

- ამას რა მნიშვნელობა აქვს. მერე შეგხვდებით და დაგელაპარაკებით, რეალურად ვინ და როგორ მოქმედებდა ჩემს წინააღმდეგ.

- როგორც ვიცი, შმაგი ქემერტელიძეს ეკუთვნის ამჟამად ეს სახლი?

- ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც წინა პლანზე ჩანდნენ, ანუ შემსრულებლები. რეალურად ეს მოდიოდა ზევიდან. დამკვეთი სხვა იყო.

„პრაიმტაიმი“ ქონებრივი დავის ერთ-ერთ ფიგურანტს, ლერი ჯაყელსაც დაუკავშირდა. ის ამბობს, რომ არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, პირიქით, აკაკი ჩხაიძის წინააღმდეგ. სანამ მის კომენტარს გაგაცნობთ იმასაც გეტყვით, რომ აკაკი ჩხაიძესა და ლერი ჯაყელს საამართლო დავა კიდევ ერთ ქონებასთან დაკავშირებით ჰქონდათ. საუბარია შეკვეთილში მდებარე მიწის ნაკვეთზე, რომელიც თავის დროზე ჯაყელს ეკუთვნოდა და ჩხაიძემ ნოტარიუსის წესით გადაფორმა. მაშინ სასამართლოში რკინიგზის ექსშეფის ინტერესებს ზაქარია ქუცნაშვილი იცავდა, თუმცა ცნობილმა იურისტმა აკაკი ჩხაიძეს ვერ უშველა. პროცესი ჯაყელის სასარგებლოდ დასრულდა. ნოტარიუსი კი, რომლის მეშვეობითაც კაკო ჩხაიძემ ხსენებული მიწის ნაკვეთი დაირეგისტრირა, მოგვიანებით სხვა საქმეზე დააპატიმრეს.

„მე მაქვს ყველანაირი დოკუმენტები, რომელიც შემიძლია წარმოვადგინო და რომელიც ამტკიცებს, რომ აკაკი ჩხაიძე არის აფერისტი და გადამგდები. პროკურატურაში წარდგენილია ყველაფერი და ძალიან კარგად იციან. მე მოგვიანებით მოგაწვდით ყველანაირ ფაქტს. ეს არის უტყუარი ფაქტები და ამხელს აკაკი ჩხაიძეს, როგორც აფერისტ კაცს“, - ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ლერი ჯაყელი.

ჩვენ შევეცადეთ დავკავშირებოდით ხსენებული ქონებრივი დავის კიდევ ერთ ფიგურანტს, შმაგი ქემერტელაძეს, თუმცა მან მოუცლელობის მიზეზით ჩვენთან საუბარი ვერ მოახერხა.

დაიწყებს თუ არა პროკურატურა აკაკი ჩხაიძის საჩივრის საფუძველზე აქტიურ გამოძიებას, ეს, ალბათ, მალე გახდება ცნობილი. სავარაუდოდ, მას სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით საჩივრის დაწერა მისმა ყოფილმა ადვოკატმა და მოქმედმა დეპუტატმა, ზაქარია ქუცნაშვილმა ურჩია, თუმცა რამდენად მოახერხებს „სამართლიანობის აღდგენას“ წლების წინ კორუფციულ ქარბუქში გახვეული რკინიგზის ექსშეფი, ეს უკვე სხვა საკითხია.

აკაკი ჩხაიძე:

„არის ჯგუფი, რომელიც იმართებოდა წინა მთავრობის მიერ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საერთო ჯამში, დღეის მდგომარეობით, გაცემულია 119 მილიონ 421 ათასი ლარი“

ნანა შონია

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, წელს, დაფინანსება სხვადასხვა კომპონენტების ფარგლებში 258-მა საწარმომ მიიღო. მათ შორის 53 ახალი საწარმოა. პროექტის დახმარებით საკუთარი მეურნეობის გაზრდა უამრავმა ფერმერმა შეძლო, რაც ქვეყანაში დასაქმების მაჩვენებელზეც აისახა. მთლიანობაში, ექვსი თვის მანძილზე, შეღავათიანი აგროკრედიტის სახით 119 მილიონ 421 ათასი ლარია გაცემული. როგორც პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი ჩხეიძე „პრაიმტაიმთან“ საუბარში ამბობს, იმ კომპანიებს, რომლებმაც წელს დაფინანსების მიღება ვერ შეძლეს, პროექტში ჩართვა მომავალ წელს შეეძლებათ. რა გეგმები აქვს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს და რა სიახლეებს სთავაზობენ ისინი ქართველ ფერმერებს, ამის შესახებ სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი ჩხეიძე საუბრობს.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში, წელს, დაფინანსება 258 საწარმომ მიიღო

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში უკვე დაფინანსებულია 258 საწარმო, მათ შორის ახალია 53. აქედან 205 არსებული საწარმოა, რომლებმაც თავიანთი სიმძლავრე გაზარდეს“

გიორგი ჩხეიძე, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი: - შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში უკვე დაფინანსებულია 258 საწარმო, მათ შორის 53 საწარმო ახალია. აქედან 205 არსებული საწარმოა, რომლებმაც თავიანთი სიმძლავრე გაზარდეს, გააფართოეს, ან დამატებითი ოპერაციები ჩართეს. ყველასთვის ცნობილია, რომ მთლიანობაში ეს პროექტი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. პირველი ეს არის სასაქონლო, უპროცენტო ექვსთვიანი განვადება, რომლითაც უკვე ისარგებლა 2 700-ამდე ფერმერმა და მთლიანობაში 100 ათასი ლარის განვადება უპროცენტოდ მიიღო. მეორე კომპონენტი ეს არის სასოფლო სამეურნეო საწარმოებისთვის საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსება - 5 ათასიდან 100 ათას ლარამდე სესხები, სადაც პროცენტული მაჩვენებელი 6-დან 8%-ამდე მერყეობს წელიწადში, რადგან 9%-ს სააგენტო იხდის. ამ კომპონენტის ფარგლებში მსესხებლებზე უკვე გაცემულია 64 მილიონ 552 ათასი ლარი. რაც შეეხება მესამე კომპონენტს, ეს არის საწარმოების დაფინანსებისთვის, რაც გრძელვადიან სესხს გულისხმობს და სესხის მოცულობა არის 600 ათას დოლარამდე. ეს დაახლოებით ერთი მილიონი ლარის ეკვივალენტია, სადაც 258 საწარმომ მიიღო დაფინანსება. ანუ მთლიანობაში საუბარია მესამე კომპონენტის ფარგლებაში 32 მილიონ 240 ათასი დოლარის სესხის გაცემაზე. რაც დაახლოებით 50-დან 55 მილიონ ლარამდე მერყეობს. საერთო ჯამში, დღეის მდგომარეობით, გაცემულია 119 მილიონ 421 ათასი ლარი.

- როგორც ცნობილია, აღნიშნულ პროექტს დაემატა მეოთხე და მეხუთე კომპონენტი, რას გულისხმობს ეს, რა შედეგებზეა გათვლილი და რა მოლოდინები გაქვთ?

- მეოთხე კომპონენტი გახლდათ იგივე, რაც მესამე კომპონენტი, ოღონდ ის გულისხმობდა „ლიზინგის“ დამატებას. ნაცვლად ბანკისა მსესხებელს სალიზინგო კომპანიებისგან შეეძლებათ მომსახურეობის მიღება. ეს იგივეა, რაც მესამე კომპონენტი, მაგრამ განსხვავება არის ის, რომ საქმე გვაქვს ლიზინგთან. რაც შეეხება მეხუთე კომპონენტს, ცნობილია, რომ იყო ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის და დაახლოებით 39 საწარმოზე არის გაცემული 46 მილიონ ლარზე მეტი. ეს გულისხმობდა რთველის პერიოდში ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის, მათ შორის ღვინის საწარმოებისთვის დაბალფასიანი კრედიტის გამოყოფას, რათა მათ შეძლებოდათ მაქსიმალურად შეეძინათ 2013 წლის რთველზე მოსავალი. ამით ისარგებლა 39-მა საწარმომ. აქ შესაძლებელი იყო 100-ათასიდან 10 მილიონ ლარამდე ოდენობის თანხის აღება, თხუთმეტთვიანი ვადით 12-დან 15%-ამდე, აქედან 9%-ს სახელმწიფო იხდის. ჩვენ ასევე დავამუშავეთ ახალი კომპონენტი, რომელიც გახლავთ მანდარინის გადამამუშავებელი, ექსპორტიორი კომპანიებისთვის. ნოემბერში მანდარინის მაღალი მოსავალი გველის, ამიტომაც ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რათა მანდარინის გადამუშავებასა და მის ექსპორტს შევუწყოთ ხელი. პროცესში ჩართულ საწარმოებს შეუძლიათ აიღონ იაფფასიანი სესხი. სხვა ღონისძიებებთან ერთად ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც მანდარინის წარმატებით დაბინავებას შეუწყობს ხელს. ჩვენ, კიდევ ვფიქრობთ ახალი კომპონენტის დამატებაზე, რომლის დეტალებზეც დღეს საუბარი არ შეგვიძლია, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იქნება საგრანტო პროექტი. ვფიქრობთ, რომ ამ პროექტს ნოემბრის დასაწყისში განვახორციელებთ და დაბალი ეკონომიკური აქტივობის მქონე რაიონები იქნებიან ჩართული.

- რა შეგიძლიათ გვითხრათ, ზოგადად ამ პროექტმა თქვენი მოლოდინი გაამართლა, გარდა იმისა, რომ ხელმისაწვდომობის მხრივ, ეს უპრეცედენტო პროექტი იყო ქართულ სინამდვილეში, კიდევ რა შედეგი მოიტანა?

- შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროექტმა ჩვენი და აგრომეწარმეთა მოლოდინი ნამდვილად გაამართლა, რადგან საკრედიტო პროდუქტები, რომლებიც მათთვის შევქმენით, რომელითაც ამდენმა ადამიანმა უკვე ისარგებლა ჩვენს მიერ წინასწარ ნავარაუდებ მაჩვენებელს მკვეთრად აღემატება. რაც ნამდვილად სასიხარულოა.

პირველ და მეორე კომპონენტში გაცემული თანხა არ მოიცავს ღვინის ქარხნებისთვის გაცემულ სესხს. რადგან ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის გაცემული სესხი ერთჯერადი და მოკლევადიანია, ხოლო სხვა კომპონენტებში გაცემული სესხები არის გრძელვადიანი.

ჩვენ ეს 120 მილიონი შეიძლება შევადაროთ წლის დასაწყისში „ეროვნული ბანკის“ მიერ გაცემულ ოფიციალურ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც 56 მილიონი გახლდათ აგროსესხების მთლიანი პორტფელი ქვეყანაში. დღეს კი, დაახლოებით 6 თვის მანძილზე, ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაზრდილია. ყველა კარგად ხედავს, რომ პროექტი წარმატებულია და კარგად მუშაობს. ბანკები მეტი აქტიურობით ცდილობენ სესხების გაცემას და უფრო და უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება ამ კრედიტებით. ეს არის სესხი, რომელიც არის კრედიტუნაირიანი საქმის მცოდნე პირებისთვის. ამიტომაც ჩვენ არ გვქონდა იმის მოლოდინი, რომ 100 ათასობით ადამიანი მიიღებდა ამ სესხს. თუმცა სასიხარულოა ის ფაქტი, რომ იმათი რიცხვი, ვინც ამ სესხს იღებს, ყოველდღიურად იზრდება. იმ ადამიანებს კი, ვინც გარკვეული მიზეზის გამო წელს ვერ მოახერხეს პროექტში ჩართვა, შეუძლიათ მომავალ წელს ისე დაგეგმონ მათი საქმიანობა, რომ მიიღონ ეს მომსახურება. ეს არ არის, ერთწლიანი პროექტი და მომავალ წელსაც შესაძლებელი იქნება მისი მიღება.

- შეგიძლიათ საუბარი თუ რა შედეგი გამოიღო ამ პროექტმა დასაქმების კუთხით?

- როდესაც ახალი საწარმო იქმნება ან არსებული საწარმოები ფართოვდება, ეს თავისთავად ნიშნავს დამატებითი სამუშაო ადგილებს. საქართველოში არის უამრავი ნვრილ-წვრილი მეურნეობა, სადაც ხდება ადამიანების დასაქმება. ზუსტი სტატისტიკის წარმოება, თუ რამდენი ადამიანი დასაქმდა ამ ყველაფრით, ეს ინფორმაცია, ალბათ, სტატისტიკის დეპარტამენტს ექნება, თუმცა ფაქტია, რომ ახალი საწარმოები დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის. უბრალოდ, შემიძლია ერთი მაგალითი მოგიყვანოთ, ერთ-ერთი ახალი საწარმო, რომელიც ჩვენ დავაფინანსეთ, ეს არის კასპის რაიონში „პიუნიკ ჯორჯია“, რომელიც არის სანაშენე მეფრინველეობის ფაბრიკა. ამ ქარხანაში კვერცხს აწარმოებენ, რომლისგანაც ჩეკავენ წიწილებს და შემდეგ ყიდიან ამ წიწილებს ფერმერულ მეურნეობებზე. გარდა იმისა, რომ ეს კომპანია ყიდის თავის პროდუქციას, ის ტრენინგებს უტარებს სხვებს, თუ როგორ გაზარდონ ეს წინილები ისე, რომ დაბალი დანახარჯით ჰქონდეს მაღალი ხარისხი. მოგვიანებით კი, მათ მიერ გაზრდილი ფრინველის რეალიზაცია ხდება ცენტრალიზებულად, რაც მისასალმებელია. როგორც კი ახალი საწარმო შეიქმნა და მან მიიღო დაფინანსება, მისმა მომხმარებლებმა მეორე კომპონენტის ფარგლებში ასევე მიიღეს დაფინანსება. ხდება რა? იკვრება წრე, სადაც ამოქმედდა ღირებულებების შექმნის სისტემა. მთლიანობაში კი ყველაფერი გამოიწვევს იმას, რომ იმპორტული ხორცი ჩანაცვლდება ადგილობრივი წარმოებით. ასეთი სისტემები უნდა შეიქმნას ყველა დარგში და მსგავსი პროექტების ხელშეწყობისთვის მუშაობს ეს პროექტი.

- თქვენ თქვით, რომ პროექტი მომავალ წელსაც გაგრძელდება, შეიცვლება თუ არა მასშტაბები?

- ჩვენი დინამიკა აჩვენებს, რომ მომავალ წელს ეს მასშტაბები გაიზრდება, რაც ბუნებრივიცაა. ის ადამიანები ვისაც მოკლევადიანი სესხები აქვთ აღებული, დააბრუნებენ ამ სესხებს და შემდეგ ისევ აიღებენ. იმედი გვაქვს, რომ ეს ხალხი მათ მასშტაბებს გააფართოვებენ, ამიტომაც ვთვლით, რომ მომაველ წელს ეს მასშტაბები, სულ მცირე, გაორმაგდება.

- პროექტის მიმდინარეობისას, რა სახის პრობლემები გამოიკვეთა და რა შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავა სააგენტომ ამ პროექტში ჩართვის მსურველი მეწარმეებისთვის?

- ამ პროექტის მართვა, მასში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობის სიმრავლიდან გამომდინარე, სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ამაში ჩართულია 13 ბანკი და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ჩვენ ავაწყვეთ ისეთი აიტი სისტემა, რომელიც ავტომატიზაციის საშუალებას იძლევა, მოვახერხეთ და შევქმენით ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მცირე რესურსით ვმართოთ და ვაკონტროლოთ პროცესი. ამის გარეშე ეს პროექტი ვერ განხორციელდებოდა. რაც შეეხება მეწარმეებისთვის რეკომენდაციებს, ჩვენი რეკომენდაციაა, რაც შეიძლება მეტად იმუშაონ ამ ადამიანებმა ბანკებთან, რომ თავიანთი ბიზნესის დაფინანსება მოიპოვონ. ეს კომპანიები კრედიტუნარიანი უნდა იყოს, თუ ეს ასე არ არის, ეს იქნება ჩვენი ქვეყნისთვის დაკარგული რესურსი. ამიტომაც არ იქნება სწორი, რომ სესხის გაცემის გაიოლება მოხდეს. პროცედურულად ეს მარტივია. არანაირი პროცესი არ უკავშირდება სააგენტოში სესხის განხილვას. ეს არის ჩვეულებრივი კომერციული პირობა. როდესაც პრობლემაზეა საუბარი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში არათანაბრად ხდება ამ რესურსების გადანაწილება. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში ხდება უფრო მეტი სესხის გაცემა, ვიდრე დასავლეთში, ეს არის ზოგადი პრობლემა ქვეყნისთვის, რადგან სადაც მეტია ეკონომიკური აქტივობა, სწორედ იქითკენ მიედინება თანხაც. სწორედ ამიტომაც ჩვენ ვგეგმავთ საგრანტო მექანიზმის შემოტანას, რაც მასტიმულირებელი იქნება დაბალი აქტივობის რეგიონებისთვის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Airzena

30 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!







სიახლე ავიაკომპანია აირზენასგან!

23 ნოემბრიდან

ყოველ შაბათს - ბათუმი-კიევი, კიევი-ბათუმი

15 დეკემბრიდან

ყოველდღე - თბილისი-კიევი, კიევი-თბილისი

დაგვიკავშირდით **2 505 005**

ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„გემი" –„თბილისი მოლის" და „დირსის" საჩუქარი ბავშვებს

უკვე მეორე თვეა „თბილისი მოლის" მესამე სართულზე, ყველაზე პატარა სტუმრებისთვის, „გემია" განთავსებული. „გემი"– ეს არის სამშენებლო კომპანია „ას ჯორჯიას" უზარმაზარი საცხოვრებელი კომპლექსის, „დირსის" საბავშვო-სათამაშო ზონის ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც კომპლექსის ყველა ეზოში იქნება განთავსებული. როგორც „თბილისი მოლის" ადმინისტრაციაში აცხადებენ „გემი" ყველა მშობლისთვის და მათი პატარებისთვის საყვარელი ადგილია სავაჭრო ცენტრში. დღის განმავლობაში ამ კონსტრუქციას ძალიან ბევრი პატარა სტუმრობს.

მარიამ ქუთათელაძე, „თბილისი მოლის" მარკეტინგის მენეჯერი:

– როგორ გაჩნდა იდეა „გემი" „თბილისი მოლში" განთავსებულიყო და რამდენ ხანს დარჩება კონსტრუქცია სავაჭრო ცენტში?

– „თბილისი მოლი" 2013 წლის თებერვლიდან თანამშრომლობს კომპანია „ას ჯორჯიასთან", რომელიც ახორციელებს უზარმაზარი საცხოვრებელი კომპლექსის „დირსის" მშენებლობას თბილისში. მათი პროექტის მაკეტი 6 თვის განმავლობაში წარმოდგენილი იყო „თბილისი მოლში" და საკმაოდ დიდი ცნობადობა მოიპოვა. „ას ჯორჯია" მომხმარებელს სთავაზობს მსოფლიო სტანდარტების გათვალისწინებით საუკეთესო და სრულყოფილ საცხოვრებელ პირობებს. „გემი" – ეს არის „დირსის" საბავშვო-სათამაშო ზონის ერთ-ერთი ნიმუში. კომპლექსის ყველა ეზო აღჭურვილი იქნება მსგავსი სათამაშო კონსტრუქციებით. როგორც იცით, თბილისი მოლი სთავაზობს მომხმარებელს მხოლოდ საუკეთესო ხარისხის მომსახურებას, შესაბამისად, ეს გასართობი კომპლექსი სასიხარულო შეთავაზებაა ჩვენი პატარა სტუმრებისთვის. თბილისი მოლი ნებისმიერი ასაკის მომხმარებლელს სთავაზობს კომფორტულ გარემოს, კომფორტული გარემოს სრულყოფისთვის საჭირო იყო პატარებისთვისაც შეგვექმნა კუთხე, სადაც შეძლებდნენ, მშობლებთან ერთად მოსულები, თავიანთი ადგილის პოვნას და მთელი დღის უზრუნველად გატარებას. დღის განმავლობაში „გემს" საკმაოდ ბევრი პატარა სტუმრობს... „გემი" უკვე ყველა მშობლისთვის და ყველა ბავშვისთვის საყვარელი ადგილია „თბილისი მოლში". გამორიცხულია მშობელმა ბავშვთან ერთად შემოიაროს „თბილისი მოლი" და შვილი ან არ დატოვოს ან მასთან ერთად „გემთან"არ დარჩეს და ისიამოვნოს.

– რა სიახლეებს სთავაზობს „თბილისი მოლი" მომხმარებელს ამ სეზონზე?

– „თბილისი მოლი" მომხმარებელს, იმის გარდა, რომ საუკეთესო ახალ ზამთრის კოლექციას და ფასდაკლებებს შესთავაზებს მომხმარებელს, ასევე გაიხსნება რამდენიმე საინტერესო ბრენდის მაღაზია და კვების ობიექტი. რაც მთავარია, მალე, მომხმარებელს კინოთეატრითაც ვუმასპინძლებთ. აი, ამის შემდეგ კი, ფაქტობრივად, ჩვენი მომხმარებელი ბინას დაიდებს „თბილისი მოლში".



როგორც სამშენებლო კომპანია „ას ჯორჯიაში" აცხადებენ, „გემი" – ეს არის „დირსის" საჩუქარი ბავშვებს, რომელმაც „თბილისი მოლში" ახალი „ნავსაყუდელი" იპოვა.

„დირსის საცხოვრებელი კომპლექსის კონცეფციის შემუშავების საწყისი ეტაპებიდან, ძირითადი იდეა კომფორტული ხარისხიანი საცხოვრებელი გარემოს შექმნა იყო. ამისთვის, მსოფლიოს ტენდენციების გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა სრულყოფილი საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის შექმნას დაეთმო, რაც გულისხმობს: სკოლებს, საბავშვო ბაღებს, სპორტულ მოედნებს, იტალიური სტილის სავაჭრო ცენტრს კინოთეატრით, ბულვარს, სამედიცინო ცენტრს, რეკრეაციულ ზონას, კაფე-ბარებითა და რესტორნებით. პროექტის დაგეგმარებისას დიდი ყურადღება დაეთმო საბავშვო მოედნების კეთილმოწყობას. თითოეულ კორპუსს აქვს თავისი ეზო, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით, რაც, თავის მხრივ, ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას უწყობს ხელს. „გემი" ეს არის „დირსის" საჩუქარი ბავშვებს. შესაბამისად მას კომპანიისთვის არავითარი კომერციული დატვირთვა არა აქვს. ერთ დღესაც, „თბილისი მოლში" ჩვენმა „გემმა" ახალი ნავსაყუდელი იპოვა :)

– რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი სახლების რეკრეაციულ ზონებში ასეთი ტიპის კონსტრუქციების განლაგება?

– კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, რომ „დირსის" კომპლექსის მაცხოვრებლებმა თავი მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნონ. კომპლექსის ერთ-ერთ უმთავრეს უპირატესობას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ყველაფერი სახლთან ახლოსაა, მათ შორის ბავშვებისთვის კეთილმოწყობილი სათამაშო მოედნები, რომლითაც კორპუსის ყველა ეზოა აღჭურვილი. მსგავსი კონსტრუქციები ხელს უწყობენ ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას. ჩვენი კომპანია კი ყოველთვის მზად არის პატარებს სასიხარულო წუთები აჩუქოს. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა სიახლეებს სთავაზობს პაციენტებს „ჩემი ოჯახის კლინიკა“?

ერეკლე სტურუა

„ჩემი ოჯახის კლინიკა“ პაციენტებს მომსახურეობის ახალ, მთლიანად ევროპულ სტანდარტს სთავაზობს. ამ მიზნით, კომპანია მუდმივ სიახლეებს ნერგავს მის ქსელში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში. კომპანიამ 2012-13 წლებში გახსნა ახალი საავადმყოფოები: თელავში, ბათუმში, ქობულეთსა და ხულოში, რითაც, ფაქტობრივად, დაასრულა სტრუქტურული ფორმირება.

კლინიკა საქართველოს რეგიონებში ნერგავს ისეთ სტანდარტებს, რომელიც ადგილობრივებს, რეგიონიდან გაუსვლელად, მაღალი ხარისხის მომსახურეობის შესაძლებლობას აძლევს. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ, „ჩემი ოჯახის კლინიკის“ ქსელში არსებულ თელავის რეფერალურ საავადმყოფოში, ნეონატოლოგიის სამსახურის მეორე ეტაპი გაიხსნა. მსგავსი სამედიცინო სამსახური კახეთის რეგიონში არ იყო. პროექტის განხორციელების შედეგად კახეთის ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება რეგიონიდან გაუსვლელად უმკურნალონ ახალშობილებს.

თელავის რეფერალური საავადმყოფოს ადმინისტრაციის ინფორმაციით, ნეონატოლოგიური სამსახური რეგიონში მხოლოდ სამედიცინო სახლების სახით იყო წარმოდგენილი. შესაბამისად მაღალი, ან დაბალი რისკის ახალშობილის მკურნალობა ადგილზე ვერ ხერხდებოდა და ხდებოდა მათი გადაყვანა თბილისის საავადმყოფოებში. ამიერიდან კი, ასეთი ტიპის პაციენტების მკურნალობა თელავის რეფერალურ საავადმყოფოში იქნება შესაძლებელი. ამის შესაძლებლობას იძლევა საავადმყოფოს ბაზაზე არსებული შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა და მაღალკვალიფიციური, თბილისიდან მოწვეული ნეონატოლოგები.

იმერეთის რეგიონულ კლინიკურ საავადმყოფოში კი კომპანიამ ალერგიული ტესტირების უახლესი მეთოდი დანერგა. იმუნობლოტინგი ალერგოტესტირების ყველაზე სწრაფი, უმტკივნეულო, იაფი და ხარისხიანი მეთოდია, რომელიც ალერგიის გამომწვევი მიზეზების ზუსტი დიაგნოზის დასმის საშუალებას იძლევა. ალერგიით დაავადებულ პაციენტებს, იმუნობლოტინგის მეთოდით, დიაგნოზის დადგენა სამ საათში შეუძლიათ. გარდა ამისა, ალერგოტესტირების ჩატარება, აბსოლუტურად უვნებელია ორსულობის, ლაქტაციისა და სომატურად დაავადებული პაციენტების შემთხვევაში. ერთხელ ჩატარებული ალერგოტესტი, პაციენტს საშუალებას აძლევს, პასუხი ალერგიის გამომწვევ 20 ალერგენზე მიიღოს. ამისთვის კი მხოლოდ 2-3 მლ სისხლის გაღებაა საჭირო. იმერეთის რეგიონული კლინიკური საავადმყოფოს, „ჩემი ოჯახის კლინიკის“ ქსელში შემავალი ერთ-ერთი საავადმყოფოა, სადაც მედპერსონალის მუდმივ გადამზადებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ახალი პროტოკოლებითა და გაიდლაინებით ხელმძღვანელობა, რომელიც დაფუძნებულია მტკიცებით მედიცინაზე, ხელს უწყობს ექიმთა უწყვეტ სამედიცინო განათლებას და სამედიცინო ხარისხის გაუმჯობესებას.

კომპანიის ახალი სტრატეგიის ნაწილია იმერეთის რეგიონში, კერძოდ, ქუთაისის რეგიონალურ საავადმყოფოში გადაუდებელი დახმარების განყოფილებაც (ER), რომელმაც ახალი სახით ფუნქციონირება ამა წლის 10 სექტემბრიდან დაიწყო. ამ პროექტში კომპანიამ უკვე განახორციელა 150.000 ლარის ინვესტიცია. შეიცვალა საავადმყოფოს ძველი მიმღები განყოფილების არქიტექტურა, აღჭურვილობა. დაინერგა პაციენტების მიღების, დახარისხებისა და მომსახურების ახალი დასავლური მოდელი. მოხდა ახალი, გადაუდებელ დახმარებაში სერტიფიცირებული კადრების აყვანა და დაიწყო არსებული კადრების სწავლებისა და გადამზადების პროცესი. ჩვენი კომპანიისთვის ER-სპეციალისტების მომზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ქსელის მასშტაბით, კომპანიამ ამ დარგის სპეციალისტების მომზადებაში უკვე გაიღო 70.000 ლარის ინვესტიცია. წლის ბოლომდე ამ მიმართულებით ვაპირებთ თანხის გაორმაგებას და ვფიქრობთ, რომ საკმაოდ მოკლე პერიოდში მოვახერხებთ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ხარისხობრივ გარღვევას.

„ჩემი ოჯახის კლინიკამ“, საქართველოს მასშტაბით, ქსელში შემავალი საავადმყოფოებისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალი მანქანები შეიძინა, ისინი აღჭურვილია 2012 წლის უახლესი აპარატურით და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. მოსახლეობას უკვე ემსახურება „ფორდის“ მარკის უახლესი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები, რომლებიც უმოკლეს ვადაში ადგილზე მისვლას და გადაუდებელ სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინტერვიუ „ჩემი ოჯახის კლინი

ერეკლე სტურუა

„ჩემი ოჯახის კლინიკა“ წარმოადგენს საქართველოს ყველაზე მსხვილ ჰოსპიტალურ ქსელს, რომელიც ოპერირებს ქვეყნის ხუთ რეგიონში: იმერეთი, აჭარა, კახეთი, სამეგრელო და სამცხე-ჯავახეთი. ქსელში გაერთიანებული კლინიკები ერთმანეთისგან განსხვავდება საწოლთა ფონდით, სიმძლავრეებითა და მომსახურების მოცულობით. ქსელის საწოლთა მთლიანი ფონდის დაახლოებით 62% მრავალპროფილურ კლინიკებზე (70 საწოლი და მეტი) მოდის, დანარჩენი 38% – მცირესაწოლიან (50 საწოლი და ნაკლები) კლინიკებზე.

როგორც „ჩემი ოჯახის კლინიკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი მინდიაშვილმა „პრაიმტაიმთან“ საუბარში განაცხადა, კომპანიამ 2012-13 წლებში გახსნა ახალი საავადმყოფოები: იმერეთში, სამეგრელოში, კახეთში და აჭარაში, როგორც რეგიონალურ, ასევე რაიონულ ცენტრებში.

გიორგი მინდიაშვილი, „ჩემი ოჯახის კლინიკის“ გენერალური დირექტორი:

– 2014-15 წლებში ჩვენი ახალი სტრატეგიული მიზანია, ქსელის ყველა საავადმყოფოში შევქმნათ პაციენტისთვის უსაფრთხო, მაღალხარისხიანი მომსახურების სტანდარტული გარემო. კომპანიას რამდენიმე თვეა, შემოუერთდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჯგუფი თბილისის სხვადასხვა წამყვანი კლინიკიდან და უცხოეთიდან, რომლებიც უხელმძღვანელებენ ძირითად სამედიცინო დარგებს და მიმართულებებს მთელი ქსელის მასშტაბით. მიმართულებების ხელმძღვანელებთან გაიწერა შესაბამისი სამედიცინო სერვისის პროცესის, სტანდარტიზაციისა და სამედიცინო პერსონალის განათლებისა და ტრენინგის გეგმა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისა და საექთნო საქმის ხარისხის გაუმჯობესებას. მთლიანად ცვლილებებისა და ტრენინგების განხორციელებაში მხოლოდ ამ წელს კომპანია მილიონ ლარზე მეტ ინვესტიციას გეგმავს.

„ჩვენი ახალი სტრატეგიული მიზანია, ქსელის ყველა საავადმყოფოში შევქმნათ პაციენტისთვის უსაფრთხო, მაღალხარისხიანი მომსახურების სტანდარტული გარემო“

– როგორც ცნობილია, იმერეთის რეგიონში გახსენით გადაუდებელი დახმარების განყოფილება. რამდენად მნიშვნელოვანია ეს, ზოგადად, რეგიონისთვის?

– დიახ, კომპანიის ახალი სტრატეგიის ნაწილია იმერეთის რეგიონში, კერძოდ, ქუთაისის რეგიონალურ საავადმყოფოში გადაუდებელი დახმარების განყოფილება (ER), რომელმაც ახალი სახით ფუნქციონირება ამა წლის 10 სექტემბრიდან დაიწყო. ამ პროექტში კომპანიამ უკვე განახორციელა სოლიდური ინვესტიცია. შეიცვალა საავადმყოფოს ძველი მიმღების განყოფილების არქიტექტურა, აღჭურვილობა. დაინერგა პაციენტების მიღების, დახარისხებისა და მომსახურების ახალი დასავლური მოდელი. მოხდა ახალი, გადაუდებელ დახმარებაში სერტიფიცირებული კადრების აყვანა და დაიწყო არსებული კადრების სწავლებისა და გადამზადების პროცესი. ჩვენი კომპანიისთვის ER-სპეციალისტების მომზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ქსელის მასშტაბით, კომპანიამ ამ დარგის სპეციალისტების მომზადებაში უკვე გაიღო სერიოზული ინვესტიცია. წლის ბოლომდე ამ მიმართულებით ვაპირებთ თანხის გაორმაგებას და ვფიქრობთ, რომ საკმაოდ მოკლე პერიოდში მოვახერხებთ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ხარისხობრივი გარღვევის მოხდენას. ER განყოფილების შექმნა უახლოეს პერიოდში ზუგდიდშიც იგეგმება.

– რატომ უნდა აირჩიოს პაციენტმა „ჩემი ოჯახის კლინიკა“?

– „ჩემი ოჯახის კლინიკის“ ქსელი იმართება ძლიერი და კვალიფიციური ადამიანებისგან შემდგარი მენეჯმენტის ჯგუფის მიერ, რომელთათვისაც, უმნიშვნელოვანესია, რომ პაციენტმა უსაფრთხო, დროული, ადეკვატური, მაღალხარისხიანი და რაც მთავარია, პაციენტზე მორგებული სამედიცინო სერვისები მიიღოს, შესაბამისად, ჩვენს ქსელში მოხვედრილი პაციენტი მეტად დაცულია არადროული და არასაჭირო

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ГІОРГІ ГІНДІАШВІЛІ:

„ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ საზღვარგარეთ მოღვაწე კვალიფიციური კადრების დაბრუნებაა“



ინტერვენციებისგან. მენეჯმენტის სწორედ ასეთი მიდგომების გამო უნდა მიანიჭონ პაციენტებმა ჩვენს ქსელს უპირატესობა. თუმცა ჩვენ ამით, რა თქმა უნდა, არ ვკმაყოფილდებით და მუდმივი განვითარების პროცესში ვართ. მალე ჩვენ ვგეგმავთ, მეონატოლოგიის მესამე დონის დანერგვას, პედიატრიული მძლავრი რეანიმაციის შექმნას თელავში, ასევე კარდიო-ქირურგიას ბათუმში, კარდიოლოგიას ზუგდიდში.

– თქვენ ისაუბრეთ კადრების გადამზადებაზე... ამ ეტაპზე რამდენად კვალიფიციური კადრები გყავთ?

– ჩვენს ქსელში დასაქმებული კადრები პოზიციების დაკავებამდე შერჩევის სხვადასხვა ეტაპებს გადიან, შესაბამისად, არსებობს მრავალი ბერკეტი, რომელიც ქსელს არაკვალიფიციური კადრებისგან იცავს. გარდა ამისა, მუდმივ რეჟიმში ხორციელდება კადრების საქმიანობის შიდა მონიტორინგი, როგორც მონიტორინგის ჯგუფის მიერ, ისე კონკრეტული მიმართულებების ხელმძღვანელების მიერ. პერსონალის კვალიფიციურობისა და, ზოგადად, სამედიცინო სერვისების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით, მიმართულების ხელმძღვანელები შესაბამის დარგებში განსაზღვრავენ გადამზადების საჭიროებებს, რის შედეგადაც ხორციელდება ტრენინგების თემების განსაზღვრა. შედეგად ქსელში დასაქმებული ექიმებისა და ექთნების თითქმის 100% ხვდება მასშტაბურ ქსელში და ტრენინგებში. „ჩემი ოჯახის კლინიკის“ ქსელში, საერთო ჯამში, დასაქმებულია 7000-მდე ადამიანი, რაც დასტურია იმისა, რომ ჩვენი კომპანია არის ქვეყანაში ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელი და ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას. ჩვენს ცენტრალურ საავადმყოფოებში ხდება გადამზადება და გამოცდილების შეძენა, შედარებით პატარა კლინიკების მედპერსონალისა.

– თქვენ ბრძანეთ, რომ უცხოეთიდან მოიწვიეთ წამყვანი სპეციალისტები... კონკრეტულად შეგიძლიათ გვითხრათ?..

– ადგილობრივი კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების გარდა, კომპანია მუდმივად ცდილობს, უცხოეთში მოღვაწე ქართველი წარმატებული ექიმებისა და მენეჯერების დასაქმებას ქსელში. ამის ნათელი მაგალითია კრიტიკული მედიცინის სამსახურის უფროსი, ბატონი ლევან სუხიშვილი და გენერალური დირექტორის მოადგილე სტრატეგიისა და განვითარების მიმართულებით, ბატონი გიორგი ფხაკაძე. ასეთი პროფესიონალი კადრები უკვე ბევრი მოვიზიდეთ და სხვებთან მოლაპარაკებებსაც ვაგრძელებთ. კომპანია მომავალშიც ფიქრობს ამ მიმართულებით მუშაობას და უცხოეთში წარმატებული ქართველი სპეციალისტების ქსელში დასაქმებას. ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგან ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ საზღვარგარეთ მოღვაწე კვალიფიციური კადრების დაბრუნებაა.

– როგორც ვიცი, კომპანია აქტიურადაა ჩართული საქველმოქმედო ღონისძიებებშიც...

– დიახ, ჩვენ პერმანენტულად უფასო გამოკვლევებს ვუტარებთ საქართველოს მოსახლეობას, სხვადასხვა რეგიონში. საქველმოქმედო ღონისძიებებს ვატარებთ დევნილთა კომპაქტური დასახლების ობიექტებში, მოხუცებულთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში. ჩვენი კომპანიისთვის სოციალური პასუხისმგებლობა ძალიან მნიშვნელოვანია და ვცდილობთ, ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს არც ერთი ის ფენა, რომელსაც ჩვენი დახმარება სჭირდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჩემი ოჯახის კლინიკამ“ ხუთ თვეში 85 საქველმოქმედო ღონისძიება გამართა

ერეკლე სტურუა

ვერ გეტყვით, რამდენად ტარდება გამოკითხვები ყველაზე ქველმოქმედი კომპანიის გამოვლენის მიზნით, თუმცა „ჩემი ოჯახის კლინიკის“ პრეცედენტი, ალბათ, ბევრისთვის სამაგალითო იქნება. 5 თვეში 85 საქველმოქმედო ღონისძიება მართლაც არაა ცოტა.

„ჩემი ოჯახის კლინიკის“ თაოსნობით სხვადასხვა სფეროსა და პროფესიის წარმომადგენლები პერიოდულად სისხლის უანგარო დონაციის პროგრამაში ერთვებიან. სკოლის მანდატურები, პროკურატურა, საპატრულო პოლიცია – ესაა არასრული ჩამონათვალი იმ უწყებების, რომელიც „ჩემო ოჯახის კლინიკამ სისხლის უანგარო ჩაბარების პროგრამაში ჩართო. ცოტა ხნის წინ კი ქუთაისის საავადმყოფოში სისხლი გაიღეს ჟურნალისტებმა. ღონისძიებაში მედიის 25 წარმომადგენელი ჩაერთო. მათ მიერ გაღებული სისხლი ამავე საავადმყოფოს პაციენტებს მოხმარდებათ.

გარდა ამისა, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ ხშირად ასაჩუქრებს ახალშობილებს, კლინიკის თანამშრომლები პერიოდულად სტუმრობენ გლდანის ბავშვთა სახლს, რომლებსაც სხვადასხვა საჩუქრებს გადასცემენ, კომპანიის ექიმებმა ბათუმში, წმინდა ეკატერინეს სახელობის მოხუცებულთა სახლ „სავანეში“ უფასო გამოკვლევები ჩაუტარეს ბენეფიციარებს, უფასო გამოკვლევები ჩაუტარდათ სკოლის მოსწავლეებსაც, რომლებსაც „ჩემი ოჯახის კლინიკამ“ სასწავლო წლის დაწყება საზეიმოდ მიულოცა. კომპანია აქტიურად ჩაერთო ძუძუს კიბოს პრევენციის კამპანიაში, რომლის ფარგლებშიც ქუთაისში „ჩემი ოჯახის კლინიკა“ უფასო სამედიცინო კონსულტაციებს ატარებს. კომპანიის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც იძულებით გადაადგილებული პირი. „ჩემი ოჯახის კლინიკისა“ და დევნილთა სამინისტროს ერთობლივი აქციის ფარგლებში ზუგდიდში მცხოვრებ დევნილებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ, დევნილებს სხვადასხვა პროფილის 52 ექიმი მოემსახურა. თერაპევტები, კარდიოლოგები, ნევროლოგები, ენდოკრინოლოგები, ტრავმატოლოგები, პედიატრები, ქირურგები და სხვა პროფილის ექიმები მთელი დღის

განმავლობაში აწარმოებდნენ დევნილთა მიღებას. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობათ სიმსივნით დაავადებულ ბავშვებსა და სამტრედიის პანსიონატის აღსაზრდელებს.

ერთ-ერთი ბოლო საქველმოქმედო აქცია კი „ჩემი ოჯახის კლინიკამ სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში მდებარე მოხუცებულთა თავშესაფარ „უზრუნველ სიბერეში“ გამართა.

თელავის რეფერალური საავადმყოფოს ექიმებმა თავშესაფარში მყოფ მოხუცებს უფასო გამოკვლევები ჩაუტარეს, გადასცეს საჭირო მედიკამენტები და ტკბილეული. „უზრუნველი სიბერის“ დირექტორის, ლეილა ბოქოლიშვილის თქმით, „ჩემი ოჯახის კლინიკის“ მიერ გაწეული დახმარება მოხუცებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მან კომპანიის წარმომადგენლებს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

„ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ჩემი ოჯახის კლინიკას“ „უზრუნველ სიბერეში“ მყოფი მოხუცებისთვის გაწეული დახმარებისთვის. მერწმუნეთ, ეს თანადგომა მათთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია. მისასალმებელია, რომ კომპანია მუდმივად არის ჩართული ასეთ საქველმოქმედო ღონისძიებებში, რაც ერთი ორად ზრდის მის ავტორიტეტს. აქ, ამ პანსიონატში არის საზოგადოების ის ფენა, რომელსაც ნამდვილად სჭირდება ჩვენი ყურადღება. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ვცდილობთ, მზრუნველობა არ მოვაკლოთ მათ“, – ამბობს ლეილა ბოქოლიშვილი. „ჩემი ოჯახის კლინიკის“ პრესსამსახურის უფროსის, თეონა ლალიაშვილის განცხადებით, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ მომავალშიც გააგრძელებს „უზრუნველი სიბერის“ მხარდაჭერას და იქ მყოფ მოხუცებს პერიოდულად გაუწევს დახმარებას. „როგორც მოგეხსენებათ, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ მუდმივად ატარებს უფასო გამოკვლევებს ხანდაზმულებისთვის, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის, დევნილებისთვის. ხშირად დავდივართ მათთან მოსანახულებლად და ვასაჩუქრებთ სხვადასხვა სახის ნივთებითა თუ მედიკამენტებით. ამჯერად ჩვენმა კლინიკამ საქველმოქმედო აქცია გამართა სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში მდებარე სათნოების სახლ „უზრუნველ სიბერეში“ მყოფი მოხუცებისთვის. აქციის ფარგლებში მათ ჩაუტარდათ გამოკვლევები და გადაეცათ საჭირო მედიკამენტები. მომავალში კვლავ გეგმაში გვაქვს უამრავი საინტერესო პროექტი. „ჩემი ოჯახის კლინიკა“ ზრუნავს როგორც მოზარდების, ასევე უფროსი თაობის მოქალაქეების ჯანმრთელობაზე“, – განაცხადა თეონა ლალიაშვილმა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა სიახლეა მართვის მოწმობის გამოცდებში?

- **გამოცდის ჩაბარება შესაძლებელი გახდება ე.წ. „ავტომატიკაზეც“**
- **მართვის მოწმობაზე დატანილი იქნება ინფორმაცია სისხლის ჯგუფის შესახებ**
- **შეიცვლება სანომრე ნიშნების დიზაინი**

my View
მირიან ბოქოლიშვილი

2013 წლის დეკემბრიდან მართვის მოწმობის გამოცდებში სიახლეები დაინერგება. პრაქტიკული გამოცდების ჩაბარება მსურველებს უკვე შეეძლებათ, როგორც მექანიკური, ისე ავტომატური მართვის გადამცემი კოლოფის მქონე ავტომობილებზე. მომავალი წლიდან კი ხმარებაში შემოდის ახალი სანომრე ნიშნები, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან. დაგეგმილი ცვლილების შესახებ უფრო დეტალურად „პრაიმტაიმი“ შსს-ს მომსახურების სააგენტოს დირექტორს, ნინო კობახიძეს ესაუბრა:

– 2013 წლის დეკემბრიდან მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდები ავტომატური გადამცემი კოლოფის მქონე ავტომობილებზე ჩაბარონ. ეს შესაძლებლობა ევროპის ყველა ქვეყანაში არსებობს და ჩვენც ზუსტად იგივე პრინციპს ვნერგავთ. იმ პირებს, რომლებსაც უკვე აქვთ „ბ“ კატეგორიის მართვის მოწმობა, შეუძლიათ ჩვეულებრივ მართონ როგორც მექანიკური, ისე ავტომატური გადამცემი კოლოფის მქონე ავტომობილები, ხოლო მათ, ვისაც ჯერ არ აუღია მართვის მოწმობა და გადაწყვეტილი აქვს მხოლოდ ავტომატური მართვის გადამცემი კოლოფის მქონე მანქანა მართოს, შესაძლებლობა ექნება, პრაქტიკული გამოცდა ამავე კატეგორიის ავტომობილზე ჩააბაროს.

– და მათ არ ექნებათ უფლება, მართონ ე.წ. მექანიკა?

– დიახ, ისინი მიიღებენ შესაბამის კოდს, რომელიც იძლევა მხოლოდ ე.წ. ავტომატიკის მართვის უფლებას. იმ შემთხვევაში, თუ ამ პირს მოუწია მექანიკური მართვის გადამცემი კოლოფის მქონე ავტომობილზე დაჯდომა, მაშინ ეს იქნება დარღვევა და შესაბამისად დაექვემდებარება დაჯარიმებას.

– გამოდის, მოგიწევთ ავტოპარკის განახლება და საგამოცდოდ ე.წ. „ავტომატიკების“ შემოყვანა...

– დიახ, გამოცდებისთვის აქამდე მხოლოდ მექანიკური მართვის გადამცემი კოლოფის მქონე ავტომანქანები გვყავდა. ცხადია, ამ სიახლის შემდეგ დაემატება ავტომატური მართვის მქონე მანქანებიც. ჩვენ გამოვაცხადეთ ტენდერი და მალე გაირკვევა, რომელმა კომპანიამ გაიმარჯვა. აქტიურად ვთანამშრომლობთ ჩვენს პარტნიორ კორეულ მხარესთან, ვინაიდან მათ მიერაა აღჭურვილი სენსორული სისტემა, რომლითაც ხდება ქულების მინიჭება. ამ პროცესს დასჭირდება სადღაც თვე-ნახევარი და დეკემბრიდან ჩვენ უკვე გვექნება ამ სიახლის დანერგვის სრული შესაძლებლობა.

– ანუ ეს არის მხოლოდ ახალი სტანდარტის შემოღება და არა გამოცდის გამარტივება?

– გამარტივებას ვერ დავარქმევდი, რადგან არიან ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში არ მართავენ ე.წ. მექანიკას, გამარტივებაზე მეტად ეს არის უფრო არსებული რეალობის დანახვა და შესაბამისობაში მოყვანა. ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი, რომ ევროკავშირის დირექტივა დავაკმაყოფილოთ საგზაო მოძრაობის წესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ჩვენ ასევე ვგეგმავთ, მართვის მოწმობის გამოცდის ქუჩაში გატანის პროექტის დანერგვას. ანუ ამ სიახლის შემდეგ, სხვაგან, ქუჩაშიც გახდება შესაძლებელი გამოცდის ჩაბარება. ამჟამად ეს ხდება მხოლოდ ჩვენთან, სპეციალურად მოწყობილ ტერიტორიაზე და შეიძლება ითქვას, რომ ეს არეალი გაფართოვდება.

– კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც გაჟღერდა, ეხება მართვის მოწმობაზე სისხლის ჯგუფის შესახებ ინფორმაციის დატანას... რატომ გახდა ეს საჭირო?

– ეს არის აბსოლუტურად ნებაყოფლობითი. მოსახლეობის ძალიან დიდმა ნაწილმა არ იცის საკუთარი სისხლის ჯგუფისა და რეზუსის შესახებ ინფორმაცია. არის კრიტიკული სიტუაციები, მათ შორის ავტოსაგზაო შემთხვევების დროს, როდესაც ამ ინფორმაციის სასწრაფოდ დადგენაა აუცილებელი. ამიტომ გვინდა, რისკები მაქსიმალურად შევამციროთ და ადამიანებს მივცეთ საშუალება, დეხმარონ საკუთარ თავს და სხვებს, თუ სისხლის დონაცია გახდა საჭირო სხვადასხვა კრიტიკულ სიტუაციაში. მათ შეუძლიათ, ჩვენთან მოიტანონ ნებისმიერი სამედიცინო უწყების ცნობა, სადაც მითითებული იქნება ეს ინფორმაცია და ჩვენ უზრუნველვყოფთ ამ ინფორმაციის დატანას მართვის მოწმობაზე, თუ ასეთი ცნობა არ გააჩნიათ, ასევე ვთავაზობთ, რომ შესაბამისი პროცედურები ჩვენთან, ადგილზე გაიარონ. ამ მიზნით ჩვენ უკვე დავიწყეთ სისხლის ბანკთან თანამშრომლობა და სპეციალური ლაბორატორია განთავსდება მომსახურების სააგენტოში. ამას აქვს ერთგვარად საქველმოქმედო მიზნებიც, იმ შემთხვევაში, თუ პირი გასცემს სისხლს, რომელიც მოხმარდება ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, მას უფასოდ ჩაუტარდება საკმაოდ ძვირადღირებული გამოკვლევები, მათ შორის ისეთ დაავადებებზე, როგორიცაა შიდსი, სიფილისი, ჰეპატიტი და ა.შ. ეს მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ ხალხს გავუჩენთ სამოქალაქო პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, ვიწყებთ კიდევ ერთ პროექტს. ჩვენ მთლიანად გადავდივართ ელექტრონულ მომსახურებაზე, მაგალითად, თუ პირი ცხოვრობს საზღვარგარეთ და სურს დაკარგული, ან დაზიანებული მართვის მოწმობის აღდგენა, შეეძლება დარეგისტრირდეს ჩვენს საიტზე, გააკეთოს განაცხადი და მისთვის სასურველი ფოსტით მიიღებს უკვე აღდგენილ დოკუმენტს. ძალიან დიდი ინტერესი იყო ამ მხრივ. გარდა ამისა, ამ საიტზე მათ შეეძლებათ იხილონ, რა ავტომობილი, ან იარაღია დარეგისტრირებული მათზე და სხვა სახის საინტერესო ინფორმაცია.

– მედიაში უკვე გავრცელდა ახალი სანომრე ნიშნების დიზაინი. როდიდან გამოვა ხმარებაში ახალი სანომრე ნიშნები და იქნება თუ არა შეცვლა სავალდებულო?

– ახალი სანომრე ნიშნების დიზაინი სრულიად აკმაყოფილებს ევროსტანდარტებს, ეს ძალიან ჰგავს ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედ სანომრე ნიშნებს იმ განსხვავებით, რომ ევროკავშირის ქვეყნებში დატანილია ლურჯი ხაზი, ჩვენთან კი იქნება ნითელი, თუმცა იმედი მაქვს, რომ ჩვენთანაც მალე გალურჯდება. ეს არის ოთხი ასო და სამი ციფრისგან შემდგარი სანომრე ნიშანი, არის ზუსტად ისეთივე თანამედროვე შრიფტი, როგორიცაა ევროკავშირში. შეცვლა არ იქნება სავალდებულო, თუმცა ახალი ნომრები უკვე ამ დიზაინით გაიცემა. ეს სანომრე ნიშნები, სავარაუდოდ, იანვრიდან ჩაეშვება.



ინტერვიუ მომსახურების სააგენტოს დირექტორთან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„რთველი 2013-ის“ შემაჯამ

თორნიკე ყაჯრიშვილი

„რთველი 2013“ წარმატებით დასრულდა. 16 ოქტომბერს, „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ ხელმძღვანელმა, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის მინისტრებთან ერთად, კახელ გლეხებთან, ღვინის მწარმოებლებთან და ექსპერტებთან შემაჯამებელი შეხვედრა გამართა. შალვა ფიფია და გიორგი კვირიკაშვილი სოფელ შილდას მოსახლეობას შეხვდნენ. შეხვედრაზე მინისტრებმა რთველის მიმდინარეობის პროცესი განიხილეს და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით დაგეგმილ პროექტებზე ისაბურეს.

რა გეგმა აქვს მთავრობას მომავალი წლისთვის

რა პრობლემების მოგვარება სთხოვეს კახელებმა მინისტრებს და როგორია მევენახეების მოლოდინი მომავალი წლისთვის? „პრამტაიმი“ სოფელ შილდას სტუმრობდა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება, სარწყავი სისტემისა და სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების რეაბილიტაცია – ეს სწორედ ის საკითხებია, რომელზეც კახელმა გლეხებმა მინისტრებთან ისაუბრეს. სანერგეების არარსებობის თაობაზე, შილდის ერთ-ერთი მკვიდრი მთავრობის პოზიციით დაინტერესდა.



მერაბ ცისკარიშვილი, სოფელ შილდას მკვიდრი: „მე მინისტრს სანერგეების ამოქმედებაზე ვკითხე. პასუხი დამაკმაყოფილებელი და იმედიანი იყო. ახალი ვენახების გასაშენებლად საჭიროა, ნერგები, რომელიც დღეს დეფიციტია. ფიზიკურად არ არსებობს სანერგეები. კი, გამოჰყავთ ნერგები ერთელულ კერძო პირებს, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით, რაც არასაკმარისია. ამაზე უნდა იზრუნოს მთავრობამ, უნდა შექმნას სანერგეები, რომელიც გამოიყვანს ნერგებს და ხელმისაწვდომ ფასებში მიჰყიდის გლეხობას. იმედი გვაქვს, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდება. გლეხკაცს მხოლოდ ფიზიკური შრომის ჩადება შეუძლია ვენახში. ამ ყველაფერს კი მთავრობის მხრიდან ხელშეწყობა უნდა. თუ მთავრობისგან იქნება ხელშეწყობა, რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად იქნება და კახელ გლეხს აღარ გაუჭირდება. პერსპექტივას ვხედავთ, ამ ეტაპზე ყველაფერი წინ მიდის. არის დაპირებები, რომელსაც მგონია, რომ ახალი მთავრობა შეასრულებს“.

„როცა სარწყავი სისტემა აღდგება და სეტყვისაც აღარ შეგვეშინდება, მოსავალის რაოდენობა გაცილებით გაიზრდება“

თამაზ ზურაბიშვილი, სოფელ შილდას მკვიდრი: „ადრე მინისტრები კაბინეტებში რომ ისხდნენ და საერთოდ არ აინტერესებდათ ჩვენთან შეხვედრა, ეს იყო კარგი? მოხარულები ვართ, რომ ეს ასე აღარ არის და ეს მთავრობა პირადად მოსახლეობისგან იგებს რა გვიჭირს, რაში გვინდა სახელმწიფოს დახმარება. ჩვენ უშუალოდ მათგან უნდა მოვისმინოთ რა ხდება ამ დარგში, რის გაკეთებას აპირებენ და რას უნდა ველოდოთ მომავალ წელს. მე პირადად, არსებული სარწყავი სისტემების შეკეთებაზე ვესაუბრე და დაგვპირდა ბატონი შალვა, რომ მისი რეაბილიტაცია მოხდება.

– ამ ზონაში წყლის საკმარისი მარაგია?

– კი, ნამდვილად საკმარისია წყლის მარაგი, რომელიც ამ ზონას სრულად ეყოფა.

– სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის გარდა კიდევ რა პრობლემები გაქვთ რა დაპირება მიიღეთ მინისტრისგან?

– აი, შვილო, ზუსტად ამ ტერიტორიაზე არსებობდა სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარი. ის შენობა დაანგრიეს და გაატიალეს. მის რეაბილიტაციასაც შეგვპირდა. როცა სარწყავი სისტემა აღდგება და სეტყვისაც აღარ შეგვეშინდება, მოსავლის რაოდენობა გაცილებით გაიზრდება.

როგორც კახელი მევენახეები ამბობენ, ამ დარგში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ინფორმაციის ნაკლებობაა. მინისტრის განცხადებით, დაიბეჭდება სპეციალური საინფორმაციო სახის ბუკლეტები, რომელიც სოფლის მეურნეობის დარგში არსებულ ყველა სახის ინფორმაციას მოიცავს. შალვა ფიფიამ ისიც აღნიშნა, რომ სამინისტრო მნიშვნელოვანი თანხების დახარჯვას აპირებს სარწყავი სისტემების რეაბილიტაციისთვის.

შალვა ფიფია, სოფლის მეურნეობის მინისტრი: – 2012 წლის ნოემბრიდან სოფლის მეურნეობა საქართველოს მთავრობის რეალური პრიორიტეტი გახდა. ახალი მთავრობის მხრიდან სოფლის მეურნეობის დახმარება, სწორი მექანიზმის შექმნისკენ არის მიმართული და მიზნად ისახავს გლეხი გახდეს კონკურენტუნარიანი, ხოლო წარმოების პროცესი - თანამედროვე. ჩვენ მიერ გადაგმული ნაბიჯების შედეგად თანაბარ პირობებში ჩადგნენ დიდი და მცირე ფერმერები. აღარ მომხდარა დიფერენცირება მცირე და დიდი ნაკვეთებიდან მიღებულ ყურძენზე. სწორად განისაზღვრა დიფერენცირებული სუბსიდია რქაწითელზე, კახურ მწვანეზე და საფერავზე. სახელმწიფომ მეწარმეებს მისცა საშუალება გაეფართოებინათ საკუთარი წარმოება და, შესაბამისად, მეტი ყურძენი ჩაებარებინათ გლეხებისაგან. ჩვენ ვიმყოფებოდით სოფელ შილდაში, სადაც შევხდით მოსახლეობას. საუბარი იყო რთველზე და ასევე იმ სხვა პრობლემებზე, რომლებიც მათ აწუხებთ. მოხარული ვარ, რომ მათი შეფასება წელს ჩატარებული რთველისა იყო მაღალი. ისინი კმაყოფილები არიან მთლიანად პროცესითა და მათ მიერ დაბინავებული ჭირნახულის სანაცვლოდ მიღებული შემოსავლით. თქვენ იცით, რომ წელს ყურძნის უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა იქნა ჩაბარებული, დაახლოებით 92 ათასი ტონა მთელი ქვეყნის მასშტაბით. 84 კომპანია იბარებდა ყურძენს საკმაოდ კარგ ფასში. ასევე იყო საუბარი სხვა პრობლემებზეც, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინიციატივაზე, რაზეც კანონი უკვე მიღებულია, სულ რამდენიმე დღის წინ შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სააგენტო. მე ფერმერებს დავპირდი, რომ უახლოეს მომავალში დეტალურ ინფორმაციას მიიღებენ, თუ რა უპირატესობები აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და როგორ შეუძლიათ მათ ეს კოოპერატივი შექმნან.

– ასევე იყო საუბარი სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარებისა და სარწყავი სისტემების რეაბილიტაციაზე...

– სეტყვის საწინააღმდეგო სისტემებზე თავდაცვის სამინისტრო ძალიან აქტიურად მუშაობს და ჩვენც ჩართულები ვართ ამ პროცესში, სხვა რამდენიმე სამინისტროსთან ერთად. მომავალი წლიდან ეს პრობლემა დარეგულირდება. რაც შეეხება სარწყავ სისტემებს, ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი გეგმები. წლის ბოლომდე შესაძლებელი იქნება სამჯერ მეტი ფართობის გასარწყავიანება და ასეთივე ტიპის რეაბილიტაციის სამუშაოები გაგრძელდება მომავალ წელსაც.

– სეტყვის საწინააღმდეგო სარაკეტო დანადგარები, ძირითადად, ალბათ, კახეთში იქნება განთავსებული?

– სეტყვის პრობლემა ძირითადად კახეთში დგას და, რა თქმა უნდა, აქ იქნება განთავსებული. ეს, თავისთავად, ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული და უზრუნველყოფილი, რომ სეტყვის შემთხვევაში მოხდეს მისი თავიდან აცილება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან, კახელებმა ახალი ვენახის განაშენიანების საკითხზე და შეღავათიანი სესხების აუცილებლობაზე ისაუბრეს, რაზეც გიორგი კვირიკაშვილმა დახმარება აღუთქვა.

გიორგი კვირიკაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე პრემიერი: „სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად შევხვდით მწარმოებლებს და მევენახეებს. შევაჯამეთ წლევანდელი რთველი, რამაც ვფიქრობთ, რომ ძალიან წარმატებით ჩაიარა. საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაახლოებით 17 ათასამდე ოჯახმა მიიღო საერთო ჯამში 100 მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი. ეს არის ძალიან სერიოზული შეღავათი და შვება ამ ადამიანებისთვის. ყველაზე მთავარი ის არის, რომ კახელი გლეხი მიუბრუნდა მევენახეობას და ამ შეხვედრაზე მათი მხრიდან, ყველაზე მეტი კითხვა, სწორედ ვენახის გაშენებაზე დაისვა. ვფიქრობ, რომ ეს უკვე დადებითი სიგნალია. უპრეცედენტოდ დიდი სამუშაოები ჩატარა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ვფიქრობ, რომ ეს იყო ძალიან წარმატებული წელი. წელს სახელმწიფო საწარმოების დაფინანსება გაცილებით უფრო ნაკლები იყო. მთლიანად კერძო სექტორზე იქნა აღებული აქცენტი. შარშან სახელმწიფო საწარმოებმა მოსავლის 65 % გადაამუშავა, წელს ეს მაჩვენებელი 17%-მდეა. მწარმოებლები გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ ამუშავდეს წინასწარი დაფინანსების სქემები, რომლითაც გაკონტროლდება მთელი პროცესი და მოხდება ხარისხიანი შხამქიმიკატების მიწოდებაც. ძალიან მნიშვნელოვანია კერძო მწარმოებლის როლი ამ სფეროში. სახელმწიფო აქ ერევა მხოლოდ იმ დოზით და იმ მიმართულებით,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ებელი შეხვედრა ყვარელში

უპრეცედენტო ნელი კაცთაში

შალვა ფიფია: „წელს ყურძნის უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა იქნა ჩაბარებული, დაახლოებით 92 ათასი ტონა მთელი ქვეყნის მასშტაბით“

„რთველი 2013“ მეწარმეებმაც დადებითად შეაფასეს და მთავრობას მადლობა გადაუხადეს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისთვის გადადგმული ნაბიჯებისთვის.

ზურა მარგველაშვილი, კომპანია „თბილღვინის“ აღმასრულებელი დირექტორი:

– დიალოგის ფორმატი, რომელიც კერძო მეწარმეებსა და მინისტრებს შორის გაიმართა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს დიალოგი, ღვინის კომპანიებმა ასოციაცია „ქართულმა ღვინომ“, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მთავრობასთან, რამდენიმე თვით ადრე დავიწყეთ, ვიდრე რთველი დაიწყებოდა. შესაბამისად, იყო საკმაოდ მუშა რეჟიმი, მე ვერ ვიტყვი, რომ ყველა საკითხზე თავიდანვე მოხდა, ასე ვთქვათ, პოზიციების შეჯერება, მაგრამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის და არგუმენტების გაზიარების შემდგომ მოხდა ყველაზე უპრობლემო რთველის ჩატარება, როგორც სახელმწიფოსთვის, ისე მევენახეებისთვის და ღვინის კომპანიებისთვის, თუ არ ჩავთვლით ფასის საკმაოდ მაღალ ზრდას. ფასის ზრდის გარდა, პრაქტიკულად მნიშვნელოვანი სირთულე რთველს არ ჰქონია და ვფიქრობ, ეს იმის დამსახურებაა, რომ ღვინის კომპანიები და მთავრობა იმყოფებოდნენ დიალოგის რეჟიმში. ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდა თანამშრომლობის გაგრძელების მზაობა და ვფიქრობ, რომ წლიდან წლამდე ქართული მეღვინეობა კიდევ უფრო გაძლიერდება. უნდა აღინიშნოს, რომ წელს სახელმწიფომ, ფინანსურად, ორი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ეს იყო შეღავათიანი სესხი, რომლიდანაც 12% ფინანსდებოდა სახელმწიფოს მხრიდან და ეს იყო მეორე სესხი, რომელიც რთველის პერიოდში გაიცემოდა ლარში, რომლის დაფინანსებას სახელმწიფო 9%-ის ოდენობით ახდენდა. ეს არის პირდაპირი ინვესტიცია ქართული მეღვინეობასა და მევენახეობაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და იმედია, რომ მომავალ წელსაც გაგრძელდება.

– როგორ შეაფასებდით წლევანდელ რთველს და როგორია თქვენი საწარმოს სამომავლო გეგმები?

– წლევანდელი რთველი იყო ერთ-ერთი ყველაზე სანიმუშო, დარგის და მთავრობის თანამშრომლობისა. ჩვენი კომპანიის შემთხვევაში, რუსეთის ბაზრის გარეშე უკვე ორნახევარჯერ უფრო მეტ ღვინოს ვყიდით, ვიდრე ემბარგომდე რუსეთში. რა თქმა უნდა, რუსეთის ბაზრის გახსნა ჩვენ გაყიდვებს კიდევ უფრო გაზრდის და ის შეღავათიანი, 600 ათას დოლარიანი სესხი, რომელიც სახელმწიფომ, ასე ვთქვათ, 12 %-ით დაგვიფინანსა; ჩვენმა კომპანიამ ახალი დანადგარები და ცისტერნები შეიძინა, რამაც კიდევ უფრო მეტი საშუალება მოგვცა ღვინის წარმოებისა.

თინა კეზელი, ასოციაცია „ქართული ღვინის“ დირექტორი: „წარმატებული რთველი იმის შედეგია, რომ ასეთი შეხვედრები ძალიან გახშირდა. მოსამზადებელ ეტაპზეც ხშირი იყო ასეთი ღია შეხვედრები. დარგს აქვს საშუალება, რომ გამოთქვას აზრი და ხდება ერთობლივად გადაწყვეტილებების მიღება, რაც აქამდე არ ყოფილა. ყველა კომპანიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ რთველმა წელს წარმატებით ჩაიარა. ასეთ რეჟიმში ჩატარებული შეხვედრები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დარგის განვითარებისთვის ერთობლივი ნაბიჯები გადაიდგას და დავგეგმოთ ის, რაც შემდეგ წლებშია ჩასატარებელი. იმდენად მზარდია დარგი, რომ თუ არ მოხდა ახალი ვენახების გაშენება და დარგის გაძლიერება, შეიძლება მიწოდების პრობლემა შეგვექმნას, არა თუ რეალიზაციის“.

მთავარი შედეგი, რომელზეც სახელმწიფო იყო ორიენტირებული, მიღწეულია. წლევანდელი რთველის მიმდინარეობის პროცესში სახელმწფო აღარ იყო მთავარი მოთამაშე და კერძო სექტორის კონკურენტი. სახელმწიფომ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ხელშეწყობისთვის სუბსიდიის პროგრამა სრულიად ახალი მიდგომით განახორციელა. პროგრამაში მეწარმეები ნებაყოფლობით ჩაერთვნენ, ანაზღაურება კი, ვაუჩერის გარეშე, პირდაპირი გადახდის გზით განხორციელდა. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული შეღავათიანი აგროსესხების პროგრამას სპეციალურად „რთველი 2013“-სთვის დაემატა მეხუთე კომპონენტი - შეღავათიანი სესხი ღვინის მწარმოებლებისთვის. დღევანდელი მდგომარობით, საწარმოებზე უკვე დამატებით გაიცა ჯამურად 43 688 024 ლარის ოდენობის 38 შეღავათიანი სესხი. რთველი დაიწყო მხოლოდ კონდიციური, დამწიფებული, ხარისხიანი ყურძნის დაკრეფიდან. რთველის მიმდინარეობის პროცესში შსს ჩართულობა განისაზღვრა მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისა და ადგილზე სიტუაციის კონტროლით. არ მომხდარა სახელმწიფოს ზეწოლა ფასის განსაზღვრაზე - მეწარმე თავისუფალი იყო არჩევანში. ასევე არ მოხდა კომპანიებისთვის მისაღები ყურძნის რაოდენობების დაწესება, დიდი ვენახებიდან ყურძნის ჩაბარების აკრძალვა, კონკურენცია და ნედლეულის ხელოვნურად შემცირება სპეციფიკურ ზონებში.

კახელი გლეხები და ღვინის მწარმოებლები, პრემიერ ბიძინა ივანიშვილს მადლობას უხდიან და იმედი აქვთ, რომ დარგის ხელშეწყობა მომავალშიც გაგრძელდება.

გიორგი კვირიკაშვილი: „დაახლოებით 17 ათასამდე ოჯახმა მიიღო საერთო ჯამში 100 მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი. ეს არის ძალიან სერიოზული შეღავათი და შვება ამ ადამიანებისთვის. ყველაზე მთავარი ის არის, რომ კახელი გლეხი მიუბრუნდა მევენახეობას“

ლევან დავითაშვილი, „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ ხელმძღვანელი: „ჩვენი შეხვედრის მთავარი მიზანი ის იყო, რომ მოგვესმინა მწარმოებლებისგან რთველის შეფასება. ჩვენ შევხვდით მევენახეებს, ასევე ღვინის მწარმოებელ კომპანიებს და მათი აზრი უნდა გავითვალისწინოთ. მხოლოდ რამდენიმე პრინციპული განსხვავება იყო. მათ შორის ის, რომ სახელმწიფო არ უნდა ყოფილიყო კერძო სექტორის კონკურენტი, რაც ნამდვილად არ ყოფილა. სახელმწიფო დახმარების და სწორი ფორმის სუბსიდირების მექანიზმი იყო ძალიან ახლებური და ეფექტური. ხელშეწყობა იყო იაფ კრედიტზე და ხელისწვდომა ჰქონდათ ღვინის კომპანიებს. შესაბამისად, კერძო სექტორის მხრიდან მოთხოვნა მაქსიმალურად გაიზარდა და სახელმწიფოს მინიმალური რაოდენობის ყურძნის შეძენა მოუწია. ეს იყო ძირითადი პრინციპები, რომელზეც დაფუძნებული იყო 2013 წლის რთველის ორგანიზებულება“.

შემაჯამებელი შეხვედრის ფარგლებში, მინისტრები შალოშვილის ღვინის მარანასაც სტუმრობდნენ.

ალექსი შალოშვილი, კომპანია „შალოშვილის მარანის“ დამფუძნებელი: ,, მინდა მადლობა გადავუხადო მინისტრებს ჩემს მარანში მობრძანებისთვის. ვფიქრობ, რომ ავიღო აგროკრედიტი, რადგან აქამდე, რაც შევძელი, ჩემი ძალებით გავაკეთე, ახლა მთავრობა გვეხმარება დაბალპროცენტიანი სესხით და გავაგრძელებ ახალი დანადგარების შეძენას, რათა სრული ციკლი მოხდეს და ჩემმა ქარხანამ ბოთლის ღვინო ჩამოასხას გასაყიდად. დახმარებას დამპირდნენ, ახლა მთავარია, ჩვენი მონადინება“.

დღის ბოლოს ყვარელში, კერძო მეწარმეებთან და ექსპერტებთან მინისტრებმა შემაჯამებელი შეხვედრა გამართეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალი დილა - საზოგადოებრივ მაუწყებელზე

საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს დილის ახალ პროგრამას სთავაზობს. დღეიდან, ყოველ დილით, რვის ნახევრიდან დილის გადაცემა მაყურებლისთვის უკვე კარგად ნაცნობ წამყვანებთან და ახალ სახეებთან ერთად განახლებული ფორმატით გავა ეთერში.

რეზო ჭიჭინაძე (პროდიუსერი): „დილის გადაცემა ორშაბათიდან გავა ეთერში, დილის რვის ნახევრიდან თერთმეტის ნახევრამდე. დილის გადაცემის წამყვანებს კიდევ ორი ახალი წამყვანი დაემატა. ახალი წამყვანები არიან ნოდარ ჩაჩუა და მარიამ ბარათაშვილი. ერთ-ერთი მათგანი აქტიურად სოციალურ თემებს გააშუქებს. ეს მოიცავს სოციალურ ქსელებში აქტივობას. საზოგადოებრივი მაუწყებლის შესასვლელში პატარა ჯიხური დგას - თქვი.გე. ეს ის ადგილია, სადაც ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა თქვას თავის სათქმელი და გასაჭირი. დილის გადაცემაში აქტიურად გაშუქდება ასევე თქვი.გეს ჩანაწერები. შეიძლება გავრცელდეს, როგორც სიუჟეტის სახით, ან მხოლოდ ჩანაწერი. ეს ვიდეოები ძირითადად სოციალური თემატიკით გამოირჩევა და ჩვენც შეძლებისდაგვარად შევეცდებით, რომ მათი დახმარება შევძლოთ.

ამავდროულად ჩვენ გვექნება ყოველდღიური რუბრიკები და ამ რუბრიკებით მაყურებელი სხვადასხვა რჩევებს მიიღებს. მაგალითად, ერთი რუბრიკა იქნება ავტო-მოტო, დიზაინზე და ა.შ.

დილის გადაცემაში გვექნება ასევე ძალიან ლამაზი სცენა, სადაც დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრი საინტერესო და კარგი სიმღერის პრემიერა შედგება.

- როგორც ვიცით სიახლეებია ასევე შუადღის ეთერშიც.

- როგორც უკვე აღვნიშნე, დილის გადაცემა დამთავრდება თერთმეტის ნახევარზე, რის შემდეგაც უკვე შუადღის გადაცემა „პროგრამა დღეს“ დაიწყება.

- ვინ იქნებიან გადაცემის წამყვანები?

- გადაცემას წაიყვანენ „სამოთხის ვაშლების“ გადაცემის წამყვანები, ამ გადაცემას წაიყვანს ასევე გიორგი ჩხეიძე, ლადო ტატიშვილი და მარი მალაზონია. სამი პროექტის გაერთიანება მოხდა, ეს პროექტებია „სამოთხის ვაშლები“, „პირადი ექიმი“, რომელიც მარი მალაზონიას მიყავდა და „დღეს ორის ნახევარზე“ და იქნება ერთიანი გადაცემა. დაიწყება თერთმეტის ნახევარზე და დასრულდება დღის ორ საათზე. დღის გადაცემას ეყოლება ბენდი, სადაც ცოცხალი მუსიკა შესრულდება.

- რითი იქნება განსხვავებული სხვა გადაცემებისგან?

- რაც შეეხება დილას, ჩვენ ძირითად აქცენტებს ვაკეთებთ სოციალურ თემატიკაზე. იმ თემებზე, რომელიც აწუხებს ქართულ საზოგადოებას. რაც შეეხება დღის გადაცემას, აწყობილი იქნება ქრონოლოგიურად, თუ რა მოხდა გუშინ, რა ხდება დღეს და რა იქნება ხვალ. ანუ წამყვანები გააანალიზებენ რაც ხდებოდა გუშინ და ეს არ იქნება მხოლოდ გასართობი თემები.

თქვენ იცით, რომ მარი მალაზონიას პროექტი ძალიან რეიტინგული იყო და ეს პროექტი ასევე არის ჩართული შუადღის გადაცემაში. დიდი იმედი მაქვს, რომ ისეთივე წარმატებული შოუ იქნება, როგორიც იყო აქამდე „სამოთხის ვაშლები“.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნაციონალების“ წარმომადგენელი აზერბაიჯანში არ შეუშვეს?

დიანა ვართანოვა:

„ინფორმაცია, რომ თითქოს აზერბაიჯანში არ შემიშვეს, სიმართლეს არ შეესაბამება. მე, არც კი მიცდია წასვლა, თორემ ზუსტად ვიცი, რომ არანაირი პრობლემა არ შემექმნებოდა“

ნინო დათაშვილი

„ეს შეგნებულად არის გაკეთებული და პროვოკაციის სუნი უდის“, - ასეთ შეფასებას აძლევს ექსპერტი მამუკა არეშიძე „ნაციონალური მოძრაობის“ იმ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც პარტიამ აზერბაიჯანში საარჩევნო კომისიის წევრად ეროვნებით სომეხი, საქართველოს მოქალაქე დიანა ვართანოვა წარადგინა. ექსპერტი ვარაუდობს, რომ აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის ცნობილი კონფლიქტის გამო, შესაძლოა ბაქოში დიანა ვართანოვას გაგზავნა სერიოზული გამოწვევა იყოს.

„ერთი შეხედვით, ეს თითქოს ტოლერანტული ნაბიჯია, თუმცა აშკარა გამოწვევაა. ეროვნებით სომეხი ქალბატონის ბაქოში გაგზავნამ შესაძლოა სერიოზული პრობლეები შექმნას. ბევრ ჩვენ მოქალაქეს შეექმნა პრობლემა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შესვლისას, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ეროვნებით სომხები იყვნენ. რაღაც პროვოკაციის სუნი უდის ამ ყველაფერს. „ნაციონალურ მოძრაობას“, წესით, კარგად უნდა ესმოდეს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამას. თუ იციან და მაინც მიიღეს ეს გადაწყვეტილება, ცხადია, ეს არის პროვოკაცია“, - ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას მამუკა არეშიძე.

სტატიაზე მუშაობის პროცესში ჩვენ მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ დიანა ვართანოვა აზერბაიჯანში მართლაც არ შეუშვეს. ინფორმაცია „პრაიმტაიმმა“ პირადად გადაამოწმა ქალბატონ დიანასთან, რომელმაც გვითხრა, რომ ბაქოში გამგზავრებას აღარ აპირებს და ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა.

დიანა ვართანოვა, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი:

- ინფორმაცია, რომ თითქოს არ შემიშვეს აზერბაიჯანში, სიმართლეს არ შეესაბამება. მე არც კი მიცდია წასვლა, თორემ ზუსტად ვიცი, რომ არანაირი პრობლემა არ შემექმნებოდა.

- მაშინ იქნებ განმარტოთ, რატომ აღარ მიდიხართ აზერბაიჯანში?

- საერთოდ, გადაწყვეტილი იყო, რომ ბაქოში უნდა ვყოფილიყავი საარჩევნო კომისიის წევრი, მაგრამ აღარ მივდივარ.

- ეს თქვენი პირადი გადაწყვეტილებაა?

- დიახ, მე გადავწყვიტე ასე. ავად გავხდი და ვერ ვახერხებ წასვლას. ალბათ, სხვა ფაქტორებმაც იმოქმედა. თავიდან ასე გადაწყდა, რომ უნდა ვყოფილიყავი წარმომადგენელი, სიმართლე გითხრათ, ყურადღება არც კი მიგვიქცევია, რომ ჩემს იქ ჩასვლას შესაძლოა რაიმე პრობლემები გამოეწვია. ამიტომ მე თვითონ ვცვლი ამ გადაწყვეტილებას, რადგან მაინცდამაინც სასურველი არ არის.

მალხაზ გულაშვილი: „ბიზნესდაჯილდოების მსგავსად, ინდუსტრიულ ფორუმსაც ტრადიციული სახე მიეცემა“

მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან ტაიმსის“ პრეზიდენტის მალხაზ გულაშვილის ინიციატივით სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ პირველი ინდუსტრიული ფორუმი გამართა.

მალხაზ გულაშვილის განმარტებით, ინდუსტრიული ფორუმი, ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნასა და გაზრდას ეძღვნება:

– მიხეილ სააკაშვილის დროს ეკონომიკა სხვანაირი მეთოდებით ფუნქციონირებდა. ლოკალური და ინფრასტრუქტურული პროექტები და ეკონომიკა არ ფუნქციონირებს. როგორც კი გაჩერდა ინფრასტრუქტურული და ლოკალური პროექტები, ეკონომიკამ დაიწყო ვარდნა.

„ჯორჯიან ტაიმსის“ პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ უკვე არსებულ კომპანიებს ახალი ინდუსტრიული კომპანიები დაემატება. მაგალითად, მეტალურგიის, ცემენტის წარმოების, სასუქის წარმოებისა და სხვა მიმართულებებით, რაც, თავის მხრივ, სამუშაო ადგილებს შექმნის:

– ამით იმპორტ-ექსპორტის ბალანსი ექსპორტის სასარგებლოდ შეიცვლება, ხალხი დასაქმდება და მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკური მოცულობა გაიზრდება. ფორუმის მიმდინარეობის დროს ყველა კომპანიის მიერ გამოთქმული საყვედური ფოთის პორტს ეხებოდა. ფაქტობრივად, ეს არის კომპანია, რომელიც არ ექვემდებარება არანაირ განსჯას. ფოთის პორტს მოუწევს თავისი პოზიციების დათმობა, თუ არ მოუწევს, ჩვენ გვაქვს საინფორმაციო საშუალებების რესურსი, რომ ვაიძულოთ, მეწარმეებთან ისეთ მოლაპარაკებაზე წავიდეს, რომ ეს ყველაფერი განახორციელოს.

ჰოლდინგის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ის ფონდები, რაც ამ ეტაპზეა შექმნილი, ინდუსტრიის განვითარებას ხელს შეუწყობს.

– ყოველწლიური ბიზნესდაჯილდოების მსგავსად, ინდუსტრიულ ფორუმსაც ტრადიციული სახე მიეცემა. დღეს იყო პირველი ფორუმი. შემდეგ ინდუსტრიულ ფორუმს უფრო მრავალფეროვანს ჩავატარებთ. გავითვალისწინებთ იმ უნებლიე შეცდომებს, რომელიც ჩვენიდან გამომდინარე არ დაშვებულა, მაგრამ მაინც მოხდა. შევზღუდავთ ფორმატს, რადგან საკმაოდ რთულია, 5-6 საათის განმავლობაში ბიზნესმენები საკუთარ საქმეს მოწყვიტო“, – განმარტა მალხაზ გულაშვილმა.

ფორუმს ესწრებოდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია. მისი განცხადებით:

– ბიზნესფორუმის გაკეთება საკმაოდ მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია ის, რომ ბიზნესმა გაიგოს სახელმწიფოს მხრიდან მიმდინარე რეფორმების შესახებ, თუ რა კეთდება ხელისუფლების მხრიდან ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად. მეორე მხრივ კი, ბიზნესი აკეთებს პრეზენტაციებს, იმისთვის, რომ მათ ნახონ და იპოვონ საინტერესო პარტნიორები, გააცნონ ფართო აუდიტორიას თავიანთი პროექტები, მიმართულებები, გამოთქვან მოსაზრებები, თუ როგორ წარმოუდგენიათ მათ ბიზნესგარმოს გაუმჯობესება.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანა გრძელვადიანი ინკლუზიური ზრდის უზრუნველყოფაა, რომლის სარგებელი საზოგადოების ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

– ამ მიზნების მისაღწევად ჩვენ ვმუშაობთ ერთიანი დოკუმენტის შექმნაზე, სადაც თავს მოიყრის საქართველოს მთავრობის ხედვები ეკონომიკური განვითარების კუთხით. ასევე, ხედვები მუშაობს სტრატეგიაზე, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების ვექტორს, სამოქმედო გეგმას 2014-2020 წლებისთვის. ამ სტრატეგიაში ჩვენ ფოკუსირებას მოვახდენთ არა ცალკეულ სექტორებზე, არამედ ეკონომიკური ზრდის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირებაზე და ამ ფაქტორების აღმოფხვრისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე.

ფორუმი ტრადიციული იქნება და ის ყოველ წელს გაიმართება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ბურჯანაძე პრეზიდ

ქეთი ხატიაშვილი

ადრე პოლიტიკაში სეზონური პოლიტიკური ბუნტის ტრადიცია იყო – ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე, რაც შეიძლება რადიკალური მოთხოვნით, ოპოზიცია ქუჩაში მიტინგებს მართავდა.

ახლა, როგორც ჩანს, ტრადიცია იცვლება. არჩევნების წინ საშინელი სკანდალების სეზონი იხსნება. წინასაპარლამენტო არჩევნების წინ ეს ცოცხების კადრები იყო, რომელზეც ლადო ბედუკაძემ უკვე არჩევნების შემდეგ განაცხადა, ეს რეალური არ არის, დადგმულიაო. ახლა კუდიანებზე დაიწყო ნადირობა. ელისო კილაძეს მიაწოდეს კუდ-ის ეგრეთწოდებული აგენტების სია, რომლებიც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ ჩანერგილები. არ გამიკვირდება, ამ დოკუმენტების სიყალბეც უკვე არჩევნების შემდეგ დადასტურდეს. დავით საგანელიძემ უკვე შეიტანა პროკურატურაში განცხადება.

ცოცხებიდან კუდიანებზე გადავედით. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, ვახტანგ ხმალაძე აცხადებს, რომ მას ამ „დოკუმენტების“ არ სჯერა. „პრაიმტაიმმა“ ვახტანგ ხმალაძესთან ინტერვიუ ამ და სხვა საკითხებზე ჩაწერა.

– ვერ დავიჯერებ, რომ ზაქრო ქუცნაშვილი კუდ-ის აგენტია...

– საგანელიძის, ჩაფიძისა და არმაზ ახვლედიანის აგენტობა გჯერათ?

– არავისი არ მჯერა. ზაქროზე იმიტომ ვთქვი, რომ დიდი ხანია, ვიცნობ, ვიცი მისი საქმიანობის შესახებ. იქ ნამდვილად არაფერი არ ჩანს, რომ ასეთი რამ თქვა. მე ასე ვიტყოდი, ეს არის „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოდ და მერე ვინ გამოიყენებს... ნაციონალებს ჰყავს თავისი ელექტორატი. სხვა დანარჩენი შეიძლება აქეთ-იქით მოძრაობდეს. მე არ მაქვს იმის განცდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე „ქართული ოცნება“ ხმების იმ რაოდენობას მიიღებს, რამდენიც შარშან იყო. შარშან ვითარება ძალიან პოლარიზებული გახლდათ. წელს, იმის გამო, რომ ხელისუფლების მხრიდან წნეხი მოეშვა, ბუნებრივია, ხმები სხვებთანაც მიდის.

– ეს მხოლოდ წნეხის მოშვება არ არის, ამ პროცესს ლიდერებიც განაპირობებენ.

– დიახ, სულ დიმიტრი გელოვანი რომ ყოფილიყო „ქართული ოცნების“ კანდიდატი, ხმები მაინც ცოტა იქნებოდა. დამისახელეთ ერთ ქვეყანა, სადაც გამარჯვებული პოლიტიკური ძალის რეიტინგი შემდეგ არ ეცემა. ყოველთვის ეცემა. ბრიტანეთში ხშირად პარლამენტი ოთხი წელი ვერ ძლებს, უყურებს პრემიერი, რომ მისი პარტიის რეიტინგი ეცემა და სანამ კრიტიკულ ზღვარსქვემოთ დაეცემა, ნიშნავს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს.

– საპარლამენტო არჩევნების თემა ჩვენთანაც პოპულარულია...

– არაკონსტიტუციურია. თუ საბაბი არ გექნა, ვერ დაითხოვ. პარლამენტს თვითდაშლის უფლება არ აქვს.

– თუ კვორუმი არ დგება, მაინც შენარჩუნდება ოთხი წელი?



„ჩვენ თუ რაიმეს, რაც არ მოგვწონს, არაკანონიერი ქმედებებით ვებრძოლეთ, ეს კარგს არაფერს მოიტანს“

„მე ასე გეტყვით, სანამ საზოგადოებაში მესიის ძებნა არ შეწყდება, მანამდე ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრება ვერ აეწყობა“

EXCL

– დიახ...

– ეს ანტიკრიზისული კონსტიტუცია გამოდის...

– მაგალითად, საპრეზიდენტო მოდელებში პარლამენტის დათხოვნა შეუძლებელია. ვერც წარმომადგენელთა პალატასა და ვერც სენატს ვერ დაითხოვ.

– როგორ ფიქრობთ, თუ ნინო ბურჯანაძე გახდება პრეზიდენტი, პარლამენტს არ დაითხოვს, არ ექნება მცდელობა, რომ შექმნას ხელოვნური პოლიტიკური კრიზისი იმისთვის, რომ პარლამენტი დაითხოვოს?

– მე ამ საკითხს არ განვიხილავ, რადგან ჩემთვის ეს „თუ“, რომელიც თქვენ თქვით, არ არსებობს. ბურჯანაძე პრეზიდენტი ვერ გახდება. ამიტომ ამ საკითხს არ განვიხილავ. იმ ინფორმაციით, რომელიც მე მაქვს, ეს არის გამოკითხვები თუ სხვა, მე ვხედავ, რომ მარგველაშვილის რეიტინგი, სხვებთან შედარებით, დიდია.

– მეორე ტურს გამორიცხავთ?

– არ გამოვრიცხავ, თუმცა ალბათობა ძალიან მცირეა.

– ვინ შეიძლება იყო მეორე ტურში?

– კვლევებში ბურჯანაძესა და ბაქრაძეს შორის დიდი განსხვავება არ არის, ამიტომ შეიძლება ერთმა აჯობოს მეორეს, ან პირიქით. არ მაქვს საკმარისი ინფორმაცია, რომ უფრო მეტი ვთქვა.

– ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, ვინც პრემიერ-მინისტრი გახდება, პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეც ის იქნება. გარკვეულწილად მინიშნება გაკეთდა, რომ ეს არ იქნება მხოლოდ ეკონომიკური პროფილის პოსტი, მას სერიოზული პოლიტიკური დატვირთვაც ექნება...

– იმ მოდელის მიხედვით, რომელიც პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების შემდეგ უნდა ამოქმედდეს, პრემიერ-მინისტრი არის ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი. ასეა ყველა საპარლამენტო რესპუბლიკაში.

– არა, აქცენტი ამაზე იმიტომ გავაკეთე, რომ რაიმე გეთქვათ ივანიშვილის მემკვიდრეზე. საუბარი იყო, მაგალითად, კვირიკაშვილზე, რომელიც უფრო ეკონომიკური პროფილისაა და ასევე, ირაკლი ღარიბაშვილზე, რომელიც პოლიტიკურ ფიგურად ყალიბდება...

– ამაზე იმსჯელეთ ჟურნალისტებმა. მე ჩემი აზრი გითხარით, რომ პრემიერი საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკური ლიდერიც უნდა იყოს. თუ ის არ იქნება პოლიტიკური ლიდერი შეიძლება მთავრობას პარლამენტთან ურთიერთობა გაუჭირდეს. რადგან მთავრობა ხელდასხმულია საპარლამენტო უმრავლესობის მიერ და თუ მთავრობის თავმჯდომარე ამავდროულად ამ პოლიტიკური გუნდის ლიდერიც არ იქნა, შეიძლება ამ ურთიერთობაში არასასურველი წინააღმდეგობები გაჩნდეს რაიმე საკითხის გადაწყვეტისას.

– კოალიციაში ამ თემაზე ჯერ საუბარი არ ყოფილა?

– მე ამაზე არაფერი მსმენია.

– ჩვენ ვხედავთ კოალიციაში ადამიანებს, რომელთათვისაც ევრაზია მიუღებელი არ არის. მაგალითად, „მრენველები“. შეიძლება, რომ ცალკე ფრაქცია შეიქმნას და ორიენტაციის თვალსაზრისით, კოალიციაში ერთმნიშვნელოვანი პოზიცია ჩამოყალიბდეს?

– არ ვიცი. გამიჭირდება ამის თქმა. ასე მკაფიოდ გამოხატულად, რომ ევრაზიულ კავშირს უჭერდეს მხარს რომელიმე ჯგუფი, არ ვიცი.

– ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ბურჯანაძე არჩევნების მეორე დღეს დიდ არეულობას მოაწყობს...

– ეტყობა, მერაბიშვილს ოპერატიულ ინფორმაციას აწვდიან ან მედიუმების საშუალებით იღებს ამ ინფორმაციას. არ მაქვს სურვილი, მის განცხადებებზე კომენტარები ვაკეთო.

– საფრთხეს ვერ ხედავთ? თავის დროზე რუსეთმა ხომ გამოიყენა შიდადაპირისპირება? შექმნა ქაოსი იმისთვის, რომ საქართველო დსთ-ში შეეყვანა. ახლა რუსეთის მხრიდან ბევრ ქვეყანაზე ხორციელდება ზეწოლა, რომ ევრაზიული კავშირი შედგეს, როგორც პროექტი...

– რუსეთს რა სურვილები აქვს, ყველა ვხედავთ, მას სურს, რაც შეიძლება მეტად გააფართოოს გავლენის სივრცე. ამას ცდილობდა, ამას ცდილობს და კიდევ დიდხანს ეცდება. მეორეა ამის დაკავშირება ბურჯანაძესთან ან სხ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ენტი ვერ გახდება“

USIVE

ვა პოლიტიკოსთან. მე ამის არ მჯერა.

– შიდა საყრდენებით არ ცდილობდა ქაოსის შექმნას? რამე სხვა ისტორია გახსოვთ თქვენ?

– ცდილობდა, მაგრამ მოახერხა?

– ბურჯანაძემ დიცში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის შეძლებს, მოელაპარაკოს რუსეთს ისე, რომ რუსეთმა ეს მავთულხლართები აიღოს. რის საფუძველზე კეთდება ხოლმე ასეთი განცხადებები?

– თუ ბურჯანაძეს ასეთი რამის გაკეთება შეუძლია, ამისთვის აუცილებელია, პრეზიდენტი გახდეს? ახლა რატომ არ ცდილობს ამის გაკეთებას? თუ ამაზე მიპასუხებს იმას, რომ პრეზიდენტს ძალაუფლება ექნება, მოდით, გადავშალოთ კონსტიტუცია და ვნახოთ, რა უფლებები ექნება პრეზიდენტს. მას არ ექნება უფლება, მოლაპარაკებები აწარმოოს საერთაშორისო დონეზე, თუ მთავრობას არ შეუთანხმებს საკითხს. შესაბამისად, ის დამოუკიდებლად ვერ იმოქმედებს.

– თუმცა, ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს მთავარი ბერკეტი უჭირავს ხელში – სწორედ მან უნდა წარუდგინოს პარლამენტს პრემიერი...

– პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურად იმ პირს, რომელსაც საპარლამენტო არჩევნებში ყველაზე უკეთესი შედეგის მქონე პარტია წარუდგენს პრეზიდენტს პრემიერმინისტრობის კანდიდატად. ანუ ვინც მას უნდა, მას კი ვერ წარუდგენს, არამედ მას, ვინც ყველაზე უკეთესი შედეგის მქონე პარტიის მიერ არის წარდგენილი პრეზიდენტისთვის.

შეიძლება იყოს ასეთი ვითარება, რომ ერთმა კონკრეტულმა პარტიამ პარლამენტში მოიპოვოს მანდატების 40%, მეორემ – 35%, მესამემ – 30%, მეოთხე-მეხუთემ – ნაკლები. შესაძლოა, ამ მეორე-მესამეზე გასულებმა შექმნან უმრავლესობა და პირველ ადგილზე გასული დარჩეს ოპოზიციაში. კონსტიტუციის იმ ნორმის მიხედვით, პირველ ადგილზე გასული, მაგრამ ოპოზიციაში მყოფი პარტია მიანდის კანდიდატურას პრეზიდენტს და პრეზიდენტი პარლამენტს. პარლამენტი იმას ხომ არ აირჩევს. საბოლოოდ პარლამენტი ირჩევს იმას, ვინც უმრავლესობას უნდა. პრეზიდენტი პარლამენტს ველარ მოახვევს თავის სურვილს. ვინც უმრავლესობას ენდომება, ის გახდება პრემიერ-მინისტრი. როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატი ამბობს, ამას ვიზამ, იმას ვიზამო, სულ მინდა ვკითხო, რომელი კონსტიტუციის საფუძველზე აპირებ ამის გაკეთებას?

– საერთოდ, განვითარების რა ფაზაში გადავდივართ? ფიქრობთ, ქართული საზოგადოება მზად არის, მესიები აღარ ეძებოს?

– მე ასე გეტყვით, სანამ საზოგადოებაში მესიის ძებნა არ შეწყდება, მანამდე ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრება ვერ აეწყობა.

– ეს ფუნქცია ექნება ბიძინა ივანიშვილს, როდესაც სამოქალაქო საზოგადოებაში გადავა?

– ერთი ადამიანი ამ როლის შესრულებას ვერ შეძლებს, თუმცა ადამიანების ერთობა ამის გაკეთებას შეძლებს. საზოგადოება იმდენად რთულია, რომ იქ რაიმეს შეცვლას წლები სჭირდება.

– ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ადგილობრივი არჩევნებისთვის იცვლება კანონმდებლობა.

– ის კონცეფცია, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა და რომელიც კანონპროექტის სახით ჯერ პარლამენტში შემოსული არ არის, თუ ის კონცეფცია გატარდა, ეს იქნება თვითმმართველობის ძალიან სერიოზული რეფორმა. ის, რასაც დღემდე ჰქვია თვითმმართველობა, ძალიან შორს დგას რეალური თვითმმართველობისგან. თვითმმართველობას არ ჰქონდა და არ აქვს შესაძლებლობა, რომ რეალურად მართოს ის პატარა თვითმმართველი ერთეული, რომლის სამართავადაც არის არჩეული. მას არ აქვს საკუთარი ბიუჯეტის ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი წყაროები. ეს რეფორმა ითვალისწინებს, ყველაფერ ამის შეცვლას, რომ შეიქმნას რეალური თვითმმართველობა. თვითმმართველობის არჩევნებამდე, რომელიც გაზაფხულზე უნდა გაიმართოს, სრული რეფორმა ვერ მოესწრება. ამისთვის ადამიანური რესურსი არ არსებობს, იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც იცის, ეს როგორ უნდა გაკეთდეს. ამიტომ ეს იქნება ეტაპობრივი.

– პრინციპის დონეზე რა შეიძლება შეიცვალოს?

– პრინციპის დონეზე არის იმის მიღება, რომ საქართველოში თვითმმართველობის ორი დონე შეიქმნას. დღეს გვაქვს ერთდონიანი თვითმმართველობა. ადრე რომ რაიონები ერქვა და ახლა მუნიციპალიტეტებია. თითოეული თვითმმართველი ერთეული სიდიდე გაცილებით მეტია, ვიდრე ეს საჭიროა თვითმმართველობის განსახორციელებლად. ჩვენ რამდენიმე თვითმმართველობა გვაქვს. მაგალითად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი რომ ავიღოთ. არის კიდევ რამდენიმე პატარა თვითმმართველობა, რომელიც პირველი დონის თვითმმართველობის პრინციპს აკმაყოფილებს. თუმცა ეს გამონაკლისი არ განსაზღვრავს წესს.

აუცილებელია, სამოციოდე თვითმმართველი ერთეულის ნაცვლად ხუთჯერ მეტი თვითმმართველი ერთეული შეიქმნას, რომ თვითმმართველობა მოსახლეობას დაუახლოვდეს. თუმცა იმისთვის, რომ რეალური თვითმმართველობა განხორციელდეს და ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა მინიმუმამდე დავიდეს, საჭიროა შეიქმნას მეორე დონე, დაახლოებით ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, გუბერნატორები. რა ტერიტორიაზეც ვრცელდება მათი უფლებამოსილებები. საწყის ეტაპზე ეს ზედა დონე შერეული იქნება, ანუ არ იქნება წმინდად კლასიკური თვითმმართველი ერთეული, არამედ სახელმწიფოც გარკვეულ მონაწილეობას მიღებს, მანამ სანამ კარგად ჩამოყალიბდება პირველი დონის სისტემა. ერთია, როგორი უნდა იყოს და მეორეა, რამდენად შეგვიძლია ამის გაკეთება. რაღაც თუ გვინდა გავაკეთოთ, უნდა ვისწავლოთ ამის გაკეთება. ამიტომ ეს კონცეფცია ითვალისწინებს იმასაც, რომ დაიწყოს თვითმმართველი ერთეულების მოხელეთა კადრების მომზადება, ანუ შეიქმნას სხვადასხვა სასწავლო პროგრამები. რაც შეიძლება ბევრმა გაიაროს და ისწავლოს, როგორ შეიძლება, მაგალითად, ბიუჯეტის დაგეგმვა...

– რამდენადაც ვიცი, ეს რეფორმა სამას მილიონად შეფასდა. მაშინ ფინანსთა სამინისტროს მხრიდან არაოფიციალურად ითქვა, რომ ამდენი თანხა არ არის ბიუჯეტში, რომ ეს რეფორმა განხორციელდეს.

– იყო მსგავსი შეფასება ფინანსთა სამინისტროს მხრიდან, მაგრამ იყო კონტრშეფასება სხვა სამინისტროს მხრიდან, რომელიც ამბობდა, რომ ამდენი არ დაჯდებოდა ამ რეფორმის განხორციელება. მიუხედავად ამისა, რა დაჯდება ეს, ამის გაკეთება აუცილებელია. ჩვენ არასოდეს გვექნება ქვეყანაში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება თუ ჩვენ თვითმმართველობების შექმნა არ დავიწყეთ. თუ არ დავიწყებთ იმის გაცნობიერებას, რომ ამ ქვეყნის პატრონები ვართ ჩვენ და არა ვინმე მამა-მარჩენალი, რომელმაც უნდა გვაჭამოს, გვასვას, ჩვენ კი მხართეძოზე წამოწოლილები ვიყოთ. ეს ასე არ არის. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ ქვეყნის პატრონები ვართ და ჩვენ გვეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ქვეყანაში ხდება.

– მახსოვს, ყველა, ვინც დღეს უმრავლესობაში ხართ, ოპოზიციაში ყოფნის დროს აქტიურად უჭერდით მხარს მერის არჩევის სქემას მსხვილ ქალაქებში. თბილისის გარდა, მაგალითად, იგივე ქუთაისსა და ბათუმში...

– თუ ეს კონცეფცია მიღებული იქნება, ეს გაკეთდება. ეს კონცეფცია ითვალისწინებს პირველი დონის თვითმმართველობაში როგორც საკრებულოს პირდაპირ არჩევნებს, ასევე გამგებლისა თუ მერის არჩევნებსაც.

– ხელისუფლებაში თქვენი ყოფნის დროსაც შეიძლება შეიქმნას ისეთივე კრიზისები, როგორიც იყო ნაციონალების დროს, მაგალითად, იგივე ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნით ქუჩის აქციების გამართვა, რაც ნინო ბურჯანაძემ უკვე დააანონსა...

– კონსტიტუციით ვადამდელი არჩევნები შესაძლებელია, თუ დაითხოვენ პარლამენტს, პარლამენტის დათხოვნა კი კონსტიტუციითაა შესაძლებელი, სხვა შემთხვევაში ეს არაკონსტიტუციური მოქმედებაა, ანუ ჩვენ თუ რაიმეს, რაც არ მოგწონს, არაკანონიერი ქმედებებით ვებრძოლეთ, ეს კარგს არაფერს მოიტანს. რატომ არ ვარგა სამხედრო გადატრიალებები და რევოლუციები?

– ახალი ხელისუფლება იმდენად ძლიერია, რომ ქუჩის აქციებს ადეკვატურად უპასუხებს, როგორი გადაწყვეტილების მიღებაც არ უნდა დასჭირდეს მას?

– ვფიქრობ, არის. გააჩნია, ქუჩაში რა მოთხოვნებით გამოვლენ.

– შეიძლება ქუჩაში სულ ოცი კაცი გავიდეს. მაგალითად, 26 მაისს დიდი რაოდენობის ხალხი არ იყო. მთავარია, მერე რა მოხდა...

– მოხდა ის, რომ ხელისუფლების მოქმედება იყო არათანაზომადი იმისა, რაც ხდებოდა.

– ჩემთვის ეს არის ორმხრივი მოძრაობა – პასუხისმგებლობა ხელისუფლებისა და ოპოზიციის.

– გეთანხმებით, მაგრამ პასუხისმგებლობა ერთსაც და მეორესაც იმის შესაბამისი უნდა ეკისრებოდეს რა მოქმედებაც არის.

– ჩემთვის 26 მაისი ბურჯანაძის მხრიდან იყო პროვოკაცია...

– მაგრამ ხელისუფლების პასუხისმგებლობა არის ის, რომ თანაზომადად უნდა იმოქმედოს...

– ანუ რაიმე პროვოკაცია რომ დაიგეგმოს, ახალი ხელისუფლება მზად არის, ადეკვატურად იმოქმედოს? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ გამიგია ფრაზები: სუსტები არიან ზოგიერთები, არ აქვთ გამოცდილება და ასე შემდეგ...

– ღმერთმა დაგვიფაროს ისეთი ქმედებისგან, რომ ასეთი კრიზისი გამოიწვიოს. თუმცა თუ გამოიწვია, მოქმედება იქნება ადეკვატური და არა ის, რომ ბუზის მოსაკლავად ტანკი გამოიყვანო და იქიდან ესროლო. ამის გაკეთება არ შეიძლება. ჯერჯერობით რა ექსცესებიც იყო ქუჩაში, პოლიციის მოქმედება იყო ადეკვატური, შეიძლება არასათანადოდ პროფესიულ დონეზე, მაგრამ ძალის გადამეტება ვერავინ წამოუყენა ბრალდებად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„რა მოტივაცია ამოძრავებს იმას, ვი

ანდრო ბარ

„არჩევნებში წარმატების შემთხვევაში ააგორებენ აგრესიის დღემდე გაუგონარ ტალღას, დაიწყებენ მასშტაბურ დაჭერებს, ოპონენტების დაშინებას, სამოქალაქო საზოგადოების ხმის ჩახშობას, მედიაზე აიღებენ ტოტალურ კონტროლს“

ქეთი ხატიაშვილი

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანდრო ბარნოვი „პრაიმტაიმთან“ საარჩევნო მარათონის თავისებურებებზე, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ გეგმებსა და მოსალოდნელ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ანდრო, პირველ რიგში, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, მინდა გკითხოთ იმის შესახებ, რაც დღეს ყველაზე უფრო მეტ ინტერესს იწვევს: რა გეგმები აქვს პრეზიდენტ სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ?

– პრემიერი, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი, მათი უპასუხისმგებლო დეპუტატები და მთავრობის წევრები, რუსეთთან ერთად, ორკესტრირებულ კამპანიას ატარებენ მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ქართული პოლიტიკური სივრციდან განსადევნად და ჩვენი ქვეყნის რუსულ ორბიტაზე დასაბრუნებლად. ვიცი, ბევრს ჰგონია, რომ ივანიშვილი სახელმწიფოს „გაჰუმანურებისთვის“ მოვიდა ხელისუფლებაში, თუმცა, მგონი, უკვე ყველა ხედავს, რომ ეს თავიდან ბოლომდე რუსული პროექტია და რუსეთის გავლენის ქვეშ გვაბრუნებს. რაც უფრო ადრე გააცნობიერებს ამას ჩვენი საზოგადოება, მით უკეთესი ჩვენივე მომავლისთვის. ამიტომ, მიხეილ სააკაშვილის, ისევე როგორც მთელი ჩვენი გუნდის, მიზანიც და ძირითადი გეგმაც ეს იქნება – დავანახოთ საზოგადოებას სიმართლე და არ დავუშვათ საქართველოს რუსეთის მონობის მდგომარეობაში დაბრუნება, დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ამ პრორუსულ კამპანიაში ორი ფიგურაა წინ წამონეული. ერთია რეალურად რუსეთზე მეოცნებე მარგველაშვილი და მეორე – ფულისა და გავლენის მოტრფიალე ბურჯანაძე, რომლისთვისაც სულერთია, ვინ მისცემს გავლენის ბერკეტებს და ამჟამად ამ რესურსს რუსეთში ხედავს.

ივანიშვილის გეგმაა, რომ საპრეზიდენტო მარათონში პირველი და მეორე ადგილები ამ ორს არგუნოს. შემდეგ იტყვიან, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ურეიტინგო პარტიაა და შეეცდებიან, დაითხოვონ პარლამენტი და აირჩიონ ისეთი, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ მცირე დოზით, ან საერთოდ აღარ იქნება წარმოდგენილი. არჩევნებში წარმატების შემთხვევაში აგრესიის დღემდე ააგორებენ გაუგონარ ტალღას, დაიწყებენ მასშტაბურ დაჭერებს, ოპონენტების დაშინებას, სამოქალაქო საზოგადოების ხმის ჩახშობას, მედიაზე აიღებენ ტოტალურ კონტროლს. ამას გააგრძელებენ მანამ, სანამ რუსეთის ორბიტაზე მყარად გადაგვისვრიან, რაც დაახლოებით ერთწლიანი პერსპექტივაა.

თუმცა, კიდევ უფრო რთული რეალობა ამის შემდეგ დაიწყება. ამ დროს საზოგადოება გააცნობიერებს, რომ უბრალოდ კი არ მოატყუეს, არამედ პირდაპირი აზრით ულალატეს, ყელი გამოჭრეს და უფსკრულში მოისროლეს. მაგრამ ამ დროს საქართველოში უკვე დაბრუნებული იქნება კრიმინალების თარეში და პოლიტიკური ოპონირება ფიზიკური უსაფრთხოების რისკების შემცველი გახდება. რუსეთი ღრმად შემოიჭრება საქართველოს საზოგადოებრივ, ბიზნეს და პოლიტიკურ სფეროებში, უზომოდ გამდიდრდებიან ცალკეული კლანები, ქვეყანაში კი სიღატაკე და განუკითხაობა დაისადგურებს, დაბრუნდება კორუფცია, ისევ მომრავლდებიან რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები და დაიწყება სრული ქაოსი, აღმოვჩნდებით ღრმა ჭაობში, საიდან ამოსვლაც უკიდურესად გაგვიჭირდება.

საზოგადოებას უნდა ესმოდეს, რომ ეს არის სპეცოპერაცია არა „ნაციონალური მოძრაობის“, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. რუსეთი ახლა სარგებლობს საერთაშორისო პოლიტიკაში არსებული დაბნეულობით და ცდილობს, საქართველო და კავკასია ქართველების ხელით ჩაიდოს ჯიბეში. ძალიან სამწუხაროა, რომ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ამას ვერ აცნობიერებს ან უპასუხისმგებლოდ ეკიდება საკუთარი ქვეყნის მომავალს.

ასე რომ, როგორც მიხეილ სააკაშვილის, ისე მთლიანად „ნაციონალური მოძრაობის“ ძირითადი მიზანი სწორედ ეს იქნება, რომ ხელი შევუწყოთ საზოგადოების გამოფხიზლებას და, როდესაც ამის დრო მოვა, ხალხთან ერთად, ისევ დავბრუნდეთ ხელისუფლებაში. ჩვენ ვართ გუნდი, რომლისთვისაც დამოუკიდებლობა, თავისუფლება, განვითარება და დემოკრატია რეალური ღირებულებებია და ჩვენი პოლიტიკური არსებობის გამართლებაც სწორედ ეს მიზნებია.

ამიტომ, მიხეილ სააკაშვილიც და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“ აუცილებლად დარჩება პოლიტიკაში და ქვეყნის აღმშენებლობაში ისევ დიდ წვლილს შევიტანთ.

პარტიის მიზნებიც არ შეცვლილა. ესენია ძლიერი ეკონომიკა, ინფრასტრუქტურული განვითარება, ძლიერი შეიარაღებული ძალები, პოლიცია და განათლება. პირადად მე და, სავარაუდოდ, გუნდის ნაწილიც, ასევე, სერიოზულ აქცენტს გავაკეთებთ სოფლის მეურნეობაზე, რეგიონებში პოზიტიური ეკონომიკური დინამიკის შეტანაზე და ტურიზმზე, რადგან მოსახლეობის ნახევარი ჯერაც სოფლად ცხოვრობს და სწორი ურბანიზაცია ძლიერი საშუალო კლასის გარეშე წარმოუდგენელია.

შიდა პოლიტიკური პრიორიტეტების პარალელურად, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ასევე დარჩება რეგიონული უსაფრთხოება და თანამშრომლობა, რადგან ეფექტური საგარეო პოლიტიკის გარეშე ვერ შევძლებთ, აღვასრულოთ „ნაციონალური მოძრაობის“ ძირითადი მიზანი – დავძლიოთ წარსული და განუხრელად დავადგეთ პროგრესის გზას.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას 9-წლიანი მმართველობის კარგზეც და ცუდზეც, ჩვენ ამაყები ვართ მოდერნიზაციით, რაც შევძელით, და ასევე, ვაცნობიერებთ მძიმე პასუხისმგებლობას იმ ჩავარდნების, შეცდომებისა თუ ბოლომდე მიუყვანელი რეფორმების გამო, რაც ასევე რეალობის ნაწილი იყო და რისი პოლიტიკური ფასიც ბოლო არჩევნებზე გადავიხადეთ. თუმცა, საერთო ჯამში, ეს არის ძალიან დიდი გამოცდილება და იმის გარანტიაც, რომ მომავალში ნაკლებ შეცდომას დავუშვებთ.

რაც შეეხება პირადად მიხეილ სააკაშვილს, ერთი წამით გადადონ გაღიზიანებულმა ადამიანებმა სუბიექტური ემოციები და დაუფიქრდნენ, რა მნიშვნელობის, რა ხედვისა და ენერგიის მატარებელი პოლიტიკოსია სააკაშვილი. რამდენი პოლიტიკოსი გეგულებათ მსოფლიოში, რომ დასავლეთის საზოგადოებები ლამის შიდა პოლიტიკის ნაწილად აღიქვამდნენ? ან ასეთი ცნობადობა და ასეთი კონტაქტები ჰქონდეს მთელ მსოფლიოში? ან რუსეთთან და ტოტალიტარიზმთან ბრძოლის ასეთი გამოცდილება ჰქონდეს და ასე ასოცირდებოდეს ამ ბრძოლასთან, როგორც სააკაშვილი? თავი რომ დავანებოთ იმ წარმოუდგენელ განვითარებას, რაც ბოლო დეკადაში საქართველომ ნახა, დაფიქრდნენ ეს ადამიანები, არის თუ არა აუცილებელი, რომ საქართველოს პოლიტიკაში აქტიურად დარჩეს ადამიანი, რომელმაც საქართველო მართლა სახელმწიფოდ აქცია, რომლის დროშაც დღეს ჩვენი სახელმწიფოს დროშაა, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს და დიდ პოლიტიკოსად აღიარებს? და რა მოტივაცია ამოძრავებს მას, ვისაც სააკაშვილის მოშორება უნდა? გასცეს ყველამ პასუხი ამ უმარტივეს კითხვებს და ქვეყანაც დამშვიდდება და ნინ წავა. აგრესია, ტალახის სროლა, ზიზღისა და ტყუილების კულტივირება მხოლოდ აზიანებს საზოგადოებას. უმჯობესია, ხალხი იმაზე დაფიქრდეს, რომ პოლიტიკური ძალების ნაწილი გრძელვადიანი ძალაუფლების მიღებას რუსეთისგან ცდილობენ და არა საზოგადოებისგან, რაც დემოკრატიული განვითარებისა და საზოგადოების ყველანაირი პროგრესის უცვლელი წინაპირობაა.

– საარჩევნო მარათონისადმი პრეტენზიები ადრეც იყო, წინა ხელისუფლების დროს, და ახლაც არის. ამბობენ, რომ ოპოზიციაში მყოფი პარტიები, სხვადასხვა მიზეზების გამო, დისკომფორტს განიცდიან. ისევ არის საუბარი შესაძლო გაყალბებაზე. თუმცა, ადრე ოპოზიციის თითქმის მთელი შემადგენლობა საუბრობდა გაყალბებაზე, დღეს კი მხოლოდ ნინო ბურჯანაძის მხრიდან კეთდება ასეთი განცხადებები. რას ფიქრობთ ამ ტენდენციაზე?

– როგორც გითხარით, ბურჯანაძეზე კარგს ვერაფერს ვფიქრობ. ბურჯანაძე გაგრძელებაა იმ პანიკის, რასაც ადრე მთელი ოპოზიციური სპექტრი ნერგავდა. ეს არ არის პოლიტიკა და არ არის ნორმალური პროცესი, რადგან პირდაპირ აზიანებს საზოგადოებას. არც ადრე და არც დღეს, არასოდეს ყოფილა იმის თქმის საფუძველი, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდება. შესაძლოა, გარკვეული ხარვეზები და უზუსტობები, ხანდახან, ალბათ, გადაცდომებიც, ადრეც იყო და ახლაც დარჩეს, მაგრამ საბოლოოდ არჩევნებმა რეალურად უნდა ასახოს საზოგადოების განწყობა.

ბურჯანაძე ამ შემთხვევაში ივანიშვილს აშანტაჟებს, რადგან არ არის დარწმუნებული, რომ ივანიშვილისთვის მისი სახით მისაღები იქნება პუტინთან ურთიერთობის მოცილე. მთელი კონკურენცია სწორედ ამის ირგვლივ მიმდინარეობს. თავისთავად რა მახინჯ მოვლენასთან გვაქვს საქმე, საზოგადოებამ თავად შეაფასოს.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად მაღალია მეორე ტურის ალბათობა. სოციალურ კვლევებს თუ დავეყრდნობით, ხვალ რომ არჩევნები ჩატარდეს, მეორე ტურში ერთმანეთს გიორგი მარგველაშვილი და დავით ბაქრაძე დაუპირისპირდებიან...

– თქვენ რეალობას აღწერთ. ყველა სოციოლოგიური კვლევა ამას უჩვენებს და ეს ძალიან მახარებს, რადგან ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება თანდათან ერკვევა ტყუილების ნისლიდან, რაც ივანიშვილმა თავს მოახვია და რაციონალურ შეფასებებს სწრაფად უბრუნდება. საზოგადოება ითხოვს განვითარებას, დიალოგს, რაციონალურ და გონივრულ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ამავე დროს თავმოყვარეობასა და ღირსებას, საკუთარი სახის შენარჩუნებას და კრიტიკული შეფასებაც სწრაფად შეუძლია.

– რაც შეეხება თავად „ნაციონალურ მოძრაობას“ და იმ დაპირისპირებას, რომელიც, ხმებს თუ ვენდობით, პარტიაში არსებობს, ვგულისხმობ ახალაიების ფაქტორს. ყრილობაზე „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდი ერთად დაფიქსირდა. ეს წინასაარჩევნო ერთობა იყო, თუ მოსალოდნელია პარტიის გაყოფა ახალაიებსა და დანარჩენ ლიდერებს შორის? ხომ არ იცით, როგორია სააკაშვილის პოზიცია, ამ მხრივ?

– არანაირი გაყოფა მოსალოდნელი არ არის და ვერც დაპირისპირებას დაგიდასტურებთ. არსებობენ ბაჩო ახალაიასთან მეტად და ნაკლებად დაახ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ესაც სააკაშვილის მოშორება უნდა?“

...ნოვი:

„დროდადრო ძლიერდება ხოლმე წნეხი პარტიის ცალკეულ წევრებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პარლამენტში რაიმე კანონის გატანა უნდათ“

„ბურჯანაძე გაგრძელებაა იმ პანიკის, რასაც ადრე მთელი ოპოზიციური სექტორი ნერგავდა“

EXCLUSIVE

ლოებული გუნდის წევრები, თუმცა ეს ნორმალურია. ახლა მიმდინარეობს პარტიის შიდა სტრუქტურების გადაწყობა მაქსიმალური დემოკრატიზმის პრინციპით, რაც ნიშნავს, რომ პარტიას დაშლა კი არა, გაძლიერება და გაფართოება ელოდება. რაც შემოილია დავადასტურო, ისაა, რომ დროდადრო ძლიერდება ხოლმე წნეხი პარტიის ცალკეულ წევრებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პარლამენტში რაიმე კანონის გატანა უნდათ. უხვად ყოფილა მოსყიდვის მცდელობებიც და მუქარებიც, მაგრამ, როგორც ხედავთ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ ყველაფერს გაუძლო და დღეს გაცილებით ძლიერად ვართ, ვიდრე თუნდაც წლის დასაწყისში.

სააკაშვილის პოზიცია დამალული არ არის. ისიც და თითოეული ჩვენგანი აღშფოთებულია იმ შეთითხნილი პროცესებით, რაც ჩვენი გუნდის წევრების მიმართ მიმდინარეობს და ვცდილობთ, დეტალურად ვადევნოთ თვალი ამ პროცესებს, საქმის კურსში ვამყოფოთ როგორც ჩვენი საზოგადოება, ასევე საერთაშორისო პარტნიორები და მეგობრები. დიდი უსამართლობაა, რაც დღეს ამ თავდადებული ადამიანების მიმართ ხდება და მართლაც დიდი იმედი მაქვს, რომ პროკურატურის მანიპულაციებისა და ზეწოლის მიუხედავად, სასამართლო მაინც გამოიჩენს გამბედაობას და დადგება სიმართლისა და სამართლიანობის მხარეს.

პარტიის ერთიანობის საკითხზეც, როგორც პრეზიდენტის, ასევე თითოეული ჩვენგანის პოზიცია ცალსახაა და სხვანაირად არც შეიძლება იყოს. „ნაციონალური მოძრაობა“ დღემდე მოვიდა, როგორც ყველაზე კარგად სტრუქტურირებული, იდეოლოგიურად და პროფესიულად ყველაზე ძლიერი გუნდი და მისი დამლა არც ჩვენს ინტერესშია და არც ქვეყნის ინტერესებში შედის. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის ეს რეალობა, და ეს დამატებითი პასუხისმგებლობაა პარტიის ხვალინდელი დღის წინაშე. არავითარ შემთხვევაში არ გადავაყოლებთ პარტიას ვიღაცის ახირებას, რამდენი მილიონი და მილიარდიც უნდა ჩადოს ამაში პრემიერმა.

– რაც შეეხება თავად ბაჩო ახალაიას, ის პოლიტიკაში ჩაერთვება? როგორია თქვენი ხედვა მისი, როგორც პოლიტიკური ფიგურის მიმართა. ვანო მერაბიშვილმა ერთხელ „პრაიმტაიმთან“ საუბრისას განაცხადა, რომ ბაჩო ახალაია პოლიტიკური ფიგურა არ არის. თუმცა, ახალაია პოლიტიკურ განცხადებებს ციხიდან აკეთებს, რაც მის პოლიტიკაში ჩართვის სურვილზე მიუთითებს.

– ბაჩოს გეგმებზე ვერაფერს გეტყვით. დარწმუნებული ვარ, ამას თვითონ იტყვის, როგორც კი ციხიდან გამოვა. რაც დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ამ ადამიანს უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების ჩამოყალიბება-გაძლიერებაში და მას სრული უფლება აქვს, პოლიტიკაში აქტიური მოღვაწეობა გააგრძელოს. რა თქმა უნდა, მესმის, რომ ეს ძნელი იქნება იმ ტალახის გათვალისწინებით, რაც მას დღემდე ესროლეს. ამიტომ გამამართლებელი განაჩენის შემდეგ, სავარაუდოდ, ძალიან აქტიურად მოუწევს საჯაროდ გამოჩენა და საზოგადოებასთან აქტიური კონტაქტის დამყარება, რომ ეს ეჭვები და ჭორები საბოლოოდ გაიფანტოს. სწორედ მედიასთან კატასტროფული პასიურობა იყო მისი ძირითადი შეცდომა და, პირველ რიგში, ეს უნდა გამოასწოროს. თქვენ იცით, რომ უკვე ერთი წელია მის წინააღმდეგ სასამართლო მიმდინარეობს და არც ერთი ბრალი არ უმტკიცდება, თქვენ იცით, როგორ სრულიად გაუმართლებლად დააკავეს თავიდანვე და როგორ ხელოვნურად აჭიანურებენ გამამართლებელი განაჩენის გამოცხადებას, როგორ ცდილობენ, ახალი საქმეები შეუთითხნონ და ისევ ციხეში დატოვონ, ვითომდა გამოძიებისთვის საჭირო ახალი ვადით. ჰგავს ეს ყველაფერი იმას, რასაც მთავრობა გვიმტკიცებდა? ჰგავს ეს პროცესი თავზეხელაღებული დამნაშავის სასამართლო პროცესს? მწყინს, რომ პასიურობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ასე აქტიურად იყვნენ ჩართულები პატიმრების უფლებების დაცვაში, მაგრამ იმდენი ტალახი ესროლეს თავის დროზე ახალაიას, რომ ადამიანები ახლა ნელა თავისუფლდებიან კომპლექსებისგან, რომ მისი ხმამაღლა დაცვა დაიწყონ.

ან, რა ვთქვა ახალი ვანო მერაბიშვილის დაკავებაზე? კვირა არ გავა, რომელიმე ევროპული დელეგაცია არ ჩამოვიდეს, არ მოინახულონ ვანო და განცხადებები არ გააკეთონ, რომ ეს ადამიანი უსაფუძვლოდაა დაკავებული და რომ ეს პროცესი ყველანაირ დემოკრატიულ სტანდარტს სცილდება. ძალიან საწყენი და საგანგაშოა, რომ ამაზე არავინ რეაგირებს და ჩვენს მთავრობას საერთოდ არ აინტერესებს ჩვენი მეგობრებისა და პარტნიორების აზრი.

ამის მიუხედავად, მე ნამდვილად მაქვს იმედი, რომ სამოქალაქო საზოგადოებაც და პოლიტიკოსებიც მალე შეძლებენ კომპლექსებისგან განთავისუფლებას და ახალაიას დასაცავად ისევე აიმაღლებენ ხმას, როგორც სხვა ნებისმიერ შემთხვევაში იზამდნენ ამას. ეს პროცესი უკვე დაიწყო და, იმდენად აშკარაა პროკურატურის მანიპულაციები და სასამართლოზე ზეწოლა, რომ დარწმუნებული ვარ, ეს დღეც ძალიან მალე დადგება.

– რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მიხეილ სააკაშვილის გაეროში გამოსვლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო სერიოზული და დიდი გამოწვევების წინაშე დგას. რუსეთი ისევ რჩება მთავარ საფრთხედ, ხოლო ევრაზიული კავშირი, როგორც ჩანს, ისეთივე გამოწვევა იქნება, როგორც თავის დროზე დსთ იყო. როგორ ფიქრობთ, მოახერხებენ ძირითადი პოლიტიკური პარტიები ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას და დასავლური ღირებულებების დაცვას?

– ამ სპექტრში რაიმეს პროგნოზირება ძალიან რთულია. ჩვენ გვყავს პოლიტიკური ძალები, რომელთა ნაწილი ფულზე ოცნებობს, ნაწილი – რუსეთზე და ნაწილიც – დასავლეთზე. თუმცა, მათი მოქმედება ოცნებას არც ერთი მიმართულებით არ სცილდება, მათ საერთოდ არ შეუძლიათ მოქმედება. მათივე მეორე დამახასიათებელი თვისება შიში და კომფორმიზმია და ამიტომ მათ ნაცვლად ისევ რუსეთი მოქმედებს. ერთადერთი ძალა, რომელიც მზადაა, დასავლეთის მიმართულებით რეალურად იმოძრაოს და ამ გზაზე არც დაბრკოლებებს შეუშინდეს, ისევ „ნაციონალური მოძრაობაა“ და მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლების დატოვების მიუხედავად, გადამწყვეტ როლს შეასრულებთ საქართველოს დასავლური ინტეგრაციის გზაზე.

– საერთოდ, როგორ შეიძლება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლამ იმოქმედოს საგარეო პოლიტიკაზე? საერთოდ, რა იყო, თქვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის მისია? მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან გაყვანა?

– თავს იტყუებს, ვინც ფიქრობს, რომ ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის. ის ფარდის უკან დამალვას აპირებს, წასვლაზე არც ფიქრობს და სიტუაციის მთელი მიუღებლობა სწორედ ესაა. ჩვენ დიდი ხანია, გავცდით იმ მდგომარეობას, როცა ქვეყანა არაფორმალური ინსტიტუტებით იმართებოდა და მისი დაბრუნების დაშვება არ შეიძლება. თვითონ წარმოიდგინეთ, რა სიტუაციაში აღმოვჩნდებით, თუ პარლამენტსაც, მთავრობასაც, პრეზიდენტსაც მართავს ვიღაც, ვინც ფორმალურად გამიჯნულია მათგან, არანაირ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ იღებს და, ამავდროულად, ღიად ან ნახევრად ღიად მართავს სამოქალაქო სექტორს. ტოტალიტარიზმისა და ავტორიტარული მმართველობის მნიშვნელობა თუ ვინმეს აინტერესებს, აი, სწორედ ეს არის! ერთადერთი ინსტიტუტი, რომლის გადარჩენის შანსიც ამ სისტემაში თეორიულად რჩება, სასამართლოა, მაგრამ რეალისტურად რომ შევხედოთ, არც მას რჩება დამოუკიდებლობის რაიმე პერსპექტივა.

ნახეთ, გადაწყვეტილებების მიღების სტილი ივანიშვილის გარშემო. არავინ არაფერს წყვეტს, არავის არაფერი ეკითხება. ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტს ივანიშვილი, რომელიც, ყველა სიკეთესთან ერთად, ნამდვილად არ გამოირჩევა სახელმწიფოებრივი აზროვნებით ან შესაბამისი განათლებითა და გამოცდილებით. ჰკითხეთ აბა, რომელიმე პარლამენტარს ან მინისტრს, წარმოდგენა თუ აქვთ, ვინ შეიძლება იყოს ივანიშვილის შემცვლელი პრემიერი? სწორედ ესაა უბედურება, რომ ასეთი განხილვები საერთოდ არ მიმდინარეობს და ჩვენ საკუთარი ნებით ვტოპავთ ავტორიტარიზმისა და რეპრესიების ისეთ ჭაობში, რომლის მსგავსიც დღემდე არ გვინახავს. ამიტომ, მინდა კიდევ ერთხელ მოვუწოდო საქართველოს მოქალაქეებს, რომ სასწრაფოდ გამოფხიზლდნენ და ხმა მისცენ უკეთეს მომავალს, ნუ დავიღუპავთ თავს და ნუ გავიკეთებთ ყულფს საკუთარი ხელით. თუ სწორი გადაწყვეტილების მისაღებად დაგროვილი ბრაზი და ბოღმა გვიძლის ხელს, მაშინ ჯერ ეს ვიკითხოთ, რას ეფუძნება ეს ბრაზი, ზუსტ ინფორმაციას თუ ჭორებს? და სადაც ზუსტ ინფორმაციას ეფუძნება, და არ გამოვრიცხავ, რომ რიგ შემთხვევებში ასეც იყოს, მაშინ ის გავიაზროთ, რომ სასნორზე ქვეყნის ბედი დევს და ცალკეულ ადამიანთა უსაქციელობამ მთლიანად ერი არ უნდა შეგვიყვანოს ჩიხში!

– დაბოლოს, ჩვენ საუბარი დავიწყეთ სააკაშვილის მომავალ გეგმებზე. საინტერესოა, როგორ ხედავთ თქვენ თავს უკვე მაშინ, როცა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აღარ იქნებით. „ნაციონალური მოძრაობის“ საბჭოს წევრი ხართ, რაც უკვე ნიშნავს, რომ პოლიტიკაში მოიაზრებთ საკუთარ თავს. როგორია თქვენი გეგმები და ამბიციები სამომავლოდ?

– მე ადმინისტრაციაში დავრჩები მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ბოლო დღემდე და ამჯერად სხვას არაფერს ვგეგმავ, არც დროა საამისო და თანაც დიდი პატივია, რომ ვმუშაობ ისეთ ადამიანთან და ისეთ გუნდთან ერთად, რომელმაც ჩვენი ქვეყნის საამაყო ეპოქა შექმნა, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. ამის შემდეგ მთლიანად პოლიტიკაში გადავიცვლეს და კონკრეტიკაზე წინასწარ ლაპარაკი, ალბათ, არ ღირს, თუმცა ვაპირებ, რომ ყველაფერი გავაკეთო იმ პრინციპების დასაცავად და იმ პრიორიტეტების განსახორციელებლად, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ. ნამდვილად არ ვაპირებ პასიურობას და არც არაფრის მეშინია. ვაპირებ ხალხთან ახლოს ყოფნას, ვაპირებ ჩვენი მოქალაქეებისთვის საინტერესო და მტკივნეულ თემებზე მუშაობას და ყველაფრის გაკეთებას იმისთვის, რომ თითოეული ქართველის, თითოეული ჩვენი თანამოქალაქის ცხოვრება იყოს უკეთესი, უფრო უსაფრთხო, რომ საზოგადოება იყოს მეტად შეკრული, ჯანმრთელი, მდიდარი და განათლებული. და ერთად ვაშენებდეთ ისეთ მომავალს, რომელშიც ვერც გარეული და ვერც შინაური მტერი ხელის ფათურს ვეღარ შეძლებს. მოქალაქეთა თავისუფლება და ერთობა, ჯანმრთელობა, განათლება და ინიციატივა ნებისმიერი სინდისიერი პოლიტიკოსის პრიორიტეტი უნდა იყოს და ზუსტად ასე ვუყურებ ჩემს სამომავლო საქმიანობასაც.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„თბილავიამშენის“ მაფიოზური დაჯგუფების ერთი ჩასვლა-თხოვნით აზერბაიჯანის გენერალურმა პროკურატურამ ხაზი გადაუსვა სიმართლეს და სამართლიანობას, არ ამხილა ჩემი შვილის მკვლელები“

„საქართველოც ხომ არის ინტერპოლის წევრი ქვეყანა? ინტერპოლით ძებნილები კვლავაც ძველი რეჟიმით განაგრძობენ მუშაობას „თბილავიამშენში“

მარიამ ნადირაძე

ყოველგვარი წინასიტყვაობების გარეშე:

2011 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემავალ სს „თბილავიამშენსა“ და აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს შორის დაიდო კონტრაქტი #1520-1, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა შეკვეთა #135263. ამ შეკვეთის თანახმად „თბილავიამშენს“ ქ. სუმგაითისა და ქ. კურდამირის ავიაბაზებზე დაშლილი სახით, ნაწილებად უნდა ჩაეტანა 15 ერთეული ავიაგამანადგურებელი „სუ-25“ „სკორპიონის ტიპის“, რომელთა აწყობა და ექსპლუატაციაში შეყვანა სუმგაითის ავიაბაზაზე ევალებოდათ „თბილავიამშენის“ ამწყობ-გამოსაცდელი წარმოების დირექტორ რამაზ მჟავიასა და მის მოადგილეს, გოგა ნეფარიძეს. მათ ქარხნიდან მიჰყავდათ 15-16-კაციანი ბრიგადები და მათი მეშვეობით ახდენდნენ ამ შეკვეთის შესრულებას. სამი ავიაგამანადგურებელი ჩაბარდა და მიდიოდა მეოთხეს საბოლოო მონტაჟი, როდესაც ბაზაზე ინციდენტი მოხდა. საეჭვო ვითარებაში თვითმფრინავის ტურბინაში აღმოჩნდა „თბილავიამშენიდან“ მივლინებული 29 წლის რადიომემონტაჟე, იური კლოჩკოვი.

მისი გარდაცვალების ფაქტზე საქმე ადგილობრივ სამხედრო პროკურატურაში მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ აღიძრა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც კლოჩკოვები ალიევის ადმინისტრაციაში მიიღეს. თუმცა საქმეს მკვლელობის მუხლით არ იძიებენ. გამოძიება ამჟამად შეჩერებულია, ვინაიდან ინტერპოლმა ძებნა ორ ქართველზე, რამაზ მჟავიასა და გოგა ნეფარიძეზე გამოაცხადა, რასაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც ადასტურებს. რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ეს ორივე პირი, იურის მამის, ვლადიმერ კლოჩკოვის თქმით, კვლავაც აგრძელებს მუშაობას „თბილავიამშენში“.

სანამ მკითხველს გარდაცვლილის მშობლებთან ინტერვიუს შევთავაზებთ, წარმოგიდგენთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის სამსახურებრივი შემოწმების დასკვნიდან ამონაწერს:

„2011 წლის 26 დეკემბერს იური კლოჩკოვი „თბილავიამშენის“ სხვა მოსამსახურეებთან ერთად, ამოწმებდა მათ მიერ აწყობილი „სუ-25“-ის ტიპის მოიერიშე თვითმფრინავის ძრავის გამართულობას... თვითმფრინავის შემოწმების დროს გამოვლინდა, რომ მანძილმზომი არ ფუნქციონირებდა გამართულად, რის გამოც მექანიკოსებმა მოხსნეს მოტოგანდოლების უკანა ხუფი, აღმოფხვრეს ხარვეზი და განაგრძეს თვითმფრინავის მარცხენა ძრავის შემოწმება, რომელზეც გამოვლინდა სრული გამართულობა ხარვეზების გარეშე, ხოლო შემდეგ გადავიდნენ მარჯვენა ძრავის შემოწმებაზე. შემოწმების წესის თანახმად, „ბი-37“ ძრავის ბრუნვის კონტროლის მიზნით ძრავის პარამეტრების რეგულირების პულტების წინ, თვითმფრინავის სიგრძის მანძილზე დგომისას გიორგი ნეფარიძემ სპეციალური საშუალებით დაამყარა კავშირი თვითმფრინავში მჯდომ მექანიკოს ომარ ქოჩიაშვილთან, მისგან 2-3 მეტრით უკან და მარჯვნივ, ელექტროგამართულობის შემოწმების პულტის წინ იდგა იური კლოჩკოვი...



მთრალი რამაზ მჟავია და გოგა ნეფარიძე გარდაცვლილის ფოტოაპარატში

თვითმფრინავის კაბინაში მჯდომმა მექანიკოსმა მისცა მინიშნება მარჯვენა ძრავის ამუშავების შესახებ. ამუშავებიდან დაახლოებით 3-4 წუთის განმავლობაში ძრავი მუშაობდა დაბალ სიხშირეზე. ყველა სისტემის შემოწმების შემდეგ გიორგი ნეფარიძემ გასცა ძრავის სიხშირის მომატების განკარგულება... იური კლოჩკოვი აკონტროლებდა მუდმივი და ცვლადი დენის პულტს. ძრავის სიხშირის მომატებიდან დაახლოებით 25 წამში გაისმა ძლიერი ხმა, მარჯვენა ძრავის საალე ტურბინიდან დაფიქსირდა ალის გამოსვლა. ძრავა დაუყოვნებლივ იქნა გაჩერებული, მოხსნილი იქნა საალე ტურბინის უკანა ხუფი, სადაც აღმოჩნდა იური კლოჩკოვის გვამი...“

ერთი შეხედვით, ამ შინაარსში არაფერია ეჭვის გამომწვევი, თუმცა ეს მანამ, სანამ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს მოვუსმენდეთ. ახლა კი იმის შესახებ, თუ რას უამბობს „პრაიმტაიმს“ გარდაცვლილის დედა, ქალბატონი ნინა კლოჩკოვი:

– ჩემი შვილი მანამდეც იყო სხვადასხვა მივლინებაში. მაშინ მას წასვლამდე სპეციალურ ტესტირებას უტარებდნენ. ასეთი რამ კი არ ჩატარებულა აზერბაიჯანში წასვლამდე. „თბილავიამშენის“ განყოფილების უფროსმა, ჯემალ ზღულაძემ, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ნათესავად გვეკუთვნის, ჩემი მეუღლის დის ქმარია, გამონერა ჩემს შვილზე მივლინება-დავალების მოწმობა, როგორც რადიო-მეკავშირეზე. ეს ბრიგადა 22 დეკემბერს ჩავიდა სუმგაითის დაბა ნანოსნაიას ავიაბაზაზე და შეუდგა მეოთხე შეკვეთილი თვითმფრინავის აწყობას. 25 დეკემბერს ჩემს შვილს სკაიპით ვესაუბრე. მითხრა, რომ ის მორჩა თავის სამუშაოს და ელოდებოდა ბრიგადის სხვა წევრების სამუშაოს დასრულებას. ამ საუბრის დროს გავიგე, რომ მისი თანამშრომლები რესტორნიდან მთვრალები დაბრუნდნენ. თვითონ მათთან არ იყო. არც სვამდა და არც ეწეოდა. მეორე დღეს, დაახლოებით საღამოს 9 საათზე ჩვენთან ჩემი მული მოვიდა და შეგვატყობინა, რომ იური გარდაიცვალა, ის ავიაგამანადგურებლის მარჯვენა ტურბინას შეუსრუტია.

– როგორ აღმოჩნდა იქ, იმ ტერიტორიაზე იური. თქვენ ხომ გითხრათ, რომ თავისი სამუშაო უკვე დაასრულა?

– საქმეც სწორედ ეს არის. იმისთვის, რომ ამ ტერიტორიაზე მოხვდეს სპეციალისტი, სპეციალური დაშვებაა საჭირო, რაც იურის არ ჰქონდა. არ გამოვრიცხავ, რომ, რაკი ბრიგადის მთელი შემადგენლობა ნაბახუსევი იყო, მათ თავისი სამუშაოს შესასრულებლად შეუშვეს იმ ტერიტორიაზე ჩემი შვილი, ვინაიდან ის პირველი კლასის სპეციალისტი იყო, მართალია, სხვა სფეროში, მაგრამ ყველაფერში ერკვეოდა. სხვათა შორის, სიკვდილამდე 3 დღით ადრე იურიმ ინტერნეტიდან გადმოწერა, როგორ ისრუტავს ადამიანს ამუშავებული ტურბინა და თურმე სხვებსაც აჩვენებდა, ფრთხილად იყავითო. ასე რომ, ის კარგად იყო ამ საფრთხეებში გარკვეული და ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა. ამასთანავე, როგორც მოგვიანებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წყალობით გავარკვიეთ (ეს ერთადერთი უნყება აღმოჩნდა, რომელმაც ჩვენს განცხადებაზე გარკვეული სამუშაოები ჩაატარა), ცდის ჩატარების დროს ძრავის ჩართვამდე ძრავის ჰაერის შემწოვ მოტოგონდოლებზე არ იყო დამონტაჟებული დამცავი მოწყობილობები.

– ამ უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხი ვის უნდა ეგო?

– რა თქმა უნდა, მჟავიასა და ნეფარიძეს.

– დაიწყო ამ საქმეზე ძიება?

– ძალიან დიდხანს ვიწვალეთ. ორმოცის გასვლის შემდეგ ჩავედით სუმგაითის სამხედრო პროკურატურაში, სადაც ქალაქის სამხედრო პროკურორ როვშან ეფენდიევს მოვთხოვე ინფორმაცია ჩემი შვილის დაღუპვის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, რაზედაც მივიღე პასუხი, რომ გამოძიება საერთოდ არ იყო დაწყებული და მიმდინარეობდა იური კლოჩკოვის დაღუპვის ფაქტის გარჩევა. მე გამოვთქვი პროტესტი და მოვითხოვე გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება და საქმის მასალების (მოწმეთა – ბრიგადის ხელმძღვანელობისა და წევრების ჩვენებების) გაცნობა, რაზეც უარი გვითხრეს და მხოლოდ ჩემს ძმისშვილს აჩვენეს გარდაცვლილის ფოტოილუსტრაციები.

– რა ფოტოები?

– ძალიან საინტერესო ამბავია. სპეციალისტებმა ამიხსნეს, რომ ავიაგამანადგურებლის ძრავი ისეთნაირად არის მოწყობილი, რომ ძრავის შიგნით უცხო სხეულის მოხვედრის შემთხვევაში ის ავტომატურად ითიშება, ჩემს შვილს, იურის, სხეულის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს უმძიმესი დაზიანებები აქვს მიყენებული და ტანსაცმელ-ფეხსაცმელი – დაგლეჯილი. უფრო მეტიც, თუ იური ახლოს იდგა ტურბინასთან და ის შეიწოვა, ის თავით უნდა მოხვედრილიყო ტურბინაში. ფოტოთი ირკვევა, რომ თავი ადგილზეა, არ აქვს მარცხენა ფეხი, მარჯვენა ხელი. სახეზე დაზიანება აქვს და კიდევ მარჯვენა მხარეს. საინტერესოა, თუ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მის საქმე ჯერ ისევ გაუხსნელია



„გვამი არ გვაჩვენეს, გვითხრეს, ფარშიაო, თურმე გარაჟ-გარაჟ დაატარეზდნენ"

EXCLUSIVE

ძრავი ავტომატურად გაითიშებოდა, როგორ მიიღებდა ის სხვადასხვა მხარეს ასეთ დაზიანებებს?

– თქვენ რაზე გაქვთ ეჭვი?

– თვითმფრინავის ძრავის ჩართვა მოხდა არაერთხელ, ისე, რომ ჩემი შვილი შიგნით იმყოფებოდა. როგორც ჩანს, მათ მოგვიანებით აღმოაჩინეს, რომ იქ შეიძლებოდა იური ყოფილიყო. მანამდე ძრავი რამდენჯერმე ჩართეს.

– გამორიცხავთ ვერსიას, რომ ის შეიძლებოდა სხვაგან და სხვა ვითარებაში გარდაცვლილიყო და უბედური შემთხვევის ინსცენირების გამო აღმოჩენილიყო უკვე გარდაცვლილი ტურბინაში?

– არაფერს გამოვრიცხავ, ვინაიდან ფაქტია, რომ „თბილავიამშენის" თანამშრომლები მაქსიმალურად ცდილობდნენ ჩვენგან სამხილების დამალვას.

– როგორ?

– „თბილავიამშენის" ხელმძღვანელობის წარმომადგენლების მოთხოვნით არ გაგვახსნევინეს მიცვალებულის ჭურჭელი (კუბო) იმ საფუძვლით, რომ თითქოს მიცვალებულის სხეულის მხოლოდ 30% იყო და არ შეიძლებოდა მისი გახსნა. გვამი არ მაჩვენეს, მითხრეს, „ფარშიაო". ჩვენ ცინკის სასახლე რომ არ გაგვეხსნა, გარაჟ-გარაჟ უტარებიათ, სადაც ბოლტებით დაუმაგრებიათ სახურავი.

– ექსპერტიზის დასკვნა არ გაქვთ? ექსპერტიზა ხომ ჩატარდა?

– აზერბაიჯანში გვითხრეს, ჩატარდაო, თუმცა, როცა დასკვნას ვითხოვთ, რატომღაც მაშინ უქრება გამომძიებელს ის და „ვერ პოულობს". აქ კი ქარხნის ხელმძღვანელები გვეუბნებოდნენ, ექსპერტიზას „არამიანცში" ჩავატარებთო. მერე, რატომღაც იქ ადგილი არ აღმოჩნდა და მათგან შევიტყვეთ, რომ ექსპერტიზის ჩასატარებლად „მიხაილოვში გადაუყვანიათ. როდესაც ამ საავადმყოფოში მოგვიანებით რაღაც დეტალების გასარკვევად მივედით, არც ერთი ჩანაწერი არ აღმოჩნდა ჩემს შვილზე. იქ მისი შეყვანა საერთოდ არ ფიქსირდება. დირექტორი ჩვენთან თავს იმართლებდა, ასეთი ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში ოჯახის წევრისგან დასწრება აუცილებელია, თუნდაც ამოცნობის მიზნით და ხომ დაგიძახებდითო? თანაც ოფიციალური საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელიც უნდა მისულიყო. მსგავსი არაფერი მომხდარაო.

– რატომ მოგატყუეს?

– ამიტომაც ვეჭვობთ, რომ „თბილავიამშენი" მაქსიმალურად შეეცადა, სამხილები დაემალა. უფრო მეტიც: როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ჩემი შვილის მკვლელობა მოხდა 2012 წლის 26 დეკემბერს, დაახლოებით 16 საათსა და 10 წუთზე აზერბაიჯანის დროით, ხოლო პროკურატურისა და სამხედრო პოლიციის წარმომადგენლები შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ დანაშაულის მოხდენიდან 4 საათის დაგვიანებით. ეს მათ შეგნებულად გააკეთეს, ვინაიდან, როგორც კი დანაშაული მოხდა, რამაზ მჟავიამ გადმორეკა „სს თბილავიამშენის" ხელმძღვანელობასთან. კერძოდ, გენერალურ დირექტორ ნოდარ ბერიძესთან, რომელიც თურმე სასწრაფოდ ჩაფრინდა ქ. სუმგაითში პანტიკო თორდიასთან და „დელტას" ხელმძღვანელ ჭარბაძესთან ერთად. ისინი შეხვედრიან აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობას, რის შემდეგაც ჩემი შვილის მკვლელობის საქმე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ადგილიდან არ იძვროდა და პირიქით, აზერბაიჯანის გენერალურმა პროკურორმა ზაქირ გარალოვმა წელიწადზე დიდხანს ათრია ეს საქმე. „თბილავიამშენის" მაფიოზური დაჯგუფების ერთი ჩასვლა-თხოვნით აზერბაიჯანის გენერალურმა პროკურატურამ ხაზი გადაუსვა სიმართლეს და სამართლიანობას, არ ამხილა ჩემი შვილის მკვლელები და არ დასაჯა არც ერთი დამნაშავე, რომელთაც ბრალი მიუძღვით ჩემი შვილის, იური კლოჩკოვის მკვლელობაში. 2012 წლის 12 ივნისს ქ. სუმგაითის სამხედრო პროკურორმა (წარმოშობით ბოლნისელმა) როვშან ეფენდიევმა, ბოლოს და ბოლოს, მომწერა, რომ 2012 წლის 12 ივნისს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება ჩემი შვილის იური კლოჩკოვის დაღუპვის (და არა მკვლელობის) ფაქტთან დაკავშირებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის სკ-162-ე მუხლის მეორე ნაწილით (უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიკვდილი).

– ბრალი ვინმეს წაუყენეს?

– ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით შევიტყვეთ, რომ ამ წლის 4 თებერვალს დაუსწრებლად წაუყენეს ბრალი მჟავიასა და ნეფარიძეს და ინტერპოლით გამოცხადდა ძებნა. მაგრამ საინტერესოა, სად ეძებენ. საქართველოც ხომ არის ინტერპოლის წევრი ქვეყანა? ინტერპოლით ძებნილები კვლავაც ძველი რეჟიმით განაგრძობენ მუშაობას „თბილავიამშენში".

– იმით არავინ დაინტერესებულა, როგორ აღმოჩნდა სპეციალური დაშვების გარეშე ეს ადამიანი რისკის ზონაში?

– „თბილავიამშენის" გენერალურმა დირექტორმა ნოდარ ბერიძემ ყალბი ცნობა წარადგინა ქ. სუმგაითის სამხედრო პროკურატურაში, თითქოს ჩემს შვილს იური კლოჩკოვს მიღებული ჰქონდა მისი ბრძანებით ნებართვა ავიაგამანადგურებლის გასაფრენად გაშვების მომსახურებაზე, რაც არის სიცრუე და სიყალბე. როდესაც შვილის ორმოცზე ჩვენ მივედით ქარხანაში, იქ მოგვცეს მისი პირადი საქმიდან ამონაწერი, სადაც ნებისმიერი სამსახურებრივი ცვლილება დაფიქსირებული იყო და მთავრდებოდა 27 დეკემბრის დათარიღებით, რომ გარდაცვალების გამო ამორიცხულია სამსახურიდან. იქ ასეთი ნებართვის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. ამის გარდა, არსებობს მოწმე, რომელიც ადასტურებს, რომ სექტემბრიდან დეკემბრამდე, მას და იურის არავითარი დაშვება არ ჰქონიათ, მხოლოდ დეკემბერს მიეცა დაშვება ფრენაზე. ასეც რომ იყოს, ფრენაზე დაშვება სულაც არ ნიშნავს ცდაზე დაშვებას. ამდენად, ნოდარ ბერიძემ შექმნა ყალბი საბუთი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც წარადგინა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. სუმგაითის სამხედრო პროკურატურაში. გამოძიებისთვის ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში შეგნებულად ხელის შეშლის მიზნით, დამნაშავეთათვის ხელის დაფარების განზრახვით. გამოძიებაში შეგნებულად, წინასწარი განზრახვით, არ წარადგინა ჩემს შვილთან იური კლოჩკოვთან დადებული შრომითი კონტრაქტი და სადაზღვევო პოლისი, სადაც ნათლად არის დაფიქსირებული, რომ იური კლოჩკოვი იყო სს „თბილავიამშენის" #55 ლაბორატორიის რადიომემონტაჟე. ახლა ჩვენ გვეუბნებიან, დაზღვევა არ ჰქონიაო, პირიქით, ჩემმა ძვირფასმა ნათესავმა, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, იქით გვთხოვა ფული, იურომ სამუშაო ბოლომდე ვერ შეასრულა და მისთვის მიცემული სამივლინებო თანხა უკან უნდა დააბრუნოთო.

ერთი სიტყვით, კლოჩკოვების ოჯახი ინსტანციიდან ინსტანციაში დადის და სამართალს ეძებს, მაგრამ ყველგან იგნორირებას აწყდება. ამის მიზეზებს ისინი სულ სხვა რამეში ხედავენ, რომლის შესახებაც მათ პრემიერ-მინისტრისთვის მიწერილ წერილშიც დააფიქსირეს დაახლოებით 3 თვის წინ:

„გთხოვთ, გასცეთ განკარგულება ინტერპოლის საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელობას, შეასრულონ აზერბაიჯანის ინტერპოლის მიერ ძებნილი ბრალდებულების, რამაზ მჟავიასა და გიორგი ნეფარიძის დაკავება და აზერბაიჯანის მხარისთვის გადაცემა, რომ ახლა მაინც, ორი წლის გაჭიანურების შემდეგ დამთავრდეს ჩემი შვილის მკვლელობის გამოძიება...

მინდა ვირწმუნო, რომ საქართველოს მოქალაქის, 29 წლის ვაჟკაცის ტრაგიკულად სიკვდილი ზემოთ მითითებული პირების ბრალეულობით, მიუხედავად მისი რუსული წარმომავლობისა, ერთნაირად უნდა აწუხებდეს საქართველოს მთავრობას..."

„თბილავიამშენის" გენერალურმა დირექტორმა ნოდარ ბერიძემ ყალბი ცნობა წარადგინა ქ. სუმგაითის სამხედრო პროკურატურაში"

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სილატაკის ზღვარზე სოცი

ნანა შონია



„სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი მოვიდა და გვითხრა, თქვენთვის საჭმელი მოაქვთ ნათესავებსო. წარმოგიდგენიათ, ეს ყოფილა დანაშაული, რომ ვიღაცამ ერთი-ორი ლუკმა მოგვაწოდოს. აბა, ღვთის ანაბარად ვართ დარჩენილი და რა უნდა ვქნათ?“

„ბედის ანაბარად დარჩენილებს გვეუბნებიან, სოციალური დახმარება არ გეკუთვნითო...“

ანა ბითაროვი: „გასული წლის 9 ოქტომბრიდან ამ ბაგა-ბაღის შენობაში ვცხოვრობ. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება მჭირდება, გულზე ვარ საოპერაციო. სოციალურ დახმარებას ვერ ვიღებ, რადგან დღემდე სოციალური მომსახურების სააგენტოში მეუბნებოდნენ, რომ ბაზა ჩემს დოკუმენტაციას არ იღებს? ეს რას ნიშნავს ვერავინ მიხსნის? ამ ბავშვების გამოჩენის შემდეგ დღეს ისევ მივედი განმეორებით და აღმოჩნდა, რომ ჩემი დოკუმენტაცია მისაღები იყო. წარმოგიდგენიათ, ამ ერთი წლის მანძილზე მარტო იმისთვის მომიწია ბრძოლა, რომ სოციალური აგენტი ჩემს შემოწმებაზე მოსულიყო. ეს კიდევ რაა, ამას წინათ, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი მოვიდა და გვითხრა, თქვენთვის საჭმელი მოაქვთ ნათესავებსო. წარმოგიდგენიათ, ეს ყოფილა დანაშაული, რომ ვიღაცამ ერთი-ორი ლუკმა მოგვაწოდოს. აბა, ღვთის ანაბარად ვართ დარჩენილი და რა უნდა ვქნათ? დღეს მეზობელმა მომიტანა მჭადი და ყველი, პატარა გაზქურა მომცა დეიდაშვილის შვილმა, შუქი აქ არ არის და არაფერი, რა უნდა ვქნა, სად უნდა დავლიო სიცოცხლე“.

ლელა იაშვილი: - 2012 წლის 9 ოქტომბერს შემოვედი სხვა უსახლკარო და ლტოლვილებთან ერთად „აფრიკაში“ მდებარე რკინიგზის ყოფილ 28-ე ბაგა-ბაღში, რომელიც მეხუთე წელია მიტოვებულია. აქ, მთლიანობაში, 20 ოჯახი ვცხოვრობთ, აქედან 18 მცირეწლოვანია ბავშვია.

მე უსახლკარო ვარ, ბავშვობის წლები მიუსაფარ ბავშვთა სახლში მაქვს გატარებული. როდესაც ჯანდაცვის სამინისტროს მივმართე ერთიან სოციალურ ბაზაში მოსახვედრად, მოვიდნენ და შემამოწმეს, ამ შემოწმების შედეგად კი მივიღე 75 260 ქულა. ეს იმხელა მაჩვენებელია, რომ არათუ ფულად დახმარებას, სამედიცინო დახმარების პოლისს და ტრანსპორტის გადაადგილებაში შეღავათებსაც კი არ მოიცავს. არ ვიცი, რა სიმდიდრე ნახა ასეთი სოციალურმა აგენტმა. გავბრაზდი და კვლავ მივმართე განცხადებით. მეორე ჯერზე, შემოწმების შედეგად 58 420 ქულა მოგვენიჭა, მაგრამ ფულადი დახმარებას მაინც ვერ მივაღწიეთ. მეუბნებიან, რომ მაღალ კატეგორიაში ვარ, არადა, მოვიდნენ და თვითონ ნახონ რა ვითარებაში გვიწევს ცხოვრება. ერთი წლის წინ შეგვამოწმეს, დახმარებას დაგვპირდნენ და დღემდე არავინ მოსულა. აქ მცხოვრები 18 ბავშვიდან ყველაზე დიდი, დათო, 12 წლისაა. ბავშვებმა „წითელა“ გადაიტანეს და ჩვენ მათთვის წამლის შეძენის საშუალებაც არ გვქონდა. როდესაც ამ შენობაში შემოვედით „თელასთან“ ჰქონია ამ მიტოვებულ ბაგა-ბაღს დავალიანება 1163 ლარი. ჯართის შეგროვება დავიწყეთ ქალებმა, ვისაც როგორც შეგვეძლო და როგორც იქნა, ეს თანხა მოვაგროვეთ. დენი რომ ჩაგვირთეს რამდენიმე თვეში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ვერ შევძელით და უკვე რამდენი ხანია უსინათლოდ ვცხოვრობთ. ბედის ანაბარად დარჩენილებს გვეუბნებიან, სოციალური დახმარება არ გეკუთვნითო.

- რით გაგაქვთ თავი?

- დავდივართ ხუთი ქალი, მიწას ვთხრით და ლუდის ქილებს და ჯართს ვაგროვებთ... ნაწილს პური მოგვაქვს ამ თანხით და მეორე ნაწილს - ერთჯერადი სუპები. სულ რაღაც ხუთი დღის წინ მოგვაკითხეს სტუდენტებმა, ლიკა ლობჟანიძის ხელმძღვანელობით. ეს არის ჯგუფი, რომელსაც გვინდა მადლობა ვუთხართ იმ თანადგომისთვის, რაც ერთ კვირაში შეძლეს. მე, როგორც მიუსაფარ ბავშვთა სახლებში გაზრდილს, დღესაც მიჭის გითხრათ რას გრძნობს ბავშვი, რომელიც უკიდურესად გაჭირვებული ოჯახიდან არის და აღასაზრდელადაა მიბარებული. ამ ბავშვებს, ამ ახალგაზრდებმა აქცია-კონცერტით, რომელიც მოუწყვეს დაუვიწყარი დღე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალური დახმარების გარეშე

აჩუქეს! ამას წინათ, სამი წლის გოგონამ დედას უთხრა, დედა წამიყვანე საქართველოშიო!... თქვენ გესმით ეს რას ნიშნავს?! ასეთ სიტუაციაში, უშუქობაში, გაჭირვებაში იზრდება! ჩვენ მადლობელი ვართ, რომ ამ ბავშვებმა გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი ტკივილი და მართლაც შეძლებისდაგვარად გვეხმარებიან.

ქეთევან შატბერაშვილი, 49 წლის: ყოველდღე ნაგავსაყრელზე დავდივარ ჯართი რომ მოვიპოვო და ჩემი თავი ვარჩინო. სოციალურში წავედი, მოვიდა ახალგაზრდა ბიჭი, ისე შეფასდა ჩემი ოთახი, რომ ვერაფერი მივიღე. გეკითხებით, რას აფასებენ? რა გვაქვს? მობრძანდით და ნახეთ, შიგნით რომ გვაქვს საპირფარეშო მოწყობილი და ვედროში ვისაქმებთ?!

1964 წლის 17 აპრილს ვარ დაბადებული და თუ რამე მაქვს ნახონ და არაფერი არ მინდა მთავრობისგან. სანამ ვმუშაობდი ნაქირავებში ვცხოვრობდი, ახლა არსად აღარ მიღებენ, ახალგაზრდები უნდათ ყველგან.

ერთი გოგო მყავს, მისი მეუღლე ბავშვთა სახლშია გაზრდილი და ქირით ცხოვრობენ, თავი ძლივს გააქვთ, მე როგორ უნდა დამეხმარონ? „გალინა ბლანკას“ კუბიკებს ვჭამ, ყველამ იცის ყოველდღე ვყიდულობ ორ ცალს. მეკუთვნის თუ არა, რომ ერთი პატარა ოთხი მქონდეს, სველი წერტილით და იქ დავლიო სული? აქ ასეთ გაუსაძლის პირობებში გვიწევს ყოფნა... წინასაარჩევნოდ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზურაბ აბაშიძე იყო ჩვენთან, დაგვპირდა თქვენს პრობლემას მოგიგვარებთო, არჩევნები რომ დამთავრდა თვალით არ გვინახავს. მეტიც, ამას წინათ გვითხრეს, მოემზადეთ არჩევნების შემდეგ უნდა გაგასახლოთო. ხმამაღლა ვაცხადებთ, ყველას გასაგონად, არასად წასასვლელი არ გვაქვს აქ მცხოვრებ არც ერთ ოჯახს, თავს შევაკლავთ და აქედან ვერ გაგვყრიან. ნაგავსაყრელზე ვიპოვე ერთი საძილე ტომარა, იმას გავშლი ამ ეზოში ხის ძირას და იქ დავიდებ ბინას. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი კვირაა დარჩენილი და ჩვენ შიშით ვიყურებთ არჩევნების მეორე დღეს, რომ ეს მდგომარეობაც სანატრელი არ გვქონდეს.

ირაკლი ჩხიკვიშვილი, „სტუდენტთა გაერთიანება სამართლიანი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე: - არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ ამ ადამიანების ასეთ ვითარებაში ყოფნას და ასე უპატრონოდ აქედანაც გასახლებას. ზამთარში, სიცივეში, ეს ადამიანები გარეთ იბანენ, საპირფარეშოები არ აქვთ და შიგნით ისაქმებენ. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ყველგან მივიტანოთ ამ ადამიანების გასაჭირი. მათი მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ აბაშიძეა. ისინი წინასაარჩევნოდ იყვნენ მოსულები, დაპირებები მიუციათ, თუმცა როგორც ხედავთ ამ ხალხს არც წყალი და არც შუქი არა აქვთ. ამიტომაც ჩვენ მაქსიმალურად ყველას შევაწუხებთ. იმედი გვაქვს, რომ ნელ-ნელა ყველაფერი მოგვარდება. კეთილ ადამიანებს მივაწვდით ხმას და ალბათ, დაეხმარებიან.

ადგილობრივებთან საუბრის შემდეგ „პრაიმტაიმი“ სამგორის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს დაუკავშირდა.

ზურაბ აბაშიძე, დეპუტატი: - ვიცით და ვმუშაობთ ამ ადამიანების პრობლემაზე და მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს აუცილებლად დადებითად გადაწყდება. ეს არ არის პრობლემები, რომელიც ჩვენი ხელისუფლების პირობებში შეიქმნა, სამწუხაროდ, ეს პრობლემები ჩვენ დაგვხვდა. ამიტომაც მიმდინარეობს ამ საკითხებზე კომპლექსური მუშაობა და ეტაპობრივად, ამ ადამიანების საკითხი გადაიჭრება. დღეს ამ ხალხს არავინ ემალება, გასული წლების დამოკიდებულება, რომ მათ დეპუტატებთან კავშირი არ ჰქონდათ, შეცვლილია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ადამიანები დავაკმაყოფილოთ“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მანდარინების“ პრემიერა შედგა - „ბრავო, ზაზა!“



იშვიათად მოუტანია ბოლო პერიოდის ქართულ ფილმს ჩემში ასეთი ემოცია და შფოთვა. ისე დამმუხტა, მეგონა, დედამიწას ფეხით დავარტყამდი წრეს და არ დავიღლებოდი. ჰუმანურობა გამიასკეცა, მოყვასის სიყვარული შემახსენა, სიცოცხლის სიკვდილზე უპირატესობა ახლებურად გაამყარა და ადამიანური ურთიერთობების ფონზე ომი გააუფერულა. მთავარი ადამიანური ღირებულებები თვალშისაცემია. ეს ზაზას სტილია. ვფიქრობდი, რითი უნდა ყოფილიყო ახალი, ომის თემაზე გადაღებული სურათი. სიუჟეტიც ვიცოდი, ორი თვის წინ მოცემულ ინტერვიუში „მანდარინებზე“ ზაზა ურუშაძე ვრცლად მესაუბრა. მითხრა, „ფილმი საფესტივალოც არის და სამაყურებლოც. ყურების დროს დაძაბული ხარ, მოსაწყენი არ არის. ასე მგონია, საინტერესო ფილმია“. მაგრამ ეკრანიდან წამოსული ემოციების ასეთ კასკადს მაინც არ ველოდი. რომ მეკითხებიან, ბოლო პერიოდის საყვარელ ქართულ ფილმზე, „სამ სახლს“ ვასახელებ. ესეც ზაზასია. „ყარაბახის“ მესამე ნაწილიც - „ბოლო გასეირნებაც“, რომელსაც ტრილოგიის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად ასახელებენ. „მანდარინების“ პრემიერამდე თვე-ნახევრით ადრე ზაზამ „ფეისბუქზე“ დაპოსტა - „მანდარინები“ ჩავდა ვარშავის კინოფესტივალის მთავარ კონკურსში! პირველად არის, რომ ჩემი ფილმი „ა“ კლასში ზის, მთავარ კონკურსში!“ აი, მაშინ დავინტერესდი და როგორც უკვე გითხარით, ფილმი მოლოდინს აჭარბებს.

იდეა

მოქმედება 1992 წლის აფხაზეთში ვითარდება. იმ დროს იქ ორი-სამი ესტონური სოფელი არსებობდა, რომლის მოსახლეობა ესტონეთის მთავრობამ ომის დროს გახიზნა და ისტორიულ სამშობლოში დააბრუნა. ეს ისტორია ზაზამ ტალინში მოისმინა, სადაც რამდენიმე წლის წინ ქართული კინოს დღეები „სამი სახლის“ ჩვენებით გაიხსნა. მაშინ ურუშაძეს უთხრეს, ხომ არ დაინტერესდებით საქართველოში მცხოვრები ესტონელების თემითო. რეჟისორი დაინტერესდა და 2010 წელს ასე დაიწერა სცენარი. სცენარმა ესტონეთის კინოცენტრში და კულტურის სამინისტროში გაიმარჯვა. „მანდარინები“ პირველი ქართულ-ესტონური კოპროდუქციაა. ფილმი დაფინანსებულია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, კულტურის სამინისტროს და „ევრიმაჟის“ მიერ, ასევე ესტონეთის ორი კინოფონდის და კულტურის სამინისტროს მიერ. შარშან „ევრიმაჟის“ ფონდის მიერ დაფინანსებული 18 ფილმიდან „მანდარინები“ პირველ ადგილას გავიდა. დიდ წილად კი სურათი ესტონეთის მხარემ დააფინანსა.

მტრები ერთ ჭერქვეშ

ფილმის მოკლე ანოტაცია ასეთია: აფხაზეთში ომის დროს რამდენიმე ესტონელი დარჩა. ქართველი მოხალისე მეომარი და ჩეჩენი ბოევიკი ერთმანეთთან შეტაკების დროს დაიჭრებიან. ორივე მათგანი მოხუცი ესტონელის სახლში აღმოჩნდება, რომელიც მათ უმკურნალებს და შეიფარებს. დაჭრილები სხვადასხვა ოთახში წვანან, მაგრამ სულ ერთმანეთის დახოცვის ჟინი აქვთ. აი, თუ როგორ ტრანსფორმაციას განიცდიან ძალზედ ჰუმანური და ღირსეული მასპინძლის ჭერქვეშ ერთმანეთის მტრები, ეს ფილმში თავად უნდა ნახოთ. მტრის უსაზღვრო სიძულვილს სიყვარული და მიტევება უპირისპირდება, ომს და სიკვდილს - სიცოცხლე. ძალზე დიდ სიმპათიას იწვევს მთავარი როლის - ესტონელი ივოს შემსრულებელი ლემბიტ ულფსაკი. მას ფილმის მანძილზე არაერთხელ ეკითხებიან, შენ რატომ არ ნახვედი ესტონეთში, რა დაგრჩენია ამ ომში? ის ამ კითხვას არ პასუხობს. მხოლოდ ფილმის ფინალში ვიგებთ, რომ ამ სოფელში შვილი ჰყავს დასაფლავებული. მის საფლავს ვერ ტოვებს. ჩეჩენი გმირი ეკითხება, ვინ მოკლა შენი შვილი - ქართველმა, აფხაზმა თუ ჩეჩენმა? ამას რა მნიშვნელობა აქვს - კითხვითვე პასუხობს ივო... ფინალშივე აცნობიერებ მთელ სიუჟეტს, ივომ თავისი შვილის სავარაუდო მკვლელის ეროვნების ორი მებრძოლი სიკვდილისგან იხსნა, გამოაჯანმრთელა, გამოკვება... ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობა გაუჩინა. შვილმკვდარი მამისგან ძალიან შორს არის გაბოროტება... აი, სად მარცხდება მტერი, ომი და სიძულვილი! ივო ერთ სუფრასთან მსხდარ მოსისხლე მტრებს სიკვდილის სადღეგრძელოს დალევას სთხოვს... აი, მაშინ იხედებიან სულში გარემოებისგან მტრად ქცეულნი. ამ დროს კი მოულოდნელი კულმინაცია იფეთქებს. ეს უკვე უნდა ნახოთ.

„ქართველები „კინოშნიკები“ ვართ“

პრემიერის დასრულებისთანავე დარბაზში ტაშმა ისე იგრიალა, გული შემეკუმშა. ტაშის მიღმა გულში ჩაწურული ცრემლები ვიგრძენი. კიდევ ვიგრძენი, რომ ასეთი ფილმის ქვეყანა ამაყია, რომ მისი კინო ასეთი ესთეტიკითაა გადაღებული. ვიგძენი ზაზა ურუშაძის სიხარული, გავიზიარე და სიმაღლეში მოვიმატე. გამიხარდა ყველა იმ ადამიანის სიხარულით, ვინც ეს ფილმი ჩემთან ერთად ნახა.



კახი კავსაძე: - ბრავო, ზაზა! იმედი განმიმტკიცა - ქართული კინო უკვდავია. ქართველები „კინოშნიკები“ და თეატრისტები ვართ, სულით და გულით არტისტი ხალხი ვართ და ჩვენი წაქცევა არავის გამოუვა. მიშა მესხისგან ასეთ პროფესიონალიზმს არ ველოდი. ისე ზუსტად გაძვრა ვიწრო ადგილებში, რომ შვება მომგვარა. მთელი ფილმი რა გადაღებულია, როგორი ესთეტიკით, ან მსახიობები როგორი შერჩეულია, როგორც ქართველი, ასევე ესტონელი... ბრავო!



გივი ბერიკაშვილი: - ბოლო ხანს კარგი ფილმის ყურებას გადავეჩვიე, „მანდარინებმა“ კი იმედი მომცა, რომ ქართული კინოს გონება და სული არ მომკვდარა. ზაზა უნიჭიერესი ბიჭია და მისი დამფასებელი ვარ.

ბაადურ წულაძე: - ემოციებით ისე ვარ დატვირთული, რომ საუბარი მიჭირს. არც მიკვირს ზაზა ურუშაძისგან ასეთი სასწაული სურათის შექმნა. ომის თემა დიდი ესთეტიკით გადმოგვცა და ამიტომ მომწონს მისი არასტანდარტული ხედვა.

„ჩვენი შრომა ადამიანთა გულებამდე მივიტანეთ“

გიორგი ნაკაშიძე ჩეჩენი ბოევიკის როლს ასრულებს, მიშა მესხი ომში მოხალისედ ნასული ქართველი მსახიობისას. ნიკას გმირზე ყველას ლევან აბაშიძე მოაგონდა. მასშია თავმოყრილი ყველა ის ქართველი მებრძოლი, ვინც აფხაზეთის ძმათა მკვლელ ომში დაიღუპა. ორივეს ნამუშევარი მოგხიბლავთ. კახი კავსაძემ გიორგიც შეაქო და ბოლოს ხუმრობით რეპლიკაც ესროლა - „თავში არ აგივარდესო“:)

„მაყურებლის რეაქციის მიხედვით მივხვდი, რომ ჩვენი შრომა ადამიანთა გულებამდე მივიტანეთ. კიდევ ერთხელ გავაღვიძეთ ის სატკივარი, რომელიც დღემდე ჩვენშია და რომელიც ოკუპაციისა და აგრესიის სახით დღემდე გრძელდება ქართველთა წინააღმდეგ. ეს ფილმი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპია, რაშიც მთელი სული და გული ჩავდე...“ - პრემიერის შემდეგ გვითხრა გიორგი ნაკაშიძემ.

ფილმისთვის მუსიკა ნიაზ დიასამიძემ დაწერა. მასთან ზაზამ მეორედ იმუშავა. პირველად „ბოლო გასეირნებაზე“ ითანამშრომლეს. კარგად ერწყმის სიუჟეტს ფანდურის და ხემის დუეტით შექმნილი ნიაზის მუსიკა. ფინალში კი გაისმის ირაკლი ჩარკვიანის - „მე გადმოვცურავ ზღვას“...



ლემბიტ ულფსაკი მიშა მესხთან ერთად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ისი პარის“ ახალი სურნელი – Pleats Please

„ისი პარი“ მომხმარებელს Issey Miyake-ის ახალ სუნამოს სთავაზობს. სუნამოს „Pleats Please“ ჰქვია, რომლის სახელწოდებაც მოდების ჩვენებიდან მოდის, სადაც გოფრირებული მატერია იყო წარმოდგენილი.

„Pleats Please“ არის მხიარული, უდარდელი და ოპტიმისტური არომატი, რომელიც გვიწვევს სიცოცხლითა და ენერგიით სავსე სამყაროში.

სუნამოს პრეზენტაცია კაფე „ბოჰემაში“ შედგა. სპეციალურად პრეზენტაციისთვის პარიზიდან გამოიგზავნა გოფრირებული სამოსი, რომელიც ბალერინებისთვის შეიქმნა. „ბოჰემაში“ შოუბალეტ „ვერნისაჟის“ მოცეკვავეებმა სწორედ ამ ქსოვილით შეკერილი სამოსით შეასრულეს ერთი კომპოზიცია და სუნამოს სურნელი მოაფრქვიეს იქაურობას.

სპეციალურად სუნამოს პრეზენტაციისთვის თბილისს პარიზიდან Issey Miyake-ის წარმომადგენელი ეკატერინე აკერმანი ეწვია, რომელმაც, „ისი პარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან – ხატია შამუგიასთან ერთად, ქართველ ჟურნალისტებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ახალი პროდუქტის შესახებ.

ხატია შამუგია: „იაპონელი ჯადოქარი დიზაინერის Issey Miyake-ს „მსოფლიო მოდის არქიტექტორს“ უწოდებენ. მისი სიძვირფასე მის ქსოვილებშია, გარდა იმისა, რომ ხარისხი უმაღლესია, ის გეომეტრიულ ფიგურებს დებს ამ ქსოვილში. ლამაზის გარდა, ყოველთვის კომფორტული და მოსახერხებელია. არაერთი კოლექციის ავტორია, ის დღემდე ტოკიოში ცხოვრობს. მისი ერთ-ერთი კოლექცია დაპლისული კოლექციაა და აქვს, ასევე, გეომეტრიული ფიგურებისგან შემდგარი ჩანთების კოლექცია, რომელსაც ჰქვია „ბაო-ბაო“.

ეს სუნამო სწორედ ამ ორი კოლექციის ნაზავია. ფლაკონის თავსახური დაპლისულია, ხოლო სუნამოს ფლაკონი გეომეტრიული ფიგურებისგანაა შექმნილი. სუნამოს სახელწოდებაც სწორედ ასეთია Pleats Please, ანუ „პლისე, გეთაყვა“. ძალიან ფერადი და არომატულია. პლისირებული კოლექციის წყარო იყო ერთ-ერთი საბალეტო დასის გასტროლი. მათთვის შექმნა კოსტიუმები და ეს კოსტიუმები უნდა ყოფილიყო ძალიან ლამაზი და ძალიან კომფორტული და ამისთვის პლისე ძალიან კომფორტულია. სწორედ ეს გახდა შთაგონების წყარო იმ სუნამოსი, რომლის პრეზენტაცია გაიმართა მთელ მსოფლიოში და რა თქმა უნდა, საქართველოშიც. „ისი პარის“ მომხმარებლები განებივრებულები არიან Issey Miyake-ის არომატებით.

– როგორ ფიქრობთ, ქართველი მომხმარებელი როგორ მიიღებს ახალ სუნამოს?

– ეს სუნამო ძალიან ფერადოვანი და იმდენად ლაღია, რომ ქალბატონებს გვჭირდება. ვფიქრობ, ძალიან ბევრი ადამიანი მიუძღვნის საყვარელ ადამიანს ამ სუნამოს“.



„ისი პარის“ სლოგანიც ეს არის, ჩვენი მომხმარებელი იყოს ჩვენით კმაყოფილი. ჩვენ თუ ეს გავამართლეთ და მიზანს მივაღწიეთ, ეს არის ყველაზე დიდი საჩუქარი, როდესაც მომხმარებელი ჩვენით კმაყოფილია“

ეკატერინე აკერმანი (Issey Miyake-ის წარმომადგენელი): „ეს შეიქმნა 1992 წელს. როცა ცნობილმა ქორეოგრაფმა უილიამ ფორსაიტმა ფრანკფურტიდან, მთხოვა, შემექმნა კოსტიუმები ბალეტისთვის. ერთი წლის განმავლობაში ამ სპექტაკლმა ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ Issey Miyake-იმ მითხრა, რატომ არ შეიძლება ისარგებლოს ყველამ ამ კოლექციით?“

ახალი პროდუქციის პრეზენტაციას ერთი მნიშვნელოვანი სიახლეც დაემთხვა, „ისი პარი“ სამ კომპანიას შორის ერთ-ერთია, რომელიც მომსახურების მხრივ ლიდერ კომპანიად დასახელდა.

ხატია შამუგია: „გაზეთ „Financial“-ის ეგიდით, საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კვლევების შედეგად სამი კომპანია დასახელდა, საუკეთესო მომსახურების კუთხით, და მათ შორის არის „ისი პარი“. თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო იმ მომსახურე პერსონალს, რომელიც „ისი პარიში“ მუშაობს, რადგან ეს მათი დამსახურებაა და ერთობლივი მუშაობის შედეგია. „ისი პარის“ სლოგანიც ეს არის, ჩვენი მომხმარებელი იყოს ჩვენით კმაყოფილი. ჩვენ თუ ეს გავამართლეთ და მიზანს მივაღწიეთ, ეს არის ყველაზე დიდი საჩუქარი, როდესაც მომხმარებელი შენით კმაყოფილია“.

თაკო დოლაბერიძე: „სუნამოთი აღფრთოვანებული ვარ, ძალიან მომეწონა. რაც შეეხება ამ ღონისძიების დაგეგმვას, ორი თვის განმავლობაში ვგეგმავდით, სად უნდა გაგვეკეთებინა. „ბოჰემა“ განსხვავებული ადგილია თავისი მომსახურებით, განსხვავებული საკვებითა და გარემოთი და ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთეთ“.

ლიზა ვადაჭკორია: „სუნამო ისეთი მიმზიდველია, რომ დავისხამ, შლეიფივით გამომყვებიან მამაკაცები და ქალების მიზანიც ეს არის სწორედ. ეს სურნელი ნამდვილად ჩემია. ძალიან მომეწონა ის, რომ Issey Miyake-ის მთავარი შემადგენელი ნაწილი არის პლისირებული ნაჭერი და პლისე. იმდენად მომეწონა ეს ქსოვილი, რომ ძალიან მომინდა, ან კაბა შევიკერო, ან დაპლისული მოსასხამი მქონდეს. სუნამო და პლისირებული ნაჭრები, ცალსახად ჩემია“.

„ისი პარი“ ქართულ კომპანიებს შორის, საუკეთესო სერვისისთვის, ლიდერის პოზიციაზეა

„პლისე, გეთაყვა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ სპორტ

my View
თამარ გონგაძე

„ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ნანა ნებიერიძე რომ გამოჩნდა, ეკა ნიჟარაძე გამახსენდა. დაახლოებით ერთი თაობის ქალბატონები არიან და პარტნიორიც ერთი ჰყავთ - ლევან ახვლედიანი. ამ მსგავსებაზე ნანამ მომიგო, ეკამ სოლიდური ქალის იმიჯი შექმნა, მე მხიარული ვარ, ბევრს „ვმაიმუნობ“ და ხუთი შვილიშვილიც რომ მყავდეს, მაინც ასეთი ვიქნებიო... ნანას სარეკლამო რგოლებიდან შეიძლება იცნობდეთ. სხვადასხვა პროდუქციის სახე ბოლო დროს „ნატახტარისა“ და „დირსის“ სარეკლამო რგოლში შეგიძლიათ იხილოთ. პროფესიით კი სპორტსმენია, წყალში მხტომელი. 1991 წლის ევროპის ჩემპიონი და 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის მონაწილე გახლავთ. დედის კვალს მიჰყვა, ალა კალიაგინაც წყალში მხტომელი გახლდათ. განათლება სპორტის აკადემიასა და სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტში (ფილოლოგიის ფაკულტეტი, რუსულ-ინგლისური) მიიღო. მუშაობდა ტელევიზიებში „ალანია“ და „პიკი“. პროექტში ქალბატონებს შორის ყველაზე უფროსი, ელეგანტური, დადებითი აურის მატარებელი და მხიარულია. ჟიურის წევრებს შორის სიმპათიით სარგებლობს. ერთმა მკითხა, ნანასა და ლევანს შორის ხომ არაფერი ხდება, სხვანაირად გახსნილი წყვილია. აღმოჩნდა, რომ ნანას ცხოვრებაში ერთი წელია არსებობს ადამიანი, რომელმაც ის ბედნიერი გახადა. ლევანიც დაოჯახებულია, ასე რომ უსაფუძვლო ეჭვები მინდა გაგიქარწყლოთ. უბრალოდ, ნანა ასეთი გახსნილი და თბილი ადამიანია. ის ამბობს, როცა შეყვარებული ხარ, ყველა და ყველაფერი გიყვარსო. ნანას ეტყობა, რომ შეყვარებულია. თვალები უბრწყინავს და ლაღია.

სპორტის ოსტატი

„დავდიოდი სპორტზე და მუსიკაზე. ორივეს თანაბარი წარმატებით ვეუფლებოდი, ბოლოს კი მაინც სპორტმა გადაწონა. ყოველდღე 12 საათი გამის დაკვრა, ტანჯვა იყო ჩემთვის. აქტიური ვარ და ჯანსაღი ცხოვრება მიყვარს. წყალში ხტომა ბავშვობიდან ისე მიყვარდა, რომ „ფანი“ შემარქვეს. არ მციოდა, არ მცხელოდა, არ ვიღლებოდი. 10 წლისამ ცურვა ჩემით ვისწავლე. ისე სწრაფად წავიდა ჩემი კარიერა, აზრზე ვერ მოვედი. 80-ანი წლების ბოლოს, ჩემი კარიერის დასაწყისში, წყალში ხტომაში უკვე ჩემპიონი ვიყავი. სპორტის ამ სახეობაში სამნი ვიყავით ჩემპიონი. მე, რუსი და ჩინელი გოგონა. მე ყველაზე რთული პროგრამა მქონდა. ორ წელინადში სპორტის ოსტატი გავხდი. დაახლოებით 14 წლის ვიქნებოდი“.

სპორტს 26 წლის ასაკში გამოვემშვიდობე

18 წლის ასაკში ოჯახი შექმნა, ცოლად მიშა ჯაფარიძეს გაჰყვა, თუმცა ერთ წელში ოჯახი დაენგრა. ქორწინებიდან ქალიშვილი დარჩა. ოჯახის დანგრევით გამოწვეულ სირთულეს და ტკივილს ისევ სპორტით დააღწია თავი. „სპორტი ჩემი სამყაროა და თავი ისევ ვიპოვე. სპორტის ფედერაციაში მივედი, ვარჯიშს ვიწყებმეთქი. რა დროს შენი ვარჯიშია, დაბერდიო... 22 წლის ვიყავი. სანამ ხტუნავ, ამ სპორტისთვის ბებრად არ ითვლები. რთული პერიოდი იყო, 90-იანების დასაწყისი. დროც დავკარგე, შვილი გავაჩინე. მოკლედ, ლიცენზიას ვერ აიღებო, მითხრეს. მერე, ოლიმპიადისთვის ლიცენზია რომ ავიღე, საქართველოში პირველი ვიყავი. მერე ნინო სალუქვაძემ აიღო. ფედერაციის დამოკიდებულებაზე ძალიან გავბრაზდი და ჩემი ეს ემოცია გახდა შემდგომ ჩემი მიღწევების მთავარი მამოძრავებელი. რუსეთში წავედი. ოთხი წელი რუსეთში, ქალაქ სარატოვში ვცხოვრობდი და მწვრთნელთან ვვარჯიშობდი. შვილი ყოფილი ქმრის ოჯახში იყო, ამერიკაში. სკოლაში რომ წავიდა, მე სიდნეის ოლიმპიადაზე გახლდით. ოლიმპიადიდან ჩამოსვლის შემდეგ სპორტს 26 წლის ასაკში გამოვემშვიდობე. მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი უკვე ჩემი შვილი იყო. ნინაზე იმდენად ვიყავი გადართული, ჩემ პირად ცხოვრებაზე არც მიფიქრია. ახლა ვხვდები, რომ შეცდომა დავუშვი. ყველაფერი წინ არის“.

ამერიკაში

„ერთი წელი ვიცხოვრე ამერიკაში, ოკლაჰომა სითიში. ბავშვებს ვავარჯიშებდი. აუზი - სახლი, ეს იყო ჩემი ყოველდღიურობა. აუზზე სიარული უკვე ყელში მქონდა ამოსული. ერთხელ დიასახლისმა მკითხა, სად გინდა წასვლაო. თავმდაბლად ვუთხარი, სადაც დამპატიჟებთ, იქ წამოვალ-მეთქი. იქვე ბავშვები დარბოდნენ და წამოიყვირეს, აუზზე წავიდეთო. რა დამემართა, ვერ აგიხსნით. სიკვდილი მერჩივნა, მაგრამ აუზზე წავედით“.

სარეკლამო სახე

ნანა გადაღებულია „ბარამბოს“, „ნატახტარის“, „დირსის“, „ლუკოილის“, „პროკრედიტ ბანკის“ სარეკლამო რგოლებში, „შინის“ და მაია ბარათაშვილის დუეტზე გადაღებულ კლიპში.

„სახე რომ ხარ, პასუხისმგებლობაა. ჩემზე რომ ამბობენ, „ნატახტარის“ სახეო, მგონია, რომ ეს სტატუსია. ერთ მომენტს გავიხსენებ. „პროკრედით ბანკის“ სახე ვიყავი. გადავიღეთ რეკლამა და ორ კვირაში დამირეკეს, კიდევ ერთხელ უნდა გადავიღოთ - შენი პარტნიორი დაიღუპაო. ქმრის როლში ვინც იყო რეკლამაში, ის ახალგაზრდა კაცი მოულოდნელად დაღუპულა. თავიდან გადავიღეთ „მეორე ქმარი“. ეს ბიჭი მერე ლატარეის სახე აღმოჩნდა და კიდევ დამირეკეს და „მესამე ქმარი“ მომიყვანეს. ერთხელ „გუდვილში“ ვართ მე და ჩემი შვილი, რიგში ვდგავართ. ვიღაც მეძახის, ნანა, როგორ ხარ? კარგად, შენ რას შვები-მეთქი კი ვუპასუხე, მაგრამ ვერ ვიხსენებ, ვინ არის. სახე მაქვს ისეთი, მეტყობა, რომ არ მახსოვს. უცებ ეს ბიჭი მთელ ხმაზე ყვირის - „არ გახსოვს, შენი ქმარი ვიყავი!!!“ იქ ვინც იყო ყველამ ხომ მე შემომხედა, თან ძალიან ცუდად, ცალკე ჩემი შვილი სიცილით ჩაბჟირდა, მომიბრუნდა და მეუბნება - რა ვიცი, სულ წუწუნებ, რომ მარტო ხარ და უკვე არ გახსოვს ვინ არის შენი ქმარი? სულ ისეთ როლებში - ოჯახი და ქმარ-შვილი მყავს...

- რატომ გხედავენ სულ ოჯახურ გარეგნობაში?

- ალბათ, ასეთი იმიჯი მაქვს. სინამდვილეში მართლა არის ჩემი ოცნება ოჯახური კეთილდღეობა.

ტელევიზია

„ვმუშაობდი „ალანიაში“, ჩვეულებრივ კორესპონდენტად. მივხვდი, რომ კამერა და მიკროფონი ჩემი იყო. პირველი სთენდაფი ოლიმპიურ კომიტეტში ჩავწერე, 40 დუბლში. მერე „პიკზე“ მივედი. იქ უკვე სპორტის საინფორმაციო გამოშვების „ექსთრა თაიმის“ წამყვანი ვიყავი. სპორტში მარტო ხარ, როცა კოლექტივში ხვდები, შენზე უკვე ბევრია დამოკიდებული. ხარ ხასიათზე, თუ არა, არავის აინტერესებს. ეს ეკრანზეც ჩანს. ერთხელ რეჟისორმა მითხრა, დღეს ცუდ ხასიათზე ხარო. კამერას ტელევიზიებში მივეჩვიე და შემიყვარდა“.

შეყვარებული ნანა

ნანამ არ დამალა, რომ შეყვარებულია, თუმცა დამალა საყვარელი ადამიანის ვინაობა. ახლა ხდება პოპულარული და ნელ-ნელა მაინც მოუწევს პირად თემებზე პასუხების გაცემა, თავის მართლება თუ ინფორმაციის ნებით თუ ძალით გამომეტება. ჯერჯერობით კი თავის რჩეულზე ჩვენთან ექსკლუზიურად ჰყვება.

„საბედნიეროდ მყავს ადამიანი, რომელიც სიგიჟემდე მიყვარს. ერთი წელია ძალიან ბედნიერი ვარ. აქამდე ერთი ნახვით შეყვარების არ მჯეროდა. გრაფინია ბებია ძილის წინ პრინცესებზე მიყვებოდა ზღაპრებს. რეალობას რომ შევეჩეხე, ჩავთვალე, რომ ბავშვობაში მატყუებდნენ. თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი არ არსებობს-მეთქი... მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არსებობს... ლოდინი უნდა, თავის დროზე მოვა. ყველას გვეჩქარება. ამ დროს ყველას თავისი ჰყავს და თავისას იღებს, დამსახურებისამებრ. ეტყობა, ცხოვრებაში კარგი საქმეები ცოტა არ მაქვს გაკეთებული, რომ ეს დავიმსახურე. ეს ადამიანი დიდი საჩუქარია ჩემთვის. ვინ არის, რა პროფესიისაა, ეს უკვე ჩემი პირადია და არ დავაკონკრეტებ. პროფესიით კარგი ადამიანია. „რუმბა“ რომ ვიცეკვე, შეცდომები მქონდა. მაგრამ მესმის გაკეთებული კომენტარები - თუ რაოდენ მოეწონათ ჩემი ცეკვა. მე ერთის თქმა შემიძლია - ჩემი შინაგანი მდგომარეობის წყალობით სხვაგვარად ვერ შევძლებდი. თავს მოატყუებ, მაგრამ პუბლიკას ვერა. ეს ცეკვა შინაგანი განწყობით ვიცეკვე და არა ტექნიკის სიზუსტით და ამიტომაც მოეწონათ. შეყვარებულობა ძალიან დამეხმარა ცეკვაში.

ჩემი რჩეული გვერდში მიდგას და მეხმარება. მან შემცვალა. თუ მანამდე თავდაყირა ვიყავი, ამ ურთიერთობამ დამაწყო. როცა შეყვარებული ხარ, მტრებიც გიყვარს. ყველა და ყველაფერი გიყვარს, ყველაფერი გიხარია. პირველად ვარ ასე შეყვარებული და რაც გინდათ ის დაარქვით - ასაკი, ცხოვრებისეული გამოცდილება. იოლი ცხოვრება არ მქონია. მარტოხელა დედას რთული ცხოვრება აქვს. ღმერთს მადლობას ვუხდი ასეთი საჩუქრისთვის. რა იქნება მერეო, მომავალთან მიმართებაში ხშირად ამბობენ ადამიანები. მე დღეს ვარ ბედნიერი და ძალიან მიხარია, ხვალ რა იქნება, არ მაინტერესებს. რაღაცებს ვგეგმავთ ადამიანები, მაგრამ მთელი ცხოვრების დაგეგმვა ადამიანებს არ შეგვიძლია. არ ვიცით, ხვალ რა იქნება. როგორც ამბობენ - ერთი დღით ჯობია იყო ბედნიერი, ვიდრე მთელი ცხოვრება იწვალო. ეს მცირე ბედნიერება ღირს ცხოვრებად. ბედნიერება მოდის და მიდის, ეს ცხოვრებაა.

- ერთად ცხოვრება გადაწყვეტილი გაქვთ?

- გლობალურად ამაზე არ ვფიქრობთ. მონახაზები არის... ცხოვრება სიურპრიზებით აღსავსეა. შვილს თვითონ ვუთხარი, რომ ბედნიერი ვარ და ჩემს ცხოვრებაში არსებობს ერთი ადამიანი. ჩემთვის მთავარია, შენ იყო კარგადო, ნინამ მითხრა... სიმართლე რომ

ნანა ნებიერიძე: „მყავს ადამიანი, რომელიც სიგიჟემდე მიყვარს. ერთი წელია ძალიან ბედნიერი ვარ. ეტყობა, ცხოვრებაში კარგი საქმეები ცოტა არ მაქვს გაკეთებული, რომ ეს დავიმსახურე. ეს ადამიანი დიდი საჩუქარია ჩემთვის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სმენი კონკურსანტი შეყვარებულია

„38 წლის ვარ და მეუბნებიან, შენს ასაკზე ახალგაზრდულად გამოიყურებიო. ადამიანი მანამ არ ბერდება, სანამ გაოცების უნარი აქვს. რაც შეიძლება ხშირად უნდა გაიღიმოთ. სულ უნდა იყოთ შეყვარებულის მდგომარეობაში“

„ნინაზე იმდენად ვიყავი გადართული, ჩემ პირად ცხოვრებაზე არც მიფიქრია. ახლა ვხვდები, რომ შეცდომა დავუშვი“

EXCLUSIVE

„ჩემი შვილი სიცილით ჩაბჟირდა, მომიბრუნდა და მეუბნება - რა ვიცი, სულ წუწუნებ, რომ მარტო ხარ და უკვე არ გახსოვს ვინ არის შენი ქმარიო?“

„პირველად ვარ ასე შეყვარებული და რაც გინდათ ის დაარქვით - ასაკი, ცხოვრებისეული გამოცდილება“

გითხრათ, მან თვითონ გამოიცნო, რომ შეყვარებული ვარ. ამას ვერ დამალავ.

- სიყვარულს და ფულს ვერ დამალავო, ამბობენ.

- ვეთანხმები. მეგობარი შემხვდა, რა ხდება შენ ცხოვრებაშიო. არაფერი-მეთქი. როგორ, „ფილიპსის“ ნათურასავით ანათებ და არაფერი ხდებაო? ტყუილი არ ვიცი, არ შემიძლია.

ნანა და ლევანი

„ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ შემოთავაზება რომ მივიღე, მაშინვე დავთანხმდი. ეს ჩემს ცხოვრებაში სიახლეა. ცხოვრება ახალი ფურცლიდან დავიწყე. რაც არ უნდა მოხდეს, რამდენი წლისაც არ უნდა იყოთ, არ გაჩერდეთ-მეთქი, ყველას ვეუბნები. თავიდან ცოტა შემეშინდა, შვილი დიდი მყავს, საქართველოა და იტყვიან, რა დროს დედამისის ცეკვაო. მაგრამ მივხვდი, რომ პირველ რიგში ჩემი თავი უნდა დამეყენებინა და მერე დანარჩენები. როგორ „იჩალიჩე“ ამ პროექტში მოხვედრაო, მეუბნებოდნენ. არანაირი „ჩალიჩი“. თავისით მიღებენ რეკლამებშიც. არაფერი არ გამიკეთებია იმისთვის, რომ სარეკლამო სახე გავმხდარიყავი.

რაც შეეხება პროექტს. ბევრი ნიუანსია, რომ კარგად იცეკვო. უნდა იცნობდე პარტნიორს. უმცროსია, თან დახურულია, მამაკაცია და მე გავხსენი. ლევანი რეპეტიციაზე რომ მოდის, დარბაზში არ არის შემოსული, რომ შორიდან ვგრძნობ - რა განწყობაზეა და ვეკითხები - ცუდად გეძინა, ხო? რა იციო? - უკვირს. ვიცნობ, ვგრძნობ. სხვანაირად ვერ იცეკვებ, არ გამოვა. ეს ქალის და მამაკაცის ურთიერთობა არ არის, შინაგანი იმპულსებია, რომელიც ერთ საქმეს კარგად გვაკეთებინებს. ლევანი მეუბნება, რადგან სპორტსმენი ხარ, ერთუჯრედიანი იქნებოდი მეგონა, მაგრამ გამიმართლაო.

24 საათი აღარ მყოფნის. დატვირთული რეჟიმი მაქვს. მაგრამ ისე მომეწონა ამ პროექტში ყოფნა, რომ ხუთშაბათები ძალიან მენატრება ხოლმე. სცენა ჩემი ყოფილა, ძალიან მომეწონა. ვფიქრობ უკვე, ეს პროექტი რომ დასრულდება, მერე რა უნდა გავაკეთო-მეთქი? აი, ცხოვრების სიურპრიზი. მე ვერ ვიფიქრებდი, რომ სცენაზე მოვხვდებოდი, მით უფრო ცირკის არენაზე“.

„აი, რა შეიცვალა“

„აქ, სამწუხაროდ, არ იციან - რა არის კონკურენტი. ჰგონიათ, რომ კონკურენტმა რაღაც უნდა გააფუჭოს. არ ესმით, რომ კონკურენტი სერიოზული სტატუსია. იმაზე მეტი ვიდრე მონაწილე. როცა კონკურენტი ხარ, შენგან ბევრს სწავლობენ, ბევრს იღებენ. ამიტომ სულ ღირსეული კონკურენტი უნდა იყო. ქეთი ხატიაშვილმა მითხრა, ისე მომწონხარ, შენგან ბევრს ვსწავლობო. ეს დიდი კომპლიმენტი იყო ჩემთვის“.

- ქალ კონკურსანტებში უფროსი ხართ, ეს განსაკუთრებულ ღირსებას გმატებთ?

- არა, პირიქით. ისე „ვმაიმუნობ“, ვღადაობ, რომ სალომე ჭაჭუამ მკითხა კიდეც, რამდენი წლის ხარო?

- შოუ რას გაძლევთ?

- თავში დაჯერებული ხდები, ცნობილი - თავისთავად. დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას გმატებს, ჯერ მეწყვილესთან, მერე სხვა დანარჩენთან.

- მოგწონთ პოპულარობა?

- მომწონს, მაგრამ ბევრი მინუსი აქვს. ქალიშვილს ვუთხარი, ვარსკვლავური ცხოვრება ჩემთვის არ არისმეთქი. სასიამოვნოა, მაგრამ რთული. მინუსია ის, რომ ცხოვრებაში გეჭრებიან. აქამდე ჩემი პატარა სამყარო მქონდა შექმნილი და ჩემთვის ვცხოვრობდი. უკვე ახალი სახე ვარ, ახალი პროდუქტი და დიდია ინტერესი. ვცდილობ, გავუძლო. შოუში ვაკვირდები ყველას. კონცერტამდე ერთი ტირის, პანიკაშია, მეორე გადარბენაზეა... სრული ცხოვრებაა. სავსეა ემოციებით. საინტერესოა დაკვირვება. ვცდილობ დავინახო, გავიგო. დაკვირვებით ვიღებ სიამოვნებას. ახლა ცენტრში მე აღმოვჩნდი და მე მაკვირდებიან. აი, რა შეიცვალა.

38 წლის

„38 წლის ვარ და მეუბნებიან, შენს ასაკზე ახალგაზრდულად გამოიყურებიო. ადამიანი მანამ არ ბერდება, სანამ გაოცების უნარი აქვს. დაკარგავს თუ არა, უკვე ცხოვრება გავლილია და დაბერებას იწყებს. რაც შეიძლება ხშირად უნდა გაიღიმოთ. სულ უნდა იყოთ შეყვარებულის მდგომარეობაში. ყველაფერს სულ სხვა ფერებში შეხედავთ. პრობლემებიც სხვა მხარეს გადადის. ნაოჭებს თავისი მომხიბვლელობა აქვს. მათ წარმოქმნას ხელს არ შევუშლი. ეს ჩემი სიამაყეა. თვალის გარშემო გაჩენილი ნაოჭები იმაზე მეტყველებენ, თუ რაოდენ ხშირად იღიმება ადამიანი. რაც მეტად იღიმება, მით მეტი ნაოჭი აქვს“.

ნინა

„ნინა ქართულ-ევროპულ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობს. დაქალები ვართ. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შვილი მყავს. სწავლის თემის გარდა მასთან არაფერზე მიჩხუბია. ერთი ზომის სამოსს ვატარებთ. დილით ადრე თუ წავიდა, ჩემი ტანსაცმელი აცვია - ოხ, ნინა, ნინა... ახლა დაქალებთან ერთად მგულშემატკივრობს. ჰყავს შეყვარებული. კარგად ვიცნობ. სტატუსი მაქვს, დედა ვარ, თუმცა ყველაფერს მიყვება, რჩევებსაც მეკითხება“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პაატა ქურდაძე კულტურულ რეგრ

my View
დეა თავგერიძე

შვილებთან ერთად

„კულტურა ის დესერტია, რესტორანში კარგად რომ ისადილებ, პირველ-მეორე-მესამეს დესერტსაც რომ დააყოლებ, და ბოლოს კითხულობ, - ყავა გვინდა? სწორედ ეს ყავა არის კულტურა საქართველოში“

„რეაქტიული კლუბისთვის“ ის „პინკ ფლოიდის“ ყოფილი წევრივით (სიდ ბარეტივით) აღმოჩნდა, დასაწყისში რომ ჯგუფში იყო და მერე გაუჩინარდა. მაგრამ ამ ჯგუფის შექმნაში ძალიან დიდი დამსახურება აქვს. თუმცა „პინკ ფლოიდებზე“ ვინც ლაპარაკობს ამ კაცის არსებობის შესახებ ბევრმა არაფერი იცის. „რეაქტიული კლუბის“ სიდ ბარეტი ანუ პაატა ქურდაძე კლუბის დაარსების შემდეგ პარიზში გაემგზავრა და უჩინრადაც, ალბათ, ამიტომ დარჩა. კოტე ყუბანეიშვილისა და ირაკლი ჩარკვიანის გვერდით მის სახელს არავინ იხსენიებდა. თუმცა ამ და სხვა საინტერესო ცხოვრებისეული დეტალების შესახებ, თავად ჩვენი სტუმარი მოგითხრობთ, რომელიც თითქმის ერთი თვეა საქართველოშია და ახლა უკვე წიგნის პრეზენტაციისთვის ემზადება. პაატა ქურდაძის ახალ წიგნს „ანტიოდს“ მკითხველი 22 მაისს მწერალთა სახლში გაეცნობა. ვინც ამ მწერალსა და ესეისტს არ იცნობს, ვურჩევ აუცილებლად გაიცნოს, მხოლოდ ერთი მარტივი მიზეზის გამო, ის არის ავტორი, რომელსაც კარგად გამოსდის მკითხველის შეტყუება იმ საინტერესო ლაბირინთში, წიგნიდან მოწყვეტის საშუალებას რომ არ იძლევა. მოსაუბრეც სიტყვაწლიანია... ამიტომ არც ეს ინტერვიუ მოგბეზრდებათ, პირიქით, ვფიქრობ შემდეგ ნომერში ამ საუბრის გაგრძელებასაც მოითხოვთ :)

ამ წიგნის პარიზული პრეზენტაცია კი 17 მაისს მონმარტრის სენ პიერის ეკლესიის საექსპოზიციო დარბაზში მოეწყო.

ტყუილი - კულტურული რეგრესი

პაატა ქურდაძე: - ბავშვობაში ბევრს ვიტყუებოდი. შეიძლება ცოტა მითომანიც ვიყავი, არ ვიცი... ახალგაზრდობაშიც ვიტყუებოდი, უფრო მეტი დრო გაქვს, ტყუილში რომ გამოგიჭირონ გამოასწორებ ამ შეცდომას... ახლა ამისი დრო არ მაქვს... რაღაც მოიტყუო და მერე ვიღაც ფარდას აგხდის, ამის წარმოდგენაც კი იმდენად მზარავს, რომ არა მგონია ვიმნიეს რამე სერიოზულად მოვატყუო. უცხოეთში, თუ იტყუები უბრალოდ იდიოტი ხარ... ყველაფერს დაგიჯერებენ, მაგრამ ადრე თუ გვიან აუცილებლად მიხვდებიან, რომ იტყუები და იდიოტად ჩაგთვლიან... რა თქმა უნდა, საყოფაცხოვრებო დონის ტყუილები მაქვს მხედველობაში და არა პოლიტიკური, კომერციული, ან მარკეტინგული, აქ დასავლეთი უბადლო მატყუარაა... საქართველოში კი ისედაც დაძაბულია ურთიერთობები, ისედაც ყველა ერთმანეთზეა გადაკიდებული და ახლა კიდევ ამის გამო შიში ძალიან მეზედმეტება. თუმცა, აქ ტყუილს ყოველ ნაბიჯზე ხვდები, რაც ყველაფერში ხელისშემშლელია. წინასწარ განზრახულ ტყუილზე არა მაქვს ლაპარაკი. ადამიანი როცა გეტყვის, მოდი ხვალ დაგირეკავ, მოვალ, გნახავო და აღარ ახსოვს. მერე შემთხვევით შეგხვდება და გაკვირვებული კითხულობს ვაა, შენ ისევ აქ ხარო? ეს არის საწყენი. ჰგონია, რომ უკვე საფრანგეთში ნახვედი. აი, ამისგან შედგება ჩემი ყოველდღიურობა საქართველოში, უნდა გამოვიცნო ადამიანი მართლს მეუბნება იმას, რასაც მეუბნება, თუ მატყუებს. ეს ძალიან მაღიზიანებს. სამწუხაროდ, ძალიან ბევრ არასაჭირო „ლიცემერიასა“ და ტყუილს ვხვდები. რომელიც არავის არაფერში არგია. ეს ხომ უღირსი საქციელია. ღირსეული ტყუილს არ იკადრებს. ადრე რცხვენოდათ ამის და მალავდნენ. ახლა არ რცხვენიათ, ტყუილის გამო ბოდიშსაც არავინ გიხდის. ამას მე კულტურულ რეგრესს ვეძახი.

- როგორც ვიცი, წიგნში, რომლის პრეზენტაციაც 22-ში გაიმართება, ამაზე ვრცლად საუბრობთ.

- წიგნში, სამი ესსეა, რომელიც საქართველოში კულტურის მნიშვნელობას ეხება. ჩვენი მთავარი პრობლემა კულტურული პრობლემაა. უკულტურად კულტურულ ეკონომიკას ვერ ააშენებ, შეუძლებელია... კულტურაზე როცა ვლაპარაკობ, არ ვგულისხმობ, მხოლოდ ხელოვნებასა და კულტურის სამინისტროს, თუ არის რაღაც სტრატეგიული დარგები საქართველოში, - თავდაცვა, პოლიცია, ეკონომიკა, ფინანსები, ამ ჩამონათვალში კულტურა ის დესერტია, რესტორანში კარგად რომ ისადილებ, პირველ-მეორე-მესამეს დესერტსაც რომ დააყოლებ, და ბოლოს რომ კითხულობ, - ყავა გვინდა? სწორედ ეს ყავა არის კულტურა საქართველოში. კულტურა საქართველოში სტრატეგიული მნიშვნელობის დარგია, რომელზეც აუცილებლად უნდა იფიქროს ყველამ. სხვანაირად ერთი წამითაც ვერ დავიჯერებ, რომ ამ ქვეყანაში შეიძლება რამე გაკეთდეს. სამწუხაროდ, ვერც ერთი ქართული ხელისუფლება ვერ მიხვდა კულტურის სტრატეგიულ მნიშვნელობას... ამაზე არავინ საუბრობს, არც ტელევიზია. ჩემი წიგნი შეიძლება რამდენიმე ასეულმა კაცმა წაიკითხოს. ასეთი წიგნები ფართო პუბლიკისთვის არ იწერება. ისედაც მადლობელი ვარ მათი, ვინც კითხულობს. რადგან ასეთი ჟანრისთვის საქართველოში საკმაოდ ბევრი მკითხველი მყავს, მაგრამ ამისთვის არსებობს საზოგადოებრივი არხი, რაღაც უნდა მოეფიქრებინათ, თუნდაც პატარ-პატარა სიუჟეტები და არა მარტო ტყუილზე, ბევრ რამეზე, მე საყოფაცხოვრებო კულტურაზე მაქვს საუბარი. მაგრამ იქაც იგივე ხდებოდა, რაც ნებისმიერ კომერციულ არხზეა. სწორედ ეს არის დათვური სამსახური. წლებია ვლაპარაკობ, რომ რუსთაველზე მოხუცი ვერ გადავა ქუჩის მეორე მხარეს, იმ ჯოჯოხეთურ მიწისქვეშა გადასასვლელში უნდა ჩაძვრეს, სადაც მეც მიჭირს ჩასვლა. „რედისონის“ წინ, ქალაქის ცენტრში, მიწის ქვეშ აბსოლუტური ჯოჯოხეთია, ლაბირინთებში ვიარე გუშინ. ასეთ აბსურდსა და სიურეალიზმში ცხოვრებაში არ მოვხვედრილვარ. ძალიან ვინანე, რომ კარგი ხარისხის ფოტოაპარატი არ მაქვს წამოღებული. პოსტაპოკალიპტური სიტუაციაა, გგონია, რომ იქედან ვიღაც ტიპები ამოვლენ, დიდი მაგნიტოფონით, დანებს მოგადებენ და ყელს გამოგჭრიან... რატომ უნდა ჩავიდეს მოხუცი შარდის სუნით აქოთებულ ბნელ ლაბირინთებში? ეს უკულტურობაა და ჩვენთან უკულტურობა არის ინსტიტუციონალიზებული.

- თქვენეული ხედვით ეს ლაბირინთი მთლიან საქართველოზეც ვრცელდება?

- ეს ლაბირინთი საქართველოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. როცა ჩამოვედი, ბათუმში მატარებლით მომიწია წასვლა. თითქმის მთელი საქართველო გავიარე. ასეთი სიღატაკე, რაც ფანჯრიდან ჩანს, დიდი ხანია არ მინახავს... თან მატარებელში ვზივარ კომფორტულად. კომპიუტერი, ინტერნეტი, ეს ძლიან კარგია... მაგრამ ფანჯარაში გაოგნებული ვიყურებოდი. უამრავი სოფლებია და ისეთი სიტუაციაა, ძაღლი არ დარბის გარეთ. აქაც იგივე ლაბირინთია, უბრალოდ მზიანი ამინდი იყო... დაცარიელებულ სოფლებს თითქოს კულტურასთან არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, ეს უფრო ეკონომიკური სიდუხჭირეა და ათასი მიზეზი არსებობს ამისთვის...

- მაგრამ ეს სიდუხჭირე, დაბალი კულტურა, ტყუილი, ყველაფერი ხომ ერთმანეთთან ძალიან მჭიდრო კავშირშია?!

- რა თქმა უნდა, ჩვენ კი ყოველთვის გვეუბნებიან, რა დროს ეს არის, მოდი ჯერ ეს გავაკეთოთო, ჰგონიათ, რომ ჯერ უნდა ააშენონ ამერიკა, სინგაპური, საფრანგეთი და კულტურისთვის მერე მოიცლიან. კულტურა, როგორც გითხარით, დესერტია ამათთვის და ვერავინ მიხვდა, რომ ეს ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ჯანმრთელობის დაცვა.

- ისევ თქვენს წიგნს მინდა დავუბრუნდე. ქართული წიგნის პრეზენტაცია მონმარტრზე, ცოტა უცნაურადაც ჟღერს, არადა ამბობენ, ბევრი ხალხი იყოო, ეს თქვენი წიგნების პოპულარობამ განაპირობა, თუ იმან, რომ ქართველმა მწერალმა ქართველებს შეკრების მიზეზი მისცა?

- აქ უცნაური არაფერია, ჩემი სამივე წიგნი მონმარტრზეა შექმნილი, რადგან იქ ვცხოვრობ, ამიტომ არც მისი იქ პრეზენტაცია უნდა იყოს გასაკვირი. პოპულარობის შესახებ ვერაფერს გეტყვით, დაზუსტებით მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ქართული ლიტერატურული შეხვედრები ძალიან იშვიათად, ან თითქმის არ იმართება. შესაძლოა ეს იყოს მიზეზი, შესაძლოა ისიც, რომ ინტერნეტის წყალობით ასე თუ ისე მიცნობენ და თემა, რომელსაც ამ წიგნში ვეხები, მათთვის საინტერესო იყო. პარიზისთვის მართლაც საკმაოდ ბევრი ხალხი იყო, მით უმეტეს იმ საღამოს კოკისპირულად წვიმდა... იქიდან მოყოლებული ბევრმა მთხოვა, იქნებ თბილისშიც გააკეთოო. ვიფიქრე, რატომაც არა. მით უმეტეს ეს წიგნი ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას ეხება, ალბათ, ამაზე რაც მეტს და რაც ხშირად ვილაპარაკებთ, უკეთესია. ეს წიგნი არ არის პირველი, რომელიც კულტურაზეა. წინა, 2011-ში გამოცემულ წიგნში, „ექსპერიმენტული განცდები“, ბევრს ვლაპარაკობ კულტურაზე, მისთვის განკუთვნილ დაკარგულ სივრცეზე... პირველი ტირაჟი ძალიან ცოტა იყო, ახლა თავიდან ვბეჭდავთ. იქ ასოციაცია „ლაზი“ დამეხმარა. აქ კი გამომცემლობა მინიატურამ დაბეჭდა, ძალიან კარგი ხარისხისაა. ზუსტად ისეთი წიგნია, როგორიც მინდოდა. დიზაინი ჩემი გაკეთებულია. ძალიან მიყვარს მინიმალისტური წიგნები, რომ არ გაშინებს. ყდა და გრაფიკა, ჩემი მეგობრის, ანრი ბასილაიასია.

- „რეაქტიულ კლუბზეც“ მინდა გკითხოთ, რატომ არ ფიგურირებდა თქვენი სახელი არსად? კოტე ყუბანეიშვილთან და ირაკლისთან ერთად თურმე პაატა ქურდაძეც ყოფილა „რეაქტიული კლუბის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი.

- „რეაქტიული კლუბი“ თავიდან კოტეს იდეა იყო. ის რომ არ ყოფილიყო არაფერი იქნებოდა. საბჭოთა კავშირის დროს ხალხი წლობით ელოდა წიგნის გამოცემას. დღევანდელივით იოლი არ იყო. სპონსორს რომ იშოვი და სამ დღეში წიგნს გამოუშვებ.... ვერ გამოვეცით. ამასობაში აქ ზვიადის წინაალმდეგ გამოსვლები დაიწყო. კოშმარი სიტუაცია. მერე მე და კოტე საფრანგეთში ნავედით, ირაკლი დარჩა. ჩვენი წასვლიდან ერთ თვეში თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყო. კოტე ორი თვის მერე დაბრუნდა, აქ ოჯახი ჰყავდა. მე შევრჩი „რეაქტიული კულუბის“ ელჩად საფრანგეთში. ამ კლუში ყველას ფსევდონიმები გვქონდა. მე ორი ფსევდონიმით ვიყავი, - აკაკი მარსიაშვილი და ვალენტინ პუტანელი. კოტეს ჩამოსვლამდე ირაკლის ინტერვიუ მიუცია, მე და ჩემმა მეგობრებმა „რეაქტიული კლუბი“ გავაკეთეთო. არც კოტე ახსენა და არც მე. ასეთი ტიპი იყო ირაკლი, „შესანიშნავი შვიდეულიდან“ ჩიკოსავით... კოტემ გამოსცა ეს წიგნი. იშოვა ქაღალდი, სტამბა... ირაკლი ცხოვრებაში ვერ გამოსცემდა ამ წიგნს, ვერც მე. წიგნი რომ გამოვიდა ინტერვიუებით ყველამ გაიგო, რომ არის კოტესი და ირაკლისი. ვიღაცებმა თავიდანვე იცოდნენ, რომ მეც ვიყავი, მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ მე დავრჩი ისევ ვალენტინ პუტანელად. მერე აქ დაიწყო რეაქტიული კლუბის ტუსოვკა. მოდიოდნენ მხატვრები, პოეტები, იყო სულ სხვა სიტუაცია, ვიდრე ამ ჩაბნელებულ და კრიმინალურ თბილისში.

- ე.ი. „რეაქტიულმა კლუბმა“ შეძლო იმის გაკეთება რისთვისაც შეიქმნა?

- „რეაქტიულმა კლუბმა“ ლიტერატურაში დაანგრია რაღაც კლიშეები. ჩვენ ვებრძოდით ამ ნაციონალისტური მარაზმის პირველ გამოვლინებებს, რომელმაც ძალიან ცუდი როლი ითამაშა შემდეგ ქართული კულტურის განვითარებაზე, იმას, რასაც დღეს ვწერ საფუძველი იმ წლებში ჩაეყარა. დღეს „რეაქტიული კლუბის“ პირველ გამოცემას რომ გადახედოთ, საბჭოთა კავშირი თუ არსებობს ვერც გაიგებ, ჩვენ უკვე აღარ გვახსოვდა საბჭოთა კავშირი. ჩვენი პროტესტი, ირონია, თუ ეპატაჟი მიმართული იყო იმ რეალობისკენ რა რეალობაშიც ვცხოვრობდით. აღარ გვაინტერესებდა რა მოხდა, რა იყო და ვინ რა გააკეთა. ირაკლი, სულ მეუბნებოდა „მონანიება“ ჩემზეა გადაღებულიო... მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარდა ბაბუა, ძალიან საინტერესო კაცი კანდიდ ჩარკვიანი, მაინც ასე ამბობდა... კანდიდ ჩარკვიანი სტალინის დროს ცეკას მდივანი იყო, მამაჩემი ზუსტად კანდიდ ჩა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

„სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან ბევრ არასაჭირო „ლიცემერიასა“ და ტყუილს ვხვდები, რომელიც არავის არაფერში არგია“

„საქართველოს სჭირდება რამდენიმე ათეული პრინციპული, წესიერი, ნორმალური ადამიანი და ამ ქვეყანას პროგრესი ეგრევე დაეტყობა“

რკვიანის პერიოდში ოჯდა გულაგში 5 წელი, ბაბუაჩემი დახვრიტეს, ასევე კოტეს ბებიები და ბაბუებიც... მაგრამ ჩვენ ერთად ვიყავით. „რეაქტიულმა კლუბმა“ პოეზიის ენა ადამიანური გახადა. მანამდე, ქართულ ლექსებს როდესაც კითხულობდი, შენსა და პოეზიას შორის ბარიერი იყო... არ მიყვარს „რეაქტიულ კლუბზე“ ლაპარაკი, მომბეზრდა ეს თემა. მაინც მალაპარაკეთ... ეს იყო ერთი წელი როკ ჯგუფში. დაუკარით და მორჩა, გიტარები დავდეთ და წავედით... ვთვლი, რომ ერთ-ერთი იშვიათი ჯგუფი იყო, რომელმაც რაღაც კვალი დაამჩნია ქართულ თანამედროვე ხელოვნებას, არამარტო პოეზიას, აზროვნების მანერას, მაგრამ დამთავრდა ის ეპოქა. 23 წელი გავიდა „რეაქტიული კლუბის“ შემდეგ და დღესაც „რეაქტიული კლუბს“ განიხილავენ, როგორც თანამედროვეს, ეს სირცხვილია...

- მომიყევით, როგორ ცხოვრობთ საფრანგეთში?

- საფრანგეთი ძალიან მიყვარს. ჩემი ოჯახი და შვილები იქ არიან და სახლში ფრანგულ ენაზე ვლაპარაკობ. მყავს 18 წლის ტყუპები თინა და გაბრიელი, რომლებსაც ძალიან უყვართ საქართველო და ბევრად უფრო გამოხატავენ პატრიოტიზმს ვიდრე მე... 20 წელი შესრულდა ჩემი ქორწინებიდან და ვთვლი, რომ ჩემი მეუღლე ერთ-ერთი საინტერესო ქალია, ვისაც მე ცხოვრებაში შევხვედრივარ. ამ ქვეყანამ ძალიან ბევრი რამ მასწავლა. თუ ვინმე თვლის, რომ მე კარგად ვნერ და ვჭირდები საქართველოს, ეს საფრანგეთის დიდი დამსახურებაა. მე ჩემს თავს კულტურულ ემიგრაციას მივაკუთვნებ. ჩემი მიზანი, როცა რამდენიმე თვით წავედი, ერთადერთ რამ იყო, მენახა და მესწავლა ის, რაც აქ, ჩემთვის, საბჭოთა კავშირის პერიოდში, აბსოლუტურად დაკეტილი იყო. იუნესკოს თეატრი მაინტერესებდა, აბსურდის თეატრი არ მქონდა ნანახი, პიესების დაწერა მინდოდა... ამიტომ ვეძახი ჩემს თავს კულტურულ ემიგრაციაში მყოფს...

- თავის დამკვიდრება არ გაგიჭირდათ? როგორ დაიწყო თქვენი ცხოვრება იქ, სად მუშაობდით, რას აკეთებდით?

- რა თქმა უნდა, გამიჭირდა. მაგრამ ყველაფერი თავისთავად მოხდა, მოგზაურობით დაიწყო, ავანტიურასავით იყო რაღაცები. კინოსავით ვუყურებდი ამას. ვიცოდი, რომ ნებისმიერ მომენტში შემეძლო დაბრუნება. არ მქონდა იმის მომენტი, სად დავიძინო, რა ვჭამო... ომი რომ დაიწყო, ვერც წარმოვიდგენდი, რომ აქ ასეთი გაჭირვება იყო. მაშინ ინტერნეტი არ იყო, ძვირი ღირდა დარეკვა. ამიტომ ხშირად ვერ ვრეკავდი, როცა ამბობდნენ ცუდი სიტუაცია არისო, ვერც კი წარმომედგინა რას გულისხმობდნენ, რადგან მთელი საბჭოთა კავშირის დროს ვამბობდით, რომ ჩვენთან ცუდი სიტუაცია იყო... ცოტ-ცოტას ყველაფერს ვაკეთებდი, კედლებსაც ვღებავდი, მძღოლადაც ვმუშაობდი, ერთი პერიოდი რუსულსაც კი ვასწავლიდი ერთ ირლანდიელ ქალს, ოსტაპ ბენდერივით ვაკითხებდი „თორმეტ სკამს“, კმაყოფილი იყო. ბევრ ფულს მიხდიდა... ხან მქონდა სამუშაო, ხან არა, მაგრამ მეგობრები ერთად ვიყავით. წულაძეებთან სახელოსნოშიც მიცხოვრია. ძალიან არტისტულ გარემოში ვიყავით ხოლმე, ბოჰემურად... პარფიუმერიაშიც კი ვმუშაობდი ჩემს მეგობარ იკა ასათიანთან. მას და მის მეუღლეს მწარმოებელი ფირმა ჰქონდათ, იკამ, როგორც მეგობარმა, სამუშაოდ წამიყვანა და უცებ გავხდი ბურჟუა ტიპი... ჰალსტუხით დავდიოდი და მდივანს ყავა შემოჰქონდა, 2 წელი ვიმუშავე... მერე, ძირითადად, კინოსა და ტელევიზიაში ვიყავი. მგონი პირველი ქართველი ვარ ვინც საზღვარგარეთ ქართული ტელევიზია გააკეთა. ეს იყო პარიზში, 99 წელს. სერიოზული ექსპერიმენტი იყო, მგონი ბილ გეითსი აფინანსებდა. ტრიუმფალური თაღის გვერდით გვქონდა ორი ხუთსართულიანი უზარმაზარი შენობა. ეს იყო ინტერაქტიული და პირველი ციფრული ტელევიზია ევროპაში. მე და ჩემს მეგობარს ვალოდია ჩერნილს ჩვენი გადაცემა გვქონდა. თავიდან ვალოდიამ შემომთავაზა ჩემი გადაცემის მთავარი რედაქტორი იყავიო. ჯერ ფრანგულ-რუსულ გადაცემებს ვაკეთებდით, მერე გადავწყვიტეთ ქართულიც გაგვეკეთებინა. ეს ერთი წელი გაგრძელდა, რაც ძალიან მიხაროდა“...

- ქართულ საზოგადოებრივ არხზე ვიასაუბრეთ, იმ ყოფაზეც, რომელშიც ვართ, როგორ ფიქრობთ, როდესმე შეიცვლება ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა უკეთესობისკენ? როდის და როგორ შეიძლება ეს მოხდეს?

- ამაზე რომ არ ვფიქრობდე და ამ დონის პესიმისტი ვიყო საერთოდ არ ვიქნებოდი აქ. ამ წიგნის დაწერის უფლებას არ მივცემდი ჩემს თავს. მართალია წიგნი ძალიან კრიტიკულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე გამოსავალს ვერ ვხედავ. ამას არ სჭირდება ის 200 და 300 წელი კრედიტად რომ აქვთ აღებული იმ ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებაში არიან. ალბათ, ეშინიათ პასუხი არ მოსთხოვონ და ამბობენ, ყველაფერი უცებ გინდათო. არადა ის ბაზობრივი პრინციპები თუ დაიცვა სახელმწიფომ, ყველაფერი ძალიან მალე გაკეთდება. აქ მთავარია ისეთი ადამიანები ხელისუფლებაში, რომელთაც სწორი პრინციპები აქვთ. სამწუხაროდ, ჩვენ, ძირითადად, უპრინციპო პოლიტიკოსები გვყავს... საქართველოს სჭირდება რამდენიმე ათეული პრინციპული, წესიერი, ნორმალური ადამიანი, და ამ ქვეყანას პროგრესი ეგრევე დაეტყობა.

- ხო, მაგრამ ვერა და ვერ გამოჩნდნენ ეს წესიერი ადამიანები. რაც თავი მახსოვს სულ ამის იმედად ვართ, ბოლოს კი ოცნებების სასაფლაოზე გვიხდება სიარული...

- ადამიანი იმედით ცოცხლობს. აბა, რა უნდა ქნა? მაგრამ მარტო იმედის ხარჯზე არ უნდა იცხოვრო, უნდა შეეცადო, რომ შენი იმედი შენ თვითონვე აქციო რეალობად, შენ თვითონვე უნდა ხედავდე შენს თავს რაღაცის გამკეთებლად და არ უნდა იყო იმის იმედად, რომ ვიღაც მოვა და რაღაცას გაგიკეთებს. ჩვენი უბედურება სწორედ ამაშია. ეს არის სწორედ ის, რასაც საქართველოს პოლიტიკურ უკულტურობას უწოდებენ. ამას წინათ პრემიერ-მინისტრმა თქვა, ქართველებს კულტურა აკლიათო, მერე თქვეს, ეს პოლიტიკურ კულტურაზეა ლაპარაკი და არა ისე კულტურაზეო. ამაზე ძალიან ბევრი იკამათეს. თურმე ადამიანი შეიძლება იყოს პოლიტიკურად უკულტურო, მაგრამ კულტურული. პოლიტიკა ხომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია საქართველოში, დასავლეთშიც და ყველგან. თუ ამას ვერ ხვდები და ეს გათავისებული არა გაქვს, ე.ი. პრობლემა გაქვს კულტურასთან. კულტურულობა არ ნიშნავს, რომ „მარტოობის ასი წელი“ გაქვს წაკითხული და „ოსტატი და მარგარიტა“. შენ, პოლიტიკურად, როგორც საზოგადოების წევრი როგორი ხარ, ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი, კულტურული ადამიანი ხარ თუ არა.

- ე.ი. სახელმწიფოს ბედუკუღმართობა, რომელიც დღეს გვაქვს და გუშინ, გუშინწინ გვქონდა, ჩვენს გამოა?

- ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია, ჩვენ არავის იმედი არ უნდა გვქონდეს, განსაკუთრებული, პიროვნული და არც არავის არ უნდა ვაბრალებდეთ ყველაფერს პიროვნულად, არც სააკაშვილს, არც ედუარდს, არც ზვიადს, არც ივანიშვილს... ძალიან მარტივ რაღაცას ვამბობ, ეს ისეც ყველამ იცის, მაგრამ ემოციების დონეზე ჩვენ ჩვენს თავს ვერ ვაკონტროლებთ, რასაც სწავლა სჭირდება, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, შენი ემოციების მენეჯმენტი რომ შეგეძლოს. არ ავყვეთ ამ ემოციებს და არ დავაბრალოთ სხვას, რაც ძალიან კარგად გამოგვდის. შეგვიძლია ბავშვებივით გავბრაზდეთ და ყველაფერი ნაძვისხესავით ერთ კაცს ჩამოვკიდოთ, კარგიც და ცუდიც. სიყვარულიდან სიძულვილამდე რომ ერთი ნაბიჯია ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და ყველამ ვიცით, მაგრამ ემოციებს რადგან ვერ ვაკონტროლებთ გვავიწყდება და იმ განათლებას, რაც გაგვაჩნია, ხანდახან ფასი ეკარგება. ელემენტარულ რაღაცებს ვეღარ ვხვდებით, ვყვირით, ვიგინებით, ვილანძღებით. შეიძლება კანიბალიც გავხდეთ. არჩევნების დროს ერთმანეთს ქვები ვესროლოთ. ახლა, საბედნიეროდ, აღარ ხდება ასეთი რაღაცები. რაღაც ისე დალაგდა ეს ჭადრაკის დაფა, რომ შედარებით მშვიდად მიდის ყველაფერი, მაგრამ მაინც დიდი მუხტია სიძულვილის, იმედი მაქვს, რომ გაიცლის. ამას სჭირდება პასუხისმგებლობის გრძნობა, პრინციპები, მიზნის დასახვა და მეთოდურობა, რომელზეც მთელი ევროპა დგას, ეს ის თვისებაა, როცა იცი რა გინდა და როგორ უნდა გააკეთო!

წიგნის პრეზენტაცია: მწერალთა სახლი, 22 ოქტომბერი, 18:00

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოდის მარკეტინგის პირველი კურსი საქართველოში

my View
თამარ გონგაძე

ნინო იოსელიანი: „მინდა შევქმნა ბრენდი, სადაც ახალგაზრდა დიზაინერები იმუშავებენ. ეს ბრენდი მასაზე იქნება გათვლილი. მჭირდება ძლიერი გუნდი, რომელიც გვერდში დამიდგება“

ოთარ ქირია: „მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მოდის მარკეტინგი გვესწავლებინა. ეს არ არის უბრალოდ ტრენინგ პროგრამა, ჩვენ უფრო დიდი გათვლა გვაქვს“

ტრენინგ საკონსულტაციო ცენტრი „კაპ ბიზნეს ლაბორატორია“ მაისში დაარსდა. რამდენიმე პროექტის შემდეგ ცენტრი საინტერესო და საჭირო პროექტს იწყებს - „მოდის მარკეტინგის“ ტრენინგ პროგრამას. პროგრამა საქართველოში პირველად ხორციელდება. ის აქამდე არ ისწავლებოდა. იდეის ავტორი და „კაპ ბიზნეს ლაბორატორიის“ ერთ-ერთი დამაარსებელი ოთარ ქირიაა. უკვე რამდენიმე წელია ჩვენს ქვეყანაში მოდის კვირეულები ეწყობა, ჩამოდიან დიზაინერები, კრიტიკოსები, ბაერები, ეწყობა ვორქშოფები... ასე თუ ისე, მოდის ინდუსტრია ცდილობს განვითარებას. თბილისსა და სხვა ქალაქებში გამოჩნდა მსოფლიოს წამყვანი ბრენდების მონომაღაზიები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ვაჭრობის ამ სეგმენტში დასაქმების მასშტაბები ინტენსიურად იზრდება. გაჩნდა ადგილობრივი წარმოების სავაჭრო ნიშნებიც. შესაბამისად, ბაზარზე გაჩნდა ბრენდმარკეტერისა და ბრენდმენეჯერის მოთხოვნა. ამ ტრენინგ კურსის დაარსებაც ამიტომ გახდა საჭირო. აქამდე მსურველს არსად არ შეეძლო შესაბამისი განათლება მიეღო. „კაპ ბიზნეს ლაბორატორია“ კი 30 ოქტომბრიდან ამის შანსს იძლევა. თეორიულ თუ პრაქტიკულ გამოცდილებას უცხოელ სპეციალისტებთან ერთად ქართველი პრაქტიკოსებიც გადასცემენ. პროგრამის კოორდინატორები და ტრენერები არიან: ნინო იოსელიანი, ოთარ ქირია, ნათია ფოფხაძე, ზურაბ მგალობლიშვილი, ხატია შამუგია, დარა აჰმედი, აშრაფ პატელი, ულვია ზეინჰალოვა და ეკატერინე ფუტკარაძე. „კაპ ბიზნეს ლაბორატორიამ“ პარასკევს ღია კარის დღე მოაწყო. შეხვედრას კურსით დაინტერესებული პირები დაესწრნენ - უცხოური ბრენდების წარმომადგენლები, ქართული მოდის სახლები, პარფიუმერიის სავაჭრო ქსელი. ჩამოთვლილმა კოორდინატორებმა და ტრენერებმა ვიზიტორებს გააცნეს მოდის მარკეტინგის სასერტიფიკატო კურსის სილაბუსი, ტრენერები, სტრუქტურა და უპირატესობა. კურსის მიზანია მოდის, აქსესუარებისა და ტექსტილით ვაჭრობისა თუ წარმოების სექტორებს შესთავაზოს კარგად დახელოვნებული საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერები, ბრენდმენეჯერები, სავაჭრო წარმომადგენლები, მარკეტერები და ბიზნესის განვითარების სპეციალისტები. კურსი აუცილებელია მათთვის, ვინც ჩართული და დაინტერესებულია მოდის პროდუქციის, ტექსტილისა და აქსესუარების წარმოებით, ვაჭრობის, ფრენჩაიზისა თუ ბრენდინგის პროცესებით.

კურსი მოიცავს 72 აკადემიურ საათს (ორი თვე), კვირაში სამი დღე (ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი) 19:00 - 22:00 საათებში. ტრენინგის საფასური შეადგენს 2 120 ლარს. ერთი საათის საფასურია 29 ლარი და 45 თეთრი. მასში შედის: სერტიფიკატი, საპრეზენტაციო მასალები, ჯგუფის კოორდინატები, დამატებითი მასალა, საკანცელარიო ნივთები, შესვენება ყავითა და ლანჩით.

ჯგუფი 15 მონაწილითაა დაკომპლექტებული. მეორე ჯგუფი ახლა კომპლექტდება. ის სწავლას იანვრიდან იწყებს.

ოთარ ქირია: - ჩვენი მისიაა ბიზნესის კვლევების გაფართოება და ამავდროულად სოციალური კაპიტალის მშენებლობა. „კაპ ბიზნეს ლაბორატორიას“ ორი მიმართულება აქვს, საკონსულტაციო და ტრეინინგი. ტრეინინგი ორ ნაწილად იყოფა - სასწავლო პროგრამები და უნარების განვითარება. მოდის მარკეტინგი ექსკლუზიური პროგრამაა. ცალკე თემაა, ეს სფერო რამდენად ფართო და განვითარებულია ჩვენთან. ვიცით რა, იმ ნაპრალის შესახებ, რაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებობს, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მოდის მარკეტინგი გვესწავლებინა. ეს არ არის უბრალოდ ტრენინგ პროგრამა, ჩვენ უფრო დიდი გათვლა გვაქვს. გვინდა გარკვეული ნერტილი შეიქმნას, სადაც ხალხს ექნება ზუსტი ინფორმაციის მიღების საშუალება. ამ მიმართულებით სამხატვრო აკადემიასთან გვაქვს გარკვეული საუბრები. მალე მათგან გამოგზავნილი ჯგუფი შემოგვიერთდება. გვინდა ავიდგათ ფეხი, მერე კი ჩვენს და უცხოურ ბაზარს გაცვლითი პროგრამები შევთავაზოთ. უცხოეთში უმაღლესი კლასის პედაგოგებთან გვექნება კონტაქტი. ბრენდის შექმნას ტაქტიკა და სტრატეგია სჭირდება. სპეციალისტები ამბობენ, 49 პროცენტი მოდის შექმნაზეა, დანარჩენი 51 პროცენტი კი ბრენდის გატანა-გაყიდვებზეო. კურსი გაყოფილია ორად - თეორიად და პრაქტიკად. ვორქშოფი და ერთგვარი პროექტის მომზადება. ნინო იოსელიანი ერთადერთი ქართველი ტრენერია ჩვენ შორის, რომელსაც მასტერი პარიზსა და ბარსელონაში აქვს გაკეთებული. აკადემიურად იცის ეს სფერო. ის თეორიას წაიკითხავს. პრაქტიკული გამოცდილებაც აქვს, 9 წელია სხვადასხვა ბრენდების საგენტოებში მოღვაწეობს, მათ შორის „კარტიეს“, „შოპარდის“ და სხვა ლუქს ბრენდების საკომუნიკაციო კამპანიებში. აკადემიური განათლება სხვას არ გვაქვს, ეს იმან განაპირობა, რომ საქართველოს საუნივერსიტეტო პროგრამებში ეს სფერო არ არის. პრაქტიკოსების ჯგუფმა პრაქტიკით „იძულებით“ შევისწავლეთ მოდის მარკეტინგი. პრაქტიკოსების დავალებაა გავუზიაროთ ის, რაც გამოცდილებით გავიარეთ. რა არის მარკეტინგი და რატომ არის ის საჭირო - ამას მე გავაცნობ მონაწილეებს. მერე უკვე ნინო იოსელიანი მოდის ისტორიებზე, მოდის აიკონებზე, კონკრეტულად მოდის მარკეტინგზე ჩაატარებს ლექციებს.

ნინო იოსელიანი: - მე კურსის ძირითად ნაწილს წავიკითხავ - მოდის მარკეტინგს. დავიწყებთ მოკლე მიმოხილვით, რა არის მარკეტინგი. შემდეგ გადავალთ მოდის ისტორიასა და მოდის მარკეტინგზე. ვისაუბრებთ, თუ რა განსხვავებაა მოდის მარკეტინგსა და მარკეტინგს შორის. შემდეგ უკვე გავიგებთ, როგორ დავგეგმოთ და განვავითაროთ ჩვენი ბრენდი. მსოფლიოში ბევრი ბრენდი და დიზაინერია, ეს არ არის საკმარისი, რადგან მარკეტინგის ცოდნის გარეშე დიზაინერებს ძალიან უჭირთ სახელის დამკვიდრება. ბევრად შედეგიანი იქნება ჩვენი საქმიანობა, როცა გვეცოდინება მოდის მარკეტინგი. მოდის მარკეტინგი ბევრი კომპონენტისგან შედგება. განვიხილავთ თუ როგორ არის ეს ყველაფერი განვითარებული ამერიკაში, ევროპაში, აღმოსავლეთში. კურსს დავასრულებთ ქართული ბაზრით. შევისწავლით რა ბრენდებია ქართულ ბაზარზე და როგორ მოვარგოთ ქართულ რეალობას ამერიკის, ევროპისა და აზიის მაგალითები. მინდა შევქმნა ბრენდი, სადაც ახალგაზრდა დიზაინერები იმუშავებენ. ეს ბრენდი მასაზე იქნება გათვლილი. მჭირდება ძლიერი გუნდი, რომელიც გვერდში დამიდგება. მინდა წარმატებული სტუდენტები ჩემს პროექტში დავასაქმო. საქართველოში ამ სფეროში კვალიფიციური კადრების დიდი პრობლემაა. მიხარია, რომ ჩემს ცოდნას დამწყებებს გავუზიარებ. ჩვენი რეკომენდაციის საშუალებით კურსდამთავრებულებს ბევრად მარტივად შეეძლებათ სამუშაო ადგილის მოძებნა.

ნათია ფოფხაძე, Hello kitty-ის, Villeroy&boch-ისა და Swarovski-ს ბრენდების წარმომადგენელი საქართველოში: - განათლება და პრაქტიკა ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია. ფუძე განათლება უნდა იყოს, ამ ნაწილს ნინო გადასარევად გაართმევს თავს. მისი კარგად შესნავლა პრაქტიკაში გაგიადვილებთ ამის გამოყენებას. ბრენდები კარგ, საფუძვლიან განათლებას გაძლევენ. მათთან მუშაობა მარტივია, მიმართულებას გაძლევს. Swarovski ყველაზე ცნობილი ბრენდია, მისი წარმატების 99 პროცენტი მარკეტინგის დამსახურებაა. ძვირფასი პროდუქცია არ არის, მისი იდეა იყიდება. აქვე მინდა ვთქვა ისიც, რომ მე თავად ვარ დამსაქმებელი და კარგა ხანია ვეძებ კადრს, რომელსაც მსგავსი პრაქტიკული განათლება აქვს მიღებული.

ზურაბ მგალობლიშვილი, ბრენდ „ავთანდილის“ დირექტორი: - ჩვენ ვცდილობთ ქართული ბრენდი საზღვარგარეთ გავხადოთ ცნობადი. ამისთვის ბევრს ვშრომობთ. ჩემი კურსი დიზაინერთან მუშაობას, მის მართვას მოემსახურება. საქართველოს არ აქვს დიზაინერების დეფიციტი, მას მენეჯმენტის დეფიციტი აქვს.

ხატია შამუგია, „ისი პარის“ პიარისა და მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი: - დიდი გამოწვევა და სულ სხვა ამპლუაა. მოდის მარკეტინგი ყველასთვის გამოწვევაა. ჩემთვის ერთგვარი მოლოდინია, რომ პროფესიულად კიდევ უფრო გავიზრდები. მე წავიკითხავ მოდის მარკეტინგს პარფიუმერიის დარგით. თუ რა როლი აქვს მომხმარებელში პარფიუმერიას, როგორ გარემოში უნდა მიეწოდოს ის და ასე შემდეგ. ჩვენ პარფიუმერიას ვაიგივებთ იმ დიზაინერთან, რომლის სახელსაც ატარებს, ამ დროს ეს ცალკე ბიზნესია. ბრენდის ლიცენზიას ყიდულობენ და მერე მონსტრი პარფიუმერული კომპანიენი კონკურენციას უწევენ ერთმანეთს. კანში პარფიუმერულ ფესტივალზე მივემგზავრები და მოგვიანებით ახალ გამოცდილებას გავუზიარებ მონაწილეებს.

დარა აჰმედი, საოპერაციო მენეჯერი: - ჩვენ გაძლევთ შესაძლებლობას შეისწავლოთ მეტი მარკეტინგის, მართვისა და მოდის მარკეტინგის შესახებ. როცა მოდა ბიზნესად იქცევა, იქ მნიშვნელოვანი ხდება მოდის მარკეტინგი. მე საოპერაციო მართვაზე გესაუბრებით. მთავარია, მომხმარებელი იყოს კმაყოფილი. კონკურენტებთან კარგ პოზიციაში ყოფნაც მნიშვნელოვანია. მთავარია, რამდენად სწრაფად შეგიძლია უპასუხო ნებისმიერ მოთხოვნას, რომელიც მომხმარებელს ექნება.

ეკატერინე ფუტკარაძე, ფსიქოლოგი: - ჩემი ნაწილი ფსიქოლოგიას შეეხება. მარკეტინგი ახლოსაა ფსიქოლოგიასთან. როგორ გავხდეთ ეფექტურები, როგორ წარმოვადგინოთ თავი, როგორ დავარწმუნოთ ადამიანი, რომ ჩვენ ვართ ნამდვილად ის, ვისაც უნდა მიმართოს და ვისგანაც უნდა შეიძინოს პროდუქტი. შეიძლება განათლება გვქონდეს, მაგრამ იმის უნარი არა, რომ დავარწმუნოთ ადამიანი. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დამოკიდებულება მომხმარებელთან.

სწავლის პროცესი ჩატარდება „კაპ ბიზნეს ლაბორატორიის“ ოფისში. ლექტორები კი უკვე მზადყოფნაში არიან.

მონაწილეებს რამდენიმე სიურპრიზი ელით, ახალი ქართული სახელმძღვანელოს, „ისი პარის“ ტესტმასტერინგის, მოდის კვირეულის მასტერკლასებზე დასწრებისა და ლაუნჯ-საღამოს სახით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნოდარ გურგენაშვილი ცოლს გაეყარა?!

„ვისაც აინტერესებს, ბოდიშს მოვუხდი, ამ თემაზე არ ვსაუბრობ. ეს არა არის ვარსკვლავური გამოხტომა. ისედაც ბევრი მაქვს საფიქრალი, ვილაცის მონაჭორზე რომ არ ვინერვიულო და ვიფიქრო“

„არასერიოზული დამოკიდებულება მქონდა სამეჯლისო ცეკვისადმი. ვერ ვხვდებოდი, რითი კაიფობდნენ. ამ პროექტის შემდეგ მომეწონა, მუღამი დავუჭირე“

„არ მინდა ცეკვას შევეშვა. აქამდე ეს სიამოვნება რომ არ მქონდა მიღებული, „გამიტყდა“. ვარჯიშიც არის. ათი კილო ცეკვით დავიკელი“

my View
თამარ გონგაძე

რაღაც ისე დაემთხვა, რომელი კონკურსანტიც ჩავწერე, „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დატოვა. წინა კვირაში გია სურამელაშვილი ჩავწერე, პროექტი დატოვა, ოთხშაბათს ნოდარ გურგენაშვილი ჩავწერე და ხუთშაბათს ისიც წავიდა შოუდან. არადა, როგორი აღტაცებით მელაპარაკა „პეტო“ ცეკვებზე... ბოლოს „შერეკილების“ საუნდრეკზე ვალსი იცეკვა. ეს მისი გედის სიმღერა აღმოჩნდა. „მინდა კარგად გამომივიდეს. მთავარია, ხასიათი სწორად დავუჭირო. ვნერვიულობ - ხალხი როგორ მიიღებს. წინა ორი ცეკვისგან - „ტვისტისგან“ და „სალსასგან“ ძალიან განსხვავდება. აქამდე „ვალსში“ სილამაზეს ვერ ვხედავდი. თურმე ძალიან მაგარი ცეკვაა, შესასრულებლად რთულია. ბევრი ნიუანსი აქვს. კარგი რომ გამოვიდეს, ყველაფერი უნდა გაითვალისწინო. ეს კიდევ ძნელია. მინდა კარგად გამიჯდეს, არ ვიფიქრო - რა რის შემდეგ მოდის. თუ ამას მოიხსნი, კაიფი და სიამოვნება მერე მოდის. ამ ცეკვაში უნდა იცურო. იცი, რა მაგარი ცეკვაა“?

თავით კმაყოფილი არ ჩანდა. თავდაჯერებაც აკლდა. დაძაბული სახით იდგა. უნდოდა პროექტში დარჩენა, ეს ბუნებრივია. „ტვისტისგან“ და „სალსასგან“ განსხვავებით არსტისტულობა ვერ ჩართო „ვალსში“, ვერ „იცურა“ და დატოვა კიდეც პროექტი.

თავიდან, რომ გავიგე ნოდარი „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობსო, მისი „ფლამენკო“ გამახსენდა ფილმში „სიყვარულის ბალადა“. ეს კადრი ფილმის ფინალშია, როცა მისი გმირი გაიგებს, რომ ბარსელონას საგზური მოიგო. პროექტში უნდოდა „ფლამენკო“ ან რომელიმე სხვა ესპანური ცეკვა შეესრულებინა, ჩემს ხასიათში ზისო, მაგრამ არ დასცალდა. არადა, პროექტმა ლუდს გამოამშვიდობა, 4-5 ლიტრს ვსვამდი ზაფხულში ყოველდღიურადო. შედარებით ცოტას ეწევა. რეჟიმში ჩადგა. დილაობით 10 საათზე იღვიძებს. ბოლოს და ბოლოს სამ კვირაში 10 კილო დაიკლო. ამბობს, თავს მსუბუქად გვრძნობო.

ნოდარ გურგენაშვილი: - სამეჯლისო ცეკვისადმი არასერიოზული დამოკიდებულება მქონდა. ვერ ვხვდებოდი, რითი კაიფობდნენ, რა სიამოვნებას იღებდნენ. ამ პროექტის შემდეგ - არ ვიტყვი, ცეკვაზე სიარულს გავაგრძელებ-მეთქი, მაგრამ იმ დონეზე მომეწონა, მუღამი დავუჭირე და აქამდე ეს სიამოვნება რომ არ მქონდა მიღებული, „გამიტყდა“. რომ ცეკვავ, რეალობას ეთიშები. არ მეგონა ამ დონზე თუ შევიდოდი მუღამში. არ მინდა ცეკვას შევეშვა. ვარჯიშიც არის. ათი კილო ცეკვით დავიკელი“.

„ყველამ თავის ოჯახს მიხედოს“

- თავს ვარსკვლავად თვლით?

- დარბაზში რომ შევიდოდი სულ ვხუმრობდი - გამარჯობა, ვარსკვლავებო-მეთქი :) რა ვარსკვლავი, არ ვიცი. ლიმუზინიდან გადმოვდივარ და ავტოგრაფს მთხოვენ? ხალხისთვის ცნობილი ადამიანი ვარ. კარგია, რომ ვუყვარვარ და პატივს მცემენ. ვინც თავს ვარსკვლავად თვლის, შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ მე არ ვთვლი. არც სხვისგან მიგრძნია შოუში რაიმე პრივილეგია.

- პოპულარობა მოგწონთ?

- კი, საქმის მალე კეთებასა და წინსვლაში გეხმარება. რატომაც არა?

- მინუსი რომ აქვს, მაგალითად, ჭორები?

- ბევრი ჭორი არ გამიგია. არ ვაქცევ ყურადღებას. იჭორაონ. ზურგს უკან ლაპარაკობენ, ვერც გაიგებ ვინ ლაპარაკობს.

- ერთი ჭორი გავრცელდა, ბანკთან მიმართებაში ახსენეს შენი სახელი, აფიორაში გადანაშაულებდნენ...

- ეგ, რა სალაპარაკოა. რა? ბანკი „გადავაგდე?“ რა სისულელეა. და რატომღაც ვერ მიპოვეს. რამდენი მილიონი ცხოვრობს საქართველოში, ყველას აქვს ბანკთან პრობლემა...

- ოჯახში რა ხდება?

- მშვიდობაა.

- ვიცი, შვილი გყავთ, რა ჰქვია?

- ქეთი, მაგრამ ამ თემაზე ლაპარაკი არ გავაგრძელოთ. ოჯახს რაც შეეხება, არ ვლაპარაკობ.

- აღარ?

- არც არასდროს მისაუბრია.

- თქვენ და დეა ჯერ კიდევ შეყვარებულები იყავით ინტერვიუ რომ მოგვეცით.

- ერთხელ, ადრე. არ ვიყავით დაქორწინებული, შეყვარებულობის პერიოდი გვქონდა.

- ახლა რა ხდება?

- რა უნდა ხდებოდეს?! ამ თემაზე არ მინდა ლაპარაკი. კი არაფერს ვმალავ, არ მიყვარს.

- აი, პოპულარულობის მინუსიც ეგ არის, პირადზე გიხდება საჯაროდ საუბარი...

- ვისაც აინტერესებს, ბოდიშს მოვუხდი, ამ თემაზე არ ვსაუბრობ.

- გავიგე ნოდარს ოჯახი დაენგრაო, მართალია?

- არ მაინტერესებს, რა. ისედაც ბევრი მაქვს საფიქრალი, ვილაცის მონაჭორზე რომ არ ვინერვიულო და ვიფიქრო... არც ვაქცევ ყურადღებას.

- ცოლს ხელი დაარტყა და სახლიდან გააგდოო, ამასაც ამბობენ.

- ხომ გითხარი, არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი-მეთქი. ეს არ არის ვარსკვლავური გამოხტომა. არავის საქმე არ არის. რასაც ლაპარაკობ, რეალობისგან ძალიან შორსაა. ვერ ვხვდები, რატომ იგონებენ ასეთ რამეს. მაგრად არ მაინტერესებს. ყველამ თავის ოჯახს მიხედოს.

- თქვენ არ დაინტერესებულხართ თქვენი საყვარელი მსახიობის პირადით?

- კევინ სფეისზე ყველაფერს არ ვეძიები, რაც ჩამივარდება, წავიკითხავ, ვნახავ.

- ასე აინტერესებთ თქვენს შეხახებაც.

- კევინ სფეისს თავს არ ვადარებ, იქნებ არც მას უყვარდეს პირადზე საუბარი. ჩემი რაც არის, ჩემია, პირადულია.

ნოდარი და დეა

ნოდარი და დეა ჯიბლაძე სამი წელია ერთმანეთს იცნობენ. მერე ნაცნობობა ნელ-ნელა გრძნობაში გადაიზარდა და ერთად ცხოვრებაც გადაწყვიტეს. „დეა დანახვისთანავე მომეწონა, სხვა დამოკიდებულება გამიჩნდა. ჩვენ სიყვარული თავს უეცრად, ნიაღვარივით არ დაგვტყდომია. კარგია, ასე რომ მოხდა. ჩემი აზრით, უეცრად თავს დატეხილ სიყვარულს მოულოდნელობისგან გამოწვეული დაბნეულობაც ახლავს და შეიძლება, ასეთ დროს გრძნობა ვერ შეინარჩუნო. სიყვარული ამქვეყნად ყველაზე მაგარი ძალაა. არ ვიცი, სიტყვებით როგორ გადმოგცე... მოკლედ, სიყვარული ყველაფერია. ჩემთვის ყველაზე დიდი რომანტიკა ისაა, როცა ამ გრძნობას, ურთიერთობას ვუფრთხილდები, ვეფერები და ვცდილობ, ჩემი საქციელით უფრო მეტად გავალამაზო“, - შარშანდელ ინტერვიუში ამბობდა ნოდარი.

„მინდა რაღაცები მოვასწრო“

სამი წელია, ნოდარს პეტოს როლით იცნობს საზოგადოება. „შუა ქალაქში“ თავის როლს მიეჩვია და ამბობს - „გიტყდება“ რომ მთავრდება, მაგრამ რაღაც ეტაპზე უნდა დასრულებულიყო. არ უნდა დაიშტამპო და ამპლუაში არ უნდა ჩაიკეტო“.

„ღამის შოუს სტუდიასთან“ თანამშრომლობას განაგრძობს. მალე ბაჩო ქაჯაიასთან ერთად იუმორისტულ გადაცემას წაიყვანს. ეყოლებათ მოწვეული სტუმრები და დარბაზი.

ახლა 31 წლისაა. „მინდა რაღაცები მოვასწრო. მეშინია, ხომ არ გვიანდება-მეთქი. მუსიკას ვწერ - ბლუზის, ჯაზის და ალტერნატიულის მუსიკის ნაზავს. კონცერტებზე მხოლოდ საკუთარ მუსიკას ვუკრავ. მინდა ბევრი სიმღერა დავწერო, ჩავწერო, ბევრი კონცერტი მქონდეს, ხალხმა გამიცნოს. ბენდში მოწვეული მეგობრები მეხმარებიან. კონცერტიდან დიდ სიამოვნებას ვიღებ. ახლა ბარ „აურაში“ ვრეპეტიციობ და მინდა კონცერტის გაკეთება. საერთოდ გამიმართლა - ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს და რაც სიამოვნებას მანიჭებს“.

თეთრი აქცია - „მე პოემუსი ვარ, სიყვარულით გამოხატე თანადგომა“

21 ოქტომბერს ფესტივალი „პოემუსი“ 20 საათზე მარჯანიშვილის თეატრში შემაჯამებელ ორსაათიან საქველმოქმედო ღონისძიებას მართავს. ორთვიანი ფესტივალის მანძილზე „პოემუსმა“ ხელოვანებთან ერთად თეატრალიზებული პერფორმანსით არაერთი კეთილი საქმე წამოიწყო. ფესტივალი ჟურნალისტ ბექა ელბაქიძის დაარსებულია. რამდენიმე ქალაქში ჩატარებული საქველმოქმედო ღონისძიებებით ფესტივალი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, აგვისტოს ომის დროს დაზარალებულებს, მიუსაფარ მოხუცებს („კათარზისი“) და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს დაეხმარა, გვერდში დაუდგა. 21 ოქტომბრის საღამო ისევ 4 წლის ლიკა კაპანაძის დასახმარებლად გაიმართება. ბათუმში ჩატარებული ტელემარათონის დროს მისი საოპერაციო თანხა ვერ შეგროვდა, ამისთვის აქცია ფესტივალის ფარგლებში გაგრძელდა ქუთაისში. დარბაზში იქნება ყუთები, სადაც მსურველს შეეძლება თანხის ჩაგდება. მთელი ფესტივალის მანძილზე მონაწილე 60 ხელოვანს ახალი შემსრულებლებიც დაემატნენ: ეთერ თათარაიძე, ნატო მეტონიძე, ნინო სურგულაძე, მარიამ როინიშვილი, დათო არჩვაძე, მარინა ჯანაშია, ეკა ნიჟარაძე. „საღამო ისევ თეატრალური პერფორმანსის სახით ჩატარდება. მსახიობები ლექსებს წაიკითხავენ. წამყვანი ჩემთან ერთად ნინო თარხან-მოურავი იქნება. ხალხისთვის საყვარელ ადამიანებთან ერთად მივმართავთ სამოქალაქო საზოგადოებას და ბიზნეს სექტორს, რომ ერთობა მნიშვნელოვანია“, - აცხადებს ბექა ელბაქიძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N42 (240), ორშაბათი 21 ოქტომბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EXCLUSIVE

„ცეკვაავენ ვარსკვლავების“ სპორტსმენი პონკურსანტი შეყვარებულია

ნანა ნებიერიძე: „მყავს ადამიანი, რომელიც სიგიჟემდე მიყვარს. ერთი წელია ძალიან ბედნიერი ვარ. ეტყობა, ცხოვრებაში კარგი საქმეები ცოტა არ მაქვს გაკეთებული, რომ ეს დავიმსახურე. ეს ადამიანი დიდი საჩუქარია ჩემთვის“

ISSN 1987-7404

9 771987 740005

„მანდარინების“ პრემიერა შედგა - „ბრავო, ზაზა!“

EXCLUSIVE

ნოდარ გურგენაშვილი ცოლს გაეყარა?!

EXCLUSIVE

პაატა ქურდაძე კულტურულ რეგრესსა და სამომავალო პროგრესზე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება